



## კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი ლაშა ბრეგვაძე

„კანონიერი ქურდების ინსტიტუტი“ როგორც ეროვნული უსაფრთხოების  
მნიშვნელოვანი პოლიტიკური გამოწვევა.

(საქართველოს მაგალითზე)

სოციალურ და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი  
პოლიტიკის მეცნიერების სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა

პოლიტიკის მეცნიერების დოქტორის აკადემიური ხარისხის  
მოსაპოვებლად წარმოდგენილი

დისერტაცია

თბილისი, 0141, საქართველო

2024

## განაცხადი

როგორც ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომში გამოყენებული მასალა ციტირებული და  
დამოწმებულია სათანადო წესების შესაბამისად.

ლაშა ბრეგვაძე

17.06.2024

## ანოტაცია

სადისერტაციო ნაშრომი „კანონიერი ქურდების ინსტიტუტი“ როგორც ეროვნული უსაფრთხოების მნიშვნელოვანი პოლიტიკური გამოწვევა (საქართველოს მაგალითზე) ეძღვნება თანამედროვე პერიოდში კრიმინალური სუბკულტურის მზარდი როლის წარმოჩენას რეგიონის და საქართველოს პოლიტიკური დღის წესრიგის დადგენაში. ნაშრომში მიმოხილულია კრიმინალური სუბკულტურა, როგორც ჰიბრიდული ომის წარმოების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი და მისი სტრატეგიული იარაღად გამოყენება ქვეყანაში არსებულ პოლიტიკურ და დემოკრატიულ პროცესებზე ზემოქმედებისთვის.

მსოფლიოში მიმდინარე გეოპოლიტიკური ცვლილებების პირობებში გლობალური აქტორები იბრძვიან თავიანთი ძალაუფლების გასაძლიერებლად და ახალი კავშირების შექმნისა და გაზრდისათვის. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია რუსეთის ფედერაცია, რომელიც ფაქტიურად მთელ დემოკრატიულ მსოფლიოს დაუპირისპირდა უკრაინაში და საომარი მოქმედებების წარმოებით. მოსკოვმა კრიმინალური სუბკულტურის გამოყენებით კიდევ უფრო გაზარდა თავისი როლი და ადგილი მსოფლიოში მიმდინარე გეოპოლიტიკურ პროცესებში.

რუსეთი ამ მიმართულებით მნიშვნელოვან როლს თამაშობს როგორც მძიმე წონისანი აქტორი მთელს რეგიონში და საკუთარი გეოპოლიტიკური ზრახვების სისრულეში მოსაყვანად აქტიურად იყენებს კრიმინალურ სუბკულტურას, რითაც შესაძლებელს ხდის ახალი ტიპის ცივი ომის წარმოებას. აღნიშნულიდან გამომდინარე უფრო აქტუალური ხდება კრიმინალური სუბკულტურის როლი და ადგილი მსოფლიო პოლიტიკაში.

ნაშრომის პირველ თავში განხილულია ისეთი აქტორი, როგორიცაა კრიმინალური სუბკულტურაა, მისი როლი და მნიშვნელობა რეგიონალური მასშტაბით და საერთაშორისო უსაფრთხოების სისტემის ჭრილში, ასევე ქვეყნის განვითარების პროცესში, კრიმინალური სუბკულტურის ფაქტორი და მისი გავლენა ქვეყნის დემოკრატიულ განვითარებაში და მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებში.

ნაშრომში მნიშვნელოვანი ყურადღება ეთმობა რუსეთის ე.წ. რბილი ძალის სტრატეგიასა და სამომავლო პოლიტიკის წარმოჩენას ჰიბრიდული ომის წარმოებისას. სადისერტაციო ნაშრომის ფარგლებში შესწავლილია კრიმინალური სუბკულტურის აღმოცენების, მისი განვითარებისა და გაძლიერების საკითხი ისტორიულ ჭრილში, რეგიონის და ყოფილი პოსტსაბჭოური ქვეყნების მასშტაბით, რაც შემდგომ უკვე გახდა ერთ-ერთი განმსაზღვრელი ფაქტორი მთლიანად, რეგიონში და საქართველოში საშინაო და საგარეო პოლიტიკის ჩამოყალიბებაში, რაც გრძელდებოდა ათეულობით წლების განმავლობაში. სადისერტაციო ნაშრომში მნიშვნელოვანი ყურადღებაა დათმობილი აღნიშნული სუბკულტურის, როგორც აქტორის ჩამოყალიბებისა მის ისტორიულ გზაზე, რომელიც თითქმის საუკუნის მანძილზე მეტია, რაც ვითარდება, აქვე ხდება კრიმინალური სუბკულტურის განვითარების და მეთოდოლოგიური საფუძვლების შესწავლა, თუ რა მეთოდებით ახერხებენ კრიმინალური სუბკულტურის წარმომადგენლები, გავლენა მოახდინონ რეგიონულ და შიდა სახელმწიფოებრივ პოლიტიკურ დღის წესრიგზე, მასშტაბურად თუ ლოკალურად.

ნაშრომში ასევე განხილულია „ცივი ომის“ ფენომენი და კრიმინალური სუბკულტურის როლი მის ტრანსფორმაციაში, მსოფლიოში განვითარებული პოლიტიკური პროცესებისა და გეოპოლიტიკური მოვლენების ფონზე.

ნაშრომის მეორე თავში განხილულია კრიმინალური სუბკულტურა და მისი უმაღლესი იერარქების, „კანონიერი ქურდების“ მნიშვნელოვანი ფაქტორი სახელმწიფოს ეროვნულ უსაფრთხოებასთან მიმართებაში. კრიმინალური სუბკულტურის როლი როგორც ქვეყნის საგარეო-პოლიტიკური მიმართულებაზე

შესაძლო ზეწოლის ინსტრუმენტი. საკმაოდ მნიშვნელოვანია მისი ამ ჭრილში განხილვა, რადგან სწორედაც რომ ის განსაღვრავს ერთ-ერთ ძირითად დასაყრდენ ძალას ქვეყანაში არსებული დემოკრატიული კურსის წინააღმდეგ რუსული სპეცსამსახურების მიერ წარმოებულ ბრძოლაში, რაც რიგ შემთხვევებში ხელს უშლიდა და უშლის მმართველ პარტიებს ძალაუფლების შენარჩუნებასა და განმტკიცებაში.

ნაშრომში მნიშვნელოვანი ყურადღებაა გამახვილებული რუსეთის ფედერაციის მიერ ე.წ „რბილი ძალის“ გამოყენების ფაქტორზე, რუსეთის ფედერაციის მიერ წარმოებულ ჰიბრიდულ ომზე საქართველოსა და მთლიანად რეგიონის წინააღმდეგ, ასევე ყურადღება ეთმობა გეოსტრატეგიული ასპექტების შეწავლასა და ანალიზს.

ნაშრომში გაანალიზებულია რუსეთის ფედერაციის მიერ კრიმინალური სუბკულტურის რესურსი და შესაძლებლობები, რომელთა გამოყენებამ გარკვეული ასახვა ჰქონდა რეგიონში და მთლიანად ევროპის კონტინენტზე სახელმწიფოების განვითარებაზე, აქვე აღსანიშნავია რუსეთის ფედერაციის მიერ გამოყენებული კრიმინალური სუბკულტურის გეოპოლიტიკური როლი რეგიონალურ კონფლიქტებში.

ნაშრომის მესამე თავი დაეთმო კრიმინალური სუბკულტურის გეოპოლიტიკურ ტრანსფორმაციას და გეოსტრატაგეიული ასპექტების კვლევას, თუ რა გზა გაიარა მან რეგიონულიდან მსოფლიო მასშტაბის ტრანსნაციონალურ დანაშაულებრივ ორგანიზაციად გარდაქმნამდე, რა გეოპოლიტიკური სირთულეების დაძლევა შეძლეს კრიმინალურმა ორგანიზაციებმა ამ პროცესში.

სიტუაციური ანალიზის ფარგლებში განხილულ იქნა ბოლო ათწლეულების პერიოდის კრიმინალური სუბკულტურის განვითარების სტრატეგიის თავისებურებანი და „რბილი ძალის“ კონცეფცია ჰიბრიდული ომის სტრატეგიულ მოდელირებაში. კვლევის მნიშვნელოვანი ნაწილი დაეთმო კრიმინალური სუბკულტურის რუსულ სპეცსამსახურებთან კოლაბორაციას და მის პოლიტიკურ ტრანსფორმაციას ჩამოყალიბების პროცესში მყოფი ახალი მსოფლიო წესრიგის

კონტექსტში. კვლევის ფარგლებში გამოიკვეთა კრიმინალური სუბკულტურის და მისი უმაღლესი იერარქების „კანონიერი ქურდების“ როლი გლობალური უსაფრთხოების ასპექტში და მათი ქმედებების გეოპოლიტიკური მახასიათებლები.

კვლევის შედეგად გამოიკვეთა, კრიმინალური სუბკულტურის როლი და ფაქტორი მსოფლიო პოლიტიკაში და ის ძირითადი მექანიზმები, რაც ხელს უწყობს მის დღევანდელ მოთხოვნადობას. სადისერტაციო თემისთვის შერჩეულ იქნა რელევანტური კვლევის მეთოდები და მეთოდოლოგია, რომლის ფაგლებშიც განხორციელდა მნიშვნელოვანი კვლევა, რომლის შედეგადაც პასუხები გაეცა საკვლევ კითხვებს და დამტკიცდა ჰიპოთეზა.

კვლევის მნიშვნელოვანი ნაწილი დაეთმო კრიმინალური სუბკულტურის მავნებლურ საქმიანობას, მოხდა ყველაფრის განალიზება SWOT-Analyse-ის მეთოდის გამოყენებით, რომლის ფარგლებშიც გამოიკვეთა მთავარი ასპექტები, თუ რა მიმართულებები არის ყველაზე მეტად პრობლემატური და რა სუსტი და ძლიერი მხარეები ახასიათებს აღნიშნულ სუბკულტურას.

აქვე ჩატარდა სიღრმისეული ანალიზი, რა დროსაც გამოკითხული იქნენ სხვადა-სხვა სფეროს წარმომადგენლები, - პოლიტიკოსები, ძალოვანი სამსახურის ყოფილი უმაღლესი თანამდებობის ჩინოვნიკები და მაღალი რანგის სამხედრო მოსამსახურები, ნაშრომის ბოლო ნაწილი დაეთმო დასკვნას, სადაც გამოკვეთილია კვლევის ძირითადი შედეგები და მეცნიერული სიახლეები, ასევე გაცემულია პასუხები საკვლევ კითხვებზე და დამტკიცებულია დისერტაციის ჰიპოთეზა.

## **Annotation**

The dissertation thesis **The Institute of "Thieves in Law" - an Important Political Challenge to the National Security (Case of Georgia)** is dedicated to emphasizing an increasing role of the criminal subculture in contemporary politics of Georgia and the whole region. The article reviews the criminal subculture as an important factor of the hybrid warfare, which is used as a strategic weapon in political and democratic processes of the country and the region.

In the context of emerging geopolitical changes, global actors are struggling to strengthen their power and create and enhance new alliances. In this regard, the Russian Federation, which is in confrontation with literally the whole democratic world since its full scale invasion of Ukraine, managed to increase its role in the geopolitical processes due to the use of the criminal subculture. Russia is actively employing organized crime in its geopolitical games as it conducts a new type of cold war. Thus the role of the criminal subculture in world politics has been increasing.

The first chapter of the paper discusses the criminal subculture as an actor playing its role in the regional and international security system, as well as its influence over the country's democratic development and ongoing political processes.

Significant attention is paid to exposing the Russian soft power strategy and goals of its hybrid warfare. The thesis explores the emergence of the criminal subculture and its subsequent development throughout the former Soviet space, which has become one of the factors in formation of domestic and foreign policies of Georgia and the region for decades.

Significant attention is given to the evolution of the criminal subculture over the century and its establishment as an influential actor. The paper focuses on the methodology, which the representatives of the criminal subculture use to influence the national and regional

political agenda. The paper also discusses the phenomenon of the "Cold War" and the role of the criminal subculture in its transformation against the background of the global political processes and geopolitical developments.

The second chapter of the thesis discusses the elite of the criminal subculture, so-called "thieves in law," as an important factor for national security, as well as the potential employment of the criminal subculture to leverage the foreign policy course of the country. It is important to discuss the criminal subculture in this prism as it remains to be one of the major allies of the Russian secret services, which attempt to subvert the democratic development of Georgia. In doing so, the criminal subculture was hindering the ruling parties to consolidate and maintain power in the country.

The paper discusses the use of soft power and the hybrid warfare tactics by the Russian Federation against Georgia and the whole region, including analyzing its geostrategic aspects.

The paper discusses the practice of exploitation of resources and capabilities of the criminal subculture by Russia, which affected developments in various states both on regional and European scales. It also emphasizes the geopolitical role of using the criminal subculture by Russia in regional conflicts.

The third chapter of the thesis is devoted to researching the geopolitical transformation of the criminal subculture and its geostrategic aspects, analyzing how it developed from regional into a global transnational criminal organization, and what kind of geopolitical difficulties the criminal organizations had to overcome in this process.

Using the situational analysis methodology, the paper reviews the details of the development strategy of the criminal subculture in the last decades and the concept of the "soft power" in the strategic modeling of the hybrid warfare. An important part of the research is devoted to the collaboration of the criminal subculture with the Russian special services and its political transformation, in the context of the emerging new world order. The research process

highlighted the role of the criminal subculture and its top echelons - "thieves in law" in global security context and the geopolitical characteristics of their activities.

The research has revealed the role and factor of the criminal subculture in world politics and the main mechanisms contributing to its current demand.

Relevant research methods and methodology had been selected for the topic of the dissertation, which allowed us to conduct important research. In this process, the research questions were answered and the hypothesis was proved.

A significant part of the research was devoted to the malicious activities of the criminal subculture. Using the SWOT analysis methodology, the detailed analysis has been done highlighting the major aspects, namely, which are the most problematic directions and what are the strengths and weaknesses of the criminal subculture.

During the research, in-depth analysis was conducted, which included interviews with politicians, former high-ranking officials from law enforcement agencies and the Ministry of Defence. The last part of the paper is devoted to the conclusion, which highlights the main findings of the research, offers scientific innovations, provides answers to the research questions and proves the hypothesis of the dissertation.

# სარჩევი

ანოტაცია----- II

Annotation----- IV

შესავალი----- VIII

პირველი თავი „კანონიერი ქურდები“ როგორც პოლიტიკური საშიშროების არსი და  
მისი კლასიფიკაცია: ასიმეტრიული საფრთხეების ფაქტორის მეთოდოლოგიური  
საფუძველი და ისტორიული მიმოხილვა ----- 37

1.1. „კანონიერი ქურდების ინსტიტუტის“ არსი და განსაზღვრება, მისი ისტორიული  
საფუძვლები ----- 38

1.2.,„კანონიერი ქურდების“ პოლიტიკური საფრთხე, - განსაზღვრება და  
კლასიფიკაცია, მისი კორელაცია ეროვნული უსაფრთხოების სისტემასთან ----- 66

1.3.,„კანონიერი ქურდები“ როგორც ასიმეტრიული საფრთხის ფენომენი და მისი  
გავლენა პოლიტიკური განვითარებაზე----- 75

მეორე თავი. „კანონიერი ქურდების ინსტიტუტი“, როგორც პოლიტიკური გამოწვევა  
და მისი გავლენა საქართველოს ეროვნული უსაფრთხოებაზე----- 100

2.1. საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების გარემო და „კანონიერი ქურდების  
ინსტიტუტი: უსაფრთხოების დილემა და პოლიტიკური გამოწვევის პარადიგმა--102

2.2. „კანონიერი ქურდების ინსტიტუტი“, როგორც საგარეო პოლიტიკური გამოწვევა  
„ჰიბრიდული ომის“ იდეოლოგიური და პოლიტიკური მეთოდები რეალური  
პოლიტიკის კონტექსტში ----- 111

2.3. „კანონიერი ქურდების“ მიერ რეგულირებული საფრთხეებისა და რისკების  
ანალიზი და მოდელირების გეოპოლიტიკური მიდგომები - „არშემდგარი ქვეყნის  
დილემა“ (მოვლენის ანალიზი)----- 119

მესამე თავი. საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების მოდელი და ასიმეტრიული  
საფრთხეების პრევენცია და ნიველირება: „კანონიერი ქურდების ინსტიტუტის“  
აღკვეთის პოლიტიკური ასპექტები საქართველოს მაგალითზე (შემთხვევის გარჩევა)----

----- 133

3.1. საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია და „კანონიერი ქურდების  
ინსტიტუტის“ ფაქტორი და მისი აღმოფხვრის სამართლებრივ-პოლიტიკური  
ასპექტები----- 136

3.2. პოლიტიკური გამოწვევები და „კანონიერი ქურდების ინსტიტუტთან“ ბრძოლის  
სტრატეგია და მისი აღმოფხვრის სამართლებრივ-პოლიტიკური ფაქტორები-----  
----- 150

3.3 კრიმინალური სუბკულტურის და მისი უმაღლესი იერარქების „კანონიერი  
ქურდების“ SWOT ანალიზი, ----- 179

3.4 . კრიმინალური სუბკულტურის და მისი უმაღლესი იერარქების „კანონიერი  
ქურდების“ ემპირიული კვლევა და ანალიზი (ექსპერტულთან ჩაღრმავებული  
ინტერვიუს ანალიზი)----- 188

დასკვნა ----- 201

ბიბლიოგრაფია ----- 217

# **შესავალი**

## **თემის აქტუალურობა**

სახელმწიფოს და კრიმინალის ურთიერთობა კაცობრიობის ისტორიის დასაბამიდან აქტუალური და უმნიშვნელოვანესი საკითხია. არაერთი სახელმწიფო შექმნის დღიდან წარმოდგენ დანაშაულის ჩამდენ პირებთან გარკვეულ პრობლემებს, სწორედ იმ იდეოლოგიდან გამომდინარე, რასაც ატარებენ ესა თუ ის კრიმინალური დაჯუფებები და კონკრეტული კანონგარეშე ინდივიდები.

სახელმწიფოების სწორი განვითარება მეტწილად სწორედ კრიმინალის სიძლიერესა და მათ ორგანიზებულობაზე იყო და არის დამოვიდებული. ისტორიულად, როგორც დასავლური, ისე აღმოსავლური თუ სხვა ტიპის არაერთი სახელმწიფო ვიცით, რომელიც დღემდე ორგანიზებული დანაშაულის და კრიმინალის გავლენით აგრძელებს განვითარებას და სწორედ იმ ფილოსოფიაზე დგას, რომელთანაც ბრძოლა ხშირად სასურველი შედეგამდე ვერ მიიყვანეს. განსაკუთრებით ბოლო პერიოდში, აშკარად შესამჩნევია რაოდენ მნიშვნელოვანი გახდა საქართველოში კანონგარეშე პირები და მათი შეხედულებები, რაც თავის დროზე ჯერ კიდევ მეფის რუსეთის პერიოდიდან მომდინარეობს. ისტორიულად ნათლად შეგვიძლია დავინახოთ, რამდენად ძლიერ გაიდგა ფესვები აღნიშნულმა მიმდევრობამ, პოსტსაბჭოურ ქვეყნებში და განსაკუთრებით საქართველოში. ის დამოკიდებულებები, რომლებიც ბოლო ათწლეულებში ვითარდებოდა, ორგანიზებული დანაშაულის სრულად გასაკონტროლებლად სახელმწიფოს მიერ განხორციელებულმა ღონისძიებებმა და შემდგომ მასთან „ბრძოლამ“, ნულოვანი ტოლერანტობის გამოცხადებამ, ნათლად გვიჩვენა, რომ აღნიშნული მიდგომა ვერ აღმოჩნდა წარმატებული და არაერთი პრობლემა შეუქმნა სახელმწიფოებრიობის სწორ განვითარებას.

ქველა ქვეყანა უნდა აცნობიერებდეს, რამდენად მნიშნელოვანია კანონის ფარგლებში ბრძოლა ისეთ მოვლენასთან, როგორიცაა ორგანიზებული დანაშაული და მისი ლიდერები, რათა მშვიდობიანი განვითარებით იქნას მიღწეული დასახული მიზანი და სწორად იქნას აღქმული ის ფასეულობები თუ კულტურულ-ეროვნული იდენტობა, რის გამოც ესა თუ ის ქვეყანა შეიქმნა და რაც მთავარია, ამ პროცესში არ მოხდეს კონსტიტუციითა და კანონით მინიჭებულ ფარგლებს გარეთ გასვლა.

ჰიბრიდული საფრთხე არის ქვეყნის პოლიტიკური და დემოკრატიული პროცესების განვითარების შემაფერხებელი ერთ-ერთი ფაქტორი, რასაც საკმაოდ წარმატებულად იყენებს ჩვენი ჩრდილოელი მეზობელი რუსეთის ფედერაციის სახით, საქართველოს მიერ თავისუფლების მოპოვების დღიდან, უკვე ოცდაათ წელზე მეტია. ჰიბრიდული ომი ქვეყანაში ქმნის შიდა უსაფრთხოების დილემას, ისეთ სფეროებში როგორაცაა: პოლიტიკური უსაფთხოება; ეკონომიკური უსაფრთხოება; სოციალური უსაფრთხოება; ინფორმაციული უსაფრთხოება; სამხედრო უსაფრთხოება; საგანმანათლებლო-სამეცნიერო უსაფრთხოება; ენერგეტიკული უსაფრთხოება; სამართლებრივი უსაფრთხოება და სხვა.<sup>1</sup> ხოლო რიგ შემთხვევებში აღნიშნულმა ზემოქმედებამ ქვეყნის ეროვნული უსაფრთხოება ჩიხში შეიყვანა.

მოდით განვიხილოთ თვითონ ეს ტერმინი, რას ნიშნავს ეროვნული უსაფრთხოების ჩიხი - ეს არის ვითარება, როცა ქვეყნის პოლიტიკური მართვის მდგომარეობა, მისულია იმ ზღვრამდე, როცა არსებული ხელისუფლების მიერ მიღებული ნებისმიერი მნიშვნელოვანი პოლიტიკური გადაწყვეტილება, აღრმავებს ქვეყანაში არსებულ გამოწვევებს და საფრთხეებს, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის საზღვრებს გარეთ.<sup>2</sup> (მსგავსი სიტუაციები აღინიშნებოდა როგორც ოთხმოცდაათიან წლებში, ისე

<sup>1</sup> ჰენრი კუპრაშვილი; საქართველოს ეროვნული უშიშროება, გამომცემლობა „უნივერსალი“ თბილისი 2022 წ. გვ 137

<sup>2</sup> გუგული მაღრაძე, ვახტანგ მაისაია: 21-ე საუკუნის საერთაშორისო პოლიტიკა და „თანამშრომლობითი უსაფრთხოების“ თეორია: მითი და რეალობა- რეგიონალი და გლობალური ასპექტები, გამომცემლობა „უნივერსალი“ თბილისი 2017 წ. გვ 77

ორიათასიანი წლების შემდგომ, დღევანდელ დღემდე „მცოცავი ოკუპაციის“ და სხვა ანტისახელმწიფოებრივი ქმედებების სახით).

ჰიბრიდული ომის უმთავრესი მიზანი იყო და არის ქვეყანაში ერთდროულად ეკონომიკური არასტაბილურობის, არსებული სახელმწიფო მმართველობის მიმართ ნდობის შემცირების გამოწვევა. აღნიშნული ხდება საზოგადოების განვითარების იმ ეპოქაში, როცა ძირითადი რესურსი არა ქვანახშირი და ფოლადია ( ჯავშნის საწარმოებლად), არამედ არის ინფორმაცია, ინფორმაცია თანამედროვე გაგებით, რისი მეშვეობითაც ხდება ეს ტრანსფორმაცია, იცვლება ომის არსი და ხასიათი, მისი წარმოების შინაარსი, ხდება ისეთი ელემენტების გამოყენება, როგორიცაა კრიმინალური ქცევები და ძალადობის დიდი მასშტაბები ერთსა და იმავე დროს.<sup>3</sup> რაც საბოლოოდ ხელს უწყობს არსებული მმართველობისადმი ნდობის შემცირებას და უიმედობის დათესვას მოსახლეობაში.

ზემოთ მოყვანილი სიტუაციები ქვეყნის მასშტაბით შეიძლება შეჯამდეს და მოკლედ ჩამოყალიბდეს, რომ ჰიბრიდული ომი არის, დაპირისპირება სახელმწიფოებს შორის, რა დროსაც ხდება იმ ხერხების გამოყენება, რომლებიც იკვეთება სპეციალურ და ჩვეულებრივ ომებს შორის ხარვეზებში. აღნიშნული ომი მოითხოვს უკიდურეს მოქნილობას, ოპერატიულ და ტაქტიკურ გადასვლას, სპეციალურ და ჩვეულებრივ არენებს შორის<sup>4</sup>.

თანამედროვე საერთაშორისო უსაფრთხოების სისტემის ახალი აქტორის - არასახელმწიფოებრივი აგრესიული დაჯგუფებების, როგორიცაა კრიმინალური სუბკულტურა და მისი როლი და ადგილი ქვეყნის ეროვნული უსაფრთხოების გარემოში, მათი მავნებლური დამკვიდრება და განვითარება, არის საკმაოდ მნიშვნელოვანი და ხშირ შემთხვევებში წარმატების მომტანიც მათთვის, ამავდროულად, ქვეყნისთვის უდიდესი ზიანის მომტანი, ლოკალურად და

<sup>3</sup> ჰენრი კუპრაშვილი; საქართველოს ეროვნული უშიშროება, გამომცემლობა „უნივერსალი“, თბილისი, 2022 წ. გვ. 427

<sup>4</sup> ჰენრი კუპრაშვილი; საქართველოს ეროვნული უშიშროება, გამომცემლობა „უნივერსალი“, თბილისი, 2022 წ. გვ. 424

მასშტაბურად. აღნიშნული კრიმინალური სუბკულტურა, როგორც არასახელმწიფოებრივი აგრესიული დაჯგუფება, საქართველოს მიერ თავისუფლების მოპოვების ოცდაათწლიანი ისტორიის მანძილზე არაერთხელ გამხდარა, როგორც ქვეყნის დემოკრატიული განვითარების შემაფერხებელი, ასევე ეკონომიკური და საფინანსო სექტორების ჩამომშლელი ერთ-ერთი ძირითადი ელემენტი.

კრიმინალურ სუბკულტურას შეუძლია ზიანი მიაყენოს ქვეყნის ეროვნულ უსაფრთხოებას რამდენიმე ასპექტში, მათ შორის, ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას. კრიმინალური სუბკულტურა შეიძლება დაკავშირებული იყოს ისეთ არალეგალურ ქმედებებთან, როგორიცაა კონტრაბანდა, ნარკოტიკებისა და იარაღის უკანონო ბრუნვა და რეალიზაცია, რამაც შეიძლება დაასუსტოს ქვეყნის ეკონომიკური სტაბილურობა და მოახდინოს ბიუჯეტით გათვლილი შემოსავალების დივერსიფიკაცია, რაც დროთა განმავლობაში ეკონომიკის ზრდის შემცირებასა და მის დაღმასვლას გამოიწვევს. აღნიშნულის ერთ-ერთი ძირითადი ინსტრუმენტი არის კორუფცია, კრიმინალურ სუბკულტურის წარმომადგენლებს შეუძლიათ გავლენა მოახდინონ სამთავრობო ინსტიტუტებზე კორუფციის გზით, რამაც შეიძლება მოარღვიოს კანონით დაწესებული წესრიგი და მთავრობისადმი ნდობა შეამციროს მოსახლეობაში. აღნიშნულმა ქმედებებმა შესაძლებელია გამოიწვიოს ისეთი ტიპის ეკონომიკური ზარალი ქვეყნის მასშტაბით, რომელიც დაუძლეველ სირთულედ იქცევა ისეთი პატარა და განვითარებადი ქვეყნისთვის, როგორიც საქართველოა. ამის ნათელი მაგალითი იყო საქართველო, ოთხმოცდაათიანი წლებიდან ორიათასიან წლებამდე.

კრიმინალურმა სუბკულტურამ შესაძლებელია ქვეყნაში გამოიწვიოს ისეთი ტიპის ეკონომიკური ზარალი, როგორიცაა გადასახადებისგან თავის არიდება, კორუფცია, ქვეყნის ეკონომიკური სექტორების საბოტაჟირება. რამაც საბოლოოდ შესაძლოა საფრთხე შეუქმნას საზოგადოების დემოკრატიულ განვითარებას.

კრიმინალურმა დაჯგუფებებმა და კრიმინალურმა სუბკულტურებმა შეიძლება შექმნან საზოგადოებასთან თანაცხოვრებისთვის საშიში პირობები, მათ შორის ძალადობა, ქურდობა, გამოძალვა და სხვა დანაშაულებები, რომლებიც არათავსებადია მოქალაქეების უსაფრთხოებასთან, ამასთანავე, აღნიშნულ სუბკულტურას ძალუძს ისეთი დანაშაულების ჩადენა, როგორიცაა კიბერდანაშაული, რაც ქმნის კიბერუსაფრთხოების ასიმეტრიულ საშიშროებას. ეს შეიძლება მოიცავდეს კიბერშეტევებს, პირადი და სხვა ტიპის ინფორმაციის უკანონოდ მოპოვებას, რაც ძირს უთხრის ქვეყნის თავდაცვისუნარიანობასა და იმიჯს მსოფლიოს მასშტაბით.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, საერთაშორისო თანამშრომლობა სხვა ქვეყნებთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან ტრანსნაციონალური დანაშაულისა და ასიმეტრიული საფრთხეების წინააღმდეგ საბრძოლველად საკმაოდ კარგ შესაძლებლობას იძლევა, რათა თავიდან იქნეს აცილებული აღნიშნული საფრთხეები.

კრიმინალური აქტივობა, რომლის შედეგადაც ხშირ შემთხვევაში ხდება კანონების უხეში დარღვევა კრიმინალური სუბკულტურის წარმომადგენლების მხრიდან, ხელს უწყობს საზოგადოებაში დანაშაულის დონის ზრდას, რამაც შეიძლება საფრთხე შეუქმნას ქვეყნის როგორც შიდა, ისე ეროვნულ უსაფრთხოებას.

კრიმინალურ დაჯგუფებებს და ბანდ-ფორმირებებს შეუძლიათ ჩაერთონ ისეთ საქმიანობაში, რომელიც მოიცავს ნარკოტიკებითა იარაღით ვაჭრობას, ტრეფიკინგს, ძალადობას და დანაშაულის სხვა ფორმებს, რაც ძირფესვიანად არღვევს ქვეყნის სტაბილურობასა და სიმშვიდეს.

იმისათვის, რომ მოხდეს ზემოთ აღნიშნული ქმედებების პრევენცია აუცილებელია კრიმინალური სუბკულტურის წარმომადგენლების წინააღმდეგ ჩატარდეს სარეაბილიტაციო და პრევენციული საქმიანობა, მოხდეს სპეციალური პროგრამების შემუშავება და სისრულეში მოყვანა, განსაკუთრებით, რისკის მქონე პირებისა და ახალგაზრდების მიმართ, უნდა გაძლიერდეს საინფორმაციო შემეცნებითი

პროგრამების გატარება კრიმინალური სუბკულტურების საშიშროებისა და მათი საქმიანობით დამდგარი შედეგების შესახებ, უნდა მოხდეს ცნობიერების ამაღლება და საგანმანათლებლო პროგრამების უზრუნველყოფა, რათა თავიდან იქნას აცილებული ახალგაზრდების ჩართულობა დანაშაულებრივ საქმიანობაში, ამისათვის საჭიროა სახელმწიფო ინსტიტუტების გაძლიერება, კორუფციასთან ბრძოლა და სამართალდამცავი და სასამართლო ინსტიტუტების გაძლიერება ეფექტური მართლმსაჯულების უზრუნველსაყოფად.

ასევე აუცილებელია საერთაშორისო თანამშრომლობა ზემოთხსენებულ პრობლემასთან ბრძოლის გამოცდილების მქონე ქვეყნებთან, ტრანსნაციონალურ დანაშაულთან და ორგანიზებულ დანაშაულებრივ ჯგუფებთან ბრძოლაში ინფორმაციისა და გამოცდილების გაცვლის კუთხით.

კრიმინალურ სუბკულტურასთან და ასიმეტრიულ საფრთხეებთან ეფექტური ბრძოლა მოითხოვს ინტეგრირებულ მიდგომას და თანამშრომლობას სხვადასხვა სამსახურებთან, ორგანიზაციებთან და ქვეყნებთან.

კრიმინალურ სუბკულტურასთან და ასიმეტრიულ საფრთხეებთან ეფექტური ბრძოლა მოითხოვს ყოვლისმომცველ და მრავალდონიან მიდგომას, რომელიც მოიცავს არა მხოლოდ სამართალდამცავი ორგანოების მიერ ჩატარებულ ღონისძიებებს, არამედ სოციალური და ეკონომიკური ბერკეტების გამოყენების ინსტრუმენტებსაც.

ამასთანავე, აუცილებელია სამართალდამცავი ორგანოების მიერ მასშტაბური ოპერაციების და ღონისძიებების ჩატარება, სამართალდამცავი ორგანოების ძალისხმევის გაძლიერება კრიმინალურ სუბკულტურებთან საბრძოლველად, მათ შორის, კომპლექსური გამოძიებების ჩატარება და სპეციალური ღონისძიებების შემუშავება.

თანამედროვე საერთაშორისო უსაფრთხოების სისტემის ახალი აქტორის- ისეთი არასახელმწიფოებრივი აგრესიული დაჯგუფების, როგორიცაა კრიმინალური სუბკულტურა და მისი როლი და ადგილი სამხედრო კონფლიქტების გაღვივებასა და

განვითარებაში, არის საკმაოდ მნიშვნელოვანი და, ხშირ შემთხვევებში, წარმატების მომტანიც, ლოკალური და მასშტაბური ჰიბრიდული ომის წარმოების პროცესში.

ბოლოდროინდელმა გეოპოლიტიკურმა მოვლენებმა ცხადად აჩვენა, რომ სამხედრო მოქმედებების თეატრის ზონებში წარმოებულ საბრძოლო მოქმედებებსა და სამხედრო ხელოვნებაში თავი იჩინა კლასიკური ომის გარდაქმნამ უკვე პოსტ-ბიპოლარული პერიოდის მოდერნიზებულ მეოთხე და მეხუთე თაობის ომების კლასიფიკაციაში, სადაც ტექნოკრატიულ პარამეტრებთან ერთად, დიდი ყურადღება ეთმობა მობილური, მოქნილი და მცირერიცხოვანი საბრძოლო ქვედანაყოფების და ისეთი არასამთავრობო აქტორის, როგორიცაა „კრიმინალური სუბკულტურა“, წარმოჩენას და მათი მხრიდან საომარი მოქმედებებში აქტიურმა ჩართვამ.<sup>5</sup> ამგვარი ახალი გეოპოლიტიკური ფენომენის გამოჩენა უკავშივრდება ისეთი აქტორის ცნებას, როგორიცაა - არასახელმწიფოებრივი აგრესიული აქტორები და ამ შემთხვევაში კი უნდა დაემატოს ტერმინი „სამხედრო“, „კრიმინალური“ და „სადაზვერვო“.

პოსტ-საბჭოთა სივრცეში გარკვეული არასახელმწიფოებრივი აქტორების გაძლიერება, რომლებიც ძირითადად აწარმოებენ კრიმინალურ სადაზვერვო ანტისახელმწიფოებრივ საქმიანობას. მათი ჩართვა პოლიტიკურ საქმიანობაში წარმოადგენს ახალ მოვლენას, აღნიშნული ძალიან განსხვავდება დასავლეთში რუსული სპეცსამსახურების მიერ, ჯერ კიდევ გასული საუკუნის სამოციან წლებში შექმნილი, ანალოგიური სახის სტრუქტურული ერთეულებისაგან,<sup>6</sup> განსხვავდება თავისი გაქანებით, მასშტაბურობით და განსაკუთრებული გეოპოლიტიკური მისიების შესრულებით.<sup>7</sup>

მიმდინარე საერთაშორისო უსაფრთხოების პირობებში შეიცვალა გეოსტრატეგიული გარემო, რომელიც ახასიათებს ამ სისტემის შემადგენელ აქტორებს. თანამედროვე ეპოქაში კარდინალურად შეიცვალა მსოფლიოში უსაფრთხოების გარემო და მისი

<sup>5</sup> გუგული მაღრაძე, ვახტანგ მაისაია: 21-ე საუკუნის საერთაშორისო პოლიტიკა და „თანამშრომლობითი უსაფრთხოების“ თეორია: მითი და რეალობა-რეგიონალური და გლობალური ასპექტები, გამომცემლობა „უნივერსალი“, თბილისი, 2017 წ. გვ. 79

<sup>6</sup> Mark Galeotti, Putin's Hydra: Inside Russia's Intelligence Services, European Council on Foreign Relations, 2016 Year; pcp.87

<sup>7</sup> ჰერი კუპრაშვილი; საქართველოს ეროვნული უშიშროება, გამომცემლობა „უნივერსალი“, თბილისი, 2022 წ. გვ. 223

ისეთი კომპონენტი, როგორიცაა სამხედრო კონფლიქტების მიმდინარეობა.<sup>8</sup> ასეთი კონფლიქტების განვითარებაზე დიდი გავლენა იქონია სამხედრო-ტექნიკურმა რევოლუციებმა,<sup>9</sup> რომლებმაც ოცდამერთე საუკუნეში ძირეულად შეცვალა ომის წარმოების სტრატეგია, ახალი ტექნოლოგიების, შეიარაღების და სტრატეგიების მეშვეობით ხდება აქამდე უცნობი და შეუსწავლლი ტიპის საომარი მოქმედებების წარმოება, როგორც საომარი მოქმედებების დროს, ისე საომარი მოქმედებების დამთავრების შემდგომ.

მეოთხე თაობის ომი ხასიათდება საინფორმაციო ტექნოლოგიების, კიბერ ომის და ავტონომიური და ნახევრად ავტონომიური შეიარაღების სისტემების ინტენსიური გამოყენებით. ეს ქმნის ახალ გამოწვევებს საერთაშორისო სამართლის მიერ კონფლიქტების მართვისას და რეგულირებისას.

აქვე აღსანიშნავია არაფორმალური აქტორები, რომლებიც მეოთხე თაობის ომებში შეიძლება ჩაერთონ არა მხოლოდ სახელმწიფოს მიერ აღიარებული დანაყოფების სახით, არამედ არაფორმალური სახით, როგორიცაა კერძო სამხედრო კომპანიები ან კიბერდანაშაულებრივი ჯგუფები. ეს ართულებს პასუხისმგებლობის განსაზღვრას და კონფლიქტების კონტროლს.<sup>10</sup> მეოთხე თაობის ომები ხშირად აერთიანებს სამხედრო და არასამხედრო მეთოდებს, როგორიცაა კიბერშეტევები, დეზინფორმაცია, ეკონომიკური ზეწოლა და პროპაგანდა. ამან შეიძლება გამოიწვიოს დესტაბილიზაცია და გავლენა იქონიოს საერთაშორისო ურთიერთობებზეც და ქვეყნის შიგნითაც, აღნიშნულთ შეიძლება ჰქონდეთ გლობალური შედეგები მათი მასშტაბებისა და ტრანსნაციონალური ინსტრუმენტების გამოყენების გამო.

აღნიშნული ასპექტები მნიშვნელოვან გამოწვევებს უქმნის თანამედროვე საერთაშორისო უსაფრთხოების სისტემას, რაც მოითხოვს საერთაშორისო

<sup>8</sup> ხდება ისეთი ახალი აქტორის გამოჩენა და გამოყენება, როგორიც არის კრიმინალური სუბკულტურა, ამის ნათელი მაგალითია რუსეთის მიერ წარმოებული ომი უკრაინაში, სადაც ფართოდ ხდება კრიმინალური წარსულის და სუბკულტურის წარმომადგენლების გამოყენებასაომარ ვითარებაში.

<sup>9</sup> გუგული მაღრაძე, ვახტანგ მაისაია: 21-ე საუკუნის საერთაშორისო პოლიტიკა და „, თანამშრომლობითი უსაფრთხოების“ თეორია: მითი და რეალობა- რეგიონული და გლობალური ასპექტები, გამომცემლობა „უნივერსალი“, თბილისი, 2017 წ. გვ 85

<sup>10</sup> აღნიშნულის საუკეთესო მაგალითია კერძო სამხედრო კომპანია „ვაგნერის“ დაჯგუფების მიერ ჩატარებული სპეც-ოპერაცია ყირიმის ტერიტორიაზე, „მწვანე კაცუნების“ მეშვეობით.

სამართლისა და პოლიტიკური სტრატეგიების ადაპტაციას ამგვარი კონფლიქტების ეფექტურად მართვისა და თავიდან ასაცილებლად, ისევე როგორც „სიმეტრიული“ ომის პირობებში, როგორც ეს მოხდა 2008 წლის 8 აგვისტოს რუსეთის ფედერაციის მიერ წამოწყებული სამხედრო კონფლიქტის პირობებში (ომის პირობებში, რომელიც სამხედრო სტრატეგიის სტანდარტების მიხედვით არ შეესაბამებოდა კლასიკური ომის სცენარს).

ასე და ამგვარად, თანამედროვე კონფლიქტები, რომლის ერთ-ერთი მაგალითია რუსეთის ფედერაციის მიერ წარმოებული აგრესია პოსტსაბჭოური ქვეყნების წინააღმდეგ<sup>11</sup> და განსაკუთრებით კი საქართველოს წინააღმდეგ, რის შედეგადაც რუსეთის ფედერაცია გავლენას ახდენს მთლიანად რეგიონში, სტაბილურობის მოწყვლადობითა და ასიმეტრიული საბრძოლო მოქმედებების ერთობლიობით ზემოქმედებს რეგიონალური უსაფრთხოების სისტემის მდგრადობაზე, უდიდეს საფრთხეს ქმნის როგორც საქართველოს, ისე მთლიანად რეგიონის უსაფრთხოებაზე და სტაბილურობაზე.

### **კვლევის მიზნები და ამოცანები :**

#### **კვლევის მიზანია:**

- შევისწავლთ და მეცნიერულად გავაანალიზოთ „კანონიერი ქურდების ინსტიტუტის“, როგორც ეროვნული უსაფრთხოების მნიშვნელოვანი პოლიტიკური გამოწვევა;
- „კანონიერი ქურდების ინსტიტუტი“ და მისი გავლენა საქართველოს პოლიტიკურ პროცესებზე, ფაქტორის შესწავლა სახელმწიფოს მდგრადი განვითარების პირობებზე;
- „კანონიერი ქურდების ინსტიტუტის“ ნეგატიური ფაქტორის შესწავლა ქვეყნის ეროვნული უსაფრთხოების კონტექსტში;

<sup>11</sup> Mark Galeotti, Putin's Hydra: Inside Russia's Intelligence Services, European Council on Foreign Relations, 2016 Year; pcp.95

## **კვლევის ამოცანებია**

- „კანონიერი ქურდების ინსტიტუტის“ იდეოლოგიური მოდელის განხილვა და მისი განვითარების ისტორიული ეტაპების ანალიზი და მიმოხილვა;
- რას წარმოადგენს „კანონიერი ქურდების ინსტიტუტი“, რაში მდგომარეობს მისი გავლენა პოლიტიკურ პროცესებზე;
- როგორ აისახება „კანონიერი ქურდების ინსტიტუტის“ გავლენა ქვეყნის ეროვნული უსაფრთხოების გარემოზე;
- „კანონიერი ქურდების ინსტიტუტის“, როგორც პოლიტიკური საფრთხის ფაქტორის იდენტიფიცირება და გავლენა საქართველოში მიმდინარე პროცესებზე;

### **საკვლევი თემის კითხვები:**

- რა არის „კანონიერი ქურდების ინსტიტუტი“ და როგორია მისი მოდელი?
- როგორ განისაზღვრება „კანონიერი ქურდების“ პოლიტიკური, სამხედრო და ეკონომიკური გამოწვევების გავლენა ეროვნული უსაფრთხოების გარემოზე (საქართველოს მაგალითზე) ?
- როგორია „კანონიერი ქურდების ინსტიტუტის“, როგორც არასახელმწიფოებრივი აგრესიული აქტორის გავლენა ქვეყნის იდეოლოგიური და პოლიტიკური განვითარების პროცესებზე?

### **საკვლევი თემის პიპლება:**

თანამედროვე ქვეყნების პოლიტიკურ პროცესებზე დიდ გავლენას ახდენს ისეთი არასახელმწიფოებრივი აგრესიული აქტორი, როგორიცაა „კანონიერი ქურდების ინსტიტუტი“. მათი საქმიანობა პირდაპირ კორელაციაშია სახელმწიფოს ეროვნული უსაფრთხოების მოწყვლადობასთან არა მარტო სამართლებრივ და პოლიტიკურ,

არამედ სამხედრო, სადაზვერვო და ეკონომიკური გამოწვევების კონტექსტში. მასთან ბრძოლის აუცილებელ კომპონენტს წარმოადგენს პოლიტიკური და იდეოლოგიური ინსტრუმენტების ამოქმედება.

### **კვლევის საგანი და ობიექტი**

კვლევის საგანია ისტორიული და თანამედროვე პოლიტიკური ურთიერთობების წარმოჩენა სახელმწიფოსა და არასახელმწიფო აქტორებს (კანონიერი ქურდების ინსტიტუტის "მაგალითზე) შორის და მისი პოლიტიკური შედეგების დადგენა .

კვლევის ობიექტია „კანონიერი ქურდების ინსტიტუტი“, როგორც პოლიტიკური გამოწვევა და მისი გავლენა ქვეყნის პოლიტიკურ განვითარებაზე.

### **კვლევის თეორიული საფუძვლები**

კვლევის განხორციელებისას გამოყენებული მეთოდოლოგია: ნაშრომის შესრულების და შესწავლის პერიოდში გათვალისწინებული იქნა რამდენიმე თეორიული მიდგომა, რომელიც გამოიყენება საერთაშორისო ურთიერთობებსა და უსაფრთხოების კვლევების სფეროებში. შერჩეული იქნა მხოლოდ ის თეორიები და კონცეფციები, რომლებსაც გააჩნიათ უშუალო კავშირი კვლევის თემატიკასთან, მით უფრო ეხმიანებიან ორგანიზებული დანაშაულის, კერძოდ, „კანონიერი ქურდების“ ფაქტორების მნიშვნელობას საერთაშორისო უსაფრთხოებაში. მათგან აღსანიშნავია შემდეგი:

- „უსაფრთხოებიზაციის თეორია“ - კოპენჰაგენის სკოლა - აღნიშნული სკოლის ჩამოყალიბება და განვითარება დაკავშირებულია ე.წ. „კოპენჰაგენის“ სკოლის დამფუძნებლების სახელებთან, როგორებიცაა ოლი ვივერის, ბარი ბუზანის და მათი თანამოაზრების სახელები, რომლებიც, თავის მხრივ, აღმოცენდნენ სწორედ საერთაშორისო ურთიერთობების „კონსტრუქტივიზმის“ თეორიის წიაღიდან, რაც ითვალისწინებს საზოგადოების ჩართულობას საერთაშორისო პოლიტიკაში. აღნიშნული სკოლის მიდგომა ეფუძნება უსაფრთხოების ე.წ. „ხუთ“

განზომილებას, რომლის ფარგლებშიც განიხილება საფრთხეების იდენტურობა. ამგვარი საფრთხეების იდენტურობაში მოიაზრება შემდეგი ე.წ. „უსაფრთხოების რგოლები“: პოლიტიკური, ეკონომიკური, სამხედრო, საზოგადოებრივი და გარემოს დაცვითი. საერთაშორისო ურთიერთობების რამდენიმე სპეციალისტის მოსაზრებით 1983 წლის დასაწყისში ბარი ბუზანის მიერ გამოცემული წიგნის („ადამიანები, სახელმწიფო და შიში“) მიხედვით ჩამოყალიბდა აღნიშნული კონცეფცია<sup>12</sup>. ამ წიგნის ფარგლებში ბარი ბუზანი სვამს კითხვას, თუ როგორ შეიძლება წარმოჩინდეს საფრთხის ობიექტი, რომელიც არ იქნება დაკავშირებული პოლიტიკის ფენომენთან და მან შემოიტანა ახალი ტერმინი „უსაფრთხოებიზაცია“. სწორედ მის მიერ ჩამოყალიბებული „უსაფრთხოებისაზეციის“ თეორიის ძირითად კომპონენტებს წარმოადგენს:

- აქტორი, რომელიც ქმნის პრობლემას (უფრო ხშირად სამთავრობო ან არასამთავრობო აქტორები, ასევე ცალკეული ინდივიდები და ჯგუფები, რომლებსაც არანაირი კავშირი არ აქვთ პოლიტიკასთან);
  - „სექიურითიზაციის“ ობიექტი- საკითხი, ფენომენი, აქტორი, რომელსაც ემუქრება ესა თუ ის პრობლემა. „სექიურითიზაციის“ ობიექტი შეიძლება იყოს სახელმწიფო (სამხედრო უსაფრთხოება); ნაციონალური სუვერენიტეტი ან იდეოლოგია (პოლიტიკური უსაფრთხოება); ნაციონალური ეკონომიკა (ეკონომიკური უსაფრთხოება); კოლექტიური იდენტურობა (სოციალური უსაფრთხოება); ბიოლოგიური სახეობები (გარემოს უსაფრთხოება);
  - აუდიტორია- ყველა პროცესში ჩართულია მონაწილე, რომელსაც უწევს პრობლემის პოტენციურ საფრთხედ აღიარება.
- **ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია** - ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია წარმოადგენს სახელმწიფოს განვითარების სასიცოცხლო მნიშვნელობის მოდელს და სუვერენული სახელმწიფოსთვის დიდი პოლიტიკური მნიშვნელობის

---

<sup>12</sup> აკობია ე., „საერთაშორისო ურთიერთობების თეორია“, სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი, თბილისი, 2006, გვ. 17-18

მატარებელია<sup>13</sup>. ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში საერთაშორისო ურთიერთობების აკადემიურ წრეებში რეალიზმის სკოლის დომინანტობის პირობებში (დაახლოებით 1930-1970 წლები), უსაფრთხოების სამუშაო დეფინიცია მკვეთრად ლიმიტირებული იყო და შემოიფარგლებოდა მხოლოდ სამხედრო ძალისა და გეოსტრატეგიული კვლევების ფორმატით. რათქმა უნდა „ცივი ომის“ პერიოდში დომინანტ აქტორებად ითვლებოდნენ ერი-სახელმწიფოები (nation-states), ამიტომაც უსაფრთხოების აღგორითმი დაუკავშირდა პოლიტიკურ ტერმინ „ეროვნულ უსაფრთხოებას“. პოლიტიკურ ლექსიკონებში ტერმინი „ეროვნული უსაფრთხოება“ 1901-1909 წლებში აშშ-ის პრეზიდენტის თეოდორ რუზველტის დამსახურებით აღმოჩნდა. მან 1904 წელს აშშ-ს კონგრესს გაუგზავნა მიმართვა, რომელშიც მოითხოვდა პანამის იმ ტერიტორიების ოკუპირებას, სადაც მომავალში არხი უნდა აშენებულიყო და ამას ასაბუთებდა ქვეყნის ეროვნული უსაფრთხოებით ინტერესებით. სწორედ თეოდორ რუზველტის დამსახურებაა ის, რომ მე-20 საუკუნის დასაწყისიდან აშშ-ს საგარეო პოლიტიკამ უფრო აქტიური ხასიათი მიიღო და გლობალური პოლიტიკის დონეზე გავიდა. მოგვიანებით ეროვნული უსაფრთხოების კონცეფტს მიენიჭა პრაქტიკული პოლიტიკის მნიშვნელობა, როდესაც 1947 წელს აშშ-ს კონგრესმა მიიღო კანონი „ეროვნული უსაფრთხოების“ შესახებ და იმავე წელს დაარსდა მნიშვნელოვანი ორგანო, რომელიც 20-ე საუკუნის საერთაშორისო პოლიტიკის ყველა აქტორმა გადაიღო და საკუთარ პოლიტიკურ სისტემაში დანერგა - „ეროვნული უშიშროების საბჭო“. როგორც პოლიტიკური მოვლენა ეროვნულ უსაფრთხოებას გააჩნია სამი განზომილება: დიპლომატიური, ეკონომიკური და სამხედრო. ეროვნული უსაფრთხოების განზომილებაში განიხილება სწორედ ეს სამივე კომპონენტი, როგორც ერთმანეთთან მჭიდრო კავშირში მყოფი გეოპოლიტიკური „კოპორტა“;

- „არშემდგარი ქვეყნის“ თეორია - მოცემული თეორიის ფარგლებში განიხილება ისეთი სახელწიფოს ფენომენი, რომელიც ვერ ასრულებს სუვერენული

<sup>13</sup> მაცაბერიძე მ. „ეროვნული უსაფრთხოება: ცნება და შინაარსი“, გამოცემა „პოლიტოლოგის საკითხები“ #1, თბილისი, 1992 წელი, გვ. 17-29

მთავრობის ძირითად ფუნქციებს. ასეთ სახელმწიფოებს ახასიათებთ მოქალაქეების უსაფრთხოების უზრუნველყოფის, კანონისა და წესრიგის დაცვისა და ძირითადი სამთავრობო სერვისების მიწოდების უზრარობა, მუდმივი შიდა კონფლიქტები, სამოქალაქო ომები, ლეგიტიმური და ეფექტური ხელისუფლების არარსებობა, სახელმწიფოს მთელი ტერიტორიის გაკონტროლების შესაძლებლობის არქონა, დანაშაულთან და ტერორიზმთან ბრძოლის არაეფექტურობა, „არშემდგარი ქვეყანა“ (Failed State) ხშირად ხდება არასტაბილურობის ცენტრი, რასაც შესაძლოა სერიოზული შედეგები მოჰყვეს რეგიონულ და გლობალურ უსაფრთხოებაზე.<sup>14</sup> ამავე კუთხით აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ „არშემდგარი ქვეყნის“ თეორიის გარდაქმნა თეორიული კონცეფტიდან რეალისტური პოლიტიკის მიმართულებით დაიწყო აშშ-ს საგარეო პოლიტიკური და ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგიებში დაფიქსირებით და ამავე დროს მისი პრაქტიკული გამოყენებაც კი დაიწყო<sup>15</sup>.

- **სოციალური კონსტრუქტივიზმი** - საერთაშორისო ურთიერთობების აღნიშნული თეორია აღიარებს იმ გარემოებას, რომ მსოფლიო პოლიტიკურ სისტემაში მონაწილე აქტორებისთვის არსებობს და მოქმედებს სპეციალური წესები და ნორმები, რომლებიც შეესაბამება მათი ეროვნული ინტერესების რეალიზაციას. სოციალური კონსტრუქტივიზმის თანახმად საერთაშორისო ურთიერთობების რეალური წარმოსახვა ეფუძნება სწორედ ამ წესებისა და ნორმების მართებულად აღქმასა და გაგებას, რადგან ისინი აკეთებენ ფორმულირებას მონაწილე აქტორების მოქმედებისთვის. თეორიის ავტორები არ ახორციელებენ იმ პოსტულატების რევიზიას, რომლითაც ხელმძღვანლობენ მონაწილე აქტორები, პირიქით, ისინი თვლიან, რომ საერთაშორისო პოლიტიკაში ცვლილებების უფრო ფართო

<sup>14</sup> სოციალურ და პოლიტიკურ ტერმინთა ლექსიკონი-ცნობარი. (2004) სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი. თბილისი: ლოგოს პრესი

<sup>15</sup> მაისაია ვ. „საქართველოს საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტები და დეტალიზაციები „ცივი ომის“ შემდეგ (1991-2004)“, სუბიქტივილის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტი, თბილისი, 2013 წელი, გვ.120-121

შესაძლებლობები არსებობს, ვიდრე სახელმწიფოებისაგან ჩამოყალიბებული საერთაშორისო სისტემის ანალიზი;<sup>16</sup>

- **ჰიბრიდული ომის თეორია** - ტერმინი „ჰიბრიდული ომის“ შემოტანა პოლიტიკურ ლექსიკონში და მისი ადაპტაცია იგივე სამხედრო ხელოვნებაში, ისევე როგორც სხვა აკადემიურ-თეორიულ მიმართულებებში. მისი მეშვეობოთ შესაძლებელი გახდა გარკვეული საერთაშორისო უსაფრთხოების მოვლენებისა და პროცესების ახსნა და გამოიკვეთა სხვადასხვა აქტორების (მათ შორის, არასახელმწიფოებრივი აგრესიული აქტორების და საერთაშორისო მედიაკრატიკული სუბიექტების) მოქმედებების პროგნოზირება. თუმცადა, ტერმინი „ჰიბრიდული ომი“ კვლავ ასოცირდება საერთაშორისო და გლობალური უსაფრთხოების მთავარ აქტორებთან - სახელმწიფოებთან. აქვე აღნიშვნის ღირსია იმ ფაქტორის გამოკვეთა, რომ „ჰიბრიდული ომის“ თეორია აღწერს ომის კომპლექსურ და მრავალსაფეხურიან მიდგომას, რომელიც აერთიანებს ტრადიციულ სამხედრო მეთოდებს ომის წარმოების არატრადიციულ მეთოდებთან. ჰიბრიდული ომი მიზნად ისახავს მტრის ძალების შესუსტებას და მწყობრიდან გამოყვანას, სხვადასხვა ინსტრუმენტების, მათ შორის, ინფორმაციის, კიბერ, ეკონომიკური და პოლიტიკური მეთოდების გამოყენებით.

ამ ტიპის ომი მოიცავს ისეთი არარეგულარული ძალების გამოყენებას, როგორიცაა პარტიზანული დანაყოფები და დაქირავებული კერძო სამხედრო დანაყოფები რეგულარულ სამხედრო ძალებთან ერთად.

ჰიბრიდული ომი წარმოადგენს მნიშვნელოვან საფრთხეს საერთაშორისო უსაფრთხოებისთვის, რადგან ართულებს მტრის იდენტიფიცირებასა და საფრთხეებზე ეფექტურ რეაგირებას. ჰიბრიდული თავდასხმების შედეგად ქვეყნებს ექმნებათ შიდა არასტაბილურობა, პრობლემები ფინანსურ ინსტიტუტებში <sup>17</sup> ჰიბრიდული ომი მოითხოვს ადაპტირებულ და მრავალმხრივ

<sup>16</sup> Smith Rupert, The Utility Of Force, The Art of War in The Modern World, England, Clys Ltd, St. Ives plc, 2005 pp78

<sup>17</sup> Hoffman, F.G. On Not-So-New Warfare: Political Warfare vs Hybrid Threats, 2014, P 1 [rb.gv/q0vzz4](http://rb.gv/q0vzz4) 18.06.2019

მიდგომას ეროვნული და საერთაშორისო უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, მისი მრავალმხრივი და რთული ხასიათის გათვალისწინებით. ყოველივე ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე, აუცილებელია აღიწეროს - ფიზიკური და ფსიქოლოგიური, კინეტიკური და არაკინეტიკური, საომარი და არასაომარი კონცეფციების კონვერგენცია<sup>18</sup>. „ჰიბრიდულ ომში“ ხშირად ხდება პოლიტიკური პარტიებისა და მოძრაობების დაფინანსება მტრის შიდა პოლიტიკის დესტაბილიზაციის მიზნით.

ხდება პოლიტიკოსების და მაღალი თანამდებობის პირების შანტაჟი და ქვეყანაში კორუფცის წახალისება, რაც მიმართულია სამთავრობო ინსტიტუტებისადმი ნდობის შელახვისკენ, ხდება სანქციების დაწესება და ეკონომიკური ბლოკადა, რაც მიზნად ისახავს სავაჭრო შეზღუდვების შემოღებას ქვეყნის ეკონომიკის დასუსტების მიზნით, შემგომი ნაბიჯი არის ენერგორესურსებითა და სხვა ძირითადი ეკონომიკური ფაქტორებით მანიპულირება, რა დროსაც ხდება სპეციალური სამსახურების გამოყენება, რომელთა მეშვეობითაც ხორციელდება აგრესორი ქვეყნის სასარგებლო ფეიკ-ინფორმაციის გავრცელება სიტუაციის საბოლოოდ დესტაბილიზაციის მიზნით (ამ მეთოდს სადაზვერვო და კონტრსადაზვერვო სამსახურები უძველესი პერიოდიდან იყენებენ)<sup>19</sup>.

- **რეჟიმის უსაფრთხოების კონცეფცია** - აღნიშნული თეორიის ფარგლებში ხორციელდება უსაფრთხოების რისკების იდენტიფიკაცია, რომლის მთავარი ობიექტები არიან ის ქვეყნები, სადაც სუსტად მოქმედებენ პოლიტიკური ინსტიტუტები, მაღალ დონეზეა პოლიტიკური ძალადობა და საერთოდ ნაკლებად არის წარმოჩენილი ეროვნული ერთიანობა. მოცემულ თავისებურებებში მოიაზრება ე.წ. „სუსტი სახელმწიფოები“, სადაც სუსტად მოქმედებენ სახელმწიფოს შემადგენელი ძირითადი ატრიბუტები, კონკრეტულად, ეფექტიანი ინსტიტუციური მექანიზმები, ძალადობრივ ინსტრუმენტებზე მონოპოლიზაციის

<sup>18</sup> Hoffman, F.G. On Not-So-New Warfare: Political Warfare vs Hybrid Threats, 2014, P 1 [rb.gy/q0vzz4](http://rb.gy/q0vzz4) 18.06.2019

<sup>19</sup> Alika Guchua and Tornike Zedelashvili "Cyberwar as a Phenomenon of Asymmetric Threat and Cyber-Nuclear Security Threats" in "Modern Historical and Political Issues" journal in Historical and Political Sciences, Chernivtsi National University, 2019, Vol.40, pp.52-53

დაკარგვა და ეროვნულ თვითმყოფადობაზე კონსენსუსის არქონა. ასეთ სახელმწიფოებს ეწოდებათ ასევე ე.წ. „ქვაზი-სახელმწიფოები“<sup>20</sup>. ამიტომაც უშუალო საფრთხეების წარმოჩენა ასეთი აქტორების პირობებში, რომლებსაც შეუძლიათ გამოიწვიონ პოლიტიკური სახის კატასტოფაც, მომდინარეობს საშინაო, ანუ შიდა წყაროებიდან. მოცემული საფრთხეები მოიცავს შემდეგს: ხელისუფლების გადაცემა ძალადობრივი აქციების მეშვეობით ან ასეთი პროცესის საფრთხის შექმნა, სეპარატიზმი, აჯანყება, გენოციდი, ამბოხება, კრიმინალური ქაოსი და საველე მეთაურების ფენომენი, რაც საერთოდ სახელმწიფოებრიობის გაქრობას უწყობს ხელს. რეჟიმის უსაფრთხოების მთავარი პრინციპია, როცა მმართველი პოლიტიკის ელიტის მიმართ ძალადობის განხორციელება განიხილება სახელწიფო უსაფრთხოების ხელყოფის პირობად და ელიტა სახელმწიფოებრივ ინსტიტუტებს იყენებს საკუთარი კეთილდღეობისა და ხელისუფლების შესანარჩუნებლად. ამტომაც „სუსტი სახელმწიფოების“ პირობებში საშინაო პოლიტიკის საფრთხეები გაცილებით მაღლა დგას, ვიდრე საერთაშორისო პოლიტიკის სფეროდან წამოსული საფრთხეები<sup>21</sup>.

- **ახალი ომების თეორია** - ბრიტანელი მკვლევარი მერი კალდორი, რომელმაც საფუძვლიანად შეისწავლა ბალკანეთში, ერაყსა და ავღანეთში მიმდინარე შეირაღებული კონფლიქტები, თავის ფუნდამენტურ ნაშრომში მივიდა საინტერესო დასკვნამდე, სახელდობრ, ე.წ. „ახალი ომი“ არ წარმოადგენს პოლიტიკურ მიზანს, სრულმასშტაბიანი ომის პოლიტიკური მიზნებისაგან განსახვავებით. აღნიშნული მიზნები უფრო იდენტურობის პოლიტიკის განხორციელების ინსტრუმენტია, და არა იდეოლოგიური ან გეოპოლიტიკური მოსაზრებებით განსაზღვრული სახელმწიფო ინტერესების გამოხატულება. ამასთან, ასეთი ომების წარმოებისას ბრძოლა, ან თუნდაც, ტერიტორიის კონტროლი აღარ წარმოადგენს მიზნის მიღწევის ძირითად ინსტრუმენტს - „ახალი

<sup>20</sup> Jackson Robert H. "Quasi-States: Sovereignty, International Relations and the Third World", Cambridge University Press, New York, 1990, pp.56

<sup>21</sup> Collins A. „Contemporary Security Studies“, second edition, Oxford University Press, New York, 2010, pp.186-187

ომი” მოსახლეობასთან ომი უფროა, ვიდრე მოწინააღმდეგე არმიასთან. ამავე დროს, „ახალი ომისთვის” დამახასიათებელია სწორედ არა ბრძოლებში ჩართულობა, არამედ ლოკალურ შეტაკებებში გამარჯვება და მოწინააღმდეგის ფიზიკური განადგურება, მათ შორის, მშვიდობიანი მოსახლეობის. „ახალ ომებს” ძირითადად კვებავს სპეციფიკური სამხედრო ეკონომიკა: დეცენტრალიზებული და გარე ფაქტორებზე დამოკიდებული, ასევე ნარკოტრაფიკზე და იარაღით უკანონო ვაჭრობით მიღებული კრიმინალური შემოსავლები<sup>22</sup>. „ახალი ომების” წარმოებისას არ არსებობს რაიმე სამართლებრივი ნორმები და აქ არ მოქმედებს საერთშორისო სამართლის პრინციპები. მისი ლოგიკა ეყრდნობა „შიშისა და სიძულვილის” დათესვას. აღნიშნული ითვალისწინებს ეთნიკურ წმენდას ტერიტორიების დაკავების შემდეგ, მათ შორის იგულისხმება მასობრივი ხოცვა-ჟლეტა და იძულებითი გადასახლება, ასევე პოლიტიკური, ეკონომიკური და ფსიქოლოგიური ძალადობის დემონსტრირება.<sup>23</sup> ამის ფონზე იზრდება არალეგალური მიგრაციის მასშტაბები და ხორციელდება ე.წ. „გლობალიზებული ომის ეკონომიკის” ამოქმედება, რაც გულისხმობს დეცენტრალიზებულ ეკონომიკას, რომელიც დამოკიდებულია გარე ძალების დაფინანსებაზე. ასეთი „ახალი ომების” დროს შიდა წარმოება მცირდება და, შესაბამისად მცირდება საგადასახადო შემოსავლები. „ახალი ომების” ერთ-ერთი გამოვლინება ტერორიზმია, რომელიც გულისხმობს შთამბეჭდავი და ხშირად შემზარავი ძალადობის გამოყენებას შიშისა და კონფლიქტის გამოწვევის მიზნით.<sup>24</sup>

- „უსაფრთხოების დილემა“ - უსაფრთხოების დილემა კომპლექსური და მრავალმხრივი საკითხია საერთაშორისო ურთიერთობებში, ის გვიჩვენებს, თუ როგორ შეიძლება ერთი სახელმწიფოს უსაფრთხოების გაძლიერებისკენ

<sup>22</sup> თევზაბე დ. „21-ე საუკუნის ომების თავისებურება და საბრძოლო სივრცის სპეციფიკა“, სამეცნიერო კონფერენციის მრომების კრებული საქართველოს ტერიტორიის სამხედრო-საინჟინრო უზრუნველყოფის შესაძლებლობების ამაღლება ოპერატორიული სივრცის სპეციფიკის გათვალისწინებით, ა(ა)იპ სამხედრო სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტი, თბილისი, 2023 წელი, გვ.6-7

<sup>23</sup> Smith Rupert, The Utility Of Force, The Art of War in The Modern World, England, Clys Ltd, St. Ives plc, 2005 pp.68

<sup>24</sup> კალდორი მ. „ახალი და ძველი ომები“ რ.არტი, რ.ჯერვისი „საერთაშორისო პოლიტიკა, მუდმივი ცნებები და თანამედროვე საკითხები“, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2011, გვ.244

მიმართულმა ქმედებებმა, უნებლიერ გამოიწვიოს უფრო დიდი არასტაბილურობა და საფრთხე სხვა სახელმწიფოებისთვის. უსაფრთხოების დილემის წარმატებით შერბილება მოითხოვს დიპლომატიური, ეკონომიკური და სამხედრო ინსტრუმენტების კომბინაციას, ასევე საერთაშორისო თანამშრომლობისა და ნდობის გაძლიერებას. აქვე აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ხშირად აღნიშნული დილემის დადგომისას ხდება სხვა სახელმწიფოების უსაფრთხოების გაუარესება. ამან შეიძლება გამოიწვიოს შეიარაღების რბოლა, დაძაბულობის გაზრდა და კონფლიქტიც კი ქვეყნებს შორის, მიუხედავად იმისა, რომ თავდაპირველი ქმედებები მიზნად ისახავდა სტაბილურობისა და მშვიდობის შენარჩუნებას სახელმწიფოებს შორის<sup>25</sup>.

სადისერტაციო ნაშრომის კვლევის მეთოდოლოგია მკაფიოდ გვიჩვენებს იმ გარემოებას, რომ საბოლოო შედეგამდე გასასვლელად, აუცილებელია თითოეული ზემოთაღნიშნული თეორის საფუძვლიანი განხილვა და გაანალიზება, აქვე ცალკე კუთხით უნდა განიხილებოდეს ორი ისეთი განსაკუთრებული სამეცნიერო სკოლა, როგორიცაა: საერთაშორისო ურთიერთობების თეორიისა და უსაფრთხოების კვლევების მიდგომის სკოლები.

## კვლევის მეთოდები

კვლევის განხორციელების მეთოდი: კვლევის შექმნისას და მოცემული ნაშრომის დამუშავების დროს გამოყენებული იქნება სავარაუდო მეთოდი, არსებული თეორიული მასალის განხილვა, ანალიზი და დასკვნების გამოტანა:

- ნაშრომის დამუშავებისას გამოყენებული მეთოდები ძირითადად დაეფუძნება ემპირიული კვლევის საფუძვლებს, რაც მოიცავს მეცნიერული მიდგომის ერთგვარ

<sup>25</sup> არტი, რ., ჯერვისი, რ. „საერთაშორისო პოლიტიკა: მუდმივი ცნებები და თანამედროვე საკითხები“, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი - 2011. გვ. 3.

იარაღს - ლოგიკას, ანუ სწორად აზროვნების სისტემას, რომელსაც ფაქტობრივი დაკვირვების საფუძველზე მივყავართ სანდო დასკვნის გაკეთებამდე.

- თვისობრივი კვლევის მეთოდები

- მონაცემთა ანალიზი;
- ინტუიტიურ-ლოგიკური მეთოდი.
- ისტორიულ-აღწერილობითი მეთოდი;
- პოლიტიკის კვლევის ანალიზი;
- კონტენტ - ანალიზი;
- ივენტ-ანალიზი;
- ე.წ. „SWOT Analysis"-ის მეთოდი დაგვეხმარება უკეთ წარმოვაჩინოთ არასახელმწიფოებრივი აქტორების ძლიერი და სუსტი მხარეების რაობა და სწორად განვსაზღვროთ მისი როლი და ადგილი მსოფლიო პოლიტიკაში.

ჩვენი კვლევის დამუშავებისას განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდა ე.წ. „ჩაღრმავებული ინტერვიუს“ მეთოდზე, რომელიც კვლევის თემატიკაში მონაწილე პირების გამოკითხვის პროცესია და მათთან განსაკუთრებული გასაუბრების პროცედურას მოითხოვს. ამის პარალელურად განხორციელდა ე.წ. „პარალელური ანალიზის“ მიდგომის გამოყენება, რომელიც იძლევა უნიკალურ მონაცემთა დამუშავების საშუალებას და ასევე გამოყენებული იქნა ე.წ. „ფოკუს-ჯგუფების“ გამოკითხვის მეთოდი, რომელიც ხორციელდება ინდივიდუალურ და წარმომადგენლობით დონეებზე.. გამოყენებული მეთოდოლოგიის მთავარი დანიშნულება საკითხების მრავალმხრივი შესწავლა და საბოლოოდ ობიექტური პროდუქტის შექმნაა.

## **ნაშრომის მეცნიერული სიახლე**

ნაშრომის სამეცნიერო სიახლე გამოიხატება იმაში, რომ პირველად ქართულ პოლიტიკური მეცნიერების ფარგლებში განიხილება და წარმოჩინდება თანამედროვე ისეთი პოლიტიკური გამოწვევა, როგორიცაა „კანონიერი ქურდების ინსტიტუტი“ და გამოიკვეთება მისი არა მხოლოდ პოლიტიკური, არამედ გეოპოლიტიკური უარყოფითი შედეგები ქვეყნის ეროვნული უსაფრთხოების პირობებზე. ამას გარდა, კვლევის განხორციელებისას გამოსაყოფია შემდეგი კონკრეტული სამეცნიერო სიახლეების დაფიქსირება:

- თანამედროვე საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების წინაშე ჩნდება ახალი სახის პოლიტიკური გამოწვევები, რომლებსაც შეუმლიათ სახელმწიფო დააყენონ ეგზისტენციალური პირობების დონემდე. მათ შორის მოიაზრება სწორედ „კანონიერი ქურდების ინსტიტუტი“ და მისით გამოწვეული კონკრეტული სახის უარყოფითი შედეგები. ნაშრომში მოხდება ამ კონკრეტული საფრთხის იდენტიფიცირება და პარალელური ე. წ. „ჩრდილოვანი პოლიტიკური სისტემის“ ფორმატში წარმოჩენა, რაც ნამდვილად წარმოადგენს სამეცნიერო სიახლეს;
- პოლიტიკურ ლექსიკონში ტერმინოლოგიური კუთხით წარმოჩინდება „კანონიერი ქურდების ინსტიტუტის“ პოლიტიკური განმარტება და მისი ეპითემილოგური არსის განსაზღვრება;
- ნაშრომში დეტალურად იქნება განსაზღვრული და შედარებითი ანალიზის კუთხით გარჩეული „კანონიერი ქურდების ინსტიტუტის“ მაგალითზე, საერთაშორისო ურთიერთობის სისტემის „ინტეგრირებული საფრთხის“ გამოკვეთა და უშუალოდ ამ კონკრეტული ტერმინის განმარტება და ადაპტირება საერთაშორისო ურთიერთობებისა და პოლიტიკური მეცნიერების ლექსიკონში;

- ნაშრომი „კანონიერი ქურდების ინსტიტუტი“ განიხილება, როგორც არაფორმალური იერარქიული ინსტიტუტიზაციის მოდელი და ფორმა, კონკრეტული პარადიგმით განსაზღვრულ ურთიერთდამოკიდებულ შიდა აქტორთა ერთობლიობით. აღნიშნული ფენომენი კი უშუალოდ წარმოადგენს ეროვნული უსაფრთხოების და რეჟიმის სერიოზული მოწყვლადობის გარემოებას;
- არასახელმწიფოებრივი აგრესიული აქტორების კლასიფიკატორის ფორმატში მოხდება „კანონიერი ქურდების ინსტიტუტის“ ქვეკლასიფიკატორად განხილვა, მეცნიერული ანალიზის კუთხით წარმოჩენა და შესწავლა.
- „არშემდგარი სახელმწიფოს“ არსის გამოკვეთა, მისი საიდენტიფიკაციო ფაქტორების წარმოჩენა და მათი კლასიფიკაცია.
- საფრთხეების პოლიტიკური იდენტიფიკაცია და მათი მატრიცის შექმნა და წარმოჩენა;
- „ კანონიერი ქურდების ინსტიტუტის“ ჰიბრიდული ომის თეორიის ჩარჩოში განხილვა და შესწავლა, სამხედრო პოლიტიკური განზომილების განსაზღვრა.

### **თემის თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა**

კვლევის შედეგები სამომავლოდ საინტერესო იქნება ამ საკითხით დაინტერესებული პირების და სამსახურებისთვის. ნაშრომში განხილული საკითხები დღესაც საკმაოდ აქტუალურია და ფაქტიურად, არ არის ჯეროვნად შესწავლილი მეცნიერების მიერ, რის გამოც იგი ხდება არაერთი ინტერპრეტაციის საგანი.

ნაშრომის პრაქტიკულ მნიშვნელობას განაპირობებს ის გარემოება, რომ იგი გამოადგება ამ პრობლემაზე მომუშავე ყველა მეცნიერს, პრაქტიკოს ანალიტიკოსსა და საერთაშორისო უსაფრთხოების ექსპერტებს. ასევე მისი გამოყენება შესაძლებელია

უმაღლესი სასწავლებლების საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამებში. ამავე დროს, ნაშრომი გამოყენებული იქნება გეოპოლიტიკის, საგარეო პოლიტიკის მიმართულებით მომუშავე სახელისუფლებო ორგანოებისა და უსაფრთხოების სფეროში მოღვაწე ძალოვანი უწყებების წარმომადგენლების მიერ (მაგალითად, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის და შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის დეპარტამენტის მიერ). ამასთან ერთად, ნაშრომი იქნება ერთგვარი გზამკვლევი ქართული მასმედიის, როგორც ბეჭდური, ასევე ელექტრონულ საშუალებებში მოღვაწე ჟურნალისტებისა და ანალიტიკოსებისთვისაც, რომლებიც მულტი-ეთნიკურ და მულტი-კულტურულ მოვლენებს აშუქებენ. გარდა ამისა, კვლევის შედეგად შემუშავებული იქნება სპეციალური სახის რეკომენდაციები სამთავრობო და არასამთავრობო სექტორებისთვის და წარმოჩენილი იქნება, თუ რამდენად დიდია არასახელმწიფოებრივი კრიმინალური წარმომავლობის აქტორების ჩართულობა და როლი პოლიტიკის ყველა დონეზე.

აქვე საყურადღებოა ის გარემოებაც, რომ აღნიშნული კვლევის განხორციელება გავეთებულია ნოვატორული ფორმით და წარმოადგენს ერთგვარ ექსპერიმენტულ მოდელს, სადაც ინვარიანტულ ფორმებში, ერთგვარი კვინტენსენციური სახით წარმოდგენილია ანალიტიკური, აკადემიური და სამეცნიერო კვლევითი მოდელები, აღნიშნული უფრო მეტად წარმოადგენს ანალიტიკურ-პრაქტიკული სახის დიდ მოხსენებას, სადაც მოცემულია გარკვეული სახის რეკომენდაციები, რომლებიც დროის განსაზღვრულ ფორმატში უნდა ყოფილიყო გათვალისწინებული შესაბამისი სახელმწიფო სტრუქტურების მიერ. ფაქტობრივად, ეს კვლევა შეიძლება იყოს პრაქტიკული სახის სახელმძღვანელო სახელმწიფო სტრუქტურებში მოღვაწე მაღალი თანამდებობის ანალიტიკოსთა და მრჩეველთა აპარატის თანამშრომლებისთვის, რომლებსაც თავიანთი საქმიანობისა და მოღვაწეობისას უხდებათ სპეციფიკური სახის საინფორმაციო-ანალიტიკური სახის მოხსენებების, თუ ბარათების მომზადება მაღალი დონის ოფიციალური პირებისთვის. აღნიშნულ ნაშრომში განხილული

საკითხები სამომავლოდ შესაძლებლობას მისცემს სახელმწიფოში არსებულ ძალოვან სამინისტროებს, რომლებიც დაინტერესებულები არიან კვლევაში აღწერილი საკითხებით, კანონის ფარგლებში აწარმოონ სამართლებრივი ბრძოლა კრიმინალის წინააღმდეგ და აირჩიონ ყველაზე მოკლე და წარმატებული გზა პრობლემის აღმოსაფხვრელად.

### სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვა

კვლევის პროცესში გამოყენებული იქნა სხვადასხვა სახის აკადემიური და სამეცნიერო შინაარსის ლიტერატურა და განხორციელდა სერიოზული საკითხების დამუშავება, რომლებიც ეხება უსაფრთხოების კვლევებს, საერთაშორისო ურთიერთობებს და გეოპოლიტიკას. მსოფლიო პოლიტიკის, საერთაშორისო უსაფრთხოებისა და „პიბრიდული ომის“ წყაროების მიმართულებას ეხება ვახტანგ მაისაია, გუგული მაღრაძე, ჰენრი კუპრაშვილი, დავით კუხალაშვილი, ედიშერ გვენეტაძე, Giannopoulos, G. Smith, H. Theocharidou, M.n. ზოგიერთი კი კონკრეტულად კრიმინალურ სუბკულტურას და მის ერთ-ერთ უმაღლეს იერარქებს, „კანონიერ ქურდებს“ და მათ მიერ განვითარებულ კონკრეტულ მიმართულებებს ეხება (Mark Galeotti, , Varese Federico, Г. გლონტი გ. ლიბჯანიძე და პოდლესკის, Г. თერეშონოკ, А. და ა.შ.). აღნიშნულ თემატიკასთან მიმართებაში განხილული და შესწავლილი იქნა ყველა ის სამეცნიერო და აკადემიური სახის დოკუმენტაცია, ასევე საგანმანათლებლო, ანალიტიკური და პუბლიცისტური ნაშრომები. კონკრეტული სალიტერატურო წყაროების მიმოხილვისას შესაძლებელია განვიხილოთ რამდენიმე ასეთი სახის კონკრეტული მასალა, რომელიც უშუალო შეხებაშია ამ თემატიკასთან:

გუგული მაღრაძე, ვახტანგ მაისაია „21– საუკუნის საერთაშორისო პოლიტიკა და „თანამშრომლობითი უსაფრთხოების“ თეორია: მითი და რეალობა – რეგიონული და გლობალური ასპექტები“, გამომცემლობა „უნივერსალი“, თბილისი, 2017 წელი.<sup>26</sup>

<sup>26</sup> გუგული მაღრაძე, ვახტანგ მაისაია „21– საუკუნის საერთაშორისო პოლიტიკა და „თანამშრომლობითი უსაფრთხოების“ თეორია: მითი და რეალობა – რეგიონული და გლობალური ასპექტები“, გამომცემლობა „უნივერსალი“, თბილისი, 2017 წელი

მოცემულ მონოგრაფიაში ასახულია თანამედროვე საერთაშორისო უსაფრთხოების აქტუალური პრობლემები და განსაზღვრულია უსაფრთხოების თეორიის არსი და ადგილი პოლიტიკურ მეცნიერებაში. მასში ასახულია კონკრეტული სახის თეორიები და კონცეფციები, რომლებიც მოცემულია უსაფრთხოების კვლევების ფორმატში. აქვე განხილულია ახალი სახის ასიმეტრიული საფრთხეების რაობა და განსაზღვრება და მისი კლასიფიკაცია, რასაც უშუალო გავლენა გააჩნია მიმდინარე საერთაშორისო ურთიერთობების პროცესში. მოყვანილი კონკრეტული სახის მაგალითები, სადაც ასახულია, თუ როგორ ხორციელდება „თანამშრომლობითი უსაფრთხოების“ თეორიის პრინციპები რეალურ პოლიტიკური გარემოში. მონოგრაფიაში წარმოჩენილი პრობლემები და განსაკუთრებით ასიმეტრიული საფრთხეების თეორია უშუალოდ ეხება აღნიშნული კვლევის კონცეფტუალურ მიდგომას - კრიმინალური სუბკულტურის ფენომენის ახსნას და მის გავლენას გეოპოლიტიკურ პროცესებზე.

ჰენრი კუპრაშვილი, „საქართველოს ეროვნული უშიშროება“ გამოცემლობა „უნივერსალი“, თბილისი, 2022 წელი<sup>27</sup>-წიგნში განხილულია უსაფრთხოების პრობლემები გეოპოლიტიკური ანალიზის კუთხით. ავტორის მიერ აღწერილია ქვეყნის ეროვნული უშიშროება აკადემიური მიმართულებით და მისი თეორიული საწყისები . მონოგრაფიაში მეცნიერულ დონეზეა გაანალიზებული ქვეყნის (საქართველოს) აღმშენებლობის, მისი უშიშროებისა და ეროვნული უსაფრთხოების საკითხები. ნაშრომში მოცემულია ეროვნული უშიშროების მრავალმხრივი ფაქტორები, მათ შორის, პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური, დემოგრაფიული, გეოპოლიტიკური და სხვა. აქვე, მონოგრაფიაში მოცემულია გარკვეული რეკომენდაციები ისეთი საფრთხეების საპირწონედ, როგორიცაა „ჰიბრიდული ომის“ წარმოება, განხილულია ამ პროცესში ქვეყნისთვის აუცილებელი რეგულაციები, ასევე პრაქტიკული ქმედებების გეგმები, განსაკუთრებით კიბერ და საინფორმაციო ომის წარმოების შემთხვევებში, რომელთა მეშვეობითაც შესაძლებელი იქნება ისეთი

<sup>27</sup> ჰენრი კუპრაშვილი, „საქართველოს ეროვნული უშიშროება“ გამოცემლობა „უნივერსალი“, თბილისი, 2022 წელი.

ახალგაზრდა და განვითარებადი ქვეყნისვის, როგორიც საქართველოა თავის დაცვა და წინსწრები პრევენციული ქმედებების შემუშავება, რაც აუცილებელია ქვეყნის მოსახლეობის კეთილდღეობისა და უსაფრთხო გარემოს უზრუნველსაყოფად. მონოგრაფიაში მოყვანილი რეკომენდაციები თავისთავად მნიშვნელოვანია ქვეყანაში საზოგადოებრივი უსაფრთხოების შესანარჩუნებლად.

მალხაზ ბაძალუა, „ჯგუფური დანაშაულები საქართველოში“ გამომცემლობა, „გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი“ თბილისი, 2021 წელი<sup>28</sup>-წიგნში განხილულია კრიმინალური სუბკულტურის პრობლემები რეგიონალური და გეოპოლიტიკური ანალიზის კუთხით. ისეთ მოვლენას, როგორიცაა ჯგუფური დანაშაული, არასდროს დაუკარგავს აქტუალურობა მსოფლიოში დასაბამიდან დღევანდელ დღემდე, იგი ფაქტიურად მარადიული პრობლემაა კაცობრიობისთვის, მეტიც, ადამიანის პიროვნებისა და ტექნოლოგიების განვითარებასთან ერთად იმატა დანაშაულის ხარისხმა და ახლა უფრო მეტ საფრთხეს წარმოქმნის საზოგადოებისათვის. არაერთი დარგი მუდმივ მზადყოფნაშია ებრძოლოს აღნიშნულ მოვლენას, თუმცა, ალბათ, ყველაზე მეტად აღნიშნული ვალდებულება აკისრია კრიმინოლოგიის დარგს, რომლის უმთავრესი მიზანია აღნიშნული მოვლენის შესწავლა და გარკვეული რეკომენდაციების მიცემა სამართალდამცავი ორგანოებისათვის. ავტორი ხელახლა უღრმავდება ისეთ მოვლენაა, როგორიცაა ჯგუფური დანაშაულის პრობლემატიკა, რაც აქტუალურობას არ კარგავს საუკუნეების მანძილზე. ავტორი ნაშრომში ხელახლა უბრუნდება აღნიშნული პრობლემის წიაღს და ცდილობს ინოვაციური დაკვირვებებით და დასკვნებით გაუადვილოს სამართალდამცავ ორგანოებს ბრძოლის შესაძლებლობები ისეთ მოვლენასთან, როგორიც ჯგუფური დანაშაულია. ავტორის მიერ ციტირებული კვლევები შესაძლებლობას აძლევს თეორეტიკოსებსა და პრაქტიკოსებს გაიმდიდრონ უკვე დაგროვებული ცოდნა ჯგუფური დანაშაულის შესახებ საქართველოში. წიგნის

<sup>28</sup> მალხაზ ბაძალუა, „ჯგუფური დანაშაულები საქართველოში“ გამომცემლობა, „გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი“, თბილისი, 2021 წელი.

სახელწოდებიდან გამომდინარე, ნათელი ხდება ის სპეციფიური მიღვომა, რომლის მეშვეობითაც წარმოებს ქართული ჯგუფური დანაშაულის სპეციფიკის შესწავლა, მისი თავისებურებების გამოკვეთა და შემდგომი კომპლექსური რეკომენდაციებისა და მითითებების გაცემა, რაც სამომავლოდ გაუადვილებს სამართალდამცავ ორგანოებს და კრიმინოლოგებს აღნიშნულ სუბკულტურასთან მუშაობას.

დავით კუხალაშვილი, „სადაზვერვო და კონტრსადაზვერვო საქმიანობის როლი სახელმწიფო მმართველობაში, ეროვნულ და საერთაშორისო უსაფრთხოებაში.“ გამომცემლობა, „კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი“, თბილისი, 2022 წელი<sup>29</sup>- წიგნში განხილულია ისეთი აქტუალური და შეუსწავლელი სფერო, როგორიცაა სადაზვერვო და კონტრსადაზვერვო საქმიანობა. აღნიშნულ წიგნს საკმაოდ მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს დარგის შესწავლასა და მეცნიერულად განვითარებაში. იგი ეხება პოლიტიკური, ეკონომიკურ, სამხედრო და სამეცნიერო-ტექნიკური დაზვერვის სახეობების ძირითად ამოცანებსა და მათი განხორციელების საშუალებებს. ნაშრომი ღირებულია იმითაც, რომ ავტორი გარდა თეორიული ნაწილისა, გვაწვდის პრაქტიკულ მასალასაც. წიგნში აღწერილია რეალური შემთხვევები სხვადასხვა ქვეყნების სადაზვერვო და კონტრსადაზვერვო ბრძოლის პრაქტიკიდან, მათ შორის, საქართველოს მაგალითებიც. ნაშრომი საშუალებას იძლევა სწორად და ადექვატურად აღვიქვათ სადაზვერვო და კონტრსადაზვერვო საქმიანობის მნიშვნელობა ქვეყნის ეროვნულ და საერთაშორისო უსაფრთხოებაში.

ედიშერ გვენეტაძე, „ საერთაშორისო ურთიერთობები XX საუკუნეში და საბჭოთა კავშირის პოლიტიკური ანატომიის საკითხები“ გამომცემლობა „მერიდიანი,“ თბილისი, 2023 <sup>30</sup>- წიგნში განხილულია არსებული საერთაშორისო ურთიერთობების

<sup>29</sup> დავით კუხალაშვილი, „სადაზვერვო და კონტრსადაზვერვო საქმიანობის როლი სახელმწიფო მმართველობაში, ეროვნულ და საერთაშორისო უსაფრთხოებაში“ გამომცემლობა, „კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი“, თბილისი, 2022 წელი.

<sup>30</sup> ედიშერ გვენეტაძე, „ საერთაშორისო ურთიერთობები XX საუკუნეში და საბჭოთა კავშირის საკითხები“ გამომცემლობა „მერიდიანი“ თბილისი, 2023 წ.

ფონზე საბჭოთა კავშირის დაარსების, მისი არსებობისა და შემგომ მისი, როგორც სუვერენული სახელმწიფოს, საერთაშორისო სამართლის სუბიექტის დაშლის საკითხები, ნაშრომში აღწერილია დღემდე უცნობი ისეთი მოვლენები და ფაქტები, რომლებიც საინტერესო იქნება როგორც სტუდენტებისთვის, ისე მკვლევარებისა და მეცნიერების ფართო წრისათვის. ნაშრომში განსაკუთრებული ყურადღება მიიქცია იმ ნაწილმა, სადაც ნათლად არის აღწერილი კორუფცია საბჭოთა კავშირში და რაოდენ სავალალო შედეგი გამოიღო აღნიშნულმა მოვლენამ საბჭოთა კავშირის მომავალზე და რა საფრთხეს წარმოადგენს კორუფცია ნებისმიერი ქვეყნისთვის, როგორც „ჰიბრიდული ომის“ წარმოების ერთ-ერთი ნაირსახეობა დღევანდელობაში.

თენგიზ ფხალაძე, თორნიკე შარაშენიძე, გიორგი ვოლსკი, თეიმურაზ ქარუხნიშვილი, მარიამ ცაცანაშვილი, გიორგი გვიმრაძე, ნატო ბაჩიაშვილი, ნანა დევდარიანი „რბილი ძალა“ და რუსეთის საგარეო პოლიტიკის ახალი კონცეფცია საქართველოსთან მიმართებაში „, გამომცემლობა „მთაწმინდელი“, 2010 წელი<sup>31</sup> – კრებულში განხილულია, თუ როგორ იყენებს რუსეთი „რბილ ძალას“ საკუთარი ეროვნული ინტერესების განხორციელების მიზნით. ავტორები განიხილავენ „რბილ ძალას,“ როგორც განსაკუთრებული ზეწოლის მექანიზმს. კვლევის მიზანს წარმოადგენს ნათლად იმ ფარული საფრთხეების, რომლებიც ერთის შეხედვით არ წარმოადგენენ არავითარ საშიშროებას. ავტორები ხაზს უსვამენ იმ გარემოებას, რომ საქართველოს გააჩნია მომგებიანი გეოსტრატეგიული მდებარეობა და მას აგრეტვე უწოდებენ კავკასიის რეგიონის გეოპოლიტიკურ „გასაღებს“. ამასთან, რუსეთის ფედერაციის ეკონომიკა ძირითადად დამოკიდებულია ენერგორესურსების ათვისებასა და მათ სატრანზიტო უზრუნველყოფაზე, რაც ასევე განპირობებულია საქართველოს ფაქტორით. ასე და ამგვარად, რუსეთის ფედერაციის საგარეო პოლიტიკა საქართველოსთან მიმართებაში მაღალმოტივირებულია და ამიტომ მასზე უშუალო კონტროლის მოპოვება ძალზე მნიშვნელოვანია. რუსეთი საკუთარი საკონსულო

<sup>31</sup> თენგიზ ფხალაძე, თორნიკე შარაშენიძე, გიორგი ვოლსკი, თეიმურაზ ქარუხნიშვილი, მარიამ ცაცანაშვილი, გიორგი გვიმრაძე, ნატო ბაჩიაშვილი, ნანა დევდარიანი „Soft Power რუსეთის საგარეო პოლიტიკის ახალი კონცეფცია საქართველოსთან მიმართებაში“. გამომცემლობა „მთაწმინდელი“, 2010 წელი

სამსახურის მეშვეობით საკმაოდ ეფექტურად იყენებს „რბილ ძალას“ და მის პოლიტიკურ შემადგენელ კომპონენტს. აღნიშნული ხორციელდება მას-მედიის, განათლების, კულტურის და ახლა უკვე კრიმინალური სუბკულტურის მიმართულებით. სწორედ „რბილი ძალის“ გამოყენების მეშვეობით ხორციელდება გავლენა საქართველოზე და მისი მიზანი მდგომარეობს იმაში, რომ რუსეთის ფედერაციის ხელმძღვანელობას სურს საქართველოს გადაქცევა ე.წ. „პრივილეგირებული გავლენის ზონად“. ავტორები აღნიშნავენ იმას, რომ „რბილი ძალის“ ამოქმედება არის სახიფათო გამოვლენა და მისი მეშვეობით შესაძლებელია მეზობელი სახელმწიფოს პოლიტიკურ და ეკონონომიკურ პროცესებზე მნიშვნელოვანი ზეგავლენის განხორციელება.

**Giannopoulos, G. Smith, H. Theocharidou, M.n „The Landscape of Hybrid Threats“, Luxembourg, Publications Office of the European Union, 2021<sup>32</sup>-** მონოგრაფიაში განხილულია სრულიად ახალი შეხედულებები „ჰიბრიდული ომის“ წარმოების შესახებ, ნაშრომში არის საკმაოდ ინოვაციური შეხედულებები „ჰიბრიდული ომის“ წარმოებაზე, აქვე აღსანიშნავია ისეთი ახალი მიმართულების დამატება, როგორიცაა ეკონომიკური საქმიანობა, აქამდე აღნიშნული დარგი არ განიხილებოდა „ჰიბრიდული ომის“ წარმოების საშუალებად, თუმცა ნაშრომში მკაფიოდ არის აღწერილი, თუ რაოდენ დამანგრეველ და ძლიერ იარაღს წარმოადგენს „ჰიბრიდული ომის“ წარმოებისას ქვეყნის ეკონომიკაზე ზეწოლა და მისი ხელოვნური საბოტაჟირება, აღნიშნული ახალი გარემოება ნათელს ფენს, თუ რაოდენ ადვილია, ისეთი მცირე და განვითარებადი ქვეყნის, როგორც საქართველოა, საბოტაჟირება და ხელოვნურად ფინანსური ინსტიტუტების მდგრადობის შერყევა.

**Galeotti, M. „The Vory: Russia's Super Mafia,, , Yale University Press, New Haven, 2018 Year<sup>33</sup>-** წიგნში განხილულია „კანონიერი ქურდების ინსტიტუტის“ წარმოშობისა და

<sup>32</sup> Giannopoulos, G. Smith, H. Theocharidou, M.n „The Landscape of Hybrid Threats“, Luxembourg, Publications Office of the European Union, 2021

<sup>33</sup> Galeotti, M. „The Vory: Russia's Super Mafia,, , Yale University Press, New Haven, 2018 Year

მისი გაძლიერების მასშტაბები, განსაკუთრებით ოთხმოცდაათიან წლებში, რუსული კრიმინალური სამყაროს თანამშრომლობა სახელმწიფოსთან, მის ძალოვან სამსახურებთან და მათი კორელაცია და თანამშრომლობა საერთო ინტერესების გატარების მიზნით. ავტორი მკაფიოთ აღწერს, თუ როგორ მოხდა რუსული კრიმინალური სამყაროს ტრანსფორმაცია უბრალო კრიმინალისგან პროფესიულ კრიმინალამდე, რაც დღეის მდგომარეობითაც საკმაო გავლენას ახდენს გარკვეულ სფეროებზე, როგორც რუსეთის ფედერაციაში, ისე პოსტსაბჭოურ სივრცეში, ევროპის კონტინენტზე და ამერიკაზე, მათ შორის, აღსანიშნავი და საყურადღებოა ნაშრომში აღწერილი ისტორიული ნაწილი, სადაც მკაფიოდ ჩანს, თუ რა ტიპის თანამშრომლობა ჩამოუყალიბდათ რუსეთის ფედერაციის ძალოვან სექტორსა და სახელმწიფო ჩინოვნიკებს კანონიერ ქურდებთან და რაოდენ დიდი გავლენა აქვთ მათ ქვეყანაში არსებულ გარკვეულ მოვლენებზე, ბიზნესის რიგ სფეროებზე. აქვე აღნიშვნის ღირსია ნაშრომში აღწერილი ის ფაქტორიც, თუ რამდენად მჭიდროდ თანამშრომლობენ „კანონიერი ქურდები“ რუსულ სპეც-სამსახურებთან და რამდენად ნაყოფიერია მათი თანამშრომლობა გარკვეულ სფეროებში.

**Galeotti, M. „Putin's hydra: Inside Russia's Intelligence Services,, , European Council on Foreign Relations, Berlin, 2016 Year<sup>34</sup>**- წიგნში განხილულია „კანონიერი ქურდების ინსტიტუტის“ და რუსული სპეც - სამსახურების ფСБ-ს СВР-ს თანამშრომლობის გაძლიერების მასშტაბები, როგორ ხდება სპეც-სამსახურების მიერ დაკვეთილი დავალებების შესრულება „კანონიერი ქურდების“ და კრიმინალური სამყაროს წევრების მიერ, როგორ ხდება დანაშაულებრივი სქემების შექმნა რუსეთის ფედერაციის საზღვრებს გარეთ, რისი საშუალებითაც რუსული სპეცსამსახურები აწარმოებენ „ჰიბრიდულ ომს“ ევროპის მთლიან კონტინენტზე, მათ შორის ისეთ ქვეყნებში, რომლებიც მათი ინტერესის სფეროს წარმოადგენს. ნაშრომში მკაფიოდაა აღწერილი, როგორ აწარმოებს დანაშაულებრივ საქმიანობას კრიმინალური

<sup>34</sup> Galeotti, M. „Putin's hydra: Inside Russia's Intelligence Services,, , European Council on Foreign Relations, Berlin, 2016 Year

სუბკულტურა პოსტსაბჭოურ ქვეყნებში - კონტრაბანდის, ბანდიტიზმის, ტრეფიკინგის და სხვა კანონსაწინააღმდეგო საქმიანობის მეშვეობით დემოკრატიული სვლის შესაჩერებლად. ავტორი ცდილობს მკითხველს დაანახოს ზემოთხსენებული თანამშრომლობის მასშტაბები, თუ რაოდენ გლობალური ხასიათის მატარებელია მათი თანამშრომლობა და რამდენად პრობლემატურია ამ ტიპის საბოტაჟი და „ჰიბრიდული ომის“ წარმოება დემოკრატიული წყობის ქვეყნებისთვის.

**Varese F, Mafias on the Move: How Organized Crime Conquers New Territories, Princeton University Press, 2009 year<sup>35</sup>**- წიგნში განხილულია, თუ როგორ იპყრობს ორგანიზებული დანაშაული „ახალ ტერიტორიებს“ ავტორი დამაჯერებელ და ყოვლისმომცველ კვლევას გვთავაზობს, ორგანიზებული დანაშაულის გაფართოების დინამიკაზე. ჩატარებული კვლევისა და ანალიზის საშუალებით, ავტორი შეისწავლის კრიმინალური სინდიკატების მიერ გამოყენებულ რთულ სტრატეგიებს, როდესაც ისინი საკუთარი გავლენის გავრცელებას ცდილობენ ახალ ტერიტორიებზე. წიგნის ერთ-ერთი ძლიერი მხარე მდგომარეობს მის მრავალმხრივ მიდგომაში, რომელიც ემყარება სოციოლოგიას, კრიმინოლოგიას და ეკონომიკას, რათა უზრუნველყოს ხელთარსებული ფენომენების მრავალმხრივი გაგება. ავტორი ოსტატურად აკვირდება ისტორიულ კონტექსტს და სოციალურ-ეკონომიკურ პირობებს, რაც ხელს უწყობს ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფების გაძლიერებას და გვთავაზობს ნიუანსებს აღნიშნული ფაქტორების კომპლექსური ურთიერთქმედების შესახებ, მათ მცდელობებს გავლენების გაზრდისა და გაძლიერებისათვის. ნამრომში ცენტრალური ადგილი უკავია ისეთ კონცეფციას, როგორიცაა „მაფია მოძრაობაში“. ავტორი განმარტავს, თუ როგორ ადაპტირდებიან და ვითარდებიან კრიმინალური ორგანიზაციები გეოპოლიტიკური ლანდშაფტების, ტექნოლოგიური წინსვლისა და ბაზრის დინამიკის ცვალებადობის საპასუხოდ. აღნიშნული კვლევის საშუალებით,

<sup>35</sup> Varese F, Mafias on the Move: How Organized Crime Conquers New Territories, Princeton University Press, 2009 year

რომელიც მოიცავს სხვადასხვა რეგიონებსა და კრიმინალურ სუბკულტურებს, მათ შორის, იტალიურ მაფიას, რუსეთის ორგანიზებულ დანაშაულებრივ ორგანიზაციებს და კოლუმბიურ ნარკოკარტელებს, იგი ასახავს ამ ჯგუფების მიერ ახალ ტერიტორიებზე შეღწევისა და დომინირების სხვადასხვა სტრატეგიებს. გარდა ამისა, ავროტის მიერ გავეთებული ანალიზი ნათელს ჰქონის მაფიას სტრატეგიებს და სახელმწიფო ინსტიტუტებს შორის სიმბიოზურ ურთიერთობას და ავლენს, თუ როგორ უწყობს ხელს აღნიშნული თანამშრომლობა კორუფციას, რის შედეგადაც ხდება მარეგულირებელი ორგანოების ხელში ჩაგდება, რაც ხელს უწყობს კრიმინალური ქსელების გაფართოებას. ავტორი ცდილობს მკაფიოდ წარმოაჩინოს ის მექანიზმები, რომლითაც კრიმინალური სუბკულტურის წარმომადგენლები თანამშრომლობენ პოლიტიკურ ელიტებთან, სამართალდამცავ უწყებებთან და სასამართლოებთან, ავტორი გვთავაზობს ნოვაციურ შეხედულებებს ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის გამოწვევებზე მზარდ გლობალიზებულ სამყაროში. მთლიანობაში, ნაშრომი მკაფიოდ წარმოაჩენს ორგანიზებული დანაშაულის გაფართოების დინამიკას დღევანდელ რეალობაში. ავტორის კვლევა მის საინტერესო თხრობის სტილთან ერთად აღნიშნულ ნაშრომს საკმაოდ საინტერესო და გამოყენებადს ხდის აღნიშნულ სფეროში მოღვაწე მეცნიერებისთვის, პოლიტიკოსებისთვის და ყველასთვის, ვინც დაინტერესებულია თანამედროვე ეპოქაში კრიმინალური ქსელების რთული სისტემით.

**Глонти Г. Лобжанидзе Г. „Профессиональная преступность в Грузии (воры в законе)“, Издательство (DOJ / OPDAT), Тбилиси, 2004<sup>36</sup>- წიგნში განხილულია კრიმინალური სუბკულტურის და მისი უმაღლესი იერარქების „კანონიერი ქურდების“ წარმოშობის ისტორია, განხილულია მათი მიმდევრობითი განვითარება და გაძლიერება, როგორ მოახდინეს თავისი ორგანიზაციის ტრანსფორმირება უბრალო კრიმინალისგან ორგანიზებულ პროფესიონალურ დამნაშავეობამდე, რა გზა გაიარა აღნიშნულმა**

<sup>36</sup> Глонти Г. Лобжанидзе Г. „Профессиональная преступность в Грузии (воры в законе)“, Издательство (DOJ / OPDAT), Тбилиси, 2004

სუბკულტურამ, რომელი უმაღლესი იერარქები იყვნენ უფრო გამორჩეულნი თავისი საქმიანობით, რა გავლენის მოხდენა შეძლეს აღნიშნული სუბკულტურის განვითარებისა და გაძლიერებისათვის. მონოგრაფიაში ასევე საკმაოდ კვალიფიკაციურად, მეცნიერულ დონეზე არის განხილული „კანონიერი ქურდების“ და მთლიანად აღნიშნული სუბკულტურის, როგორც ისტორიული კუთხეები, ასევე მათი ზნე-ჩვეულებები და წესები.

**Подлесских, Г. Терешонок, А. „Воры в законе“ Бросок к власти,, Издательство Художественная литература, Ростов-на-Дону 1994<sup>37</sup>- წიგნში განხილულია საბჭოთა კავშირის ადრეული პერიოდი, როდესაც კრიმინალური სუბკულტურა „კანონიერ ქურდებთან“ ერთად ცდილობს გააფართოვოს თავისი გავლენები პოსტ საბჭოურ ტერიტორიაზე. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ავტორები საკმაოდ მკაფიოდ და კომპეტენტურად აღწერენ ოთხმოციანი წლების დასაწყისიდან ოთხმოცდაათიანი წლების ბოლომდე მიმდინარე კრიმინალური სუბკულტურისა და „კანონიერი ქურდების“ ტრანსფორმაციას, სადაც ნათლად იკვეთება ის ფაქტი, როგორ ტრანსფორმირდება „კანონიერი ქურდების ინსტიტუტი“ უბრალო კრიმინალური სუბკულტურიდან პროფესიულ დამნაშავეებად და შემდგომ უკვე როგორ ხდება ინტერესების გაფართოება, პოლიტიკურ არენაზე შეჭრა, რაც სავალალო შედეგების მომტანია დღევანდელ დღემდე, როგორც ყველა პოსტ-საბჭოთა ქვეყნისთვის, ისე თვით რუსეთის ფედერაციისთვისაც. აღსანიშნავია ის გარემოებაც, თუ როგორ მკაფიოდ აღწერენ ავტორები რუსული ძალოვანი სამსახურებისა და „კანონიერი ქურდების“ თანამშრომლობას, რაოდენ საინტერესოდ ხდება ძალოვნებსა და „კანონიერ ქურდებს“ შორის თანამშრომლობა ურთიერთგამორჩენის მიზნით, კრიმინალური სუბკულტურისა და „კანონიერი ქურდების“ გამოყენება პოლიტიკური, სამხედრო და სამოქალაქო სფეროების შესასუსტებლად, პირველად ხდება აღნიშნული სუბკულტურის მოხსენება, როგორც სახელმწიფოს მიერ**

<sup>37</sup> Подлесских Г. Терешонок А. „Воры в законе“ Бросок к власти,, Издательство „Художественная литература“ Ростов-на-Дону, 1994

კონტროლირებადი გარკვეული დანაყოფისა. მათი მეშვეობით ხდება საბჭოთა კავშირის და შემდგომ რუსეთის ფედერაციისათვის არასასურველი პოლიტიკური მოღვაწეების და პოლიტიკური წყობილებების გავლენების შესუსტება და მათი ლიკვიდაციის მცდელობა. აღნიშნული ნაშრომი მკაფიოდ აღწერს რუსული იმპერიალისტური მისწრაფებების და ინტერესების გამოვლენას რეგიონში და, მთლიანად პოსტ-საბჭოურ სივრცეში თავისი ჰეგემონიის და გავლენების გასაძლიერებლად.

## **ნაშრომის მოცულობა და სტრუქტურა:**

ნაშრომი შედგება შესავალის, სამი თავის, ათი ქვეთავის, დასკვნის, დანართისა და გამოყენებული ლიტერატურის ნუსხისგან. ნასრომის საერთო მოცულობა 226 გვერდია.

## I თავი

პირველი თავი „კანონიერი ქურდების ინსტიტუტი“, როგორც  
პოლიტიკური გამოწვევა და მისი გავლენა საქართველოს ეროვნულ  
უსაფრთხოებაზე

ჰიბრიდული საფრთხე არის ქვეყნის პოლიტიკური განვითარების შემაფერხებელი  
ერთ-ერთი ფაქტორი, რომელსაც ჩვენი ჩრდილოელი მეზობელი რუსეთის  
ფედერაციის სახით, საკმაოდ წარმატებით იყენებს უკვე 30 წელზე  
მეტია, საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვების დღიდან. „ჰიბრიდული ომი“  
ქვეყანაში ქმნის შიდა უსაფრთხოების დილემას ისეთ სფეროებში, როგორიცაა:  
პოლიტიკური უსაფრთხოება; ეკონომიკური უსაფრთხოება; სოციალური  
უსაფრთხოება; ინფორმაციული უსაფრთხოება; სამხედრო უსაფრთხოება;  
საგანმანათლებლო-სამეცნიერო უსაფრთხოება; ენერგეტიკული უსაფრთხოება;  
სამართლებრივი უსაფრთხოება და სხვა.<sup>38</sup> ხოლო რიგ შემთხვევებში, ქვეყნის  
ეროვნული უსაფრთხოება ჩიხამდე მიიყვანა. განვიხილოთ თვითონ ეს ტერმინი, რას  
ნიშნავს ეროვნული უსაფრთხოების ჩიხი - ეს არის მდგომარეობა, როცა ქვეყნის  
პოლიტიკური მართვა, მისულია იმ ზღვრამდე, რა დროსაც მთავრობის მიერ  
მიღებული პოლიტიკური გადაწყვეტილებები აუარესებს ქვეყანაში არსებული  
გამოწვევებისა და საფრთხეების მასშტაბებს როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის  
საზღვრებს გარეთ.<sup>39</sup> (მსგავსი სიტუაციები აღინიშნებოდა როგორც 90-იან წლებში,  
ისე 2000-იანი წლების შემდგომ, დღევანდლამდე „მცოცავი ოკუპაციის“ და სხვა  
ანტისახელმწიფოებრივი ქმედებების სახით).

<sup>38</sup> ჰენრი კუპრაშვილი, „საქართველოს ეროვნული უშიშროება“, გამოცემლობა „უნივერსალი“, თბილისი, 2022 წ. გვ. 137

<sup>39</sup> გუგული მაღრაძე, ვახტანგ მაისაია: „21-ე საუკუნის საერთაშორისო პოლიტიკა და „თანამშრომლობითი უსაფრთხოების“ თეორია: მითი და რეალობა- რეგიონალური და გლობალური ასპექტები“, გამოცემლობა „უნივერსალი“, თბილისი, 2017 წ. გვ. 77

„ჰიბრიდული ომის“ უმთავრესი მიზანი იყო ქვეყანაში გამოეწვია ერთდროულად, ეკონომიკური არასტაბილური მდგომარეობა, არსებული სახელმწიფო მმართველობის მიმართ ნდობის შემცირება. ეს ყველაფერი ხდება საზოგადოების განვითარების იმ ეპოქაში, როცა ძირითადი რესურსი არა ქვანახშირი და ფოლადია (ჯავშნის საწარმოებლად), არამედ ინფორმაცია, ინფორმაცია თანამედროვე გაგებით, რის მეშვეობითაც ხდება ომის ტრანსფორმაცია, იცვლება ომის არსი და ხასიათი, მისი წარმოების შინაარსი, ხდება ისეთი ელემენტების გამოყენება, როგორიცაა კრიმინალური ქცევები და ძალადობის დიდი მასშტაბები ერთსა და იმავე დროს.<sup>40</sup> ამან საბოლოოდ ხელი შეუწყო არსებული მმართველობისადმი ნდობის შემცირებას და უიმედობის გავრცელებას ქვეყნის მოსახლეობაში.

ზემოთ მოყვანილი სიტუაციები ქვეყნის მასშტაბით შეიძლება შეჯამდეს და მოკლედ ჩამოყალიბდეს, - „ჰიბრიდული ომი“ არის დაპირისპირება სახელმწიფოებს შორის, რა დროსაც ხდება იმ ხერხების გამოყენება, რომლებიც იკვეთება სპეციალურ და ჩვეულებრივ ომებს შორის ხარვეზებში. აღნიშნული ომი მოითხოვს უკიდურეს მოქნილობას, ოპერატიულ და ტაქტიკურ გადასვლას, სპეციალურ და ჩვეულებრივ არენებს შორის<sup>41</sup>.

## 1.1 თავი „კანონიერი ქურდების ინსტიტუტის“ არსი და განსაზღვრება, მისი ისტორიული საფუძვლები

რამდენიმე საუკუნის განმავლობაში საქართველოში გაბატონებულია კრიმინალური სუბკულტურა „კანონიერი ქურდების“ სახით. აღნიშნული სუბკულტურის ტრადიციებისა და წეს-ჩვეულებების მიმდევრებს საქართველოში შეხვდებოდით ყველა ფენის და პროფესიის წარმომადგენლებში და თითქმის ყველა სოციალურ

<sup>40</sup> ჰენრი კუპრაშვილი; „საქართველოს ეროვნული უშიშროება“, გამომცემლიბა „უნივერსალი“, თბილისი, 2022 წ. გვ. 427

<sup>41</sup> ჰენრი კუპრაშვილი; „საქართველოს ეროვნული უშიშროება“, გამომცემლიბა „უნივერსალი“, თბილისი, 2022 წ. გვ. 424

ფენაში (რამდენადაც გასაკვირი არ უნდა იყოს, გარკვეულ პერიოდამდე, მათ შორის, ქვეყნის ძალოვან სექტორშიც).

ჯერ კიდევ წინა საუკუნეებში, საქართველოში ბატონყმური წესწყობილების დროს მოსახლეობაში არსებობდნენ პიროვნებები, რომლებიც დამკვიდრებული წესჩვეულებების წინააღმდეგ მიდიოდნენ და ცდილობდნენ საუკუნეების მანძილზე დაკანონებული წეს-ჩვეულებების დარღვევას და მათ წინააღმდეგ წასვლას, რაც გამოიხატებოდა იმ პერიოდში არალეგალური და კანონსაწინააღმდეგო ქმედებებით. (მაგალითად, გურიაში ფირალები, სამეგრელოსა და აფხაზეთში აბრაგები და ა.შ). მაგალითისთვის ისიც კმარა, რომ ჯერ კიდევ 19-ე საუკუნის მეორე ნახევარში თბილისის მაშინდელ გუბერნიაში მოღვაწეობდა სახელგანთქმული ყაჩაღი ტატო წულუკიძე, რომელიც საკმაოდ პოპულარული „ავაზაკი“ იყო იმ პერიოდში.<sup>42</sup>

მოდით განვიხილოთ, თუ რა ფენომენი იყო ფირალობა: ფირალი — ყაჩაღი, ავაზაკი. სიტყვა ფირალი (ფირარ) არაბულად გაქცეულს ნიშნავს<sup>43</sup>. XVII საუკუნეში ასე მოიხსენიებდნენ ოსმალეთის არმიის დეზერტირებს. როგორც ისტორია გვაუწყებს აღნიშნული ტერმინი „ფირალი“ გურულ ყოველდღიურობაში აჭარიდან შევიდა.

ფირალების აღზევება გურიაში XIX საუკუნის მეორე ნახევარში აღინიშნება. ამის ძირითად მიზეზად შეიძლება მიჩნეულ იქნას იმ პერიოდში ქვეყანაში არსებული სოციალური და პოლიტიკური სიტუაციები, რასაც რუსეთის იმპერიის მიერ საქართველოს ანექსიაც დაემატა, რომლის დროსაც გურიის მოსახლეობა არ ეგუებოდა დაკანონებული კაბალური გადასახადებისა და კანონების აღსრულებას. აქვე უნდა დავამატოთ ის გარემოებაც, რომ მოსახლეობის უკმაყოფილებას ასევე იწვევდა რუსეთ-ოსმალეთის ომი, რაც რუსეთის იმპერიის მიერ ოკუპირებულ საქართველოში არსებულ ისედაც მძიმე მდგომარეობას კიდევ უფრო გაუსაძლისს ხდიდა,

<sup>42</sup> გამოცემა ბეგლარ ივ. ფილინოვისა, თბილისი, 1911 (სტ. "ნადეჟდა"), გვ. 174, [2]

<sup>43</sup> მახარაძე ი., „გურული ფირალები“, თბილისი, ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა, 2008, გვ.15

ყოველივე ზემოთ აღნიშნულის შედეგად, გლეხები უარს ამბობდნენ რუსული კანონების აღსრულებაზე, არ იხდიდნენ გადასახადებს, თვითნებურად ისაკუთრებდნენ მიწებს, ხდებოდა მეფის მიერ გამოგზავნილი წარმომადგენლების, მათ შორის, რუსი თავად-აზნაურების, ექზარქოსების და სამღვდლოების წარმომადგენლების მკვლელობები, რის შედეგადაც 1880 წლის დასაწყისიდან ფირალობამ მასობრივი ხასიათი მიიღო.

ისტორიულად ფირალობა ორ ეტაპად უნდა დავყოთ. პირველი ეტაპი XIX-ე საუკუნის მეორე ნახევარს მიეკუთვნება და ძირითადად ეკონომიური სიდუხჭირით იყო გამოწვეული გურიაში, ხოლო მეორე ეტაპი კი XX-ე საუკუნის დასაწყისში მომდლავრდა და მისი გაძლიერების მიზეზი იყო ქვეყანაში არსებული მძიმე პოლიტიკური სიტუაცია.

გარკვეული პერიოდის გასვლის შემდგომ, ფირალობა საკმაოდ პოპულარული გახდა ქვეყნის მოსახლეობისთვის, აღნიშნული პირები (ფირალები) გმირობისა და თავდადების სინონიმებად იქცნენ, ფირალების ცხოვრებაზე ითხზებოდა ლექსები, მითები და ნაწარმოებები (ეგნატე ნინოშვილის „სიმონა“, ლალიონის „ფირალი დავლაძე“, ე. ურუშაძის „ფირალები“ და ა.შ).<sup>44</sup> ამასთანავე, „ფირალობა“ უნდა დავყოთ ორ ნაწილად - პირველი და მეორე ტალღის ფირალობად.

პირველი ტალღა ძირითადად იყო გამოწვეული სოციალური პრობლემებით, რასაც თან დაერთო 1877-1878 წლების რუსეთ-ოსმალეთის ომი, რომლის ფრონტის ხაზიც გურიაზე გადიოდა. აღნიშნული ომის დამთავრების შემდეგაც კი არ მომხდარა გურიის მილიციის რაზმების დაშლა, რამაც ძალზედ მძიმედ იმოქმედა გურიის მოსახლეობაზე, ვინაიდან საკმაოდ ბევრი ოჯახი დარჩა მუშა ხელის, მარჩენალის გარეშე. შეიარაღებული გლეხები კი იძულებული გახდნენ კანონგარეშე საქმიანობით დაკავებულიყვნენ, რათა ოჯახები ერჩინათ, აღნიშნული პირები ფაქტიურად პოტენციურ დამნაშავეთა დაჯგუფებებად იქცნენ.

<sup>44</sup> ხინთიბიძე ა. „გურული ფირალები“, თბილისი, საქართველოს სამხარეთმცოდნეო საზოგადოება, 1938. გვ.115

რაც შეეხება მეორე ტალღას იგი პირველი ტალღისაგან განსხვავდება მხოლოდ მოტივებითა და მიზნებით. თუკი პირველი ტალღა ეყრდნობოდა სოციალურ პრობლემებს (მიწის არგადაცემას და მირითადად ოჯახისთვის საჭმელ-სანოვაგის შოვნის აუცილებლობით იყო გამოწვეული), მეორე ტალღა უკვე მკვეთრად პოლიტიკურ ელფერს ატარებდა და ეროვნული სულისკვეთებით იყო განმსჭვალული. ფირალები ჩაბმულები იყვნენ რუსეთის 1905 წლის რევოლუციაშიც. ისინი საკმაოდ აქტიურად მონაწილეობდნენ ქვეყნის პოლიტიკური და სოციალური პრობლემების მოგვარებაში, აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ფირლები ქვეყანაში აქტიურად იყვნენ ჩართული საომარ ვითარებებშიც ( მაგალითად, ნასაკირალის ბრძოლა) და გურის პოლიტიკურ დღისწერიგშიც საკმაოდ მნიშვნელოვანი როლი ეკავათ (გურის რესპუბლიკის გამოცხადება)<sup>45</sup>, ფირალები მონაწილეობდნენ თავადაზნაურების წინააღმდეგ წარმოებულ გლეხების პროტესტებში, სადაც მათი როლი გამოიხატებოდა ძალისმიერ ქმედებებში, თავად-აზნაურებისა და იმდროინდელი ჩინოვნიკების წინააღმდეგ წარმოებულ ტერაქტებსა და მკვლელობებში.<sup>46</sup> (აღნიშნული თარიღდება 1903 წლით).

ფაქტიურად აღნიშნული ქმედებები ჯერ კიდევ მე-20 საუკუნეში ატარებდა „ჰიბრიდული ომის“ ისეთი ნაირსახეობის ელემენტებს, როგორიც არის ასიმერტიული ომი და საკმაოდ წარმატებულად გამოიყენებოდა მცირერიცხოვანი გურული მეამბოხე-ფირალების მიერ მათზე ბევრად უფრო ორგანიზებულ და სამხედრო თვალსაზრისით უკეთესად აღჭურვილ და მომზადებული რუსული საიმპერიო არმიის წინააღმდეგ.

მოდით განვიხილოთ ასევე „აბრაგის“ მნიშვნელობა. რას ემსახურებოდა აღნიშნული მიმდევრობის წარმომადგენლები: „აბრაგი“ — სიტყვა "აბრაგი" არ არის ადგილობრივი წარმომავლობის და სარმატულ-ალანურიდან დამკვიდრდა ქართულ ენაში.

<sup>45</sup> ნასაკირალის ბრძოლა, <http://mematiane> (ბოლო ნახვა- 12.12.2022)

<sup>46</sup> გახარაძე ი., „გურული ფირალები“, თბილისი, ბაკურ სულავაურის გამოცემლობა, 2008, გვ.43.

აბრაგობა, როგორც ასეთი, სოციალურ ფესვებზე აღმოცენდა, როდესაც ქვეყანაში არსებულ სოციალურ პრობლემებს საკმაოდ კარგად მოერგო გარკვეული ტიპის ადამიანები მართლსაწინააღმდეგო ქცევის სტილით და რაც მანამდე გაბატონებულ ყველა გვაროვნულ წესწყობილებას ეწინააღმდეგებოდა. სიტყვა აბრაგი მეგრულ ენაში ასოცირდებოდა ისეთ ადამიანთან, რომელიც თავისი გვარიდან განდევნილი იყო და მომთაბარე ცხოვრებას ეწეოდა, ძირითადად ტყეში ცხოვრობდა და ყაჩაღობითა და ძარცვით ირჩენდა თავს. თავიდან ეს ქმედება არ იყო მოწონებული და ღირსეული ვაჟკაცისთვის საძრახის ქცევად ითვლებოდა.<sup>47</sup>

უკვე ბატონყმობის აღზევების პერიოდში აბრაგები დაჩაგრული გლეხობის ქომაგად და მცველებად ითვლებოდნენ. უკვე საძრახისი საქციელიდან, მისაბაძ პიროვნებებად იქცნენ. შემდეგაც ფაქტიურად ბატონყმობისგან თავდაღწეული გლეხი აბრაგული ცხოვრებით ცხოვრებას ცდილობდა და ასე იცავდა საკუთარ უფლებებს<sup>48</sup>.

აღნიშნული კანონგარეშე ქმედებები ასიმეტრიული ომის გარკვეულ ელემენტებს ატარებდა და აღნიშნული მიმდევრობაც, ისევე როგორც „ფირალობა“ შეგვიძლია „ჰიბრიდული ომის“ წარმოების პირველ ნაბიჯებად ჩავთვალოთ საქართველოს ტერიტორიაზე. აღნიშნული ფენომენი საკმაოდ ღრმად ჩაიბეჭდა ქართული და კავკასიური ეთნოსის მატარებელი ხალხების გონებაში, მაგალითისთვის შეგვიძლია ისეთი ნაწარმოებების ჩამოთვლა როგორიც იყო ჭაბუა ამირეჯიბის „დათა თუთაშხია“, „ხარება და გოგია“, „მაცი ხვიტია“, „არსენა მარაბდელი“, რომელიც ფაქტიურად ინგლისური რობინ ჰუდის პროტოტიპია და მისი ფილოსოფია ისევე როგორც რობინ ჰუდისა იყო ის, რომ იგი მდიდრებს ართმევდა და ღარიბებს და გაჭირვებულებს ურიგებდა ნაალაფარს. (ცნობისთვის აღნიშნულ ფოლკლორულ პერსონაჟს არსენა მარაბდელს, მცხეთაში ძეგლიც კი აქვს აღმართული). ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან შეგვიძლია დავასკვნათ ის ფაქტი, რომ თავისუფლება-მოყვარულ და მოწყურებულ ისეთ ამაყ ქვეყანას, როგორიც საქართველო იყო,

<sup>47</sup> საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა, აბრაგი <http://www.nplg.gov.ge> (ბოლო ნახვა- 12.12.2022)

<sup>48</sup> ჯანაშია ს., ენციკლოპედია „საქართველო“, ტ. 1, თბილისი, 1997. — გვ. 31.

ოდითგანვე გენეტიკურ დონეზე ჰქონდა გასისხლხორცებული ბრძოლა თავისი იდენტობისა და თავისუფლებისთვის. თავად რომ არ იცოდა, ისე იყენებდა „პიბრიდული ომის“, ერთ-ერთ ელემენტს - ასიმეტრიულ ომს. თუმცა, მოდით ვნახოთ, უკვე მოგვიანებით რაში გადაიზარდა და როგორ დამახინჯდა დაუოკებელი სწრაფვა და ბრძოლა თავისუფლებისთვის.<sup>49</sup>

იმისათვის, რომ შევძლოთ ისეთი სუბკულტურის, როგორიც „ქურდული სამყარო“, მოკლედ აღწერა, აუცილებელია უფრო სიღრმისეულად გავიაზროთ „კანონიერი ქურდების ინსტიტუტის“ ჩამოყალიბების ზუსტი დრო და ადგილი, რაზეც მეცნიერებს დრევანდელ დღემდე საერთო მოსაზრება არ გააჩნიათ . იმ დროინდელი კრიმინალური სამყაროს ყველაზე დაფასებული პირები იყვნენ ე.წ „მარვიხიორები“. ისინი ყველაზე პრივილეგირებული მასა იყო მაშინდელ ქურდულ სამყაროში (ძირითადად ჯიბის ქურდობით ირჩენდნენ თავს), მათ თავისი საზოგადოებაც კი ჩამოყალიბეს, რომელსაც „ხერვიმახერები“ ერქვათ და ძირითადად, მათთვის სავალდებულო ქმედება იყო თავისიანების დახმარება და გასაჭირში არმიტოვება,<sup>50</sup> მათ შორის პატიმრობის პერიოდშიც. გარკვეული მეცნიერები თვლიან, რომ „კანონიერი ქურდების“ პირველადი ვარიანტი ე.წ „ივანები“, „ჟიგანები“ და „ფარტოვები“ იყვნენ. დადასტურებული ინფორმაციით, ისინი ჯერ კიდევ მეფის რუსეთის პერიოდში, ძირითადად, ოდესის ოლქში და რუსეთის იმპერიის დიდ ქალაქებში „მოღვაწეობდნენ“, აღნიშნულ მიმდევრობას ისეთი გამოჩენილი ფუძემდებლები გააჩნდა, როგორებიც იყვნენ მოშე-იაკობ ვინიცკი (მიშვა იაპონჩიკი) და ნაფტალი ფრენკელი. ხოლო მოსკოვის ოლქში ზემოხსენებული პირებამდე, ჯერ კიდევ დედოფალ ელიზავეტას მმართველობის პერიოდში, ვანკა კაენი მოღვაწეობდა. აქედან მაშინდელ კრიმინალურ იერარქიაში ყველაზე მაღალი საფეხური ეკავათ ე.წ „ივანებს“. ისინი რეალურად თავისი ცხოვრების სტილით ე.წ „კანონიერი ქურდების“ წინამორბედები იყვნენ და მაშინდელ პატიმრებს და ციხის ადმინისტრაციას შიშის

<sup>49</sup> Galeotti, M „Russian Political Wa,, , England, Ebury Press 2024, pep;156

<sup>50</sup> Г.Глонти, Г. Лобжаниძე, Профессиональная преступность в Грузии (воры в законе) монография, Тбилиси, 2004 г, ст.13

ზარს სცემდნენ, ამ სტატუსის მატარებლები რეალურად ციხის ბატონ-პატრონები იყვნენ .<sup>51</sup> შემდგომი საფეხური ეკავათ ე.წ „ხრაპ“-ებს, რომლებსაც აღნიშნული ზედმეტსახელი იმიტომ შეარქვეს, რომ მუდმივად უკმაყოფილოები იყვნენ და სულ ჩახლეჩილი ხმით საუბრობდნენ. შემდეგი საფეხური კი ეკავათ ე.წ „ჟიგანებს“. მათ ციხის პროლეტარიატად მოიხსენიებდნენ, ისინი ყველაზე მრავალრიცხოვან და ღარიბ ფენას წარმოადგენდნენ. ყველაზე დაბალი საფეხური მაშინდელ კრიმინალურ ერარქიაში ე.წ „შპანკა“-ს ეკუთვნოდა. ისინი უუფლებო და დაჩაგრული მასა იყო და ძირითადად, გლეხებისგან შედგებოდა. ამ კატეგორიას ექსპლუატაციას უწევდა ქურდული ერარქიის ყველა დანარჩენი წარმომადგენელი.<sup>52</sup>

ალბათ, პირველი დამნაშავე, რომელიც თავის თავს „პატიოსან ქურდს“ ეძახდა, იყო მოსკოვში მოღვაწე ვანკა კაინი. იგი ჯერ კიდევ 1700-იან წლებში დაკავებული იყო ბანდიტიზმით, ქურდობით და გატაცებებით. „ვანკა“ არ თაკილობდა „ოხრანკისა“ და პოლიციის მაღალჩინოსნებთან თანამშრომლობას და მეგობრობას ( ჯერ კიდევ იმ პერიოდიდან ჩაეყარა საფუძველი კრიმინალური სამყაროსა და ძალოვანი სტრუქტურების თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების მავნე პრაქტიკას). სწორედ ასეთი მიდგომით მოახერხა მან თავისუფლების აღკვეთის ადგილის დატოვება მას შემდეგ, რაც 1730-1740-იან წლებში გამოვიდა ამინისტრია იმ მსჯავრდებულებზე, ვინც სამართალდამცავებს მიაწვდიდა ინფორმაციას დამნაშავეების ადგილმდებარეობისა და საქმიანობის შესახებ. ვანკამ დრო არ დაკარგა, ისარგებლა აღნიშნული ვითარებით და თავის ყველა კონკურენტზე და მისთვის არასასურველ პიროვნებაზე გასცა ინფორმაცია, რის შედეგადაც თავად მიიღო თავისუფლება, კონკურენტებიც მოიშორა და იმ დროინდელ ძალოვნებთან (პოლიციასტერებთან და ოხრანკის მაღალჩინოსნებთან) საკმაოდ კარგი ურთიერთობა ჩამოიყალიბა, რომლის მეშვეობითაც წლების მანძილზე სარგებლობდა საკუთარი ინტერესებიდან გამომდინა. ხშირ შემთხვევებში ამას სჩადიოდა,

<sup>51</sup> Г.Глонти, Г. Лобжанидзе, Профессиональная преступность в Грузии (воры в законе) монография, Тбилиси, 2004 г, ст.14

<sup>52</sup> Г.Глонти, Г. Лобжанидзе, Профессиональная преступность в Грузии (воры в законе) монография, Тбилиси, 2004 г, ст.15

უბრალოდ კონკურენტების თავიდან მოსაშორებლად, ან საკუთარი გავლენების გასაფართოვებლად და გასაძლიერებლად.<sup>53</sup>

მოშე-იაკობ ვინიცკი (მიშვა იაპონჩიკი) და ნაფტალი ფრენკელი უკვე 20-ე საუკუნის დასაწყისიდან ჩნდებიან ოდესის რეგიონში. მათი ერთ სოციუმში, დაბადებისა და აღზრდის მიუხედავად, ისინი მაინც კარდინალურად განსხვავდებოდნენ ერთმანეთისგან, როგორც მენტალურად, ისე საქმიანობით. მაშინ, როცა მოშე-იაკობ ვინიცკი (მიშვა იაპონჩიკი) საკმაოდ განათლებული და წარმატებული ადამიანი იყო ახალგაზრდობაში (სანამ არჩევანს კრიმინალურ მომავალზე დაკეთებდა), საკმაოდ მაღალანაზღაურებად და პრესტიჟულ თანამდებობას იკავებდა, იყო ელექტროგამტარი (კონტროლიორი). იმ პერიოდისთვის მეტად დაფასებულ და ელიტურ საქმიანობად ითვლებოდა, ჩვენი დღევანდელი გადმოსახედიდან ეს ტოპ მენეჯერის თანამდებობაა. მას უფლება ჰქონდა ფაქტიურად ყველა დიდი და პატარა ორგანიაციისა და საამქროს გაკონტროლების, რაც მის ტერიტორიაზე მდებარეოდა.<sup>54</sup> მან ყველა საფეხური გაიარა რიგითი კრიმინალიდან ოდესის ოლქის კრიმინალური სამყაროს მეფობამდე და ყველა თავის წარმატებას მხოლოდ და მხოლოდ საკუთარი გამჭრიახობისა და განსაკუთრებული უნარისგამო აღწევდა. მას შეეძლო ხალხზე ზემოქმედება და მათი კეთილგანწყობის მოპოვება. „მიშა იაპონჩიკი“ არ თაკილობდა ჸკვდ-ს მაშინდელ მაღალჩინოსნებთან და მოსამართლეებთან ახლო ურთიერთობას და არც კრიმინალური სამყაროს წევრების მაშინდელ მეფეებთან ურთიერთობას და ამ ყოველივეს ისე ახერხებდა, რომ მისდამი არასოდეს არავის არანაირი პრეტენზიაარ გასჩენია. საკმაოდ ახლო ურთიერთობა ჰქონდა ისეთ ოდიოზურ პიროვნებებთან, როგორიც იყვნენ ნიკოლაი ეჭოვი - იგივე "რკინის სახალხო კომისარი" და "სისხლიანი ქონდრისკაცი". შს სახალხო კომისარიატის მეთაურთან, ვიქტორ აბაკუმოვთან, რომელიც ჯერ ახალგაზრდა იყო და ახლა იწყებდა თავის ხმაურიან კარიერას ჸკვდ-ს რიგებში, ჯერ კიდევ არ იყო ძლევამოსილი, თავისი „სახელგანთქმული დაკითხვების

<sup>53</sup> Mark Galeotti The Vori Russia's Super Mafia, Yale University Press, New Haven and London. 2018 Year Paper 37.

<sup>54</sup> ისტორიული მიმოხილვა მიხეილ ვინიცკის ცხოვრებაზე <https://shorturl.at/ZTFzD> (ბოლო ნახვა 12.12.2022)

მეთოდები “ჯერ არ ჰქონდა შემუშავებული. (ცნობისთვის აბაკუმოვი პირად ფავორიტად მიიჩნევდა მიხაილ ვინიცვის და მაქსიმალურად მფარველობდა მას. თვალს ხუჭავდა, მის გადაცდომებზე, რასაც კომუნისტური პარტიისა და ქვეყნის ინტერესებით ნიღბავდა). 1914 წლისთვის მოშე-იაკობ ვინიცვი (მიშვა იაპონჩიკი) ფაქტიურად აკონტროლებდა ოდესის ოლქის მთელ იატაკქვეშა ბიზნესებს - ოდესის ოლქის პორტების და ყველა შემოსავლიანი დაწესებულების და მთელი ლეგალური ბიზნესის 60%-ს ზედამხედველობდა. თუმცა, „მიშვა იაპონჩიკი“ აღნიშნული ძალაუფლებით არ დაკმაყოფილდა და როგორც შეეფერება ავანტურისტ პიროვნებებს, უფრო მეტი ძალაუფლება მოისურვა. საკუთარ თავში მეტი შესაძლებლობები დაინახა იმდროინდელ საბჭოთა კავშირში 1919 წელს მიმდინარე შეტაკებებში პეტლიურას, თეთრი გვარდიის წინააღმდეგ. გადაწყვიტა ჩართულიყო ბურჟუაზიის წინააღმდეგ რევოლუციურ ბრძოლაში. ოდესის ოლქში შექმნა იატაკქვეშა ორგანიზაცია,<sup>55</sup> რომელიც ძირითადად ებრაელებისგან შედგებოდა (სამუილ ზატჩერი, ბორის იუზეფოვიჩი, ფრენკელი, როიტმანი და სხვა.) „მიშვა იაპონჩიკის“ შექმნილი სინდიკატის მიერ (სიტყვა სინდიკატს იმიტომ ვხმარობ, რომ ჯერ კიდევ იმ პერიოდში, მან შეძლო ოდესის ოლქში მოქმედი ყველა ორგანიზებული დანაშაულებრივი დაჯგუფებების ერთი ქოლგის ქვეშ მოქცევა, რაც თითქმის რამდენიმე ათწლეულით უსწრებდა ცნობილი ნიუ-ორკის 5 ოჯახის სინდიკატის წარმოქმნას) არალეგალური გზებით ხდებოდა კომუნისტი იატაკქვეშა მებრძოლებისთვის და რეგულარული არმიისთვის კონტრაბანდული გზით იარაღის და აღჭურვილობის მიწოდება, რაც რა თქმა უნდა, პირადად მას და მის სინდიკატს, ამდიდრებდა და აძლიერებდა. „მიშვა იაპონჩიკი“ არც ამით დაკმაყოფილდა და მეტი მოინდომა, მან შექმნა რეგულარული არმიის მაგვარი დანაყოფი და ოფიციალურად შეუერთდა რეგულარულ წითელ არმიას. იგი ამ ქმედებებით აპირებდა თავისი გავლენების გაფართოებას ახლად ჩამოყალიბებული მთავრობის თვალში).<sup>56</sup> შემდეგ

<sup>55</sup> Методологические основы исследования преступности <https://shorturl.at/bK7gv> (ზოლო ნახვა 12.12.2023)

<sup>56</sup> გვენეტაძე, ე. საერთაშორისო უშიშროების ასკუტები. თბილისი: იურისტების სამყარო, 2017.

კი, როცა მიხვდა, რომ რეგულარულ არმიასთან ერთად ბრძოლა რთული იყო და გარკვეულ უნარებს და ცოდნას საჭიროებდა, რაც, რა თქმა უნდა, მის დაქვემდებარებაში მყოფ დანაყოფს არ გააჩნდა და ვერც ექნებოდა, სახლში დაბრუნება გადაწყვიტა თავისი დანაყოფით. ამისათვის აიღეს ორი მატარებელი და სახლისკენ გაემგზავრნენ. 1919 წლის 24 ოქტომბერს იგი თავის შტაბთან ერთად ვოზნესენსკს უახლოვდებოდა, როცა მატარებელი გაჩერდა. მიშვა იაპონჩიკი, მისი მეუღლე და ერთ -ერთი თანამებრძოლი. ვინმე ხალიბი, ჩავიდნენ, რათა გაჩერების მიზეზი გაერკვიათ, რა დროსაც მათ დახვდა НКВД-ს ორი თანამშრომელი (გუბჩევ ურსულოვი და ვინმე ზორინი). კითხვაზე, თუ რატომ გააჩერეს მისი მატარებელი, არაფერი უპასუხეს, უბრალოდ, ცეცხლი გაუხსნეს „მაუზერის“ წარმოების ცეცხლსასროლი იარაღიდან და სამივე ადგილზევე დახოცეს. ასე დამთავრდა, ალბათ, ერთ-ერთი ყველაზე გამოჩენილი და სახელგანთქმული კრიმინალური ავტორიტეტის, მოშე-იაკობ ვინიცვის (მიშვა იაპონჩიკი) ავანტიურით აღსავსე ცხოვრება.<sup>57</sup>

1883 წლის აპრილში ქალაქ სტამბულში დაიბადა ლეგენდარული კრიმინალი, თაღლითი, შემდგომში კი გენერალ-ლეიტენანტის ჩინის მატარებელი, გულაგ-ის ერთ-ერთი სულისჩამდგმელი და კურატორი, ლენინის ორდენის მრავალგზის კავალერი, ნაფტალი არონოვიჩ ფრენკელი. ასეთი ეპითეტების შემდეგ, ალბათ, რთული იქნებოდა რაიმეს დამატება ადამიანზე, რომელმაც ფაქტიურად საზოგადოების ყველაზე დაბალი ფენიდან (კრიმინალიდან და აფერისტიდან), შეძლო და ისტორიაში შევიდა, როგორც ადამიანი, რომელმაც შექმნა ისეთი გრანდიოზული ორგანიზაცია, როგორიც იყო საბჭოთა კავშირის დროს გულაგ-ი. დიახ, ორგანიზაცია, არ შემცდარხართ. ფაქტიურად ეს იყო საბჭოთა კავშირის სასჯელაღსრულების დაწესებულებები, რომლებიც ერთ დიდ ორგანიზაციას წარმოადგენდნენ, სადაც სახელმწიფოს სასარგებლოდ, გარკვეული მიზნების მისაღწევად, ძირითადად ინფრასტრუქტურული პროექტებისა და მომავლის ტექნოლოგიების

<sup>57</sup> მიშვა „იაპონელის“ ცხოვრების ისტორიული მიმოხილვა <https://shorturl.at/ZTFzD> (ზოლო ნახვა 12.12.2022)

დასამკვიდრებლად უსასყიდლოდ შრომობდნენ მსჯავრდებულები, ხდებოდა ადამიანების მონური ექსპლუატაცია. <sup>58</sup>

მოდით გავიაროთ ნაფტალი ფრენკელის ბიოგრაფია უფრო დეტალურად, საიდან დაიწყო და სად დაამთავრა თავისი კრიმინალური კარიერა. კრიმინალური კარიერის დასაწყისში ნაფტალი არონოვიჩ ფრენკელი თავს ირჩენდა ძირითადად წვრილმანი თაღლითობებითა და აფიორებით, ახდენდა გარკვეული კრიმინალური ავტორიტეტის და კაპიტალის დაგროვებას. დასაწყისში მან თავი გამოიჩინა და გამოავლინა იშვიათი უნარი ადამიანების ამოცნობის, მათი სუსტი წერტილების მოძიების და საჭიროების შემთხვევაში შეეძლო ადამიანების ერთმანეთზე გადაკიდების. ამ ყველაფერთან ერთად ფლობდა უნარს, გარკვეული ზეგავლენის ქვეშ მოექცია როგორც ინდივიდები, ისე გარკვეული ჯგუფები. ეს ყველაფერი შეუმჩნეველი არ დარჩა მის ხელმძღვანელობას და იგი გაგზავნეს ევროპაში განათლების მისაღებად. ევროპული განათლებამიღებული ნაფტალი ფრენკელი, სამშობლოში დაბრუნდა საკუთარ თავში დარწმუნებული გამდიდრების მტკიცე გადაწყვეტილებით. შემდეგ ბრუნდება მშობლიურ ოდესაში და იწყებს უკანონო საქმიანობებს. მისი უფროსს უცხოეთში შეძენილი ხშირად უხარისხო საქონელი შემოჰქონდა, რომლის გასაღებასაც ფრენკელს ავალებდა. აღნიშნული დავალება ფრენკელმა წარმატებით შეასრულა, უფრო მეტიც, შექმნა ტავერნებისა და ბარების მეპატრონების გარკვეული ქსელი, რომლის საშუალებითაც აღნიშნულ საქონელს ასაღებდა. თვითონაც და მისი უფროსიც სოლიდურ შემოსავალს ღებულობდნენ, მაგრამ ფრენკელი ამაზე არ შეჩერებულა, დიდი რისკის ფასად, საქონელი ბირჟაზე გაიტანა. რისკმა გაამართლა, რითიც საკუთარი გავლენები და შემოსავლები გაათმაგა. <sup>59</sup>

<sup>58</sup> Исследование преступности несовершеннолетних в истории Российской криминологической науки [rb.gy/4w48ka](https://rb.gy/4w48ka) (ბოლო ნახვა 12.12.2022)

<sup>59</sup> ნაფტალი აარონის ძე ფრენკელი, ბიოგრაფია <https://shorturl.at/hrPhK> (ბოლო ნახვა 12.12.2022)

ზემოთ ხსენებულმა ვითარებამ ფრენკელი საკმაოდ პოპულარულ, გავლენიან და ანგარიშგასაწევ ფიგურად აქცია მთელი ოდესის ოლქში. მაშინ, როცა უკვე საკუთარ თავს კრიმინალური კარიერის პიკზე მოიაზრებდა, როცა პოპულარულარობაც ჰქონდა და დიდი შემოსავლებიც, ჰორიზონტზე გამოჩნდა ოდიოზური და ანგარიშგასაწევი მძიმეწონოსანი, კრიმინალური ავტორიტეტი „მიშა იაპონჩიკი“ (იგივე მოშე-იაკობ ვინიცკი). იმ პერიოდში რეალურად მისი იგნორირება, ან რაიმე გზით მოტყუება, შეუძლებელი იყო, ვინაიდან აღნიშნულ სიტუაციაში ოდესის ოლქში იგი განაგებდა ყველას და ყველაფერს. ფრენკელი მიხვდა, რომ ჯობდა დამორჩილებოდა იმდროინდელი კრიმინალური სამყაროს მეფეს, წინააღმდეგ შემთხვევაში შესაძლოა ყველაფერი დაეკარგა. ამიტომაც ნაფტალი ფრენკელი „მიშა იაპონჩიკის“ დაჯგუფების წევრი ხდება, რაც მას განუსაზღვრელ ძალაუფლებასა და შესაძლებლობებს უხსნის, თუმცა, მიუხედავად ყოველივე ამისა, იგი მაინც უკმაყოფილოა იმ წეს-ჩვეულებების, რაც „მიშა იაპონჩიკის“ დაჯგუფებაში მოქმედებდა, კერძოდ, მისთვის მიუღებელი იყო ის ფაქტი, რომ ხდებოდა ებრაული წამომავლობის ხალხის ძარცვა და მოტყუება. <sup>60</sup> როგორც კი მოძლიერდა ნაფტალი ფრენკელი, ქმნის უკვე თავის დაჯგუფებას (რომელიც „მიშა იაპონჩიკის“ დაჯგუფების ქოლგის ქვეშ არის, თუმცა, გარკვეულ ავტონომიას მაინც ინარჩუნებს). აღნიშნული დაჯგუფება დაკავდება კონტრაბანდული საქონლის გადაზიდვა-გასაღებით. საქმე იქამდეც კი მიდის, რომ ნაფტალი ფრენკელის დაკვეთით ბევრი ეგრეთწოდებული „არტელი“, ცნობილი ევროპული მარკების საქონელს ამზადებს. შემდეგ ორიგინალებად ასაღებენ და ყიდიან რუსეთის იმპერიის ტერიტორიაზე და არა მარტო რუსეთში, რეალურად, ალბათ, მთელი ევროპის მასშტაბითაც. „ოსტაპ ბენდერის“ ცნობილი ფრაზა, რომ მთელი კონტრაბანდა ოდესაში, მალაია არნაუტსკაიაზე კეთდება, სიმართლე იყო.<sup>61</sup> რეალურად ფრენკელმა შექმნა იმპერიაში თავისი პირადი იმპერია, რომელიც იმდენად ძლიერი იყო, რომ შეეძლო გავლენა მოეხდინა არსებულ სიტუაციებზე და გადაწყვეტილებებზეც კი, სახელმწიფოს

<sup>60</sup> Психология криминального поведения <https://shorturl.at/yAsih> (ბოლო ნახვა 12.12.2022)

<sup>61</sup> ნაფტალი აარონის ძე ფრენკელი, ბიოგრაფია <https://shorturl.at/nTjGC> (ბოლო ნახვა 12.12.2022)

მასშტაბითაც. იგი ყიდულობდა ჩინოვნიკებს, მოსამართლეებს, გუბერნატორებს, კრიმინალური პოლიციისა და სამძებროს მაღალჩინოსნებს, რიგით თანამშრომლებს. საქმე იქამდეც კი მივიდა, რომ მის მიერ მოსყიდულ იქნა, რამდენიმე მაღალი რანგის ძალოვანი სტრუქტურების ჩინოვნიკი მოსკოვში. ყოველივე ზემოთ ხსენებულიდან გამომდინარე, ნაფტალი ფრენკელის საქმიანობა უკვე იმდენად საშიში გახდა იმპერიისთვის, რომ მის შესახებ მოახსენეს მაშინდელი ყЕКА-ს (დღევანდელი უშიშროების მინისტრი) უფროსს, ფელიქს ძერჟინსკის, რომელსაც ბევრი არ უფიქრია, შეაფასა ფრენკელის ძალაუფლება, გავლენები და მიხვდა, რაოდენ საშიში იყო იგი ახლადჩამოყალიბებული და ჯერ კიდევ სუსტი კომუნისტური წყობისთვის, აღნიშნულად გამომდინარე, მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, ოდესის ოლქში მიევლინათ სპეციალური ჯგუფი, ვინმე დერიბასის ხელმძღვანელობით (სალსანიშნავია, რომ დერიბასის წინაპრები, კერძოდ, კი ბაბუა მონაწილეობას იღებდა ქალაქ ოდესის მშენებლობაში).<sup>62</sup>

მოკლედ ოდესის ოლქში დაიწყო დიდი ინტრიგების და თამაშების ეპოქა, რა თქმა უნდა, ნაფტალი ფრენკელს აღნიშნული აწყობდა და თავს ისე გრძნობდა, როგორც თევზი წყალში, იმის გათვალისწინებით, თუ რამდენად დიდი გავლენა და ნაცნობობა გააჩნდა, ნაფტალი თვლიდა, რომ იოლად დაამარცხებდა დერიბას, ვინაიდან ნაფტალის ყველგან თავისი ხალხი და მფარველები ყავდა, მათ შორის ყЕКА-ს რიგებში (იმ პერიოდში ახალგაზრდა და ძალიან იმედის მომცემი იაგოდა, რომელიც შემდგომ სათავეში ჩაუდგება იმპერიის უშიშროების სამსახურს), თუმცა ნაფტალიმ დაუშვა შეცდომა, თავისი შესაძლებლობების ზედმეტად გადაფასებაში. დერიბასი პირდაპირ კავშირზე იყო ფელიქს დერჟინსკისთან, ისე რომ ოდესის ოლქის დანაყოფს არც არაფერს არ ატყობინებდა და დავალებას პირადად ფელიქს დერჟინსკიდან იღებდა. ზუსტად აღნიშნულმა ფაქტორმა მოახდინა გადამწყვეტი გავლენა, სულ რაღაც რამდენიმე თვეში მოხდა ფრენკელის და მისი ჯგუფის დაკავება და გასამართლებაც, სასამართლომ მათ მიუსაჯა უმაღლესი სასჯელი, დახვრეტა.

<sup>62</sup> История развития феномена "вор в законе" <https://shorturl.at/lmVlc> (ბოლო ნახვა 12.12.2022)

როდესაც უკვე ყველანი დასახვრეტად გაიყვანეს ნაფტალი ფრენკელს გამოუცხადეს, რომ მისი სასჯელი შეიცვალა კატორლით, იგი სივდილს გადაურჩა, აქ იწყება მისი კარიერის თავბრუსდამხვევი აღმასვლა, როდესაც იგი რიგითი ტუსაღიდან გენერალ-ლეიტენატი ხდება.<sup>63</sup>

მას შემდეგ, რაც მას სიკვდილით დასჯა შეუცვალეს 10 წლით სოლოვკებში ტუსაღობაზე, იწყება ნაფტალი ფრენკელის აღმასვლის ახალი ეტაპი, რომელიც საბოლოოდ მას მიიყვანს კომუნისტური რუსეთის უმაღლეს მწვერვალებამდე.<sup>64</sup> ეს ყველაფერი კი დაიწყო იმით, რომ სოლოვკებში ყოფნის პერიოდში მან თავი გამოიჩინა, როგორც საკმაოდ მოხერხებულმა პატიმარმა, რომელსაც გარკვეული წახალისებების სანაცვლოდ შეეძლო რეალურად წარმოუდგენელი შედეგების მიღწევა პატიმრების მონური და არაადამიანური შრომის ხარჯზე. ეს მას დაუფასდა და სასჯელი ვადაზე ადრე დაუმთავრეს, უფრო მეტიც, ჩააბარეს ისეთი დიდი მონსტრი, როგორც НКВД-ს მიერ კონტროლირებადი ГУЛАГ-ია. აღნიშნული სისტემის მთელი ქსელების შექმნა ფაქტიურად ნაფტალი ფრენკელის მიერ მოხდა. იგი არის ამ ყველაფრის არქიტექტორი და დამაკვიდრებელი. მას კარგად ესმოდა, როგორ უნდა ემართა კრიმინალები და როგორ გამოეყენებინა უფასო მუშახელი (მაშინდელი საპატიმროები გადავსებული იყო ტუსაღებით). უფრო მეტსაც გეტუვით, ისეთი გრანდიოზული პროექტის მშენებლობის დროს, როგორიც იყო „Беломорско-Балтийский канал“-ი, უფასო მუშახელის სახით ერთ მილიონზე მეტი პატიმარი იქნა გამოყვანილი (ცნობისთვის აღნიშნული არხი ორჯერ აღემატება სუეცის არხს სიგანეში და რამდენიმეჯერ აღემატება სიგრძეში. მისი მშენებლობა სასაცილოდ მოკლე დროში დამთავრდა, სულ რაღაც 2 წელიწადში 1931-1933 წწ. ) აღნიშნული მიღწევების გამო ნაფტალი ფრენკელს მიენიჭა გენერალ ლეიტენატის წოდება და ის პრივილეგირებული ცხოვრება, რომელიც ერთეულებს თუ ჰქონდათ ყოფილ საბჭოთა კავშირში.

<sup>63</sup>ნაფტალი აარონის ბე ფრენკელი, ბიოგრაფია <https://shorturl.at/LRK7V> (ბოლო ნახვა 12.12.2022).

<sup>64</sup> Влияние "воров в законе" на криминологическую ситуацию в исправительных учреждениях <https://shorturl.at/zbxR3> (ბოლო ნახვა 12.12.2022).

ზემოთ აღწერილმა პროცესებმა განაპირობა ის, რომ საბჭოთა კავშირის საპატიმრო სისტემაში გაჩნდნენ ისეთი ტიპის პატიმრები, რომლებიც იყვნენ „პრივილეგირებულები“ და ძალოვანი ორგანოების წარმომადგენლების მიერ მხარდაჭერილები, რამაც ისინი საკმაოდ გააძლიერა და იერარქიულად უმაღლეს საფეხურზე დააყენა სხვა მსჯავრდებულებთან შედარებით. აღნიშნული გამორჩევის შედეგად მკვეთრად დაიხია უკან იმ ძირძველი და ისტორიულად კრიმინალურ სამყაროში წარმოშობილი ავტორიტეტების გავლენებმა, რომლებსაც მართლაც რომ იდეოლოგიურ დონეზე სწამდათ იმისა, რომ ებრძოდნენ სისტემას და უსამართლობას თავის ქვეყანაში. აღნიშნული პირების ძალაუფლების და გავლენის შესუსტება აწყობდათ როგორც გულაგ-ის ხელმძღვანელ პირებს, ისე სხვა ძალოვანი უწყებების წარმომადგენლებს, ვინაიდან ახლად წარმოქმნილი კრიმინალური სუბკულტურა, რომელთა ლიდერებიც თავს უწოდებდნენ „კანონიერ ქურდებს“, ადვილი სამართავები იყვნენ და მათთან შეთანხმებაც იოლი იყო გარკვეულ საკითხებში. უფრო მეტიც, მათი ქცევის კოდექსის ძირითადი საყრდენი იყო ისეთი ცნებები, რომლებიც ხელს უწყობდა მაშინდელი აღვირახსნილი მართლმსაჯულების აღსრულებას (მაგალითისთვის ჩვენების მიცემის აკრძალვა, ფალსიფიცირებული მტკიცებულებების აღიარება, „ჩადებული კანონსაწინააღმდეგო“ ნივთების თავის თავზე დაბრალება და სხვა).<sup>65</sup>

თუმცა მეორე სამამულო ომის დაწყებამ გარკვეული კორექტივები შეიტანა ამ იერარქიულ რგოლში. მაშინ, როცა ფრონტის ხაზზე საკმაოდ რთული სიტუაცია შეიქმნა, საბჭოთა კავშირის მაშინდელმა ხელმძღვანელებმა და მაღალჩინოსნებმა გადაწყვიტეს აღნიშნული ხალხის თავის სასიკეთოდ გამოყენება (ისევე როგორც „Беломор-Балтийский канал“-ის მშენებლობის დროს) ისევე როგორც, 1920-1930- იან წლებში, რაც რეალურად „კანონიერი ქურდების“ აღზევებისა და რენესანსის დროდ შეიძლება ჩავთვალოთ. მათ გაძლიერებას ხელს უწყობდა მთელი კომუნისტური

<sup>65</sup> Криминальная субкультура осужденных в исправительных учреждениях: "воры в законе", "воровские группировки", лидеры уголовно-преступной среды, криминальные "авторитеты" <https://shorturl.at/32vrV> (ზოლო ნახვა 12.13.2023).

რუსეთის ძალოვანი სამინისტროები და მათი მეშვეობით აკონტროლებდნენ პატიმრების აღნიშნულ კატეგორიას, რომლებიც რეალურად შეადგენდა უმეტესობას იმდროინდელ საბჭოთა კავშირში. ასევე ამ სუბკულტურის გაძლიერება გამოიწვია კიდევ ერთმა ფაქტორმა, კერძოდ, მაშინდელ მსოფლიო ბაზარზე ხე-ტყის მასალის გაძვირებამ, მსოფლიო ბაზარზე მნიშვნელობით მეორე ადგილზე მისმა გადანაცვლებამ განაპირობა ის ფაქტი, რომ საჭირო გახდა აღნიშნული ნედლეულის დიდი რაოდენობით მოპოვება. ამის საუკეთესო და ფინანსურად ყველაზე მომგებიანი ხერხი პატიმრების მეშვეობით, უფასო მუშახელის გამოყენებით მისი მოპოვება იყო.<sup>66</sup>

ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, კომუნისტური რუსეთის მაშინდელმა ხელმძღვანელობამ უმოკლეს ვადაში მიიღო გადაწყვეტილება, შეექმნათ მთელი რიგი ხის დამამუშავებელი საამქროები, რომლებიც განთავსდებოდა სასჯელაღსრულების დაწესებულებებში, სადაც პატიმრების უფასო მონურ შრომას გამოიყენებდნენ. ამან გააჩინა მსჯავრდებულების დიდი მასის მართვის და იძულების, არაადამიანურ პირობებში მათი შრომის გამოყენების ახალი საჭიროება. ზუსტად ამ ვითარებას მოერგო მსჯავრდებულების ის კატეგორია, რომლებიც გარკვეულ წილად ავტორიტეტითა და გავლენებით სარგებლობდნენ. აღნიშნულ სუბკულტურაში მათ თავის თავზე აიღეს პატიმართა მასის მართვა და საპირწონედ, თავისთვის გარკვეული ბონუსები მოითხოვეს. ამ სისტემის საბოლოო ჩამოყალიბებისას წარმოიქმნა ისეთი მიკროსამყარო, რომელიც შემდგომ გახდა ცნობილი, როგორც „ქურდული სამყარო“. აღნიშნულ სუბკულტურას პირველ ეტაპზე სერიოზულ ყურადღებას არ აქცევდნენ ძალოვანი სტრუქტურები, თუმცა, დროთა განმავლობაში, ხსენებული სუბკულტურა გახდა საბჭოთა კავშირში არსებული სისტემის განუყოფელი ნაწილი და ერთ-ერთი, ყველაზე გამოყენებადი გარკვეული სიტუაციების მართვისა და ხალხის დიდ მასებზე ზემოქმედების

<sup>66</sup> Криминологическая и психологическая характеристика криминальной субкультуры осужденных <https://shorturl.at/myneM> (ბოლო ნახვა 13.12.2023).

ძალისმიერი ბერკეტი,, თუმცა მოდით ამ ყველაფერს ცოტა მოგვიანებით დავუბრუნდეთ.

ГУЛАГ-ებში მოთავსებულ მსჯავრდებულებს, რომლებიც „ანტისაბჭოთა“ საქმიანობაში იყვნენ შემჩნეულები, შესთავაზეს თავისი დანაშაულის გამოსყიდვა, აღნიშნულ „დიდ“ მისიაზე წარმატებით განხორციელების შემდეგ მაშინდელმა საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა, პატიმრებისთვის შეეთავაზებინა ფრონტის ხაზზე თავისი დანაშაულის გამოსყიდვა.<sup>67</sup>

„პრივილეგირებული“ პატიმრების გარკვეულმა მასამ ასევე ფრონტის წინა ხაზზე წასვლა არჩია გულაგ-ებში დარჩენას, მათ შორის ბევრი ე. წ „კანონიერი ქურდიც“ იყო, რომლებიც ფაქტიურად მართავდნენ მაშინდელ პენინტენციურ სისტემას. აღნიშნული სუბკულტურის ზოგმა წარმომადგენელმა, იმდენად გამოიჩინა თავი საბრძოლო მოქმედებებში, რომ პოლკოვნიკის და ვიცე-პოლკოვნიკის წოდებებამდეც კი მიაღწია, ზოგმა გმირის წოდებაც მიიღო, რაც საკმაოდ დიდი მიღწევა იყო, იმ პერიოდის კომუნისტური სისტემის მართვას თუ გადავხედავთ.<sup>68</sup> თუმცა, როგორც ყოველთვის, ყველა ქმედებას ახასიათებს უკუქმედებაც. ამ შემთხვევაშიც ომის შემდგომ, მშვიდობიანობის პერიოდის დადგომისას 50- იან წლებში, მოხდა დიდი გახლება და დაპირისპირება „ქურდული“ სუბკულტურის ორ დიდ დაჯგუფებას შორის. ერთის მხრივ, „ მართალი“ ქურდების და მეორეს მხრივ, ეგრეთწოდებულ „ჩაშვებებს“ შორის, რომელთა რიგებშიც იყვნენ კრიმინალური სუბკულტურის ის წევრები, რომლებმაც სამამულო ომში მიიღეს მონაწილეობა. აღნიშნული დაპირისპირება ისტორიაში ცნობილი, როგორც „Сучья война“, სადაც ერთ მხარეს იყვნენ „ მართალი“ წეს-ჩვეულების მატარებელი კრიმინალური ავტორიტეტები და მეორეს მხრივ, „ჩაშვებული“ კრიმინალური ავტორიტეტები.

1948-წელს ვიშინსკის პორტში მოხდა ეგრედწოდებული „ჩაშვებულები“-ს შეკრება, რა დროსაც დანაზე ამბორის გარკვეული რიტუალიც კი მიიღეს, რითიც აღნიშნული

<sup>67</sup> ქურნალ Тайны XX века, 6 თებერვალი 2021 წ. გვ 27.

<sup>68</sup> ქურნალ Тайны XX века, 6 თებერვალი 2021 წ. გვ 28

პირები უარყოფდნენ წინა ცხოვრებას და წესებს. შემდგომ ამ ორ გავლენიან დაჯგუფებებს შორის მოხდა მასიური დაპირისპირებები და სისხლისღვრა გულაგ-ის ყველა დაწესებულების ტერიტორიებზე. დაღუპულების საერთო რაოდენობამ 40 000-ს გადააჭარბა. დაწესებულებების ადმინისტრაციები, რა თქმა უნდა, მხარს უჭერდნენ „ჩაშვებულებს“, რადგან ისინი მზად იყვნენ თანამშრომლობისთვის და „საერთო ინტერესიდან“ გამომდინარე, ნებისმიერ ქმედებებზე.<sup>69</sup> საქმე იქამდე მივიდა, რომ ციხის ადმინისტრაციები „ჩაშვებული“ ავტორიტეტებისგან ქმნიდნენ სპეციალურ „დამრტყმელ“ დაჯგუფებებს და მათ ეტაპირებებს ახდენდნენ, დაწესებულებიდან დაწესებულებაში, ამით „ურჩი“ კრიმინალური ავტორიტეტების და პატიმრების დამორჩილება და, საჭიროების შემთხვევაში მათი გატეხვა ხდებოდა, ხოლო განსაკუთრებით შეუპოვრების ლიკვიდაცია.<sup>70</sup> ასე ჩამოყალიბდა ახალი წეს წყობილებისა და წესრიგის დამყარება ისეთ ორგანიზმში, როგორიც იყო გულაგ-ი. საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე იწყებოდა ახალი ერა, ახალი წესებითა და ჩვეულებებით ისეთი კრიმინალური სუბკულტურის წარმომადგენლებისთვის, როგორებიც იყვნენ „კანონიერი ქურდები“. <sup>71</sup>

საბჭოთა კავშირის მაშინდელი ჴკვდ-ს თანამშრომლებმა „ჩაშვებულ“ ავტორიტეტებთან ერთად მაშინდელი გულაგ-ის ტერიტორიაზე შექმნეს და მოქმედებაში მოიყვანეს ქურდული სამყაროს მკაცრად განსაზღვრული დაუწერელი კანონები და მკაცრი იერარქიული სტრუქტურა. იერარქია, რომელიც მოქმედი იყო როგორც სასჯელადსრულებითი დაწესებულებების შიგნით, ასევე მათ ფარგლებს გარეთაც.

პოსტ-საბჭოური ქვეყნების ციხეებში პატიმართა შორის რთული იერარქია არსებობდა, რომელიც ყალიბდებოდა ისეთი ფაქტორების საფუძველზე, როგორიცაა

<sup>69</sup> უწადათ Тайны XX века, 6 თებერვალი 2021 წ, გვ 27

<sup>70</sup> უწადათ Тайны XX века, 6 თებერვალი 2021 წ, გვ 29

<sup>71</sup> Aradhana Sharma A. and Akhil Gupta A. “The Anthropology of the State: A Reader”, Oxford: Blackwell, London, 2007;pp;156

სოციალური მდგომარეობა, კრიმინალური წარსული, სასჯელის ხანგრძლივობა, დაწესებულებაში პატიმარის მოქცევა და სხვა ასპექტები. კირმინალური იერარქიის უმაღლეს საფეხურს აღნიშნულ სისტემაში იკავებენ ე.წ „კანონიერი ქურდები“.

„კანონიერი ქურდები“ ან კრიმინალური ავტორიტეტები წარმოადგენენ აღნიშნული იერარქიის მწვერვალს ციხის საზოგადოებაში. აღნიშნული პირები არიან ისეთი კრიმინალური ავტორიტეტები, რომლებმაც დაიმსახურეს „ქურდული საზოგადოების“ პატივისცემა და აღიარება. „დამსახურებები“ მოიპოვეს „ქურდული კანონის“ და წეს-ჩვეულებების მკაცრი დაცვის გამო. ისინი მართავენ ციხის შიგნით მოთავსებულ „მასებს“ (პატიმართა ჯგუფებს), აკონტროლებენ ციხეში ვაჭრობას და პირველადი მოხმარების ნივთებისა და პატიმართათვის აუცილებელი მომსახურების მიღებას, გარანტორები არიან, მონაწილეობენ პატიმართა შორის წარმოქმნილი კონფლიქტების მოგვარებაში, უზრუნველყოფენ სხვა პატიმრების დაცვას და ასევე მოქმედებენ, როგორც შიდა დავების არბიტრები. ზოგ მათგანს განსაკუთრებული დამსახურებებისთვის ანიჭებენ ტიტულს ე.წ „всесоюзные воры“-ის, რომლითაც ხდება მათი გავლენების და ავტორიტეტის მაქსიმალური ხაზგასმა.

„კანონიერი ქურდების“ მიერ სპეციალურად იქნა მიღებული გარკვეული ქცევების და წესების მთელი რიგი სავალდებულო კოდექსი, რომლის შესრულებაც ევალება ყველა იმ პიროვნებას, რომელსაც თავი მიაჩნია აღნიშნული სუბკულტურის წევრად ან მიმდევრად, აღნიშნულ „კოდექსში“ ცვლილებების შესატანად ან ახალი წევრის უმაღლეს იერარქიული საფეხურზე ასაყვანად, „კანონიერ ქურდად“ ქცევად ან რაიმე მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მისაღებად იკრიბებიან ე.წ „სხადნიაკებზე“ რომელზე დასწრების უფლება აქვს მხოლოდ უმაღლეს იერარქებს „კანონიერ ქურდებს“ ან იმ პირებს, ვისი ე.წ „კანონიერ ქურდად“, „მონათვლა“ სურთ.

იერარქიულად შემდგომ საფეხურს იკავებენ ე.წ „მაყურებლები“. ისინი აღნიშნული სუბკულტურის ყველაზე მაღალი საფეხურის წარმომადგენლები არიან, ეს „კანონიერი ქურდების“ შემდგომი რგოლია. აღნიშნულ პირებს ანსხვავებს

„კანონიერი ქურდებისგან“ ის გარემოება, რომ ისინი ერთი საფეხურით დაბლა დგანან, თუმცა „ქურდული“ კოდექსის ზედმიწევნით შესრულებისა და ე.წ „დარღვევების“ არარსებობის შემთხვევაში, უჩნდებათ შანსი „მოინათლონ“ „კანონიერ ქურდებად“.

მაყურებლები არაოფიციალური ლიდერები არიან ციხეებში მყოფ პატიმართა შორის, იმ შემთხვევაში, თუ ციხეში არ არის „კანონიერი ქურდი“, ე.წ „მაყურებლები“ შუამავლები არიან პატიმრებსა და ციხის ადმინისტრაციას შორის და მჭიდრო ურთიერთობა აქვთ ციხის ადმინისტრაციასთან. მათი სტატუსი და ავტორიტეტი აღიარებულია და მხარს უჭერენ სხვა პატიმრები. მაყურებლები უზრუნველყოფენ ციხეში არაფორმალური წესრიგის დაცვას, აკონტროლებენ დადგენილ ე.წ „პიჟატი“-ების შესრულებას (დაუწერელი წესების და ნორმების) და აგვარებენ კონფლიქტებს პატიმრებს შორის. სასჯელაღსრულების დაწესებულებებში მაყურებლებს შორის გამოარჩევენ ხოლმე ყველაზე გამოცდილს და ავტორიტეტულს, და მას ე.წ „Палаженец“-ად ხდიან, რაც მას აღნიშნულ დაწესებულებაში სხვა მაყურებლებზე მაღლა აყენებს რანგით და იგი იტოვებს საბოლოო გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობას ნებისმიერი სიტუაციის დროს. (სასჯელთაღსრულების დატოვების შემდგომ გადაცდომების არქონის შემთხვევაში, აღნიშნული პირები იძენენ ე.წ „მომავლის სტატუსს,“ რაც მათ აყენებს „კანონიერ ქურდად“ გახდომის მოლოდინის რეჟიმში). შედარებით დაბალი პოზიცია არის რეგიონალური „მაყურებლები“. აღნიშნული პიროვნებები აკონტროლებენ გარკვეულ რეგიონებს, შემდგომ არის კორპუსის (ამ შემთხვევაში იგულისხმება დაწესებულების ერთი სართული) საკნის, თამაშების, მოკლე და გრძელვადიანი შეხვედრების, და სამედიცინო ნაწილის „მაყურებლები“.

შემდეგ იერარქიულ საფეხურს აღნიშნულ სუბკულტურაში იკავებენ ე.წ „ბლატნოები“ (ავტორიტეტები). ესენი არიან პატივსაცემი პატიმრები, რომლებიც არ არიან

ოფიციალური ლიდერები, მაგრამ აქვთ მნიშვნელოვანი ავტორიტეტი სხვა პატიმრებს შორის. მათი აზრი ხშირად გათვალისწინებულია გადაწყვეტილების მიღებისას.

შემდეგ საფეხურს იკავებენ ე.წ „მუჟიკები“. ესენი არიან რიგითი პატიმრები, რომლებიც არ იკავებენ რაიმე მნიშვნელოვან პოზიციებს იერარქიაში. ისინი ცხოვრობენ დადგენილი წესებით და ასრულებენ საერთო მოვალეობებს, ისინი არ მონაწილეობენ არანიარი სერიოზული გადაწყვეტილების მიღებაში, ძირითადად ცხოვრობენ თავისთვის და აღნიშნულ კრიმინალურ სუბკულტურაში არანაირი კარიერული წინსვლის პრეტენზია არ გააჩნიათ.

შემდეგ საფეხურს იკავებენ ე.წ „შნირები“ (ხალხი, რომელსაც რაიმე ხელობა ეხერხებათ, მაგალითად, დალაქის ან მკერავის ან მეწალის ხელობა). ესენი არიან პატიმრები, რომლებიც ასრულებენ სხვადასხვა მცირე დავალებებს მაყურებლებისთვის და სხვა ავტორიტეტული პატიმრებისთვის. ისინი იერარქიის ყველაზე დაბალ საფეხურს იკავებენ, თუმცა შესაძლებელია, რომ დროთა განმავლობაში მათი სტატუსი „გაიზრდოს“.<sup>72</sup>

შემდეგი საფეხურის წარმომადგენლები არიან ე.წ „აბსლუგა“ (მომსახურე პერსონალი), რომლებიც ძირითადად ასრულებენ ისეთ საქმიანობას, როგორიცაა საკნების დალაგება და საჭმლის (ე.წ „ბალანდ“-ის) დარიგება, დაწესებულების მაღაზიდან პროდუქტის გადმოტანა და ტანსაცმლის გარეცხვა დაწესებულებაში მყოფი სხვა მაღალი იერარქიული საფეხურის მქონე პატიმრებისთვის..<sup>73</sup>

ყველაზე დაბალ საფეხურს იკავებენ ე.წ „ქათმები“, „დაჩაგრული“ („Опущенные“). ეს ის პატიმრებია, რომლებიც ციხის იერარქიაში ყველაზე დაბალ პოზიციას იკავებენ. მათ სტატუსს თან ახლავს მნიშვნელოვანი სოციალური დამცირება და მუდმივი ბულინგი. ხშირად აღნიშნულ საფეხურზე ხვდებიან კრიმინალური სამყაროს მაღალი

<sup>72</sup> Van Herpen, Marcel H., "Propaganda Machine: Soft Power and Russian Foreign Policy" England, Rowman & Littlefield Publishers, pep; 145

<sup>73</sup> Преступные короли Они командуют криминальным миром почти век. Их слово — закон для бандитов [rb.gy/n4howg](http://rb.gy/n4howg) (ბოლო ნახვა 19.09.2023)

იერარქიის წარმომადგენლებიც, რომლებმაც მძიმე გადაცდომები ჩაიდინეს სასჯელადსრულების დაწესებულებაში ან მის გარეთ, თავისუფლებაზე, მათი „ჩაშვება“ აღნიშნულ საფეხურზე ხდება ე.წ „კანონიერი ქურდების“ მიერ მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე.

აღნიშნული კატეგორიის პირთა მიმართ პენიტენციური დაწესებულების მსჯავრდებულების მიერ პერმამენტულად ხორციელდება ბულინგი და, რიგ შემთხვევებში, სექსუალური სახის ზეწოლა, მათ მირითადად ბინძური საქმისთვის იყენებენ, როგორიცაა საპირფარეშოების და ეზოს დალაგება, კანალიზაციის გაწმენდა და ა.შ. მათ უფლება არ აქვთ, საერთო ქვაბიდან ან ჭურჭლიდან მიირთვან საჭმელი, ისინი სპეციალურ საკნებში ცხოვრობენ და მათთვის არც ხელის ჩამორთმევა და არც არანაირი კონტაქტი არ შეიძლება, ჩვეულებრივი და მაღალი იერარქიის წარმომადგენელი პატიმრებისთვის აღნიშნული კონტაქტი მკაცრად იკრძალება არსებული კრიმინალური კოდექსით.

აღნიშნული კლასობრივი დაყოფა მსჯავრდებულებს შორის ჯერ კიდევ მეფის რუსეთიდან მოდის. აღნიშნული გამოწვეული იყო კომუნისტური წყობის, როგორც პოლიტიკური მიმდევრობისა და სახელმწიფოებრივი მართვის სტილიდან გამომდინარე. კომუნისტური წყობა ალტერნატიული სამართლიანობის აღდგენის საშუალებას არ აძლევდა ადამიანს და ჩანასახშივე ძალადობრივი და მიკერძოებული იყო.

ზემოთმოყვანილი ქცევა და ცხოვრების წესი სულ უფრო პოპულარული ხდებოდა პოსტსაბჭოურ ქვეყნებში, განსაკუთრებულად საქართველოს მოსახლეობაში, სადაც „კანონიერი ქურდები“ ფაქტიურად სიმართლისთვის და თავისუფლებისთვის ბრძოლის სინონიმად იქცნენ.

უკვე 60-70-იან წლებში მოხდა ე.წ „კანონიერი ქურდების“ სუბკულტურის კიდევ ერთი ტრანსფორმაცია, რის შემდეგადაც დაიწყო სუბკულტურის სახეცვლილება, კერძოდ, თუ მანამდე მიუღებელი იყო ე.წ „ცეხავიკებთან“ თანამშრომლობა და კარგი

ურთიერთობა, მისაღები გახდა დიდალი თანხების გამოძალვა. უკვე 60- 70-იან წლებში ქართული წარმომავლობის „კანონიერი ქურდების“ თვალთახედვას არ გამოპარვია „ცეხავიკების“ მიერ შექმნილი იმპერია, სადაც ჩრდილოვანი ეკონომიკის მეშვეობით,<sup>74</sup> მილიარდობით მანეთი ტრიალებდა და აღნიშნული, ნიშა აუთვისებელი იყო კრიმინალური სამყაროს მიმდევრებისთვის. ისინი ადვილად მიხვდნენ, რამდენად დიდი პოტენციალის მატარებელი იყვნენ თავად და რამდენად დაუცველი იყო აღნიშნული სფერო, მათ ბევრი არ უფიქრიათ და დაიწყეს ამ სფეროს მკაცრი კონტროლი, რამაც თავისი შედეგი გამოიღო. დიდალი შემოსავალი და გავლენებიც მოუტანა ქართველ კრიმინალებს, ამასთან, ძალიან გაძლიერდა ქართველი „კანონიერ ქურდების“ კლანი. ისინი უკვე აღარ იყვნენ დამოკიდებული ე.წ „ქურდულ ობშიაკზე“, მათ შეეძლოთ ჰქონოდათ საკუთარი მანქანები, ჰყოლოდათ პოპულარული და სახელგანთქმული საყვარლები, მეგობრები. ამით მოიპოვეს საკმაო პოლულარობა ქართველ ახალგაზრდობაში და სულ უფრო მეტი მიმდევარიც გაუჩნდათ საქართველოში.<sup>75</sup>

უკვე 80-იან წლებში „კანონიერი ქურდების“ მიერ შეცვლილმა სოციალურმა სტატუსმა და ცხოვრების სტილმა (განსაკუთრებით ქართული წარმომავლობის) აუცილებელი გახდა დიდი შეკრების და ე.წ „სხოდვის“ მოწყობა, სადაც უნდა გადაწყვეტილიყო აღნიშნული სუბკულტურის მომავლის საკითხი. უკვე 1979 წელს მოხდა შეხვედრა რუსეთის საკურორტო ქალაქ კისლოვოდსკში, სადაც ე.წ „ცეხავიკებს“ და „კანონიერ ქურდებს“ შორის შედგა შეთანხმება, რომ ქურდები „ცეხავიკებისგან“ 10% წილს მიიღებდნენ, მათი სუფთა შემოსავლიდან ყოველთვიურად. სულ რამდენიმე წელში, კერძოდ, 1982 წელს უკვე თბილისში „კანონიერი ქურდების“ „სხოდვის“ მოწყობა გახდა აუცილებელი, სადაც განიხილებოდა უკვე „კანონიერი ქურდების“ შესაძლო ტრანსფორმაცია და მათი

<sup>74</sup> Janet Roitman J. "Productivity in the Margins: The Reconstitution of State Power in the Chad Basin," in Anthropology in the Margins of the State, eds. Veena Das and Deborah Poole, D., Santa Fe: School of American Research, 2004; pep;198

<sup>75</sup> Г.Глонти, Г. Лобжаниძე, Профессиональная преступность в Грузии (воры в законе) монография, Тбилиси 2004 г, ст 35

სამრეწველო და კომერციულ საქიანობაში ჩართვა. ეს დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებდა ქურდებს. აღნიშნული ინიციატივის მთავარი ლობისტი იყო ახალგაზრდა ქართველი „კანონიერი ქურდი“, ჯაბა იოსელიანი. იმ ეტაპზე შეთავაზება მიღებული ვერ იქნა, თუმცა, სულ რაღაც ოთხ წელიწადში იგივე საკითხი ისევ წამოიჭრა და მისი ლობისტი და მხარდამჭერი, უკვე კრიმინალური სამყაროს ერთ-ერთი მეფე „ვასკა ბრილიანტი“ იყო.<sup>76</sup> ეს საკმარის აღმოჩნდა იმისათვის, რომ ცვლილებები შესულიყო „ქურდულ“ წეს-ჩვეულებებში, ვინაიდან ყველა ქართველი და კავკასიელი „კანონიერი ქურდი“ მხარს უჭერდა ამ ცვლილებას. ეს კი იმ პერიოდში საკმაოდ დიდ ძალას წარმოადგენდა. ჯაბა იოსელიანის როლი „ქურდული“ სუბკულტურის ტრანსფორმაციაში უდავოდ დიდია, მისი შედარება შესაძლებელია 30-50-იან წლებში ამერიკაში მოღვაწე განგსტერის, ლაკი ლუჩიანოს რეფორმებთან, რომლის შედეგადაც იტალიური მაფია მსოფლიო არენაზე დღესაც კი ერთ-ერთ წამყვან როლს იკავებს.<sup>77</sup>

ყოველივე ამან თავისი შედეგი გამოიღო 90 იანი წლების დადგომის პერიოდში, როცა საბჭოთა კავშირი დაიშალა, საქართველოში მოხდა დემოკრატიული გზით პრეზიდენტის არჩევა და ქვეყნის დამოუკიდებლობის გამოცხადება. რუსეთის მხრიდან დაიწყო ანტისახელმწიფოებრივი ქმედებების წახალისება და ფაქტიურად ჩამოშლილი ზვიად გამსახურდიას მთავრობის სამოქალაქო ომში ჩაბმა. ამის შემდეგ საქართველოს ერთ-ერთი მმართველი გახდა ეწ „კანონიერი ქურდი“ ჯაბა იოსელიანი. ე.წ „კანონიერმა ქურდებმა“ ქვეყნისთვის დამღუპველი მისიის შესრულება დაიწყეს, რაც მოიცავდა 90-იან წლებში ქვეყნის ეკონომიკური სექტორის განადგურებას, კრიმინალის აქამდე არნახულ ტრანსფორმაციის წახალისებას, რის შედეგადაც ქვეყანაში ნარკოტიკების გავრცელებამ არნახული მასშტაბები მიიღო. მიუხედავად ქვეყნის მოსახლეობის დაკვეთის, ორგანიზებული კრიმინალური დაჯგუფებისა და მათი უმაღლესი იერარქების წინააღმდეგ ბრძოლა იმ ეტაპზე უშედეგო აღმოჩნდა.

<sup>76</sup> Г.Глонти, Г. Лобжанидзе, Профессиональная преступность в Грузии (воры в законе) монография, Тбилиси 2004 г, ст 37

<sup>77</sup> Г.Глонти, Г. Лобжанидзе, Профессиональная преступность в Грузии (воры в законе) монография, Тбилиси 2004 г, ст 38

ყოველივე ზემოთაღნიშნული პრობლემები კრიმინალურ დაჯგუფებებთან მიმართებაში იმდენად კოლაბორაციაში იყო სახელმწიფოსთან და ეს სუბკულტურა იმდენად მძლავრობდა, მისი სოციალური სახე და ფორმები იმდენად შეცვლილი და ტრანსფორმირებული იყო (შეიცვალა ტენდენციები და თვითონ კრიმინოგენული ბუნება, განსაკუთრებით გავრცელდა მისი ორგანიზებული და პროფესიონალური ფორმა),<sup>78</sup> რომ ბევრი კანონიერი ქურდი საქართველოში ძალოვან მინისტრებზე მეტ ფინანსურ თუ პოლიტიკურ გავლენებს ფლობდა. აღნიშნული პერიოდი შეგვიძლია ვალიაროთ, ალბათ, ქვეყნის განვითარების ყველაზე რთულ და მძიმე მონაკვეთად, ვინაიდან გარკვეული გასამხედროებული კრიმინალური დაჯგუფებები (მაგალითად, „მხედრიონის“ და „ეროვნული გვარდიის“ რიგი დანაყოფები) ფაქტიურად მართავდნენ კიდევაც ქვეყანას (იმ პერიოდში ისეთი ოდიოზური პიროვნება, როგორიც იყო ჯაბა იოსელიანი). ქვეყანა ჩაეშვა ეგრეთწოდებული მაფიოზური კლანების მიერ მართვადი პროცესების მორევში. უფრო მეტიც, ხშირ შემთხვევებში აღნიშნული დაჯგუფებები უარს აცხადებდნენ კონსტიტუციით დადგენილ ჩარჩოებში მოქცევაზე და ქვეყანაში დამკვიდრებულ საკანონმდებლო რეგულაციებს არ აღიარებდნენ, ხშირ შემთხვევებში „მხედრიონის“ და „გვარდიის“ ცალკეული დაჯგუფების წევრები (ძირითადად რეგიონებში), უარს ამბობდნენ იარაღის ჩაბარებაზე და პირდაპირ დაპირისპირებაში შედიოდნენ სამართალდამცავ ორგანოებთან, რაც საბოლოოდ გადაიზარდა სამოქალაქო დაპირისპირებაში და საქართველო მთლიანად ჩაითრია სამოქალაქო ომის მორევში.<sup>79</sup>

აღნიშნული სამოქალაქო ომის პერიოდში დაპირისპირება მოხდა ზვიად გამსახურდიას მთავრობასა და ისეთ გასამხედროებულ დაჯგუფებს შორის, როგორც იყო „მხედრიონი“, რომელსაც ხელმძღვანელობდა, ყოფილი ე.წ „კანონიერი ქურდი“ ჯაბა იოსელიანი, „ეროვნული გვარდიის“ და თავდაცვის სამინისტროს დანაყოფებთან, თენგიზ კიტოვანის ხელმძღვანელობით, რომელიც იკავებდა

<sup>78</sup> М.Бадзагуа.Эволюция групповой преступности. Минск, 2000 г , с.4

<sup>79</sup> ბაძალუა მ., ჯგუფური დანამაული საქართველოში, გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2021. გვ.15

„საქართველოს რესპუბლიკის სამხედრო საბჭოს“ წევრის თანამდებობას, აღნიშნულმა სამოქალაქო კონფლიქტმა 10 წლეულებით შეაფერხა ქვეყნის ევროპული განვითარება.

ორგანიზებული დანაშაულებრივი დაჯგუფებები გავლენის სფეროების გადანაწილებისას პირდაპირ დაპირისპირებაში შევიდნენ ერთმანეთთან, თბილისში მოხდა ისეთი გავლენიანი ავტორიტეტების ლიკვიდაცია, როგორებიც იყვნენ არსენა მიქელაძე და ანზორ აღაიანი, რომლებიც იმ პერიოდში ქურდული იერარქიის უმაღლეს საფეხურებს იკავებდნენ და რეალურად მსოფლიოში ქართული ორგანიზებული დაჯგუფებების ლიდერებად მოიაზრებოდნენ. (დაუდასტურებელი ინფორმაციით მათი ლიკვიდაციის შესახებ დავალება გაცემულ იქნა რუსული სპეც სამსახურების მიერ და აღსრულდა შეიარაღებული დაჯგუფება „ მხედრიონის“ ლიდერების მიერ. აქაც მკაფიოდ ჩნდება აღნიშნული დაჯგუფების რუსულ სპეც. სამსახურებთან ახლო თანამშრომლობის შესაძლებლობები). ვინაიდან მოარული ხმებით ქართველი ე.წ. „კანონიერი ქურდების“ მიერ რუსულ სპეცსამსახურებთან შეთანხმების გარეშე, შეგროვებულ იქნა დიდი ოდენობის თანხა აფხაზეთში მიმდინარე ომში სამხედრო აღჭურვილობის შესაძენად , რაც თავისთავად შესაძლოა სერიოზულ ცვლილებებს შეიტანდა იმ პერიოდის საომარ ვითარებაში და რის შედეგადაც შესაძლოა ომის საბოლოო შედეგი მკვეთრად შეცვლილიყო.<sup>80</sup>

თუმცა, ზემოთ მოყვანილმა დაუდასტურებელმა ინფორმაციამ არ უნდა შეგიყვანოთ შეცდომაში, აღნიშნული ორგანიზებული დანაშაულებრივი დაჯგუფებები არავითარ შემთხვევაში არ მოქმედებდნენ სახელმწიფოს გაძლიერების ან მისი კრიზისიდან გამოყვანისათვის, უბრალოდ, მიმდინარეობდა გავლენის სფეროების გადანაწილება და თავისთვის სასურველი ფიგურების წინა ფლანგზე წამოწევა, სახელმწიფოს მართვის და უფრო მეტი შემოსავლის მიღებისთვის. აღნიშნული სიტუაცია

<sup>80</sup> Oliveira P. and Penev P. “The Emergence of Organized Criminal Networks as Extralegal Authorities” published in “Connections” quarterly journal, Volume X, Number 4, PfP Consortium of Defense Academies and Security Studies Institutes, Garmisch, Fall 2011; pp;134

იდეალურად იქნა გამოყენებული რუსული სპეცსამსახურების მიერ, ვინაიდან მათ მიერ რამდენიმე საუკუნის განმავლობაში ხდებოდა ქართული მენტალიტეტის შესწავლა, რაც საკმაოდ წარმატებით გამოიყენეს ქვეყნის როგორც, ფინანსური, ისე პოლიტიკური უკუსვლისთვის.<sup>81</sup> ფაქტიურად ქვეყანა მოაქციეს სამოქალაქო დაპირისპირებისა და ბანდიტური გარჩევების მორევში, მაშინ როდესაც ერთმანეთს ებრძოდა ორგანიზებული დანაშაულებრივი და გასამხედროებული დაჯგუფებები („კანონიერი ქურდების“ და ისეთი გასამხედროებული დაჯგუფებების, როგორც „მხედრიონი“ და „ეროვნული გვარდიის“ დანაყოფები და ადგილობრივი სამმოები იყო), ისინი ამავდროულად სათითაოდ და რიგ შემთხვევებში, გაერთიანებულებიც ებრძოდნენ სახელმწიფოში არსებულ კონსტიტუციურ წესწყობილებას, რაც თავისთავად მართვადი იყო რუსული სპეცსამსახურების მიერ და რეალურად, იმ პერიოდისთვის წარმოადგენდა ჰიბრიდული ომის ელემენტებს საქართველოს წინააღმდეგ.<sup>82</sup>

მხოლოდ 90-იანი წლების შუაში მოხდა სიტუაციის შედარებით დასტაბილურება და ქვეყნის კონსტიტუციურ წეს-წყობილების ჩარჩოებში ჩასმა. ედუარდ შევარდნაძის ქვეყნის სათავეში მოსვლის შემდეგ ჩატარდა რამდენიმე ფართომასშტაბიანი ღონისძიება, ორგანიზებული დანაშაულის დაჯგუფებების წინააღმდეგ, ასევე დაიწყო ქმედითი ნაბიჯები რუსული ფინანსური და პოლიტიკური გავლენებისგან შედარებით შესუსტება და განთავისუფლება. საქართველოს ტერიტორიაზე გაყვანილ იქნა ბაქო-ჯეიპანის მილსადენი, რასაც ყველა შესაძლო საშუალებით ეწინააღმდეგებოდა რუსეთის ფედერაცია და დიდი ალბათობით არც მოხდებოდა მისი გაყვანა საქართველოს ტერიტორიაზე, რომ არა ედუარდ შევარდნაძის პირადი ნაცნობობა და გავლენა პოლიტიკურ წრეებზე და რუსეთის ფედერაციის შესუსტებული მდგომარეობა, რაც გამოწვეული იყო ქვეყნის შიგნით მიმდინარე არასტაბილური სიტუაციებით. რომ არა აღნიშნული მილსადენი, ალბათ,

<sup>81</sup> Davis G. Doug , Slobodchikoff Michael O. „Cultural Imperialism and the Decline of the Liberal Order: Russian and Western Soft Power in Eastern Europe " (Russian, Eurasian, and Eastern European Politics), USA, Lexington Books,2018 pp; 208

<sup>82</sup> История развития феномена „воп в законе“, [rb.gv/stg9qn](http://rb.gv/stg9qn) (ბოლო ნახვა 24.11.2023)

საქართველოს გეოპოლიტიკური კურსი და საერთოდ განვითარებაც შეჩერდებოდა ათწლეულებით და ქვეყანა რუსული გავლენიდან ვერ დააღწევდა თავს ისევე, როგორც ჩვენი მეზობელი ქვეყნები სასომხეთის და ბელორუსის მსგავსად.

ყოველივე ზემოთხსენებულის შემდეგ, ქვეყნის შედარებით სამართლებრივი ნორმების ჩარჩოებში მოქცევის შედეგად, ქვეყნის მოსახლეობის უმრავლესობიდან ახალი მოთხოვნა წამოიჭრა მთავრობის წინაშე, რაც გამოიხატებოდა კორუფციის აღმოფხვრაში, კრიმინალთან ბრძოლაში, ქვეყნის უსაფრთხო და ინვესტიციებისთვის მიმზიდველ გარემოდ გადაქცევაში.

აღნიშნული პრობლემები კრიმინალურ დაჯგუფებებთან მიმართებაში შეიცვალა, კრიმინალი კოლაბორაციაში იყო სახელმწიფოსთან და ეს სუბკულტურა გაძლიერდა და მისი სოციალური სახე და ფორმები იმდენად ტრანსფორმირდა (შეიცვალა ტენდენციები და თვითონ კრიმინოგენული ბუნება, განსაკუთრებით გავრცელდა მისი ორგანიზებული და პროფესიული ფორმა),<sup>83</sup> რომ მისი აღმოფხვრა ძველი მთავრობის მიერ ფაქტიურად შეუძლებელი იყო. რამაც სახელმწიფო დააყენა მეტად რთულ და რთულადდასაძლევი პრობლემის წინაშე,<sup>84</sup> უფრო მეტიც, აღნიშნულ პრობლემებს და ცვლილებებს ფიზიკურად ვერ გაატარებდა ედუარდ შევარდნაძის მთავრობა, ვინაიდან თავად იყო ჩაფლული აღნიშნულ საქმიანობაში, მისი მთავრობის მართვის სისტემა სრულად იყო შესაცვლელი, ვარდების რევოლუციის შედეგად ახლადმოსულმა მთავრობამ ხისტი პოზიცია გამოიჩინა კრიმინალთან ბრძოლაში, ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ გამოცხადდა ნულოვანი ტოლერანტობა, რაც გამოიხატებოდა კანონმდებლობის გამკაცრებაში და სისხლის სამართლის კანონში გარკვეული მუხლების დამატებაში (დასჯადი გახდა როგორც „კანონიერი ქურდის“ სტატუსის აღიარება და ტარება ქვეყანაში, ისე მისი მიმდევრობაც) 223 პრიმა მუხლის პირველი, მეორე, მესამე და მეოთხე ნაწილების სახით. აღნიშნულმა

<sup>83</sup> М.Бадзагуа.Эволюция групповой преступности. Минск, 2000 г , с.5

<sup>84</sup> ბაძალუა მ., ჯგუფური დანაშაული საქართველოში, გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2021. გვ. 10

ცვლილებებმა პირველ ეტაპზე საკმაოდ კარგი შედეგი გამოიღო, თუმცა, როგორც უახლესმა ისტორიამ დაგვანახა, საბოლოოდ ქვეყნისთვის აღნიშნული გზა სამწუხარო და მისი სწორი განვითარებისთვის ხელისშემშლელი აღმოჩნდა თავისი პოლიტიკითა და ხისტი მიდგომებით.

## **1.2. თავი „კანონიერი ქურდების“ პოლიტიკური საფრთხეების განსაზღვრება და კლასიფიკაცია, მისი კორელაცია ეროვნული უსაფრთხოების სისტემასთან.**

პოლიტიკური საფრთხის განსაზღვრა, კლასიფიკაცია და მისი ურთიერთობა ეროვნული უსაფრთხოების სისტემასთან მნიშვნელოვანი ასპექტებია სახელმწიფოს უსაფრთხოების შესწავლისა და გააზრებისთვის.

პოლიტიკური საფრთხე ეხება სიტუაციას ან მოქმედებას, რომელიც პოტენციურ საფრთხეს უქმნის პოლიტიკურ სისტემას ან სახელმწიფოს სტაბილურობას. ეს შეიძლება იყოს როგორც შიდა ფაქტორებთან დაკავშირებული, როგორიცაა პოლიტიკური ოპოზიცია ან ექსტრემიზმი, ან გარე, რომელიც დაკავშირებულია საერთაშორისო კონფლიქტებთან, ტერორიზმთან ან „ჰიბრიდულ ომთან.“<sup>85</sup>

პოლიტიკური საფრთხის კლასიფიკაცია - პოლიტიკური საფრთხე შეიძლება კვალიფიცირდეს სხვადასხვა კრიტერიუმების მიხედვით, მათ შორის, საფრთხის წყაროს, მოქმედების ხასიათისა და მასშტაბის მიხედვით. პოლიტიკური საფრთხეების ზოგიერთი ზოგადი კატეგორია მოიცავს ტერორიზმს, სამოქალაქო არეულობას, კიბერთავდასხმებს, ჰიბრიდულ ომს, ინტერვენციას და სხვა სახელმწიფოების დივერსიას.<sup>86</sup> პოლიტიკური საფრთხე პირდაპირ გავლენას ახდენს ეროვნული უსაფრთხოების სისტემაზე. ეროვნული უსაფრთხოების სისტემა მოიცავს ღონისძიებებისა და ინსტიტუტების ერთობლიობას, რომელიც მიზნად ისახავს

<sup>85</sup> Baldwin, D. A. "The concept of security." Review of International Studies 23(1), 1997 Year; pp 5-26.

<sup>86</sup> Buzan, B., & Wæver, O. "Regions and powers: The structure of international security." Cambridge University Press. 2009 Year; pp 130

სახელმწიფოს დაცვას შიდა და გარე საფრთხეებისგან. პოლიტიკურმა საფრთხემ შეიძლება გავლენა მოახდინოს პოლიტიკური ინსტიტუტების უსაფრთხოებაზე, ეკონომიკაზე, სოციალურ სტაბილურობასა და საერთაშორისო ურთიერთობებზე. ის მოითხოვს უსაფრთხოების სტრატეგიებისა და ზომების შემუშავებას, მათ შორის, სხვადასხვა დეპარტამენტებსა და ქვეყნებს შორის თანამშრომლობას, კანონმდებლობის მიღებას, კონტრდაზვერვისა და ანტიტერორისტული ზომების მიღებას და სამოქალაქო უსაფრთხოების უზრუნველყოფას.

საფრთხეების პოლიტიკური კლასიფიკაცია შეიძლება დაყოფოთ რამდენიმე ტიპად. ესენია საფრთხე, გამოწვევა და რისკი, საფრთხეების კლასიფიკაცია იყოფა ასევე, პოლიტიკურ, სამხედრო, ეკონიმიკურ და სხვა საფრთხეებად.

კონკრეტულ შემთხვევაში ჩვენ განვიხილოთ პოლიტიკური საფრთხეები, რომლებიც იყოფა სამი დონის კლასიფიკაციად, კერძოდ, ესენია - რისკი, გამოწვევა და საფრთხე, აღნიშნული სამი დონიდან, ყველაზე ყურადსალებია ისეთი საფრთხე, როგორიცაა რისკის დონე, სადაც განვიხილავთ კრიმინალის განვითარებას და მოქმედებას, როგორც ქვეყნის პოლიტიკური საფრთხის კლასიფიკაციას.

კრიმინალურ განვითარებასთან დაკავშირებული საფრთხის პოლიტიკური კლასიფიკაცია მთელი ქვეყნის მასშტაბით შეიძლება განსხვავდებოდეს კონტექსტისა და კონკრეტული პირობების მიხედვით. თუმცა, ზოგიერთი გავრცელებული ტიპის საფრთხე შეიძლება შეიცავდეს:

ორგანიზებული დანაშაულს, კრიმინალური დაჯგუფებების საქმიანობას, რომლებიც მოქმედებენ მთელი ქვეყნის მასშტაბით და ეწევიან სხვადასხვა სახის დანაშაულს, როგორიცაა ნარკოტიკებით ვაჭრობა, კონტრაბანდა, იარაღით ვაჭრობა, ფულის გათეთრება და ორგანიზებული დანაშაულის ისეთი სახეობები, როგორიცაა ტრეფიკინგი, კორუფცია, ძალაუფლების სისტემატური ბოროტად გამოყენება და მექრთამეობა, რომელიც აღწევს სახელმწიფო აპარატის სხვადასხვა დონეზე და

უარყოფითად აისახება ქვეყნის ეკონომიკაზე, პოლიტიკურ სტაბილურობასა და ქვეყნის განვითარებაზე.<sup>87</sup>

ფინანსური თაღლითობა: უკანონო ფინანსური ოპერაციები, მათ შორის, ფულის გათეთრება, თაღლითობა, კორუფციული სქემები და სხვა მექანიზმები, რომლებიც გამოიყენება დანაშაულებრივი შემოსავლების დასამალად და უკანონო ქმედებების დასაფინანსებლად, სერიოზულ ზიანს აყენებენ ქვეყნის მდგრად განვითარებას და მის წინსვლას.

კიბერდანაშაული - ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებით ჩადენილი დანაშაულები, როგორიცაა ჰაკერული თავდასხმები პირადი და საბანკო ინფორმაციის მოსაპოვებლად ან, რიგ შემთხვევებში, სახელმწიფო და კერძო ორგანიზაციების გვერდების გატეხვა, რის შედეგადაც ხდება ინფორმაციის მოპარვა და დანაშაულებრივი გზით მათი გამოყენება, კიბერშეტევები სამთავრობო ინფრასტრუქტურებსა და ორგანიზაციებზე, პერსონალური მონაცემებისა და ფინანსური რესურსების ქურდობა, ფიშინგი და ე.წ „ქოლ-ცენტრები“.

ტერორისტული საქმიანობა: კრიმინალური ჯგუფები და ექსტრემისტული ორგანიზაციები, რადიკალურობით გამორჩეული პოლიტიკური პარტიები და ორგანიზაციები, რადიკალური ნაციონალისტური ორგანიზაციები, რომლებიც იყენებენ ძალადობას და ტერორისტულ აქტებს თავიანთი პოლიტიკური და იდეოლოგიური მიზნების მისაღწევად, რითიც ქვეყნის უსაფრთხოებას უქმნიან საფრთხეს.<sup>88</sup> ეროვნული უსაფრთხოების გარემო ჩვეულებრივ მოიცავს რამდენიმე კომპონენტს, რომლებიც ურთიერთქმედებენ და გავლენას ახდენენ ქვეყნის უსაფრთხოებასა და სტაბილურობაზე. ეროვნული უსაფრთხოების გარემოს ძირითად კომპონენტებს წარმოადგენს:

პოლიტიკური უსაფრთხოება მოიცავს სახელმწიფო ინსტიტუტების, კონსტიტუციური წესრიგის დაცვას, პოლიტიკური სისტემის სტაბილურობას და

<sup>87</sup> ჰერი კუპრაშვილი; საქართველოს ეროვნული უშიშროება, გამომცემლობა „უნივერსალი“ თბილისი 2022 წ. გ3 359

<sup>88</sup> Отслужившие в Сирии – самые лакомые кусочки: блатные против российской армии [rb.gy/kdx8l1](http://rb.gy/kdx8l1) (ბოლო ნახვა 28.03.2024)

ქვეყნის შიგნით საფრთხეების პრევენციას. ეს ასევე მოიცავს სახელმწიფო გადატრიალების თავიდან აცილებას, შიდა კონფლიქტებს და მთავრობის ძალაუფლების ეროვნიას.

ეკონომიკური უსაფრთხოება გულისხმობს ქვეყნის ეკონომიკური სტაბილურობისა და კეთილდღეობის დაცვას. ეს მოიცავს მდგრადი ეკონომიკური ზრდის უზრუნველყოფას, ეროვნული ვალუტის დაცვას, ეკონომიკური კრიზისის პრევენციას, კორუფციასთან ბრძოლას და უკანონო ფინანსურ საქმიანობას ჩრდილოვან ეკონომიკასთან ე.წ „მეორე ეკონომიკასთან“ ბრძოლას.

სამხედრო უსაფრთხოება დაკავშირებულია სახელმწიფო საზღვრების დაცვასთან, ტერიტორიულ მთლიანობასთან და ქვეყნის დაცვასთან. ეს მოიცავს ეფექტური სამხედრო ძალების განვითარებას და შენარჩუნებას, უსაფრთხოების უზრუნველყოფას სხვა სახელმწიფოების სამხედრო შემოტევებისგა, ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლასა და შეიარაღებული კონფლიქტების პრევენციას.

ინფორმაციის უსაფრთხოება დაკავშირებულია საინფორმაციო სისტემების, ქსელებისა და მონაცემების დაცვასთან კიბერ საფრთხეებისა და კიბერდანაშაულებისგან. ეს მოიცავს საინფორმაციო ინფრასტრუქტურის უსაფრთხოების უზრუნველყოფას, კიბერჯამუშობის, კიბერშეტევების წინააღმდეგ ბრძოლას და მოქალაქეთა პერსონალური ინფორმაციის დაცვას.

ეკოლოგიური უსაფრთხოებაში იგულისხმება ქვეყნის გარემოსა და რესურსების დაცვა. ეს მოიცავს ეკოლოგიური კატასტროფების პრევენციას, ბუნებრივი რესურსების მდგრად გამოყენებას, გარემოს დაბინძურებისა და კლიმატის ცვლილებასთან ბრძოლას.

სოციალური უზრუნველყოფა დაკავშირებულია სოციალური სტაბილურობისა და მოსახლეობის კეთილდღეობის უზრუნველყოფასთან. ეს მოიცავს მოქალაქეთა უფლებებისა და თავისუფლების დაცვას, სოციალური სამართლიანობის უზრუნველყოფას, დანაშაულთან, ექსტრემიზმთან და ტერორიზმთან ბრძოლას, სოციალური დაცვისა და ჯანდაცვის უზრუნველყოფას.


აღსანიშნავია, რომ ამ კომპონენტების ურთიერთკავშირი გავლენას ახდენს ერთმანეთზე. ეროვნული უსაფრთხოება მოითხოვს ინტეგრირებულ მიდგომას, რომელიც ითვალისწინებს ყველა ამ ასპექტს და შეიმუშავებს სტრატეგიებსა და ზომებს ქვეყნის უსაფრთხოებისა და სტაბილურობის უზრუნველსაყოფად.

აქვე წარმოგიდგენთ პოლიტიკური საფრთხეების მატრიცას როგორც ახლი კვლევის მეთოდოლოგიას, სადაც არის გამოსახული სიმეტრიული და ასიმეტრიული საფრთხეები :

	საფრთხე	გამოწვევა	რისკი	შენიშვნა
ასიმეტრიული საფრთხე	1.ისლამური “ინტეგრიზმის” შემოსვლა საქართველოში 2. პიბრიდული ომი 3..კრიმინალური სუბკულტურის დანაშაულებრივი და კოორდინირებული ქმედებები სახელმწიფოს მოხელებთან კორელაციაში	1.ეკოლოგიური კატასტროფები 2.საერთაშორისო ტერორიზმი 3.კანონის უზენაისობის ნიველირება 4.ჩრდილოვანი ეკონომიკა	1.რეგიონული კონფლიქტების გადმოდინება (მთანი ყარაბაღის ომი, რუსეთ უკრაინის ომი) 2. სოციალური ქაოსი 3.მოსახლეობაში უიმედობის ნიჰილიზმის გავრცელება	დანაშულებრივ და კოორდინირებულ ქმედებებში იგულისხმება კორუფციული გარიგებები ქვეყნის მასშტაბით და მის საზღვრებს გარეთ.

<b>სიმეტრიული საფრთხე</b>	<p>1.ყირიმიზაციის პროცესი” აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში</p> <p>2. კიბერომი, საინფორმაციო ომი</p> <p>3.კრიმინალის მომატება მთელი ქვეყნის მაშტაბით</p> <p>4. კორუფცია</p>	<p>1.“მცოდავი ოკუპაცია”</p> <p>2.ეკონომიკური უქსპანსია</p> <p>ნებისმიერი მხრიდან</p> <p>3.ენერგეტიკული უსაფრთხოება</p> <p>4.გეოპოლიტიკური უქსპანსია</p> <p>5.მასშტაბური საინვესტიციო პროექტების შეჩერება</p>	<p>1.ნარკოტრაფიკინგი</p> <p>2.დემოგრაფიული “ბომბი”</p> <p>3.კრიმინალური ქაოსი</p> <p>4.სტრატეგიული ობიექტების გასხვისება</p> <p>5.შეიარაღებული ბანდ-დაჯგუფებები და კერძო სამხედრო ორგანიზაციები.</p>	<p>ნატოს უელსის სამიტის შედეგების მიხედვით, კიბერომი გახდა ნატოსთვის მე-5 მუხლით გათვალისწინებული საფრთხე</p>
-------------------------------	--	--	--	---

ეს არის მხოლოდ რამდენიმე, ზოგადი ტიპის საფრთხე, რომელიც დაკავშირებულია კრიმინალურ სიტუაციასთან მთელი ქვეყნის მასშტაბით. საფრთხეების სპეციფიკური ტიპები და მათი კლასიფიკაცია შეიძლება იყოს უფრო დეტალური და დამოკიდებულია თითოეული ქვეყნის სპეციფიკაზე. თუმცა, საქართველოს ვარიანტში ასევე აუცილებელია გამოვყოთ ეროვნული უსაფრთხოება და მისი პოლიტიკური საფრთხეების მატრიცა, რომელიც შედგება სამი ძირითადი კომპონენტისგან, ესენია: საფრთხე, გამოწვევა, რისკი.



აქვე აღსანიშნავია ხსენებული საფრთხეების უკვე რეგიონულ, პანრეგიონულ, ტრანსრეგიონულ და კონტინენტალურ ჭრილში განხილვა, სადაც რეგიონალური დონე წარმოადგენს მთლიანად კავკასიის რეგიონს, პანრეგიონალური არის შავი ზღვის აუზი, ტრანსრეგიონალური არის ევრაზია და კონტინენტალური არის ნატო და ევროკავშირი.

კრიმინალური სუბკულტურა, როგორც ერთ-ერთი ყველაზე აქტუალური და ძლევამოსილი საფრთხე ქვეყნის ოცდაათწლიანი თავისუფლების მოპოვების დღიდან, სისტემატიურად გვხვდება ყველა მთავრობის მმართველობის პერიოდში, რიგ შემთხვევებში უფრო გაძლიერებული, რიგ შემთხვევებში შედარებით ნაკლები ძლევამოსილებით, თუმცა, აღნიშნული ასიმეტრიული და ამავდროულად სიმეტრიული საფრთხე, სისტემატიურად გამოიყენებოდა აგრესორი მეზობელი ქვეყნის მიერ, როგორც სადაზვერვო და საბოტაჟის ელემენტი ქვეყნის შიგნით სიტუაციის დესტაბილიზაციისათვის,<sup>89</sup> ხოლო ქვეყნის გარეთ მისი იმიჯის შესალახად, რაც გამოიხატებოდა ისეთი კომპონენტების გაძლიერებით, როგორიც

<sup>89</sup> Rod Thornton, *Asymmetric Warfare: Threat and Response in the 21st Century*, Publisher: Polity, 2007 Year; pеp 186

არის კორუფცია (მექრთამეობის სახით), კრიმინოგენული ვითარების გაუარესება, ჩრდილოვანი ეკონომიკის გაძლიერება, მასშტაბური პროექტების და ინვესტიციების შეჩერება, <sup>90</sup> საომარი ვითარებები ქვეყნის მასშტაბით და მათში გარკვეული კრიმინალური დაჯგუფებების მონაწილეობა, ისლამური ინტეგრიზმის შემოსვლა ტერორისტული დაჯგუფებების ლიდერების და კრიმინალური ბანდ-ფორმირებების სახით, ქვეყნის ეკონომიკაზე პირდაპირი ზემოქმედება კრიმინალური სუბკულტურის წარმომადგენლების მხრიდან, რა დროსაც ხდებოდა ოდიოზური პიროვნებების და უბრალოდ, კრიმინალების მიერ ბიზნესის კუთხით მიმზიდველი და მომგებიანი ობიექტების მიტაცება და მართვა. კრიმინალურ სუბკულტურას მართლაც შეუძლია სერიოზული საფრთხე შეუქმნას ქვეყნის ეროვნულ უსაფრთხოებას, მისი შემადგენელი ისეთი ელემენტის მეშვეობით, როგორც ორგანიზებული დანაშაულია, რომელსაც შეუძლია ფართო გავლენის მოხდენა საზოგადოებასა და სახელმწიფოზე.

კრიმინალურ სუბკულტურასთან საბრძოლველად შეიძლება შემდეგი მეთოდების გამოყენება: მიზანშეწონილია სამართალდამცავი ორგანოების გაძლიერება, მნიშვნელოვანია პოლიციისა და სამართალდამცავი ორგანოების გაძლიერება, რათა გაიზარდოს მათი ოპერატიული შესაძლებლობები დანაშაულებრივი ქმედებების გამოვლენის, პრევენციისა და შეჩერების მიზნით. ეს შეიძლება მოიცავდეს პერსონალის რაოდენობის გაზრდას და მათ ტრენინგს, ტექნიკური აღჭურვილობის გაუმჯობესებას და სხვა ქვეყნებთან თანამშრომლობის განვითარებას ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლაში.<sup>91</sup>

საკანონმდებლო ღონისძიებები და სასამართლო რეფორმები, მნიშვნელოვანი ასპექტია კრიმინალურ სუბკულტურასთან საბრძოლველად, ეფექტური კანონმდებლობის შემუშავება და მიღება. ეს შეიძლება მოიცავდეს უფრო მკაცრი სასჯელების გამოყენებას კრიმინალებისთვის, განსაკუთრებით ორგანიზებული

<sup>90</sup> The landscape of Hybrid Treats: a conceptual model, Luxemburg; Publications Office of the European Union, 2021 Year , pep 18

<sup>91</sup> Rod Thornton, Asymmetric Warfare: Threat and Response in the 21st Century, Publisher: Polity, 2007 Year; pep 158

დანაშაულის ლიდერების მიმართ, ასევე გაზრდილი კონტროლი ჩრდილოვან ეკონომიკაზე, ფულის გათეთრებაზე და კრიმინალური აქტივობების დაფინანსებაზე.

პრევენციული ღონისძიებები და სოციალური პროგრამები: გარდა დამნაშავეთა დევნისა და დასჯისა, მნიშვნელოვანია პრევენციული ღონისძიებებისა და სოციალური პროგრამების შემუშავება დანაშაულის პრევენციისა და ახალგაზრდების კრიმინალური სუბკულტურიდან ჩამოშორების მიზნით. ეს შეიძლება მოიცავდეს სარეაბილიტაციო პროგრამების შექმნას, საგანმანათლებლო და დასაქმების შესაძლებლობების გაზრდას და ახალგაზრდობისა და სპორტის ინიციატივების მხარდაჭერას კრიმინალური აქტივობის ალტერნატივის უზრუნველსაყოფად.<sup>92</sup>

საერთაშორისო თანამშრომლობა: კრიმინალური სუბკულტურა ხშირად ტრანსნაციონალური ხასიათისაა, ამიტომ საერთაშორისო თანამშრომლობა აუცილებელია. სამართალდამცავი ორგანოების ერთობლივი მოქმედებები, ინფორმაციისა და გამოცდილების გაცვლა, საერთაშორისო სტანდარტებისა და შეთანხმებების შემუშავება ხელს შეუწყობს კრიმინალურ სუბკულტურასთან ეფექტურ ბრძოლას.<sup>93</sup>

საზოგადოებრივი დახმარება: მნიშვნელოვანია საზოგადოების ჩართვა კრიმინალურ სუბკულტურასთან ბრძოლაში. ამის მიღწევა შესაძლებელია ცნობიერების ამაღლების პროგრამების, პოლიცია-მოქალაქეების პარტნიორობის, ნდობის აღდგენისა და დანაშაულის შესახებ შეტყობინების საშუალებით. ეს ხელს შეუწყობს ცნობიერების ამაღლებას, სამართალდამცავი ორგანოების მიმართ ნდობის ჩამოყალიბებას და დანაშაულის გამოვლენასა და პრევენციას.<sup>94</sup>

ამ მეთოდების ერთობლიობა შეიძლება დაეხმაროს კრიმინალურ სუბკულტურასთან ბრძოლაში და შეამციროს მისი გავლენა ქვეყნის ეროვნულ უსაფრთხოებაზე. თუმცა, საქართველოს ხელისუფლებამ უნდა შეიმუშაოს საკუთარი სტრატეგიები და

<sup>92</sup> მორის შალიკაშვილი, კრიმინოლოგია (სახელმძღვანელო) მესამე შევსებული და გადამუშავებული გამოცემა, გამომცემლობა „მერიდიანი“, 2017 წელი, გვ. 54

<sup>93</sup> მიხეილ გაბუნია, კრიმინოლოგია (დამხმარე სახელმძღვანელო), გამომცემლობა „იურისტების სამყარო“ თბილისი, 2019 წელი, გვ. 65

<sup>94</sup> მორის შალიკაშვილი, კრიმინოლოგია (სახელმძღვანელო) მესამე შევსებული და გადამუშავებული გამოცემა, გამომცემლობა „მერიდიანი“, 2017 წელი, გვ. 68

მიდგომები მისი უნიკალური სოციალურ-ეკონომიკური პირობებისა და კრიმინალური სიტუაციების მახასიათებლების გათვალისწინებით.

აღნიშნული ქმედებები ძირგამომთხრელი ეფექტით მოქმედებს და მომავალშიც იმოქმედებს ქვეყნის ეროვნული უსაფრთხოებისთვის, ეს საჭიროებს შესწავლას და შემდგომ მათი განეიტრალების ღონისძიებების გატარებას, როგორც ქვეყნის მთლიან ტერიტორიაზე, ისე მის ფარგლებს გარეთაც.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარეობს ასიმეტრიული საფრთხეების გარკვევა და მისი განხილვა სწორედ „უსაფრთხოების რეჟიმის“ კონცეფციის ფორმატში, სადაც განხილულია სახელმწიფოს წინაშე არსებული შიდა პოლიტიკური გამოწვევები.

### **1.3 თავი „კანონიერი ქურდები“, როგორც ასიმეტრიული საფრთხის ფენომენი და მისი გავლენა პოლიტიკური სისტემის განვითარებაზე.**

აღნიშნულ თავში მნიშვნელოვანია გამოიყოს „კანონიერი ქურდების“ ინსტიტუტის განხილვა ე.წ. „არასამხედრო“ საფრთხეების კონტექსტში და მისი წარმოჩენა ე.წ. „უსაფრთხოებიზაციის“ თეორიის ფარგლებში, სადაც განსაზღვულია ასიმეტრიულობის შესწავლა სამ მთავარ განზომილებაში: პოლიტიკური, ეკონომიკური და საზოგადოებრივი უსაფრთხოების მიმართულებით.

მკაცრი აკადემიური თვალსაზრისით რომ განვიხილოთ „ასიმეტრია“, ნიშნავს ობიექტების სიმეტრიის დარღვევას ან არარსებობას. ასიმეტრიის კონცეფცია თავისთავად განსხვავდება სიმეტრიისგან: ის მოქმედებს, როგორც ერთი მთლიანის ნაწილების უთანასწორობა და როგორც შესასწავლი ობიექტის სტრუქტურის ფაქტიური დარღვევა, უთანასწორობა ან დისკრიმინაცია.<sup>95</sup>

როდესაც ვსაუბრობთ სიმეტრიასა და ასიმეტრიაზე საერთაშორისო ურთიერთობებში, საყურადღებოა, რომ ისინი გამოიყენებიან მთელი ობიექტების

<sup>95</sup> ვახტანგ მაისაია, სალექციო რენდერი, გვ 4

ანალიზისთვის, ასევე მათი სტრუქტურების და შემადგენელი ნაწილების შესასწავლად. აღსანიშნავია, რომ ორივე მცნება სასარგებლოა ერთი მთლიანის ნაწილების ურთიერთობების ანალიზისთვის და არა ცალკეული, დამოუკიდებელი ელემენტებისთვის. მნიშვნელოვანია ამ კონცეფციების საბუნებისმეტყველოდან სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებებში გადაზრდა და მისი ანალიზი.<sup>96</sup>

ჰუმანიტარულ მეცნიერებებში „ასიმეტრიის“ კონცეფციას არ გააჩნია დაკალიბრებული განმარტება და ხშირად გამოიყენება ინტუიციურად, ამ სიტყვის ლინგვისტური სემანტიკის მკაფრი მითითებების გარეშე.

თუმცა, არსებობს კარგად დამკვიდრებული ტერმინები, რომელებიც დემონსტრირებას უწევენ ჰუმანიტარულ სფეროში „ასიმეტრიის“ კონცეფციის გაგებას. მაგალითად: „ასიმეტრიული ფედერაცია“, რომლის ქვეშაც მოიაზრება ფედერაციული სტრუქტურა, ესაა კონსტიტუციური და სამართლებრივი სტატუსი და ფედერაციული სუბიექტების უფლებამოსილებების მოცულობა. ამ ტერმინის მთავარი აზრი გადმოიცემა „არაერთნაირი“, „არამსგავსებადი“, „ანალოგის არმქონე“ ტერმინებით, სადაც გათვალისწინებულია ერთ მთლიან ნაწილებს შორის ურთიერთობა.<sup>97</sup>

ამასთან ერთად, ტერმინი „ასიმეტრია“ ხშირად გამოიყენება საერთაშორისო ურთიერთობების აკადემიურ სფეროში და მას აღნიშნავენ, როგორც საერთაშორისო პოლიტიკაში მოქმედი აქტორების ქაოტური მოქმედებების აღწერას. მნიშვნელოვანია გვესმოდეს: ტერმინის სწორი გამოყენება მოითხოვს, რომ სუბიექტებს შორის ურთიერთობა, რომელიც შესწავლილია სიმეტრია/ასიმეტრიის გაგებით, იყოს მუდმივი, ორგანიზებული და სტრუქტურული.<sup>98</sup>

სიმეტრიული ურთიერთობა გულისხმობს ორმხრივ იდენტობას, ურთიერთქმედებების ერთგვაროვნებას, რომელიც გამომდინარეობს საერთაშორისო

<sup>96</sup> გუგული მაღრაძე, ვახტანგ მაისაია: 21-ე საუკუნის საერთაშორისო პოლიტიკა და „თანამშრომლობითი უსაფრთხოების“ თეორია: მითი და რეალობა-რეგიონალური და გლობალური ასპექტები, გამომცემლობა „უნივერსალი“ თბილისი 2017 წ. გვ 92

<sup>97</sup> ჰენრი კუპრაშვილი; საქართველოს ეროვნული უშიშროება, გამომცემლობა „უნივერსალი“, თბილისი, 2022 წ. გვ 328

<sup>98</sup> ვახტანგ მაისაია, სალექციო რენდერი, გვ 3

სუბიექტების მხრიდან.<sup>99</sup> ურთიერთობების მნიშვნელოვანი ნაწილი, რომელიც შეისწავლის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებებს (მათ შორის საერთაშორისო ურთიერთობები), წარმოადგენს ასიმეტრიულს, ის მოითხოვს პოლიტიკურ ანალიზში ასიმეტრიის უფრო ფართო გაგებას. <sup>100</sup>

სუბიექტებს შორის თანასწორობის მიღწევის შეუძლებლობა არ გამორიცხავს თეორიულ შესაძლებლობას, მიღწეულ იქნას ჰარმონიული ურთიერთობა ასიმეტრიულ აქტორებს შორის, და პირიქით, სხვადასხვა ტიპის სუბიექტების ურთიერთობების მკაფიო ზრდის ფაქტორი ვარაუდობს სტიქიური მექანიზმების არა-არსებობას, რომლებიც ვარაუდობენ მრავალ ასიმეტრიებს საერთაშორისო სისტემაში. შესამჩნევია ასევე ასიმეტრიის ხაზოვანი გაგებიდან უკანდახევა. მკვლევარები მიმართავენ მის პარადოქსულ გამოვლინებებს და ცდილობენ გამოიმუშაონ ადექვატური რეაქცია ამ პარადოქსებზე.

ასიმეტრიული ომის ფენომენი არის კონფლიქტი, რომელშიც მეომარი მხარეები მნიშვნელოვნად განსხვავდებიან თავიანთი შესაძლებლობებითა და სამხედრო ძალებით. ეს, ჩვეულებრივ, გულისხმობს, რომ ერთი მხარე არის უფრო ძლიერი, ხოლო მეორე უფრო სუსტი, (არარეგულარული შეიარაღებული წარმონაქმნები, პარტიზანები ან ტერორისტული ჯგუფები). ასიმეტრიული ომი ხასიათდება მცირე მხარისათვის სამხედრო ოპერაციების ჩატარების არაორდინალური მეთოდების გამოყენებით, მათი სუსტი პოზიციის კომპენსაციისთვის. ასიმეტრიული ომი არის რთული და მრავალმხრივი ფენომენი.<sup>101</sup>

ასიმეტრიული საფრთხის ფენომენი ეხება სიტუაციას, როდესაც ერთ მხარეს მნიშვნელოვანი უპირატესობა გააჩნია სხვადასხვა საშუალებებისა და მეთოდების გამოყენებაში, მათ შორის ძალადობის, ტერორიზმის, კიბერშეტევებისა და არაპირდაპირი ბრძოლისა მეორე მხარესთან შედარებით. ეს უპირატესობა შეიძლება

<sup>99</sup> Евгений Магди <<Гибридная война>> Vivat Publishing House, Харьков, 2015, стр 18

<sup>101</sup> პენრი კუპრაშვილი; საქართველოს ეროვნული უშიშროება, გამომცემლობა „უნივერსალი”, თბილისი, 2022 წ. გვ. 342

გამოწვეული იყოს სამხედრო, ეკონომიკური, ტექნოლოგიური ან საინფორმაციო რესურსების არათანაბარი განაწილებით.<sup>102</sup>

ასიმეტრიულმა საფრთხემ შეიძლება მნიშვნელოვანი გავლენა იქონიოს პოლიტიკური სისტემის განვითარების სხვა დარგებზეც. მოდით განვიხილოთ რამდენიმე ძირითადი ასპექტი, რომელზეც შეიძლება იმოქმედოს ასიმეტრიულმა საფრთხეებმა:

- დემოკრატიული ინსტიტუტების კრახი: ასიმეტრიული საფრთხის წინაშე მყოფი მხარე შეიძლება მიდრევილი იყოს შეზღუდოს სამოქალაქო თავისუფლებები და უფლებები, რათა უფრო ეფექტურად გაუმკლავდეს საფრთხეს. ამან შეიძლება გამოიწვიოს აღმასრულებელი ხელისუფლების უფლებამოსილების გაზრდა, დამოუკიდებელი სასამართლოების შესუსტება, მედიაზე კონტროლი და სიტყვის თავისუფლების შეზღუდვა. ზოგიერთი შემთხვევაში შეიძლება ავტორიტარული ან ტოტალიტარული რეჟიმი გამოიწვიოს. უთანასწორობა ქვეყნებს შორის: ასიმეტრიულმა საფრთხემ შეიძლება გააძლიეროს გლობალური უთანასწორობა სხვადასხვა ქვეყნებს შორის. ძლიერ სახელმწიფოებს შეუძლიათ გამოიყენონ თავიანთი ძალა საკუთარი ინტერესების დასაცავად და სუსტ სახელმწიფოებზე დომინირებისთვის. ამან შეიძლება გამოიწვიოს გეოპოლიტიკური დაძაბულობა და კონფლიქტები.<sup>103</sup>
- ინოვაცია და განვითარება: ასიმეტრიულ საფრთხეს შეუძლია ინოვაციის სტიმულირება და ახალი ტექნოლოგიების განვითარება ამ საფრთხის დასაძლევად. ამან შეიძლება გამოიწვიოს ახალი სამხედრო და კიბერ ტექნოლოგიების შექმნა, მონიტორინგისა და კონტროლის სისტემების განვითარება, ასევე კიბერუსაფრთხოების და დაზვერვის გაძლიერება.
- ცვლილება საერთაშორისო ურთიერთობებში: ასიმეტრიულმა საფრთხემ შეიძლება გამოიწვიოს ცვლილებები საერთაშორისო ურთიერთობებში.

<sup>102</sup> Rod Thornton, Asymmetric Warfare: Threat and Response in the 21st Century, Publisher: Polity, 2007 Year; pcp.189

<sup>103</sup> არტი, რ., რ. ჯერვისი. საერთაშორისო პოლიტიკა: მუდმივი ცნებები და თანამედროვე საკითხები. თბილისი:

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2011. გვ.124

სახელმწიფოებს შეუძლიათ შექმნან ალიანსები და პარტნიორობა, რათა ერთობლივად დაუპირისპირდნენ საფრთხეს, ასევე გაცვალონ ინფორმაცია და გამოცდილება. ამან შესაძლოა გამოიწვიოს ხელშეკრულებების გადახედვა, ახალი საერთაშორისო ორგანიზაციების შექმნა და საგარეო პოლიტიკაში ცვლილებები.

- ზოგადად, ასიმეტრიულმა საფრთხემ შეიძლება გამოიწვიოს მნიშვნელოვანი ცვლილებები პოლიტიკურ სისტემაში, შეზღუდოს მოქალაქეთა თავისუფლებები და უფლებები, გაამწვავოს გლობალური უთანასწორობა, წახალისოს ინოვაციები და განვითარება და გავლენა მოახდინოს საერთაშორისო ურთიერთობებზე.<sup>104</sup>
- უსაფრთხოება და თავდაცვა: ასიმეტრიულმა საფრთხეებმა შეიძლება გამოწვევა შეუქმნას სახელმწიფოს უსაფრთხოებისა და თავდაცვის შესაძლებლობებს. მაგალითად, ტერორისტულმა ჯგუფებმა შეიძლება გამოიყენონ ასიმეტრიული ტაქტიკა, როგორიცაა პარტიზანული ან ტერორისტული თავდასხმები პოლიტიკური სისტემის დაზიანების ან დესტაბილიზაციის მიზნით.<sup>105</sup> ამან შეიძლება მოითხოვოს ახალი მიდგომები ეროვნული უსაფრთხოებისა და თავდაცვის მიმართ, მათ შორის კონტრზომებისა და პრევენციული სტრატეგიების შემუშავება.
- პოლიტიკური სტაბილურობა: ასიმეტრიულმა საფრთხეებმა შეიძლება შეარყიოს პოლიტიკური სისტემის სტაბილურობა და გამოიწვიოს სოციალური გაურკვევლობა. მაგალითად, ტერორისტული თავდასხმების ან მასობრივი პროტესტის შემთხვევაში,<sup>106</sup> პოლიტიკურ ლიდერებსა და ინსტიტუტებს შეიძლება შეექმნათ გამოწვევები უსაფრთხოების უზრუნველყოფისა და საზოგადოების საჭიროებების დაკმაყოფილებაში. ამან შესაძლოა გამოიწვიოს ცვლილებები

<sup>104</sup> Colonel Thomas X. Hammes USMC, *The Sling and the Stone: On War in the 21st Century*, Zenith Military Classics, 2006 Year; pcp 206

<sup>105</sup> აღნიშნული ქმედებები საკმაოდ წარმატებულად მოქმედებდა საქართველოში 90-იანი წლებიდან მოყოლებული.

<sup>106</sup> რაც არაერთხელ მომხდარა რუსული სპეცსამსახურების მიერ საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვებიდან.

პოლიტიკურ პრიორიტეტებში, კანონმდებლობასა და პოლიტიკურ სტრუქტურაში.<sup>107</sup>

- პოლიტიკური ექსტრემიზმი: ასიმეტრიულმა საფრთხეებმა შეიძლება გამოიწვიოს პოლიტიკური ექსტრემიზმი და რადიკალიზაცია. როდესაც ჯგუფები ან ინდივიდები გრძნობენ, რომ ტრადიციულ პოლიტიკურ ინსტიტუტებს არ შეუძლიათ ეფექტურად გაუმკლავდნენ საფრთხეებს, მათ შეიძლება მიმართონ ექსტრემისტულ და ძალადობრივ საშუალებებს თავიანთი მიზნების მისაღწევად. ამან შეიძლება გამოიწვიოს დაძაბულობა პოლიტიკურ სისტემაში და კონფლიქტები სხვადასხვა ფრაქციას შორის.
- საგარეო ურთიერთობები: ასიმეტრიულ საფრთხეს ასევე შეიძლება ჰქონდეს შედეგები საერთაშორისო დონეზე. ზოგიერთმა ქვეყანამ შეიძლება გამოიყენოს ასიმეტრიული სტრატეგიები, როგორიცაა ჰაკ-შეტევები ან ჰიბრიდული ომი სხვა სახელმწიფოების პოლიტიკურ სისტემებზე ზემოქმედების მიზნით. ამან შეიძლება შექმნას დაძაბულობა და კონფლიქტი ქვეყნებს შორის, ასევე გამოიწვიოს ცვლილებები საერთაშორისო პოლიტიკურ ურთიერთობებში.

ჯერ კიდევ 90-იანი წლების პერიოდში საქართველოში განვითარებული მოვლენების გაანალიზებით შეგვიძლია შეუიარაღებელი თვალითაც დავინახოთ, რამდენად დამღუპველად მოქმედებდა ასიმეტრიული საფრთხის ფენომენის გაძლიერება ქვეყნის დემოკრატიულ და ეკონომიკურ განვითარებაზე, როდესაც ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის მმართველები მიხვდნენ იმას, რომ გლობალური ცვლილებების შედეგად, მათ წააგეს ცივი ომი ცივილიზებულ საზოგადოებასთან და გარდაუვალი იყო საბჭოთა კავშირის დაშლა, რაც გამოიწვევდა იმდროინდელი საბჭოთა რესპუბლიკების საქართველოს, აზერბაიჯანის, უკრაინის, ბელორუსიის, ბალტიის-პირეთის და სხვა ქვეყნების მიერ დამოუკიდებლობის მოთხოვნას და შემდგომ მის გამოცხადებას. კრემლში მსხდომმა მაღალჩინოსნებმა გადაწყვიტეს ასიმეტრიული

<sup>107</sup> Eli Berman, Religious, and Violent: The New Economics of Terrorism, Published The MIT Press, 2009 Year; pep 295

ომის მეშვეობით აღნიშნული რესპუბლიკების შესუსტება და შემდგომ მათი თავისი გავლენის ქვეშ დატოვება.<sup>108</sup> აღნიშნულმა სტრატეგიამ საბოლოოდ აღნიშნული ქვეყნები დესტაბილიზაციის და არეულობის კერად აქცია, რაც თავისთავად საკმაოდ ნოუიერი ნიადაგი იყო ქვეყნის მტრების სპეცსამსახურებისთვის, რითიც ისინი საკმაოდ ნაყოფიერად სარგებლობდნენ თავისი მიზნების მისაღწევად.<sup>109</sup>

აღნიშნული სიტუაციიდან გამომდინარე, საკმაოდ ადვილად მისახვედრია, რამდენად დიდი ზიანის მომტანი და კატასტროფული იყო ჯერ კიდევ 90-იან წლებში ქვეყანაში განვითარებული სიტუაციები და რამდენად რთული იყო იმ პერიოდში გამოუცდელი და პოლიტიკურად მოუმწიფებელი ქევეყნისათვის და მისი პატრიოტიზმით გაუღენთილი ახალგაზრდა, თუმცა რეალურად პოლიტიკურად არშემდგარი ლიდერებისთვის აღნიშნულ სიტუაციებთან გამკლავება და სწორი პოლიტიკური ნაბიჯების და გადაწყვეტილებების მიღება.

მთავრობაში მოსული პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას მთავრობამ, თავისი პროვოკაციული გადაწყვეტილებებით, წარმოქმნა საკმაოდ ნოუიერი ნიადაგი ქვეყანაში სეპარატიზმის გასაღვივებლად. აღნიშნული გადაწყვეტილებების აღსრულების პროცესშიც გარდაუვალი ხდებოდა ეთნიკური ნიშნით დაპირისპირებები საქართველოს ისეთ ისტორიულ ტერიტორიებზე, როგორიც იყო სამაჩაბლო და აფხაზეთი.

იმისათვის, რომ უფრო მკაფიოდ და დეტალურად განვიხილოთ ეს პერიოდი, საჭიროა უკეთესად გავითავისოთ, თუ რამ გამოიწვია აღნიშნული კონფლიქტების წარმოშობა ქვეყნის ტერიტორიაზე, რა იყო ამის მაპროვოცირებელი და რა შედეგი მიიღო მაშინდელმა ხელისუფლებამ, როგორ გროსმეისტერულად გათამაშდა ჯერ კიდევ ათეულობით წლის წინანდელი მოფიქრებული გეგმა, რომლის მეშვეობითაც დღევანდელ დღემდე ხდება ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე ასიმეტრიულ საფრთხეებთან სისტემატურად ბრძოლა.

<sup>108</sup> \*1989 წლის 9 აპრილის ტრაგედია ამ ყველაფრის ნათელი მაგალითია.

<sup>109</sup> ცხინვალის ომი 30-წლის შემდეგ <https://www.radiotavisupleba.ge/a/31034619.html> (ბოლო ნახვა 30.05.2023)

მოდით დავუბრუნდეთ ამ ორი კონფლიქტის სათავეებს, რომელმაც ფაქტიურად გადაწყვიტა ქვეყნის მომავალი 30 წლის განვითარება. ჯერ კიდევ შორეულ 1988 წელს, მაშინდელ საბჭოთა კავშირში შემავალი საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე, კერძოდ, სამაჩაბლოში (მაშინდელ ოსეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში) იქმნება ორგანიზაცია „ადამონ ნიხასი“ (სახალხო კრება), რომლის არაოფიციალურ და ძირითად დანიშნულებას წარმოადგენდა საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრებ ეთნიკურ ოს და ქართველ მოსახლეობას შორის შუღლის გაღვივება და საქართველოში დესტაბილიზაციის მოწყობა<sup>110</sup>.

თავის მხრივ, იმ პერიოდში ოდიოზური მაღალჩინოსნების მიერ (თენგის კიტოვანი, ჯაბა იოსელიანი და სხვები) წარმატებულად იქნა განხორციელებული, უფრო მეტიც, მათ მოახდინეს დუღილის ტემპერატურის მაქსიმალურად აწევა და დაპირისპირების სამხედრო ჭრილში გადატანა, რასაც პროვოკაციული გადაწყვეტილებებით საკმაოდ ადვილად მიაღწიეს, ხშირად ისმოდა ისეთი რიტორიკა, რომლის დროსაც საქართველოს ეთნიკურად აფხაზ და ოს მოსახლეობას „ჩამოსახლებულ“ და „უმადურ სტუმრებს“ უწოდებდნენ.

აღნიშნული გამონათქვამები მხოლოდ რიტორიკა არ იყო, საქმე მოქმედებაშიც გადაიზარდა, რა დროსაც ფართოდ გამოიყენებოდა შანტაჟი, მუქარები და დაშინება. საბოლოოდ კი კონფლიქტის სამხედრო შეტაკებაში გადაზრდას ხელი შეუწყო საკმაოდ საეჭვო და ქვეყნისათვის დამაზიანებელმა გადაწყვეტილებამ, რომლის მეშვეობითაც 1990 წლის საპარლამენტო არჩევნების წინ საქართველოს უმაღლესმა საბჭომ საარჩევნო კანონმდებლობაში შეიტანა გარკვეული ცვლილებები, რომელიც მიმართული იყო მხოლოდ რეგიონული პარტიების წინააღმდეგ, რაც მათ არჩევნებში მონაწილეობის შესაძლებლობას ართმევდა. აღნიშნული ცვლილებები გათვლილი იყო მხოლოდ ეთნიკურ უმცირესობებზე საარჩევნო ზეწოლის მოსახდენად.<sup>111</sup> ამ ცვლილებებმა მნიშვნელოვანი, შეიძლება ითქვას, გადამწყვეტი როლი ითამაშა რეგიონალური კონფლიქტების გაღვივებაში. ამ გადაწყვეტილებას

<sup>110</sup> ცხინვალის ომი 30-წლის შემდეგ <https://www.radiotavisupleba.ge/a/31034619.html> (ბოლო ნახვა 30.05.2023)

<sup>111</sup> ცხინვალის ომი 30-წლის შემდეგ <https://www.radiotavisupleba.ge/a/31034619.html> (ბოლო ნახვა 30.05.2023)

უკვე მოჰყვა შეიარაღებული კონფლიქტი ქვეყნის შიდა ტერიტორიაზე და დროებით აღნიშნული ერთეულის ქვეყნის კონსტიტუციური წერიგის ფარგლებს გარეთ გასვლა.<sup>112</sup>

თუმცა, რუსული სპეცსამსახურები ამაზე არ შეჩერებულან და თავისი სადაზვერვო საქმიანობა გააგრძელეს, კრიმინალური წარმომავლობის ისეთ პირებს, როგორიც იყო ჯაბა იოსელიანი და სხვები, იყენებდნე, როგორც სადაზვერვო ელემენტს.

იმავე 1990 წელს შეიქმნა რამდენიმე გასამხედროებული დანაყოფი „ეროვნული გვარდიის“ და „მხედრიონის“ სახით, რომელთა უმთავრესი დანიშნულება იყო ცხინვალის კონფლიქტში მონაწილეობა და საკითხის მაშინდელი მთავრობის სასიკეთოდ გადაწყვეტა. თუმცა, როგორც ისტორია გვანახებს, ყველაფერი სავსებით საწინააღმდეგოდ განვითარდა, კონფლიქტამდე რამდენიმე დღით ადრე შექმნილი „ეროვნული გვარდიის“ დანაყოფები პირველ ეტაპზე უპირატესობით სარგებლობდნენ და თითქოს აღნიშნული კონფლიქტი მაშინდელი მთავრობის სასიკეთოდ უნდა დამთავრებულიყო, თუმცა, როგორც ისტორია გვიჩვენებს რეალობა სულ სხვანაირად განვითარდა. სულ რაღაც ერთი წლის თავზე, მას შემდეგ რაც ეროვნული გვარდია შეიქმნა, 1991 წლის აგვისტოს თვეში გვარდიის დანაყოფები, მხედრიონის დანაყოფებთან ერთად თენგიზ კიტოვანისა და ჯაბა იოსელიანის მეთაურობით დაუპირისპირდნენ პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას მთავრობას, რაც გადაიზარდა ძმათა შორის სისხლისმღვრელ სამოქალაქო ომში, რომლის მძიმე შედეგებს დღესაც კი იმკის ჩვენი სახელმწიფო და იმ პერიოდში მცხოვრები სხვა და სხვა თაობები. აღნიშნული სამოქალაქო ომი კლასიკური მაგალითია ჰიბრიდული ომის და ასიმეტრიული საფრთხეებისა, რაც რეალურად წარმოადგენდა პოლიტიკურ ექსტრემიზმს იმ პერიოდში, ქვეყნის მთელი მასშტაბით.<sup>113</sup>

1992-1993 წლებში უკვე აფხაზეთის ა/რ ტერიტორიაზე გაღვივდა ძმათა შორის სისხლისმღვრა, მაშინდელი ხელისუფლების უუნარობისა და იმ პერიოდში

<sup>112</sup> \*რეალურად აღნიშნული ქმედება წარმოადგენდა მაპროვოცირებელ ქმედებას, რომლის შედეგადაც გაღვივდა კონფლიქტი საქართველოს ტერიტორიაზე, რომელიც უკვე 30 წელია არ გადაწყვეტილა.

<sup>113</sup> Eli Berman, Religious, and Violent: The New Economics of Terrorism, Published The MIT Press, 2009 Year; pcp 205

ცივილიზებული სამყაროს უმოქმედობის შედეგად, რუსეთის ფედერაციის დახმარებით მოხდა უკვე მეორე ისტორიული ტერიტორიის დროებით ოკუპაცია და ქვეყნის კონსტიტუციის ფარგლებიდან გასვლა. აღნიშნული სისხლისმღვრელი ომის შედეგად ქვეყანამ მიიღო ათი ათასობით დროებით უსახლკაროდ დარჩენილი მოქალაქე, რომლებმაც დღეის მდგომარეობითაც კი ვერ მოახერხეს ქვეყნის კონსტიტუციით დაკანონებული თავისი უფლებებისა და საკუთრების დაბრუნება და ლტოლვილის სტატუსის მატარებლები არიან საკუთარ ქვეყანაში. აქვე აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ აღნიშნული ომის შედეგად ქვეყანამ მიიღო როგორც რეპუტაციული, ისე მოსახლეობის საგრძნობი დანაკარგი. ფაქტიურად თითქმის განადგურდა იმ პერიოდის შრომის უნარიანი ახალგაზრდობის დიდი ნაწილი.<sup>114</sup> სხვადასხვა ექსპერტების აზრით იმ პერიოდის მოვლენების და რუსეთის ფედერაციის როლის შეფასება არ მომხდარა შესაბამისად, რამაც საკმაოდ დიდი ზიანი მიაყენა ქვეყნის საერთაშორისო იმიჯს.

მაშინ, როდესაც პრეზიდენტმა ზვიად გამსახურდიამ დატოვა თბილისი და მისი მომხრეები გამაგრდნენ სამეგრელოში, აფხაზეთში უკვე გაღვივდა საომარი მოქმედებები, რაც რეალურად მთლიანად საქართველოს აყენებდა არსებობის საშიშროების წინაშე, და გამოიხატებოდა პოლიტიკური ექსტრემიზმისა და რადიკალიზაციის სახით. როდესაც ჯვეფები ან ინდივიდები გრძნობენ, რომ ტრადიციულ პოლიტიკურ ინსტიტუტებს არ შეუძლიათ ეფექტურად გაუმკლავდნენ საფრთხეებს, ისინი მიმართავენ ექსტრემისტულ და ძალადობრივ საშუალებებს, თავიანთი მიზნების მისაღწევად. ამის შედეგია, რომ დღეს ისევე როგორც სამაჩაბლო, ასევე უკვე 30 წელია აფხაზეთის ტერიტორიაც დარჩენილია კანონიერი კონსტიტუციური წეს-წყობილების გარეთ, რაც, თავის მხრივ, წარმოადგენს ასიმეტრიულ საფრთხეს,<sup>115</sup> რომელიც როგორც გამოწვევა, უკვე 30 წელია

<sup>114</sup> Banasik, M. Security and Hybrid Warfare: New Rivalry Paradigm of the Russian Federation in the International. LAP LAMBERT Academic Publishing (September 13, 2017).

<sup>115</sup> Colonel Thomas X. Hammes USMC, The Sling and the Stone: On War in the 21st Century, Zenith Military Classics, 2006 Year; p. 190

საქართველოს სახელმწიფოს უსაფრთხოებისა და თავდაცვის შესაძლებლობებს დიდ საშიშროებას უქმნის.

აღნიშნულმა სიტუაციებმა წარსულში წარმოქმნეს ასიმეტრიული საფრთხეები, რამაც შეარყია პოლიტიკური სისტემის სტაბილურობა და გამოიწვია სოციალური გაურკვევლობა.<sup>116</sup> მაგალითად, ტერორისტული თავდასხმების ან მასობრივი პროტესტის შემთხვევაში, რომელიც მაშინდელი მთავრობის დავალებით ყოველგვარი ამოსაცნობი ნიშნების გარეშე დაჯგუფების მიერ განხორციელდა 1991 წლის 2 სექტემბრის მიტინგის დაშლისას, როდესაც მშვიდობიან მომიტინგეებს კინოს სახლთან ავტომატური იარაღით ცეცხლი გაუხსნეს, რის შედეგადაც ათეულობით მომიტინგემ მიიღო სხეულის სხვადასხვა დაზიანება,<sup>117</sup> რაც თავისი გამოვლინებით წარმოადგენდა ექსტრემისტულ და ძალადობრივ საშუალებებს და იყო პოლიტიკური ექსტრემიზმის და რადიკალიზაციის უკიდურესი გამოვლინება<sup>118</sup> მაშინდელი დროებითი მთავრობის მხრიდან,<sup>119</sup> ამ ყოველივემ შეარყია პოლიტიკური სისტემის სტაბილურობა და გამოიწვია სოციალური გაურკვევლობა ქვეყნის შიგნით, რაც აისახა ისეთ მოვლენაში, როგორიცაა გაზრდილი კრიმინალი და მოსახლეობის მხრიდან თავის დაუცველობის განცდა. ეს ვითარება გრძელდებოდა ქვეყნის ტერიტორიაზე თითქმის ათ წელზე მეტს, რამაც გამოიწვია როგორც ქვეყნის ეკონომიკური, ისე სოციალური სფეროების ჩამოშლა. ქვეყანაში გაძლიერდა კორუფცია, კრიმინალი ხშირ შემთხვევაში, არ აღიარებდა ქვეყნის კანონმდებლობას და ქვეყანაში არსებულ სამართალდამცავ ორგანოებს, თვითონ წყვეტდა საკითხებს, მართალ-მტყუანის განსჯას.

აღიშნული სიტუაცია თავისი არსით წარმოადგენდა პოლიტიკური ექსტრემიზმის და რადიკალიზაციას გამოვლინებას, რაც, თავის მხრივ, ქვეყნისთვის ქმნიდა ასიმეტრიულ საფრთხეს, იწვევდა მნიშვნელოვან ცვლილებებს პოლიტიკურ

<sup>116</sup> Eli Berman, Religious, and Violent: The New Economics of Terrorism, Published The MIT Press, 2009 Year; pep 189

<sup>117</sup> "ბატია", "სვარშტიკები" და "შავი მხედრიონი" <https://shorturl.at/xZmZr> (ბოლო ნახვა 30.05.2023)

<sup>118</sup> Colonel Thomas X. Hammes USMC, The Sling and the Stone: On War in the 21st Century, Zenith Military Classics, 2006 Year; pep 201

<sup>119</sup> \*ფაქტიურად აღნიშნული ქმედების შედეგებს დღესაც იწვნევს საქართველოს მოსახლეობა პოლიტიკური პოლარიზაციის სახით.

სისტემაში, ზღუდავდა მოქალაქეთა თავისუფლებებს და უფლებებს, ამწვავებდა გლობალურ უთანასწორობას<sup>120</sup>, რის შედეგებსაც 30 წლის შემდეგაც კი ვაწყდებით ქვეყნის მასშტაბით.

უკვე ოთხმოცდაათიანი წლების შუიდან, სახელმწიფოს ხელმძღვანელად ედუარდ შევარდნაძის დაბრუნების შემდეგ ქვეყანაში ჩნდება განსხვავებული ტიპის ასიმეტრიული საფრთხეები და გამოწვევები, რაც გამოიხატება კრიმინალური სუბკულტურის ავტორიტეტების გავლენების გაძლიერებაში, დემოკრატიული ინსტიტუტების კრახის, დამოუკიდებელი სასამართლოების შესუსტებაში, მედიაზე კონტროლსა და სიტყვის თავისუფლების შეზღუდვაში.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულმა გამოიწვია ავტორიტარული და ტოტალიტარული ტიპის და მართვის რეჟიმების წარმოქმნა, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის და მისი ოდიოზური მმართველის, ასლან აბაშიძის სახით.

ამასთან, ორიათასიანი წლების პერიოდში უკვე ახალი ტიპის ასიმეტრიული საფრთხეები მოევლინა მოსახლეობას საქართველოში. ეს იყო ეგრეთწოდებული „მეორე ეკონომიკა“ (ჩრდილოვანი ეკონომიკის სახით), და ამ სერვისის მომწოდებელი ბიზნესმენები და მათი მფარველები „კრიმინალური სუბკულტურის“ წარმომადგენლების უმაღლესი იერარქები იყვნენ.

აღნიშნული მიმდევრობის გაძლიერებამ, უპირველეს ყოვლისა, მტკივნეულად იმოქმედა ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებასა და სტაბილურობაზე, რაც როგორც მოვლენა წარმოადგენს „ჰიბრიდული ომის“ ერთ-ერთ განშტოებას.<sup>121</sup> აღნიშნული ბერკეტით შესაძლებელია ქვეყნის განვითარების შეჩერება, სერიოზული ზიანის მიყენება მთლიანად ქვეყნის კონსტიტუციური წეს-წყობილებისთვის და მისი აღმასრულებელი ორგანოების გამართული საქმიანობისთვის ხელისშეშლა მიღწევადი გახდა. ამან კი საბოლოოდ გამოიწვია სტრუქტურების და რესურსების

<sup>120</sup> Colonel Thomas X. Hammes USMC, The Sling and the Stone: On War in the 21st Century, Zenith Military Classics, 2006 Year; p. 209

<sup>121</sup> The landscape of Hybrid Treats: a conceptual model, Luxemburg; Publications Office of the European Union, 2021 Year , p. 15

ნაკლებობა ან არარსებობა.<sup>122</sup> აღნიშნული სიტუაციიდან გამომდინარე, საქართველომ მსოფლიო მასშტაბით თავი დაიმკვიდრა, როგორც კორუმპირებულმა და არასანდო ქვეყანამ, სადაც არ იყო რეკომენდირებული არც ინვესტიციების ჩადება და არც მოგზაურობა ტურისტულად, ვინაიდან კრიმინოგენულმა სიტუაციამ კრიტიკულ ზღვარს მიაღწია, სასჯელაღსრულების დაწესებულები იქცა კრიმინალური პროფესიონალიზაციის და არა რესოციალიზაციის ადგილებად<sup>123</sup>. მოხდა ქვეყნის მასშტაბით კრიმინოგენული სიტუაციის მკვეთრი გაუარესება. უფრო მეტიც, კრიმინალმა აღნიშნულ პერიოდში შეიძინა ახალი უნარი და იგი ორგანიზებულიდან პროფესიონალურად გადაიქცა. <sup>124</sup> ამან განაპირობა ის ფაქტი, რომ წარმოიქმნა ე.წ. „მეორე, ან შავი ბუღალტერია“, რომლის მასშტაბებიც უკვე თვალში საცემი გახდა და ბევრისთვის მისაღებიც კი იყო იმ ეტაპზე.

ყოველივე ზემოთ ხსენებული უკანონო და მართლსაწინააღმდეგო ქმედებების შედეგად ქვეყანაში ჩამოყალიბდა კლანური მმართველობის სისტემა. ამ სისტემის მეშვეობით ხდებოდა ქვეყნის ნახევრადლეგალური გზით მართვა.

ხშირი იყო კლანებს შორის დაპირისპირებები, რასაც მოსდევდა არასასურველი პირების განეიტრალება, მათ შორის საქმე ხშირად ლიკვიდაციამდეც მიდიოდა. აღბათ, ასეთი ქმედების ყველაზე თვალსაჩინო მაგალითი იქნება პრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძეზე 2003 წლის 29 აგვისტოს თავდასხმა, როდესაც სპეციალურად, არალეგალურად საზღვრის გადმოკვეთით შემოყვანილ იქნა ჩეჩენური წარმომავლობის ბანდ-დაჯგუფება. მათ დაევალათ პრეზიდენტის ლიკვიდაცია. აღნიშნული თავდასხმა, ჩვეულებრივ, შეგვიძლია დავაკვალიფიციროთ, როგორც ტერორისტული ჯგუფის მიერ ტერორისტული თავდასხმის საშუალებით გამოყენებული ასიმეტრიული ტაქტიკა, რისი მიზანიც იყო პოლიტიკური სისტემის

<sup>122</sup> Евгений Магди <<Гибридная война>> Vivat Publishing House, Харьков, 2015, стр 22

<sup>123</sup> მიხეილ გაბუნია, კრიმინოლოგია, გამომცემლობა „იურისტების სამყარო“ 2019 წელი, გვ. 121

<sup>124</sup> ბაბალუა მ., ჯგუფური დანაშაული საქართველოში, გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2021 წ. გვ 32

დაზიანება ან დესტაბილიზაციის გამოწვევა ქვეყანაში. საბედნიეროდ, იმ ეტაპზე მიღწეული ვერ იქნა რუსული სპეცსამსახურების მიერ ჩაფიქრებული მიზანი.<sup>125</sup> ბიზნესის და კრიმინალის კოალიციამ სამართალდამცავ ორგანოებთან პიკს მიაღწია 2000-იან წლებში. საქმე იქამდე მივიდა, რომ შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის ყოველწლიურ ანგარიშში ახსენეს საქართველო, როგორც „არ-შემდგარი სახელმწიფო“. აღნიშნული შეფასება მიღებულ იქნა მხოლოდ იმიტომ, რომ იმ პერიოდში პანკისის ხეობაში ხშირად შეინიშნებოდა გაურკვეველი წარმომავლობის კრიმინალური დაჯგუფებების გადაადგილება, რაც შემაშფოთებელი იყო როგორც ჩრდილოელი მეზობლის რუსეთისთვის, ისე შეერთებული შტატებისათვის. ამის გარდა, პანკისის ხეობის გავლით, რეგულარულად ხდებოდა დიდმალი ნარკოტიკული ნივთიერებების ტრანზიტი ევროპის კონტინენტზე, რაც, რა თქმა უნდა, დიდ უკამაყოფილებას იწვევდა ჩვენს დასავლელ პარტნიორებში. უფრო მეტიც, ჯერ კიდევ 2002 წლის თებერვალში მედიაში გაჩნდა ოფიციალური რუსული მხარის განცხადება, თავის ამერიკელ კოლეგებთან ერთად, პანკისის ხეობაში შესაძლო სპეც-ოპერაციის ჩატარების თაობაზე ამ ტერიტორიაზე ტერორისტული დანაყოფის წინააღმდეგ<sup>126</sup>, რადგან რამდენიმე დღით ადრე უკვე გატაცებული იყვნენ შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლები, რომელთა განთავისუფლებაც მოხდა მოგვიანებით.

ყოველივე აღნიშნულს შედეგად მოჰყვა ის ამბავი, რომ 2003 წელს ვარდების რევოლუციის მეშვეობით შეიცვალა პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძის მთავრობა და ხელისუფლებაში მოვიდა ნაციონალური მოძრაობა კოალიციური მთავრობით და პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის მეთაურობით, პრინციპში ყველა აქამდე მოყვანილი პრობლემები (კორუფცია, კრიმინალი, მექრთამეობა) წარსულს ჩაბარდა. მმართველობის პირველი ოთხი წლის განმავლობაში ახალმა მთავრობამ შეძლო და აღმოფხვრა. თუმცა, მთავარი გამოწვევა, რაც რუსული გავლენებისგან

<sup>125</sup> Eli Berman, Religious, and Violent: The New Economics of Terrorism, Published The MIT Press, 2009 Year; pcp 287

<sup>126</sup> პანკისის ხეობა საერთაშორისო საზოგადოების უკრადლების ცენტრში ექცევა

<https://www.radiotavisupleba.ge/a/1518983.html> (ბოლო ნახვა 30.05.2023)

განთავისუფლება და დემოკრატიულ ფასეულობებზე დამყარებული ქვეყნის მშენებლობა იყო, მათ ბოლომდე ვერ მოახერხეს. ამ ყველაფერში კი მათ ხელს უშლიდა ზუსტად ის პრივილეგირებული კრიმინალური ფენა, რომელშიც შედიოდა როგორც „კრიმინალური სუბკულტურის“ წარმომადგენელები, ასევე გარკვეული პრივილეგიებით მოსარგებლე მოსახლეობის ნაწილი, რომელიც ოც წელზე მეტი სარგებლობდა ამ პრივილეგიებით და მთლიანად შერწყმული იყო მასთან. ახალგაზრდა მთავრობა მზად არ აღმოჩნდა, გამკლავებოდა აღნიშნულ გამოწვევას. შედეგად მოუწიათ ხელისუფლებიდან ოპოზიციაში გადანაცვლება, თუმცა, მანამდე თავისი მმართველობის პერიოდში რამდენიმეჯერ იყვნენ რუსული აგრესიული პოლიტიკის მიერ დაზიანებული. რუსეთი საქართველოს წინააღმდეგ აწარმოებდა „ჰიბრიდულ ომს“, მაგალითისთვის აღსანიშნავია იმავე 2006-წელს რუსეთ-საქართველოს დამაკავშირებელი გაზსადეინზე მომხდარი ტერორისტული აქტი, რა დროსაც საქართველო ზამთრის პერიოდში, ფაქტიურად, დარჩა ბუნებრივი აირის გარეშე. ამის გარდა, გახშირდა ინტერნეტის ხშირი გამოყენების შედეგად ჰაკერული თავდასხმები საქართველოს ოფიციალურ სტრუქტურებზე, რაც წინ უსწრებდა 2008-წლის რუსულ ინტერვენციას საქართველოში, რაც განიხილება უკვე „ჰიბრიდული ომიდან“ კონვენციური ტიპის მოკლევადიანი ომის წარმატებულად ჩატარების ერთ-ერთ მაგალითად.<sup>127</sup>

ალბათ, ყველაზე სერიოზული საფრთხის ქვეშ საქართველო ზუსტად 2008 წელს დადგა. ამ პერიოდში საქართველოს ტერიტორიაზე და მის გარეთ სისტემატურად მიმდინარეობდა „ჰიბრიდული ომის“ წარმოება და უკვე აგვისტოს თვეში აღნიშნულს დაემატა ღია სამხედრო ინტერვენცია საქართველოს ტერიტორიაზე, რაც გადაიზარდა ფართომასშტაბიან კონვენციურ ომში სამაჩაბლოს ტერიტორიაზე.

ამ ომის პერიოდში რუსული მხარის მიერ მოხდა რამდენიმე ტერორისტული აქტის დონის სამხედრო ოპერაციის ჩატარება საქართველოს ტერიტორიაზე, ხდებოდა კავშირგაბმულობის და მასმედიის გადამცემი ანძების დაზიანება, რის შემდეგაც

<sup>127</sup> კუპრაშვილი, პ. საერთაშორისო უშიშროება, თანამედროვე გამოწვევები, თბილისი: 2018.გვ.176

„ჰიბრიდული ომის“ კლასიკური მოდელის შესაბამისად, მთელი ქვეყნის მასშტაბით იწყებოდა პროვოკაციული შინაარსის ინფორმაციების გავრცელება, რაც მოსახლეობაში იწვევდა უიმედობისა და სასოწარკვეთილების განცდას.

ამის შემდგომ რუსული მხარე გადავიდა ჰაკერულ თავდასხმებზე, რამაც მწყობრიდან გამოიყვანა ქვეყნის მასშტაბით ყველა სახელმწიფო სერვისის და მომსახურეობის გვერდები სახელმწიფოს ყველა სამინისტროს სერვერებზე, ასევე ერთდროულად მოხდა თავდასხმა და მათი მწყობრიდან გამოყვანა, რეალურად ერთადერთი ფაქტორი, რის გამოც ქვეყანაში კოლაფსი არ მოხდა იმ პერიოდში, იყო ის, რომ იმ პერიოდში ინტერნეტით სარგებლობის მაჩვენებელი იყო საკმაოდ მცირე, ამიტომ რეალურად ქვეყნის მოსახლეობის უმეტესმა ნაწილმა ვერც კი შეიგრძნო აღნიშნული პრობლემის წარმოშობა, თუმცა, აშკარა გახდა რაოდენ წარმატებული და მოქმედი აღმოჩნდა „ჰიბრიდული ომის“ წარმოების ეს საშუალება.

2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომმა, ნათლად წარმოაჩინა ისეთი ტიპის ჰიბრიდული საფრთხეები, რომელთა არსებობაც აქამდე, არც საქართველოს და არც მსოფლიოში, არ იყო ცნობილი, აღნიშნულმა კიდევ ერთხელ დაგვანახა, რაოდენ სერიოზულ საფრთხეს წარმოადგენს ჰიბრიდული საფრთხეები ქვეყნის სტაბილურობის და მისი განვითარებისთვის.<sup>128</sup>

უკვე 2012 წლის შემდგომ ქვეყანა სრულიად სხვა ჰიბრიდული საფრთხეებისა და გამოწვევების წინაშე დგება. აქამდე არსებული მსოფლიო წეს-წყობილება იწყებს ცვლილებას, შესაბამისად, იცვლება ჰიბრიდული საფრთხეებიც. თუ მანამდე ინტერნეტ და ტელეკომუნიკაციის სივრცეს არც ისე დიდი ყურადღება ექცეოდა, ახალი ციფრული ერის დადგომისა და გაძლიერების შემდეგ აღნიშნულმა დარგებმა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი დატვირთა შეიძინა. შესაბამისად, საქართველოს მთავრობის წინაშე დადგა ისეთი ტიპის ჰიბრიდული საფრთხეები, რომლის გადაწყვეტაც ოპერატიულად საკმაოდ რთული აღმოჩნდა, კერძოდ, მოხდა ინტერნეტ-

<sup>128</sup> ჰოუგი, პ., პილბეამი, ბ., სტოკი, ვ., „საერთაშორისო უსაფრთხოების თეორია და პრაქტიკა“, 2021 წელს. გვ134

სივრცის დაკავება ტროლების, ბოტების და ე.წ „ფეივ“ გვერდებით, რომელთა მეშვეობითაც ხდებოდა სისტემატური დეზინფორმაციის მიწოდება ქვეყნის მოსახლეობისთვის, რაც ქვეყნის მასშტაბით ახდენდა უიმედობის და სტაგნაციის განცდის გაღვივებას, ხელს უშლიდა ქვეყანას სწორი განვითარების გზაზე დადგომაში. აღნიშნული შეტევები საკმაოდ წარმატებული აღმოჩნდა პირველ ეტაპზე, რის შემდეგაც უკვე მოხდა მომდევნო საფეხურზე გადასვლა, შემდგომი სფერო უკვე გახდა ქვეყნის მოსახლეობისთვის იმის შთაგონება, რომ საქართველოს ევროპული ინტეგრაცია და დიდი ევროპული ოჯახის წევრობა რეალურად მოახდენდა ქვეყნის იდენტობისა და მისი ეთნიკური ფასეულობების დაკარგვას, ახალგაზრდების გახრწნას და დიდი ალბათობით საერთოდ გადაშენებას უქადა ქართულ გენოფონდს და მოსახლეობას. ამ ტიპის საინფორმაციო ომში საკმაოდ დიდ მონაწილეობას იღებდა კრიმინალური სუბკულტურის წარმომადგენლები, რომელთა მიერ მოხდა პროპაგანდირება რუსული სპეცსამსახურების მიერ შემუშავებული მცდარი შეხედულებებისა ლიბერალურ და დემოკრატიულ მიმდინარეობებზე, როგორც ძირძველი ქართული წეს-ჩვეულებების მოწინააღმდეგე და დამანგრეველი მიმდევრობაზე .

ამ ყველაფრის წარმატებით დაგვირგვინებისთვის ქვეყანაში ჩნდება ისეთი რადიკალური პოლიტიკური ორგანიზაციები, რომლებიც პირდაპირი მოწოდებით არწმუნებენ ქვეყნის მოსახლეობას, რომ მათ არ სჭირდებათ არც ქვეყნის ევროპული ინტეგრაცია და არც ევრო-ატლანტიკური საბჭოს წევრობა, ვინაიდან აღნიშნული გამოიწვევს რუსეთის ფედერაციის მხრიდან უკმაყოფილებას და შექმნის ახალი ფართომასშტაბიანი სამხედრო დაპირისპირების საშიშროებას ქვეყნებს შორის, რაც რეალურად დამღუპველი იქნება საქართველოსთვის. აღნიშნულმა პროპაგანდამ საკმაოდ წარმატებულად იმუშავა და მაშინ, როდესაც 2012 წლამდე ქვეყნის მოსახლეობის 80%-ზე მეტი მხარს უჭერდა ქვეყნის ევროპულ კურსს და მათთვის მიუღებელი იყო რუსეთის ფედერაცია თავისი იმპერიალისტური მისწრაფებებით,

(NDI-ის გამოკითხვის შედეგად)<sup>129</sup> უკვე 2012 წლიდან აღნიშნულმა განწყობამ მკვეთრად იწყო შემცირება<sup>130</sup>, რისი წინაპირობა ზუსტად ზემოთმოყვანილ ჰიბრიდულ საფრთხეებთან ვერგამკლავებამ, აღნიშნული პრობლემის საწყის ეტაპზე ვერგანეიტრალებამ გამოიწვია. გარდა ამისა, მნიშვნელოვანი იყო ის ფაქტორიც, რომ პრო-რუსული პარტიების ქვეყნის პარლამენტში შესვლა, რა დროსაც ისინი პარლამენტის ტრიბუნიდან ახდენენ რუსული ინტერესების პროპაგანდირებას. ქვეყნის მასშტაბით გაჩნდა კონსერვატორული მიმდევრობის რამდენიმე ორგანიზაცია და პარტია, რომელთა ძირითადი მიზანი ზუსტადაც არის ის, რომ მოხდეს პროპაგანდა და მოსახლეობის დარწმუნება, რომ ევროპული ფასეულობები და ქვეყნის მიერ მთლიანად არჩეული კურსი დამღუპველი და არასწორია. ლიბერალური ფასეულობების მიზანმიმართული დამახინჯებით ხდება ხალხის შეცდომაში შეყვანა, რაც იწვევს მოსახლეობაში პოლარიზებას და დაძაბულობის კერებს, რომელთა განეიტრალება საკმაოდ რთულია და ხშირ შემთხვევაში, პირდაპირი საფრთხის მატარებელია ქვეყნის კონსტიტუციური წეს-წყობილებისათვის.<sup>131</sup>

აქვე არ უნდა დაგვავიწყდეს ის ფაქტიც, რომ რუსული რბილი ძალა, თავისი მიზნების მისაღწევად იყენებს კრიმინალურ სუბკულტურას თავისი მაღალი იერარქებით, რომელიც მთელი ქვეყნის მასშტაბით ახდენს დესტაბილიზაციას და მოქმედებს სადაზვერვო ელემენტების გამოყენებით რუსეთის სასარგებლოდ. ამისათვის საკმარისია გავიხსენოთ დმანისის ინცინდენტი, რომელიც მოხდა 2021 წელს. ერთი შეხედვით, გაუცნობიერებელ პირს შესაძლოა მოჩვენებოდა, რომ აღნიშნული კონფლიქტი ეთნიკური დაპირისპირების ნიშნებს ატარებდა, თუმცა, საქმეში კარგად ჩახედულმა ადამიანებმა იციან ის ფაქტი, რომ აღნიშნული კონფლიქტი იყო ორი დაჯგუფების დაპირისპირება, რომლებიც იმართებოდნენ კრიმინალური ავტორიტეტების მიერ.

<sup>129</sup> National Democratic Institute-ს კვლევები <https://shorturl.at/hOX8B> (ბოლო ნახვა 30.05.2023)

<sup>130</sup> National Democratic Institute-ს კვლევები <https://shorturl.at/hOX8B> (ბოლო ნახვა 30.05.2023)

<sup>131</sup> Arquilla J., and D. Ronfeldt. „Cyberwar Is Coming!”, Comparative Strategy, Vol. 12, No. 2 (Spring 1993).pp;89

აღნიშნული კონფლიქტი ატარებდა ეთნიკური დაპირისპირების ელფერს და დიდი ალბათობით შესაძლებელი იყო გადაზრდილიყო სამოქალაქო დაპირისპირებაშიც, რაც არანაირად არ იყო გამართლებული ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე. კონფლიქტის განეიტრალება მოხდა მხოლოდ მას შემდეგ, რაც ჩაერია ორივე ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენელი კრიმინალური ავტორიტეტები, რაც კიდევ ერთხელ მიგვითითებს, რაოდენ დიდი ძალის მატარებლები არიან აღნიშნული სუბკულტურის მიმდევარი პირები.

საბოლოოდ აღნიშნული კონფლიქტის განალიზებით ადვილად შეიძლება მივხვდეთ იმ ფაქტს, რომ კონფლიქტის დაწყებაც და მისი განეიტრალებაც თავიდანვე დადგმული და შესრულებული იყო ქვეყანაში მოქმედი კრიმინალური სუბკულტურის მიერ და შესრულდა, როგორც აგრესორი ქვეყნის სპეცსამსახურების მხრიდან მიღებული სადაზვერვო დავალება.

ასევე 2021 წელს იგივე ტიპის ეთნიკური დაპირისპირების მცდელობები იყო გურიაში, სოფელ ბუკნარში და შემდგომ აჭარის ა/რ, სადაც მეჩეთის კარებზე მუსლიმებისთბვის შეურაცხმყოფელი ღორის თავის მიჭედება მოხდა დაუდგენელი პირების მიერ.<sup>132</sup>

ზემოთ აღწერილი ყველა ფაქტი განხორციელდაერთ წელს და მიზნად ისახავდა ქვეყნის შიგნით საერთო სიტუაციის არევას, რაც სამომავლოდ ხელს შეუშლიდა ქვეყნის სწორი დემოკრატიული მიმართულებით განვითარებას.

ზემო აღნიშნულიდან გამომდინარე, შესაძლებელია დავასკვნათ, რომ ასიმეტრიული საფრთხის დროს ქვეყნის პოლიტიკური სტაბილურობა შეიძლება ექვემდებარებოდეს სხვადასხვა საფრთხეებს. ასიმეტრიულ საფრთხეს ახასიათებს კონფლიქტის მხარეებს შორის ძალაუფლებისა და რესურსების დისბალანსი, სადაც ერთი მხარე იყენებს არასტანდარტულ, მოულოდნელ მეთოდებსა და ტაქტიკას თავისი მიზნების

<sup>132</sup> United Nations, Proceedings of the Eighth United Nations Congress on the Prevention of Crime and the Treatment of Offenders, 27 August–7 September 1990, Havana, Cuba; documents available at [http://www.asc41.com/UN\\_Congress/8th%20UN%20](http://www.asc41.com/UN_Congress/8th%20UN%20) ( ბოლო ნახვა 15.09.2022)

მისაღწევად. ასეთ ვითარებაში პოლიტიკური სტაბილურობის საფრთხე შეიძლება შეიცავდეს შემდეგ ასპექტებს:

ტერორიზმი და ექსტრემიზმი: ტერორისტულ ჯგუფებს და ექსტრემისტულ ორგანიზაციებს შეუძლიათ გამოიყენონ ძალადობა და დაშინება პოლიტიკური სისტემის დესტაბილიზაციისთვის, განახორციელონ ტერორისტული აქტები, თავდასხმები სამთავრობო ინსტიტუტებზე, პოლიტიკურ ლიდერებზე ან საზოგადოებაზე, შექმნან შიშისა და გაურკვევლობის ატმოსფერო. რაც საკმაოდ ხშირად გვხვდება საქართველოს 30 წლიანი თავისუფლების მოპოვების პერიოდიდან მოყოლებული დღემდე.<sup>133</sup> საკითხის უფრო მკაფიოდ გასაგებად საჭიროა სათითაოდ გავიაროთ თითოეული საფრთხე უფრო დეტალეურად:

ჰიბრიდული საფრთხეები: ჰიბრიდული საფრთხეები აერთიანებს სხვადასხვა მეთოდებსა და ინსტრუმენტებს, როგორიცაა კიბერშეტევები, საინფორმაციო ომი, დეზინფორმაცია, ფინანსური მანიპულირება და პოლიტიკური სისტემის მიზანმიმართული ძირგამომთხრელი საქმიანობა. ამან შეიძლება გამოიწვიოს ხელისუფლების დესტაბილიზაცია, შეარყიოს საზოგადოების ნდობა პოლიტიკური ინსტიტუტების მიმართ და გამოიწვიოს პოლიტიკური არასტაბილურობა. აღნიშნული ქმედებები 2003 წლიდან მოყოლებული დრევანდელ დღემდე ხდებოდა და ხდება მთელი ქვეყნის მასშტაბით.<sup>134</sup>

გარე ჩარევა: გარე აქტორებს, როგორიცაა სახელმწიფოები ან საერთაშორისო ორგანიზაციები, შეუძლიათ გამოიყენონ ასიმეტრიული მეთოდები პოლიტიკური სისტემის დესტაბილიზაციისთვის თავიანთი ინტერესების მისაღწევად. ეს შეიძლება მოიცავდეს ოპოზიციური ჯგუფების (მათ შორის რადიკალური ჯგუფების) დაფინანსებას, შიდა პოლიტიკის მანიპულირებას, კონფლიქტების შექმნას

<sup>133</sup> Duyvesteyn, I., & Angstrom, J. (Eds.). Rethinking the nature of war. Routledge. Potomac books, 2015 Year, pep. 58

<sup>134</sup> Bapat, N. A. State repression and political order. Journal of Peace Research, 50(3), 2013 year, pep 339-352.

მოსახლეობის სხვადასხვა ჯგუფებს შორის (რაც საქართველოს თავისუფლების მოპოვების პერიოდიდან სისტემატურად გვხვდება ყოველდღიურობაში) ან სამხედრო ძალის გამოყენებას (აღსანიშნავია აფხაზეთის, სამაჩაბლოს და 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომები).<sup>135</sup>

სოციალური დაძაბულობა: ასიმეტრიულმა საფრთხემ შეიძლება გააძლიეროს სოციალური განხეთქილება და დაძაბულობა საზოგადოებაში. ეს შეიძლება გამოწვეული იყოს ეთნიკური, რელიგიური ან პოლიტიკური განსხვავებებით, ასევე უთანასწორობითა და უსამართლობით. სოციალურმა დაძაბულობამ შეიძლება გამოიწვიოს პროტესტი, სამოქალაქო არეულობა და კონფლიქტური სიტუაცების წარმოქმნა მოსახლეობაში.

აღნიშნულის არაერთი მაგალითი გვაქვს როგორც ახლო, ისე შორეულ წარსულში, როცა სოციალური დაძაბულობის ნიადაგზე ქვეყნის მასშტაბით წარმოიქმნებოდა კონფლიქტური სიტუაციები და არეულობები.<sup>136</sup>

ასიმეტრიულმა საფრთხეებმა შეიძლება სერიოზული გამოწვევები შეუქმნას სახელმწიფოს უსაფრთხოებასა და თავდაცვას. მათთვის დამახასიათებელია სტრატეგიული მიზნების მიღწევისკენ მიმართული არასტანდარტული და მოულოდნელი მეთოდებისა და ტაქტიკის გამოყენება. განვიხილოთ ასიმეტრიული საფრთხეების რამდენიმე მაგალითი, რომლებიც ქვეყნის უსაფრთხოებას და თავდაცვისუნარიანობას უქმნის საფრთხეს:<sup>137</sup>

პოლოტიკური ტერორიზმი: ჯგუფები იყენებენ ძალადობას და შიშის ინსტრუმენტებს თავიანთი პოლიტიკური, თუ იდეოლოგიური მიზნების მისაღწევად. მათ ხშირად აქვთ არატრადიციული მიდგომები, მაგალითად, შეუძლიათ ჰიბრიდული თავდასხმების განხორციელება, კიბერშეტევების განხორციელება ქვეყნის მასშტაბით, რაც არაერთხელ მომხდარა რუსეთის ფედერაციის მიერ საქართველოს წინააღმდეგ.

<sup>135</sup> Hoffman, F. G. Conflict in the 21st Century: The Rise of Hybrid Wars. Potomac Books. 2007 Year, pep 89

<sup>136\*</sup> სამოქალაქო ომიდან დაწყებული ეთნიკური დაპირისპირებებით დამთავრებული

<sup>137</sup> Thiele, R., „Hybrid Warfare: Future and Technologies“ England, Clys Ltd,St. Ives plc, 2020,pep;234

რუსეთის მიერ არაერთხელ მოხდა კრიტიკული ინფრასტრუქტურისა და პოლიტიკური და ეკონომიკური ინსტიტუტების საბოტაჟი და მწყობრიდან გამოყვანა. კიბერსაფრთხეები: კიბერშეტევები და კიბერდანაშაული სერიოზულ საფრთხეს უქმნის მთავრობის საკომუნიკაციო სისტემებს, საინფორმაციო ინფრასტრუქტურას და კრიტიკულ სექტორებს, როგორიცაა ენერგეტიკა, ფინანსები და თავდაცვა. კიბერ საფრთხეები შეიძლება გამოყენებულ იქნას სამთავრობო უწყებების ჩამოშლის, კონფიდენციალური მონაცემების მოპარვის, არჩევნების მანიპულაციისა და საზოგადოების დესტაბილიზაციისთვის, რაც რუსული მხარის მიერ ასევე ხშირად გამოყენებულა საქართველოს წინაარმდეგ, კრიმინალური სუბკულტურის რადიკალურად განწყობილი ჯგუფების და პრორუსული პოლიტიკური პარტიების და არასამთავრობო ორგანიზაციების მეშვეობით.<sup>138</sup>

არასტაბილური რეგიონები და სამოქალაქო კონფლიქტები: რეგიონები სამოქალაქო კონფლიქტებით ან არასტაბილური სახელმწიფოების არსებობით შეიძლება გახდეს ასიმეტრიული საფრთხეების წყარო. ეს შეიძლება მოიცავდეს საზღვრისპირა კონფლიქტებს, ეთნიკურ დაძაბულობას, ლტოლვილებს და ტრანსნაციონალურ ტერორისტულ ორგანიზაციებს. კონფლიქტის და საფრთხეების სხვა ქვეყნებში გავრცელების შესაძლებლობამ შეიძლება შექმნას სირთულეები მათი უსაფრთხოებისა და თავდაცვის შესაძლებლობებისთვის. აღსანიშნავია უკვე დასახელებული აფხაზეთის და სამაჩაბლოს ომები და 2008 წლის რუსული ღია სამხედრო ინტერვენცია, რა დროსაც ხდებოდა ეთნიკური ნიშნით ქართველი მოსახლეობის გამოდევნა, მათზე ძალადობა და გენოციდი .<sup>139</sup>

კიბერშეტევები და კიბერდანაშაულები წარმოადგენს ასიმეტრიული საფრთხეების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ნაწილს, რამაც შეიძლება ისეთ სახელმწიფოს, როგორც საქართველოა, განვითარებას სერიოზული გამოწვევები და პრობლემები შეუქმნას.

<sup>138</sup> Sandler, T., & Tschirhart, J. T. Handbook of Defense Economics. Elsevier 2018 Year, pcp 125

<sup>139</sup> Johnson, R., & Rathmell, A. (Eds.)New Perspectives on Asymmetric Warfare. Routledge 2017, pcp 97

კიბერსაფრთხეები შეიძლება განხორციელდეს თუნდაც მცირე ჯგუფების ან შეზღუდული რესურსების მქონე ინდივიდუალური აქტივისტების მიერ. ამავდროულად, კიბერშეტევებისგან დაცვა მოითხოვს მნიშვნელოვან ინვესტიციებს ტექნოლოგიაში, ადამიანურ რესურსებსა და პერსონალის მომზადებაში, რომლის განხორციელებაც დღევანდელი გადმოსახედიდან სირთულეს წარმოადგენს საქართველოში.

კიბერსაფრთხეები შეიძლება განხორციელდეს მსოფლიოს ნებისმიერი ადგილიდან, რაც საშუალებას აძლევს თავდამსხმელებს დარჩეს ანონიმური და თავიდან აიცილოს დევნა. ეს ანიჭებს მათ მოქნილობას და მობილურობას, რაც ართულებს მათ გამოვლენას და წინააღმდეგობას.

კიბერშეტევებმა შეიძლება გავლენა მოახდინოს ფართო აუდიტორიაზე ან კრიტიკულ ინფრასტრუქტურაზე, მათ შორის, სამთავრობო სისტემებზე, ფინანსურ ინსტიტუტებზე, ენერგეტიკულ სისტემებზე და საკომუნიკაციო ქსელებზე. ეს მათ ასიმეტრიულ საფრთხეებად აქცევს, რომელსაც შეუძლია სახელმწიფოს ფუნქციონირების მნიშვნელოვანი დარღვევა გამოიწვიოს. აქვე აღსანიშნავია ნამახვან ჰესის მშენებლობის წინააღმდეგ აგორებული საპროტესტო ტალღა, რომელმაც ქვეყნისთვის უმნიშვნელოვანესი პროექტის ჩაშლა გამოიწვია.<sup>140</sup>

კიბერსაფრთხეები შეიძლება მოიცავდეს დეზინფორმაციისა და ყალბი ამბების გავრცელებას, რამაც შეიძლება უარყოფითი გავლენა მოახდინოს საზოგადოებრივ აზრზე და პოლიტიკურ სტაბილურობაზე. თავდამსხმელებს შეუძლიათ გამოიყენონ სოციალური მედია და ონლაინ პლატფორმები საჯარო დისკურსის მანიპულირებისთვის და სახელმწიფო ინსტიტუტების ლეგიტიმურობის შელახვის მიზნით. აღნიშნულიც ხშირად გამოიყენება მოქმედი მთავრობების წინააღმდეგ სისტემატიურად .<sup>141</sup>

<sup>140</sup>\*აღნიშნული პროექტი საშუალებას მისცემდა საქართველოს თავი დაელწია რუსეთზე ენერგეტიკული დამოკიდებულებისგან და რეგიონში გახდიდა მას ერთ-ერთ ლიდერად ელექტრო ენერგიის ექსპორტში.

<sup>141</sup>Brenner, J. The Future of Cybersecurity and International Norms. Stanford Law Review, 2007 Year 59(5), pp 1307-1334.

აღსანიშნავია ასევე კრიტიკული ინფრასტრუქტურის მოწყვლადობა, კიბერშეტევებმა შეიძლება მიმართოს კრიტიკულ ინფრასტრუქტურას, როგორიცაა ენერგეტიკული სისტემები, სატრანსპორტო ქსელები, საბანკო სისტემები და სატელეკომუნიკაციო ინფრასტრუქტურა. ამ სისტემების დაზიანებას ან დარღვევას შესაძლოა სერიოზული შედეგები მოჰყვეს ეკონომიკასა და მთლიანად საზოგადოებაში. რაც 2006 წელს მოხდა (რაც არსებული ინფორმაციით განხორციელდა კრიმინალური ბანდ-დაჯგუფების მეშვეობით) საქართველოსა და რუსეთის გაზსადენზე. ამ ქმედებებმა რეალურად კოლაფსი გამოიწვია ზამთრის პერიოდში მთელი ქვეყნის მასშტაბით.<sup>142</sup>

ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, ასიმეტრიულ საფრთხეებზე ეფექტური რეაგირებისა და პოლიტიკურ სისტემაზე მათი ზემოქმედების შესამცირებლად აუცილებელია ყოვლისმომცველი მიდგომის შემუშავება, რომელიც მოიცავს უსაფრთხოების განმტკიცებას, სტაბილურობის უზრუნველყოფას, რადიკალიზაციის წინააღმდეგ ბრძოლას და საერთაშორისო დონეზე კოორდინაციის განვითარებას. ეს შეიძლება მოიცავდეს ისეთ ზომებს, როგორიცაა უცხო ქვეყნების სპეცსამსახურების (დაზვერვისა და ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის შესაძლებლობების გაუმჯობესება), პოლიტიკური ინსტიტუტების გაძლიერება, დემოკრატიული ინსტიტუტების გაძლიერება, სოციალური და ეკონომიკური რეფორმების განხორციელება და ქვეყნებს შორის პოლიტიკური დიალოგისა და თანამშრომლობის წახალისება.<sup>143</sup>

<sup>142</sup> Libicki, M. C. Cyberdeterrence and Cyberwar. RAND Corporation 2009 Year , pep 69

<sup>143</sup> Rod Thornton, Asymmetric Warfare: Threat and Response in the 21st Century, Publisher: Polity, 2007 Year; pep.159

## II თავი

მეორე თავი. „კანონიერი ქურდები“ როგორც პოლიტიკური საშიშროების არსი და მისი კლასიფიკაცია: ასიმეტრიული საფრთხეების ფაქტორის მეთოდოლოგიური საფუძველი და ისტორიული მიმოხილვა.

თანამედროვე საერთაშორისო უსაფრთხოების სისტემის ახალი აქტორის - არასახელმწიფოებრივი აგრესიული დაჯგუფების (როგორიცაა კრიმინალური სუბკულტურა) როლი და ადგილი სამხედრო კონფლიქტების გაღვივებასა და განვითარებაში საკმაოდ მნიშვნელოვანია და ხშირ შემთხვევებში წარმატების მომტანიც, ლოკალური და მასშტაბური „ჰიბრიდული ომის“ წარმოების პროცესში.

ბოლოდროინდელმა გეოპოლიტიკურმა მოვლენებმა ცხადჰყო, რომ სამხედრო მოქმედებების თეატრის ზონებში წარმოებული საბრძოლო მოქმედებებსა და სამხედრო ხელოვნებაში თავი იჩინა კლასიკური ომის გარდაქმნამ უკვე პოსტ-ბიპოლარული პერიოდის მოდერნიზებული მეოთხე და მეხუთე თაობის ომების კლასიფიკაციად, სადაც ტექნოკრატიულ პარამეტრებთან ერთად, დიდი ყურადღება ეთმობა მობილური, მოქნილი და მცირერიცხოვანი საბრძოლო ქვედანაყოფებისა და ისეთი არასამთავრობო აქტორის წარმოჩენას, როგორიცაა „კრიმინალური სუბკულტურა, მათი საომარ მოქმედებებში აქტიურმა ჩართვამ.<sup>144</sup> ამგვარი ახალი გეოპოლიტიკური ფენომენის გამოჩენა უკავშირდება ისეთი აქტორის ცნებას, როგორიცაა - არასახელმწიფოებრივი აგრესიული აქტორები და ამ შემთხვევაში კი უნდა დაემატოს ტერმინი „სამხედრო“, „კრიმინალური“ და „სადაზვერვო“.

პოსტ-საბჭოთა სივრცეში გარკვეული არასახელმწიფოებრივი აქტორების გაძლიერება, რომლებიც ძირითადად აწარმოებენ კრიმინალურ სადაზვერვო

<sup>144</sup> გუგული მაღრაძე, ვახტანგ მაისაა: 21-ე საუკუნის საერთაშორისო პოლიტიკა და „თანამშრომლობითი უსაფრთხოების“ თეორია: მითი და რეალობა- რეგიონალური და გლობალური ასპექტები, გამომცემლობა „უნივერსალი“, თბილისი, 2017 წ. გვ 79

ანტისახელმწიფოებრივ საქმიანობას, და მათი ჩართვა პოლიტიკურ საქმიანობაში წარმოადგენს ახალ მოვლენას, აღნიშნული ძალიან განსხვავდება დასავლეთში რუსული სპეცსამსახურების მიერ, ჯერ კიდევ გასული საუკუნის 60-იან წლებში შექმნილი, ანალოგიური სახის სტრუქტურული ერთეულებისაგან<sup>145</sup> თავისი გაქანებით, მასშტაბურობით და განსაკუთრებული გეოპოლიტიკური მისიების შესრულებით.<sup>146</sup>

მიმდინარე საერთაშორისო უსაფრთხოების პირობებში შეიცვალა გეოსტრატეგიული გარემო, რომელიც ახასიათებს ამ სისტემის შემადგენელ აქტორებს. თანამედროვე ეპოქაში კარდინალურად შეიცვალა საერთაშორისო უსაფრთხოების გარემო და მისი ერთ-ერთი კომპონენტი - სამხედრო კონფლიქტების მიმდინარეობა. დიდი გავლენა ასეთი კონფლიქტების განვითარებაზე იქონია სამხედრო-ტექნიკურმა რევოლუციებმა,<sup>147</sup> რომლებმაც 21-ე საუკუნეში კარდინალურად შეცვალა მათი წარმოების დინამიკა, ოპერატიული მართვა და ახალი ტექნოლოგიების ჩართულობის მასშტაბები. განსაკუთრებით კი ეს ფაქტორი მნიშვნელოვნად იზრდება საომარი მოქმედების, ან ომიანობის პირობებში, ასევე საომარი მოქმედებების დამთავრების შემდგომაც.

დღეს, როდესაც აქტუალურია ე.წ. მეოთხე თაობის ომი, რომელიც ხასიათდება საინფორმაციო ტექნოლოგიების, კიბერომისა და ავტონომიური და ნახევრად ავტონომიური შეიარაღების სისტემების ინტენსიური გამოყენებით. ქმნის ახალ გამოწვევებს საერთაშორისო სამართლის მიერ კონფლიქტების მართვისა და რეგულირებისას.

აქვე აღსანიშნავია არაფორმალური აქტორები, რომლებიც მეოთხე თაობის ომებში შეიძლება ჩაერთონ არა მხოლოდ სახელმწიფოს მიერ აღიარებული დანაყოფების სახით, არამედ არაფორმალური სახითაც, როგორიცაა კერძო სამხედრო კომპანიები ან

<sup>145</sup> Mark Galeotti, Putin's Hydra: Inside Russia's Intelligence Services, European Council on Foreign Relations, 2016 Year; pcp.87

<sup>146</sup> ჰენრი კუპრაშვილი; საქართველოს ეროვნული უშიშროება, გამომცემლობა „უნივერსალი“, თბილისი, 2022 წ. გვ 223

<sup>147</sup> გუგული მაღრაძე, ვახტანგ მაისაა: 21-ე საუკუნის საერთაშორისო პოლიტიკა და „თანამშრომლობითი უსაფრთხოების“ თეორია: მითი და რეალობა- რეგიონალური და გლობალური ასპექტები, გამომცემლობა „უნივერსალი“, თბილისი, 2017 წ. გვ 85

კიბერდანაშაულებრივი ჯგუფები. ეს ართულებს პასუხისმგებლობის განსაზღვრას და კონფლიქტების კონტროლს.

ასე და ამგვარად, თანამედროვე კონფლიქტები, რომლის ერთ-ერთი მაგალითია რუსეთის ფედერაციის მიერ წარმოებული აგრესია პოსტსაბჭოური ქვეყნების წინააღმდეგ<sup>148</sup>, და განსაკუთრებით კი საქართველოს წინააღმდეგ, რის წყალობითაც რუსეთის ფედერაცია გავლენას ახდენს მთლიანად რეგიონში სტაბილურობის მოწყვლადობასა და ასიმეტრიულ საბრძოლო მოქმედებათა ერთობლიობით ზემოქმედებს რეგიონალური უსაფრთხოების სისტემის მდგრადობაზე.

## 2.1 თავი საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების გარემო და „კანონიერი ქურდების“ იმსტიტუტი: უსაფრთხოების დილემა და პოლიტიკური გამოწვევის პარადიგმა.

საქართველოში 90-იანი წლების დადგომასთან ერთად, ორგანიზებული დანაშაული და კრიმინალური სუბკულტურები განსხვავებულ განვითარების ეტაპს გადიან. სახელმწიფოს სათავეში ეროვნული მომრაობის შედეგად მთავრობაში მოსული ზვიად გამსახურდიას მიერ მოხდა რიგი საკმაოდ საეჭვო და ქვეყნის უსაფრთხოებისთვის და მისი განვითარებისთვის საშიში გადაწყვეტილებების მიღება, რამაც დაადასტურა პირველი ის, რომ აღნიშნულ მთავრობას არ შეეძლო ქვეყნის გააზრებული და ეფექტური მართვა, და მეორე, მათ დაუშვეს ქვეყნის პოლიტიკურ და ეკონომიკურ სარბიელზე კრიმინალის შეშვება,<sup>149</sup> რითიც ათწლეულებით წინ, მოახდინეს ქვეყნის უსაფრთხოების დივერსიფიკაცია. მოხდა რუსეთის ფედერაციიდან კრიმინალების ეტაპირება საქართველოს ტერიტორიაზე (აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ იმ პერიოდში ქვეყნის პენიტენციური სისტემა

<sup>148</sup> Mark Galeotti, Putin's Hydra: Inside Russia's Intelligence Services, European Council on Foreign Relations, 2016 Year; rep.95

<sup>149</sup> გ. გლონთი, გ. ლობჯаниძე, Профессиональная преступность в Грузии (воры в законе) монография, Тбилиси 2004 г, ст.

ვერანაირ კრიტიკას ვერ უძლებდა და თითქმის დაშლის პირას იყო). ქვეყანაში კრიმინალური სუბკულტურის და კანონიერი ქურდების რაოდენობამ კრიტიკულ მასას მიაღწიადა. აյ დახვდათ მათი საქმიანობისთვის ნოუიერ ნიადაგი, შეიქმნა დანაშაულებრივი დაჯგუფებები - საძმოების და ბანდ-ფორმირებების სახით, უფრო მეტიც, მათ შეძლეს ქვეყნის პოლიტიკურ დღის წესრიგში შეღწევა და პოლიტიკური ორგანიზაციების, პარტიების, საზოგადოებების და მაშველთა კორპუსების ჩამოყალიბებაც კი ! (მაგ.“მხედრიონი”), რის შედეგადაც, პარლამენტშიც კი შეაღწიეს და თავისი საკმაოდ გავლენიანი ლობისტებიც კი ყავდათ ( ჯაბა იოსელიანი).<sup>150</sup> ყოველივე ზემოთ აღნიშნული პრობლემები კრიმინალურ დაჯგუფებთან მიმართებაში მნიშვნელოვან კოლაბორაციაში იყო სახელმწიფოსთან და თავად ეს სუბკულტურა მეტისმეტად გაძლიერდა და ტრანსფორმირდა, შეიცვალა ტენდენციები და თვითონ კრიმინოგენული ბუნებაც. განსაკუთრებით გავრცელდა მისი ორგანიზებული ფორმა, რამაც პროფესიულ ხარისხში ტრანსფორმაციაც მოახდინა),<sup>151</sup> აღნიშნულ სუბკულტურას თავისი წარმომადგენლები ძალოვან სტრუქტურებშიც ყავდა, მაგალითად, თეიმურაზ ხაჩიშვილი (3-ჯერ არის მძიმე დანაშაულისთვის ნასამართლევი და დაპატიმრებული), რომელიც 90-იან წლებში საქართველოს რესპუბლიკის საინფორმაციო-სადაზვერვო სამსახურში იკავებდა მაღალ თანამდებობას (იგი იყო აღნიშნული სამსახურის თავმჯდომარის პირველი მოადგილე), საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრი; ასევე მუშაობდა საქართველოს უშიშროების მინისტრის მოადგილედ; მიენიჭა პოლიციის გენერალ-მაიორის წოდება.<sup>152</sup>

აღნიშნული ოდიოზური ფიგურების მიერ ხდებოდა კრიმინალური დაჯგუფებების ლობირება და მათ ინტერსთა სფეროში შემავალი ეკონომიკური სფეროების გაძლიერება, გაფართოება. მიაღწიეს იმას, რომ საქართველომ იმ ეტაპზე ფაქტიურად,

<sup>150</sup> Г.Глонти, Г. Лобжанидзе, Профессиональная преступность в Грузии (воры в законе) монография, Тбилиси 2004 г, ст. 41

<sup>151</sup> მალხაზ ბაძაღლა, ჯგუფური დანაშაული საქართველოში, გრიგოლ რობაქიძის სახელობის გამომცემლობა, თბილისი, 2021 წელი, გვ. 9

<sup>152</sup> საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა, აბრაგი <http://www.nplg.gov.ge> (ბოლო ნახვა- 12.12.2022)

ყველანაირი ეკონომიკური და დიპლომატიური ურთიერთობა გაწყვიტა პოსტსაბჭოურ ქვეყნებთან და რუსეთის ფედერაციასთან, რაც მხოლოდ დამაზარალებელი და დამღუბველი იყო ქვეყნისთვის და რუსული სპეც. სამსახურების გეგმის შემადგენელი ნაწილი იყო. ქვეყანაში „ჰიბრიდული ომის“ წარმოების საწყის ეტაპზე, რაც ისახავდა ქვეყნის ეკონომიკურ დასუსტებას უარეს შემთხვევაში და დეფოლტამდე მიყვანას უკეთეს შემთხვევაში, კრიმინალური სიტუაციის იმ დონემდე გაუარესებას, რომ მდგომარეობა უმართავი გამხდარიყო, რაც სამომავლოდ ქვეყანას კოლაფსამდე მიიყვანდა.<sup>153</sup> ეს ხდებოდა არც თუ სახარბიელო წარსულის მქონე პირების დახმარებით, წარმოებდა კონტაქტების დამყარება კრიმინალსა და ძალოვანი სტრუქტურების წარმომადგენლებს შორის, რაც საბოლოოდ გადაიზარდა მათ მჭიდრო თანამშრომლობაში. საქმე იქამდე მივიდა, რომ ხდებოდა აგენტურული ქსელებში შეღწევა და აღნიშნული დოკუმენტაციის ხელში ჩაგდება.<sup>154</sup>

რეალურად აღნიშნული გეგმა ზედმიწევნით იქნა შესრულებული, ქვეყანაში მდგომარეობა იმდენად დაიძაბა, რომ სამოქალაქო ომში გადაიზარდა, რამაც ქვეყნის განვითარება რამდენიმე ათწლეულით უკან დახია.

ზემოთ აღნიშნულ პერიოდში კრიმინალური სუბკულტურის წარმომადგენლებმა, მათ შორის „კანონიერმა ქურდებმა“ იმდენად ღრმად შეაღწის ქვეყნის ფინანსურ და ეკონომიკურ სფეროებში, რომ დაიწყეს თითქმის ყველა მსხვილი ფინანსური შემოდინებებისა და გადინებების კონტროლი,<sup>155</sup> და ფაქტიურად აკონტროლებდნენ ყველა ფინანსურ ინსტიტუტს და მთლიანად, ქვეყნის მასშტაბით წარმოებულ ბიზნესს.

90-იანი წლების შუაში მოხდა ედუარდ შევარდნაძის დაბრუნება ქვეყნის სათავეში, რაც ასევე საკმაოდ საინტერესოდ განხორციელდა, კერძოდ, ისევ კრიმინალური სუბკულტურის ერთ-ერთი, ყველაზე ოდიოზური პირის, ჯაბა იოსელიანის მიერ

<sup>153</sup> Евгений Магда <<Гибридная Война>> Vivat Publishing House, Харьков, 2015, стр.4

<sup>154</sup> Г.Глонти, Г. Лобжанидзе, Профессиональная преступность в Грузии (воры в законе) монография, Тбилиси 2004 г, ст.

38

<sup>155</sup> Г.Глонти, Г. Лобжанидзе, Профессиональная преступность в Грузии (воры в законе) монография, Тбилиси 2004 г, ст. 8

მოხდა მისი ჯერ საქართველოში, „დაპატიუება” და შემდგომ, მისთვის უმაღლესი თანამდებობის შეთავაზება (არსებული დაუდასტურებელი ინფორმაციით რუსულ სპეც.სამსახურებს ჩვენს ქვეყანაში სახელმწიფო გადატრიალება 65 მლნ. მანეთი დაუჯდათ, რასაც მაშინდელი რუსული ბიზნესის რამდენიმე ქართველი წარმომადგენელი აფინანსებდა).

ედუარდ შევარდნაძის მართველობის პერიოდში იმდენად დიდი იყო კრიმინალის სახელმწიფოსთან და სამართალდამცავ ორგანოებთან ასიმილაცია და შერწყმა, რომ ხშირ შემთხვევაში, შეუძლებელი იყო იმის გარჩევა, თუ ვინ იყო კრიმინალი და ვინ სახელმწიფოს ოფიციალური სტრუქტურის წარმომადგენელი, ფაქტიურად ქვეყანა იმართებოდა კარტელური სისტემით, კორუფცია ყვავოდა, სხვადასხვა ფინანსური ორგანიზაციების მიერ ჩვენი ქვეყნის დემოკრატიული განვითარებისთვის გამოყოფილი ყველა გრანტი, თუ ფინანსური ტრანში ჩინოვნიკებსა და ორგანიზებულ დანაშაულებრივ დაჯგუფებს შორის ნაწილდებოდა, რაც რეალურად ქვეყანაში ქმნიდა შიდა უსაფრთხოების დილემას.<sup>156</sup>

ედუარდ შევარდნაძის მთავრობა ფაქტიურად უძლებული აღმოჩნდა რაიმე შეეცვალა, რის შემდეგაც ქვეყნის მოსახლეობის უმრავლესობის დაკვეთით, ვარდების რევოლუციის მეშვეობით, მთავრობაში მოდიან ახალგაზრდა პოლიტიკოსები, რომელთა უმთავრესი გამომარჩეველი ფაქტორი იმ ეტაპზე იყო ის, რომ მათ განათლება მიიღეს უცხოეთში და გააჩნდათ მიზანი, ქვეყანა ევროპულ ოჯახში შეეყვანათ, რის შედეგადაც ქვეყანა სწორი მიმართულებით განვითარდებოდა, კერძოდ: ქვეყანაში მოხდებოდა ინვესტიციების შემოდინება დიდი რაოდენობით. ამისათვის აუცილებელი იყო ქვეყანაში სტაბილური სიტუაცია და კრიმინალის აღაგმვა, ვინაიდან კრიმინალი როგორც ასეთი იყო და არის „ჰიბრიდული ომის“ ერთ-ერთი ყველაზე ძლევამოსილი ინსტრუმენტი, რომელიც რუსეთის ფედერაციის მიერ გამოიყენება, როგორც სამხედრო მიმართულებით, ისე კონტრსადაზვერვო ელემენტად. კრიმინალის მეშვეობით ხდება, ქვეყნის ეკონომიკური მდგრადობის

<sup>156</sup> Staun J. "Siloviki versus Liberal-Technokrats: The Fight for Russia and Its Foreign Policy", DIIS Report, Danish Institute for International Studies, Copenhagen, 2007; pp; 259

მოშლა (კორუფციის, მექრთამეობის და შავი ფულის გათეთრების გზით).<sup>157</sup> ეს იმ პერიოდისთვის გადაზრდილი იყო შიდა უსაფრთხოების დილემაში და საფრთხესა და პოლიტიკურ გამოწვევას წარმოადგენდა.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულის შემდგომ ქვეყანაში იწყება რეფორმების გატარებისა და სტაბილურობის დამყარების მცდელობები, თუმცა ყველაფერი საკმაოდ სწორხაზოვნად წარიმართა. ძირითადი რეფორმები გატარებულ იქნა ძალოვანთა სფეროში, მოხდა მათი სტრუქტურული ცვლილებები და მათი გაძლიერება, ასევე ქმედითი ნაბიჯები გადაიდგა კორუფციასთან ბრძოლაში. რის შემდეგაც იმჟამინდელმა პოლიტიკურმა ხელმძღვანელობამ გეზი აიღო ძალოვანი სამინისტროების მაქსიმალური გაძლიერებისკენ და კრიმინალთან ბრძოლის მიმართულებით. მასთან მიმართებაში გამოცხადდა ნულოვანი ტოლერანტობა, რითიც, მათი წარმოდგენით შეძლებდნენ ქვეყანაში გავრცელებული მძიმე კრიმინოგენული და კორუფციული გარემოს გამოსწორებას. პირველ ეტაპზე ფაქტიურად მათ ეს შეძლეს კიდევაც, თუმცა, არც კრიმინალურ სუბკულტურას და არც მათ კურატორ რუსულ სპეც.სამსახურებს არ გამოპარვიათ ეს ყველაფერი თვალთახედვიდან. გარკვეული პერიოდის შემდგომ შემუშავებულ იქნა ერთობლივი გეგმა, როგორ უნდა ებრძოლათ იმჟამინდელი ხელისუფლების წინააღმდეგ. ეს გეგმა შემდგომში მითითებების სახით გადაეცა კრიმინალური სამყაროს მაღალი იერარქიის წარმომადგენლებს, „კანონიერ ქურდებს“, რომლებმაც ეტაპობრივად დაიწყეს მისი სისრულეში მოყვანა, კერძოდ, მთავარი იყო, რომ მათ ქმედებებს, მოქმედი ხელისუფლებისა და ძალოვანი სამინისტროების წარმომადგენლების პროვოცირება უნდა მოეხდინა, რითიც მთავრობის მხრიდან განხორციელდებოდა მათი პიროვნების უშიშროების ხელყოფა,<sup>158</sup> რაც გამოიხატებოდა მისი სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ინტერესების, ქვეყნის შიდა და გარე მუქარაში, პიროვნებისათვის დაუცველობის განცდის და რეალური დაუცველობის შეგრძნებაში, რა დროსაც

<sup>157</sup> The landscape of hybrid threats: A conceptual model Luxembourg: Publications Office of the European Union, 2021  
© European Union and Hybrid CoE, 2021 pep.30

<sup>158</sup> ჰენრი კუპრაშვილი, საქართველოს ეროვნული უშიშროება, გამომცემლობა უნივერსალი, თბილისი, 2022 წ.

პიროვნებას ერთმეოდა შესაძლებლობა მოეხდინა თავისი უნარების და შესაძლებლობების რეალიზება, ასევე კონსტიტუციით მინიჭებულ უფლებებსა და თავისუფლებებზე წვდომა და მათი დაცვა<sup>159</sup> (განსაკუთრებით ადამიანის უფლებების სიცოცხლის და სამეწარმეო, თუ კომერციული საქმიანობის დაცვა), ყოველივე ზემოთ აღნიშნულის განხორციელების შემდეგ, მოხდებოდა იმ ობიექტზე (პიროვნებაზე ადამიანზე და მასზე კონსტიტუციით მინიჭებულ უფლებებზე) ზემოქმედება და თავდასხმა, რომელიც აღიარებულია მსოფლიო საზოგადოებით.<sup>160</sup> ეს საბოლოოდ გამოიწვევდა საზოგადოების მხრიდან, მოქმედი მთავრობისადმი ნდობის დაკარგვას, ვინაიდან საზოგადოება სახელმწიფოსგან ვერ მიიღებდა დაცულობას ვერც ერთ დონეზე, არ მოხდებოდა ნორმატიული აქტების, კანონების, წეს-ჩვეულებების და ტრადიციებით დადგენილი ნორმალური სოციალური ურთიერთობების ერთობლიობაში დაცვა.<sup>161</sup> ყოველივე ზემოთ აღნიშნული საბოლოოდ გადაიზარდა ქვეყნის შიდა უსაფრთხოების დილემაში, რა დროსაც სახელმწიფოს მიერ სისტემატურად ხდებოდა შიდა სოციუმში გარკვეულ ორგანიზაციულ ჯგუფებთან დაპირისპირება, რაც საბოლოოდ გადაიზარდა, პოლიტიკურ გამოწვევაში და გამოიხატებოდა კანონით დაცული ღირებულებების, ფასეულობების, ინტერესების უშუალო შებღალვის ან მათი ნიველირების მცდელობაში. ასევე სახეზე იყო ქვეყნის ხელმძღვანელობის ან პოლიტიკური მართვის უმაღლესი სხვა ინსტიტუტის უმოქმედობა, გამოწვევის ან საფრთხის პრევენციის საქმეში,<sup>162</sup> რაც საბოლოოდ გადაიზარდა შიდა უსაფრთხოების დილემაში, რომლის ზეგავლენაც დღევანდელ დღემდეც საგრძნობია ქვეყნის მასშტაბით. გამომდინარე ზემოთ აღნიშნულისა, საზოგადოებაში მყარდებოდა დაუცველობის განცდა, რაც შემდგომში შესაძლებელს

<sup>159</sup> ჰენრი კუპრაშვილი, საქართველოს ეროვნული უშიშროება, გამომცემლობა უნივერსალი, თბილისი, 2022 წ. გვ.155

<sup>160</sup> ჰენრი კუპრაშვილი, საქართველოს ეროვნული უშიშროება, გამომცემლობა უნივერსალი, თბილისი, 2022 წ. გვ.156

<sup>161</sup> ჰენრი კუპრაშვილი, საქართველოს ეროვნული უშიშროება, გამომცემლობა უნივერსალი, თბილისი, 2022 წ. გვ.164

<sup>162</sup> ვახტანგ მაისაია, გუგული მაღრაძე, 21-ე საუკუნის საერთაშორისო პოლიტიკა და „თანამშრომლობითი უსაფრთხოების“ თეორია : მითი და რეალობა რეგიონული და გლობალური ექსპერტები, გამომცემლობა „უნივერსალი“, თბილისი, 2017 წ. გვ.84

გახდიდა ხელისუფლების რამდენიმე ვარიანტით ცვლილების (დაწყებული არჩევნების გზით და დამთავრებული სამოქალაქო დაპირისპირებით). ამასთანავე, კრიმინალურმა სუბკულტურამ განიცადა ქმედითი ცვლილება, რაც გამოიხატებოდა მისი ორგანიზებულ დანაშაულში გადაზრდაში<sup>163</sup> და მისი ორ ნაირსახეობად ჩამოყალიბებაში, კერძოდ: დამნაშავეთა ორგანიზებულ და პროფესიონალურ ტიპებად<sup>164</sup>, აქედან პროფესიონალი დამნაშავეები „კანონიერი ქურდების“ სახით, წარმოადგენდნენ სტრუქტურულად ყველაზე უფრო გამართულად ორგანიზებულ დახელოვნებულ და საშიშ წარმონაქმნებს სახელმწიფოსთვის.

აღნიშნულის გარდა, რუსული ფედერაციის სპეც.სამსახურების დაკვეთით და კრიმინალური სუბკულტურის წარმომადგენლების შესრულებით, სისტემატურად ხდებოდა ეგრეთწოდებული ფეიკ.ნიუსების გავრცელება ინტერნეტ და ტელე სივრცეში, რამაც თავისი შედეგი გამოიღო ქვეყანაში, უკვე თითქმის შეუძლებელი გახდა სიმართლისა და ტყუილის გარჩევა, რაც, თავის მხრივ, რუსული „ჰიბრიდული ომის“ მთავარი მიზანი იყო, რაც შემდგომში მოიაზრებდა მოსახლეობის მხრიდან მოქმედი მთავრობისადმი ნდობის დაკარგვას.<sup>165</sup>

ზემოთ აღნიშნულ ჰერიოდში ქვეყნის მთელი მასშტაბით მოხდა დიდმალი რუსული ინვესტიციების ჩამოდინება და ქვეყნის სტრატეგიული მნიშვნელობის ისეთი ობიექტების შესყიდვა, როგორებიც იყო „ეი-ეს თელასი“ და GWP-ი და სხვა, როგორც სამომავლოდ, საჭიროების შემთხვევაში „ჰიბრიდულ ომში“ გამოსაყენებელი ზემოქმედების ინსტრუმენტები.<sup>166</sup>

ქვეყანაში მომრავლებულმა ძალადობამ, რომელიც ხშირ შემთხვევაში გამოიხატებოდა თანამდებობის პირების მიერ უფლებამოსილების გადამეტებაში, რასაც საქართველოში მოიხსენიებენ ეგრეთწოდებულ „თეთრ საყელოიან“

<sup>163</sup> მალხაზ ბაძაღლა, ჯგუფური დანაშაული საქართველოში, გრიგოლ რობაქიძის სახელობის გამომცემლობა, თბილისი, 2021 წელი, გვ. 7

<sup>164</sup> გ. გლონთი, გ. ლობჯаниძე, Профессиональная преступность в Грузии (воры в законе) монография, Тбилиси 2004 г, ст. 37

<sup>165</sup> აღნიშნულის შესახებ მსჯელობს ჰენრი კუპრაშვილი თავის წიგნში „საქართველოს ეროვნული უშიშროება“.

<sup>166</sup> The landscape of hybrid threats: A conceptual model Luxembourg: Publications Office of the European Union, 2021  
© European Union and Hybrid CoE, 2021 pep.30

დანაშაულად (მაღალი და საშუალო რგოლის თანამდებობის პირების მიერ ჩადენილი დანაშაული, საკუთრების, ადამიანის უფლებების დარღვევის და სიცოცხლის მოსპობის ფაქტებზე), რომელიც პირველ ეტაპზე პროცესურული იყო კრიმინალური სუბკულტურის მიერ არსებულ მთავრობისთვის წინააღმდეგობის გაწევასა და მმართველი რგოლის წამგებიან მდგომარეობაში ჩასაყენებლად.<sup>167</sup>

აღნიშნული საფრთხეები ვერ იქნა დროულად გაანალიზებული მოქმედი მთავრობის მიერ, რათა მიღებული ყოფილიყო შესაბამისი სამართლებრივი ზომები. რაც უფრო მეტი დრო გადიოდა, მით უფრო მეტი ზეწოლა და უფლებამოსილების გადამეტებები ფიქსირდებოდა როგორც უცხოელი ექსპერტების მიერ, ისე ქართული უფლებადამცველი და არასამთავრობო ორგანიზაციების მხრიდან, ხელისუფლების მიერ აღნიშნული გამოწვევა მიღებულ იქნა და იმ წესებით მოხდა თამაშში ჩართვა, რაც ხელს უწყობდა „ჰიბრიდული ომის“ წარმოების მათთვის არასასურველი შედეგით დამთავრებას.<sup>168</sup>

ყოველივე ამან შედეგი გამოიღო და უკვე 2012 წლის არჩევნების ჩატარების პერიოდში მოსახლეობის 70%-ზე მეტისთვის უკვე მიუღებელი აღმოჩნდა არსებული რეჟიმი,<sup>169</sup> რაც არჩევნების შედეგშიც აისახა და ხელისუფლებაში მოვიდნენ რუსული სპეცსამსახურების და რუსული პოლიტიკური ესტაბლიშმენტისადმი ნაკლებად აგრესიული და ურთიერთობისთვის კომფორტული და მისაღები მთავრობა. მთავრობა, რომელიც ცდილობდა, მანამდე კრიტიკულად გაუარესებული ურთიერთობა დაელაგებინა, რისთვისაც გადაიდგა რიგი ნაბიჯები, რამაც შედეგი გამოიღო. რუსული მხარის მიერ მოხსნილი იქნა რიგი შეზღუდვები ქართული პროდუქციის ექსპორტზე.<sup>170</sup>

<sup>167</sup> "Thief-In-Law" Razhdan Shulaya Sentenced In Manhattan Federal Court To 45 Years In Prison <https://shorturl.at/nwArw> (ბოლო ნახვა 08.09.2023)

<sup>168</sup> მოხდა თამაშის იმ წესების მიღება ქვეყნის ხელმძღვანელობის მიერ, რაც შეთავაზებული იყო კრიმინალური სუბკულტურისგან, რომელთა ერთობლიობაც ძირითადად გამოიხატებოდა ძალადობაში და კანონსაწინააღმდეგო ქმედებებში. არ მოხდა საკანონმდებლო ბერკეტების შექმნა, რაც თავიდან აარიდებდა ძალადობრივ და მართლსაწინააღმდეგო ქმედებებს.

<sup>169</sup> მაშინ, როდესაც 2003 წელს ვარდების რევოლუციის შედეგად მოსულ მთავრობას არჩევნებში ქვეყნის მოსახლეობის 90%-ზე მეტმა დაუჭირა მხარი.

<sup>170</sup> აღნიშნული დიდი ნახტომი იყო სოფლის მეურნეობის და ქვეყნის მიერ ექსპორტის გაზრდის კუთხით.

თუმცა, რუსული მხარის მიერ წარმოებული „ჰიბრიდული ომი“ საქართველოს წინააღმდეგ, არც აქ დამთავრებულა, უფრო მეტიც, მოძლიერებული და ნოუიერ ნიადაგზე მყოფი კრიმინალური სუბკულტურის წარმომადგენლებმა, იგრძნეს რა, რომ მათ რეალურად შეუძლიათ გარკვეული გავლენის მოხდენა საერთო სიტუაციაზე, დაიწყეს მომძლავრება ქვეყნის შიგნით და ისეთ სფეროებში ჩაერთნენ, სადაც აქამდე არ ჰქონდათ წვდომა, კერძოდ, დაიწყეს ქვეყნის ეკონომიკაში და განვითარებაში პირდაპირი ჩარევა, რაც ქვეყნის სტაბილურობას პირდაპირ საფრთხის ქვეშ აყენებს და ეკონომიკა, როგორც „ჰიბრიდული ომის“, ერთ-ერთი მოწყვლადი სფერო, საფრთხის ქვეშ დააყენეს (ხდებოდა მათ მიერ ტენდერების მოგება, კონკურენტების დაშინების, შანტაჟის ან თუნდაც, სახელმწიფო სამსახურებში მომუშავე მაღალჩინოსნების მოსყიდვისა და ქრთამის მიცემის მეშვეობით),<sup>171</sup> რამაც ქვეყნის მაშტაბით დიდი საინვესტიციო პროექტების შეჩერება გამოიწვია.

2012 წლის შემდეგ ქვეყანაში დანაშულთან მიმართებაში შედარებით ლოიალური მიდგომა კრიმინალურმა სუბკულტურამ სათავისოდ გამოიყენა, რაც გამოიხატა მათ მიერ არსებული სატენდერო კონკურსებში „თავისი“ ფირმების შეყვანაში, რომლებიც კორუფციული გარიგებების და ქრთამების მეშვეობით ახდენდნენ კონკურსებში გამარჯვებას და ხშირ შემთხვევებში, პროექტების დასრულება არ მომხდარა, ტენდერში გამოყოფილი თანხები კი ან ნაწილობრივ, ან მთლიანად დახარჯული და გაურკვეველი მიზნით გამქრალი აღმოჩნდა. აღნიშნული სიტუაციები ქვეყნის მდგრად ეკონომიკურ განვითარებას აყენებს საფრთხის ქვეშ, აღნიშნულზე თავის კვლევაში: „The landscape of Hybrid Threats: A conceptual model“ საუბრობენ: G. GIANNOPoulos, H. SMITH და M. TEOCHARIDOU, რომელიც მოამზადეს ევროპული კომისიისთვის 2021 წელს<sup>172</sup>. ყოველივე ზემოთ აღნიშნული სიტუაციები, უკვე რამდენიმე ათწლეულია ქვეყანას აყენებს რეალური საფრთხის წინაშე, რომ არ მოხდეს მისი ევროპული ყაიდის ქვეყანად ჩამოყალიბება, ასევე მოხდეს მისი ეკონომიკური

<sup>171</sup> The landscape of hybrid threats: A conceptual model Luxembourg: Publications Office of the European Union, 2021  
© European Union and Hybrid CoE, 2021 pep.30

<sup>172</sup> The landscape of hybrid threats: A conceptual model Luxembourg: Publications Office of the European Union, 2021  
© European Union and Hybrid CoE, 2021 pep.28

და სოციალური განვითარების შენელება, რაც, თავის მხრივ, წარმოადგენს რუსეთის ფედერაციის მიერ წარმოებული „ჰიბრიდული ომის“ საბოლოო მიზანს.

აღნიშნული სიტუაცია წარმოადგენს ქვეყნისთვის ჰიბრიდულ საფრთხეს, როგორც ქვეყნის პოლიტიკური გამოწვევის პარადიგმა.

**2.2. თავი „კანონიერი ქურდების ინსტიტუტი“, როგორც საგარეო პოლიტიკური გამოწვევა - „ჰიბრიდული ომის“ იდეოლოგიური და პოლიტიკური მეთოდების რეალური პოლიტიკის კონტექსტში.**

„ჰიბრიდული ომი“, როგორც ასეთი, არის კონფლიქტის წარმოების სტრატეგია ან მეთოდი, რომელიც აერთიანებს სხვადასხვა სახის სამხედრო და არასამხედრო აქტივობებს, მათ შორის სამხედრო ოპერაციებს, პოლიტიკურ პროპაგანდას, სპეციალურ ეკონომიკურ ზომებს, კიბერშეტევებს, დეზინფორმაციას, საზოგადოებრივი აზრის მართვას და მასზე გავლენის სხვა ფორმებს, კონტრ-სადაზვერვო ომს მოწინააღმდეგის სრული დემორალიზების მიზნით,<sup>173</sup> „ჰიბრიდული ომის“ მთავარი მიზანია სტრატეგიული მიზნების მიღწევა და მტერზე ზემოქმედება სხვადასხვა ინსტრუმენტებისა და მეთოდების გამოყენებით, ყველა ჩვენს მიერ ჩამოთვლილ კომპონენტს იყენებს რუსული სახელმწიფო სქართველოს წინაამდეგ წარმოებულ ჰიბრიდულ ომში.

„კანონიერი ქურდების“ სუბკულტურა დღეის მდგომარეობით იმდენად გაძლიერდა, და იმდენად ასიმილირებულია სახელმწიფოს განვითარების შიდა და საგარეო პოლიტიკაში, რომ შეგვიძლია პირდაპირ ვივარაუდოთ მასზე, როგორც ჰიბრიდულ საფრთხეზე და როგორც ქვეყნის პოლიტიკური გამოწვევის პარადიგმის შესახებ.

თვითონ ჰიბრიდული საფრთხე, როგორც ასეთი, შედგება ბევრი კომპონენტისგან, თუმცა, ჩვენს შემთხვევაში გამოსაყოფია რამდენიმე მათგანი, ესენია: საინფორმაციო,

<sup>173</sup> გუგული მაღრაძე, ვახტანგ მაისაა: ჰიბრიდული ომი, 21-ე საუკუნის საერთაშორისო უსაფრთხოების პრობლემები, გამომცემლობა „უნივერსალი“, თბილისი, 2020 წ. გვ.111

პოლიტიკური, სამხედრო, ეკონომიკური და კონტრსადაზვერვო. ჩვენს მიერ ჩამოთვლილ ყველა კომპონენტს იყენებს რუსული სახელმწიფო საქართველოს წინააღმდეგ თავისუფლების მოპოვების ოცდაათი წლის მანძილზე წარმოებული პიბრიდული ომის პერიოდში, ამ დროს როგორც ძირითადი ინსტრუმენტი, ყველა ზემოთ აღნიშნული კომპონენტების გამოყენების სულისჩამდგმელი არის კრიმინალური სუბკულტურა, „კანონიერი ქურდების“ როგორც, აღნიშნული მიმდევრობის უმაღლესი იერარქიული საფეხურის წარმომადგენლების სახით.

ეროვნულ უსაფრთხოებას, როგორც გეოპოლიტიკურ ფენომენს გააჩნია თავისებურებანიც, რომელებიც განსაზღვრავენ მის ბუნებას და ახდენენ მასზე უშუალო ზეგავლენას. ერთ-ერთ ასეთ საინტერესო თავისებურებად წარმოდგება მისი გარემო, ეროვნული უსაფრთხოება მოითხოვს კოორდინაციას სხვადასხვა სამთავრობო უწყებებს შორის, მათ შორის, სამხედრო, სადაზვერვო, სამართალდამცავი და დიპლომატიური სამსახურების მხრიდან.

ეროვნული უსაფრთხოება არის მრავალმხრივი და რთული სფერო, რომელიც მოითხოვს მუდმივ ყურადღებას და ადაპტაციას ახალ გამოწვევებთან. ეროვნული უსაფრთხოების წარმატებით უზრუნველყოფა დამოკიდებულია სხვადასხვა ასპექტებისა და უსაფრთხოების დონის ეფექტურ კოორდინაციაზე, სახელმწიფოს შესაძლებლობებზე სწრაფად და ადექვატურად მოახდინოს რეაგირება წარმოქმნილ საფრთხეებზე<sup>174</sup>.

ყოველივე ზემოთ აღწერილის პროცესში საქართველოს სახელმწიფოს უწევს ურთიერთქმედება რუსეთის ფედერაციის მიერ წარმოებული „პიბრიდული ომის“ პირობებში, რაც ხშირ შემთხვევაში ქვეყანაში ქმნის პოლიტიკურ რისკს, ქვეყნის შიგნით და ქვეყნის გარეთაც. ამ დროს ქვეყნის ხელმძღვანელობის, ან პოლიტიკური მართვის სხვა უმაღლესი ინსტიტუტების უმოქმედობა გამოწვევის ან საფრთხის პრევენციის საქმეშ არის როგორც თვალსაჩინო, ისე შეგრძნებადი ქვეყნის

<sup>174</sup> გუგული მაღრაძე, ვახტანგ მაისაა: 21-ე საუკუნის საერთაშორისო პოლიტიკა და „თანამშრომლობითი უსაფრთხოების“ თეორია: მითი და რეალობა- რეგიონალური და გლობალური ასპექტები, გამომცემლითა „უნივერსალი“, თბილისი, 2017 წ. გვ 73

მოსახლეობისთვის, რაც საბოლოოდ ქვეყნის შიგნით იწვევს შიდა უსაფრთხოების დილემას.<sup>175</sup> ამ მიზნების მისაღწევად უკვე ოცდაათ წელზე მეტია რუსეთის ფედერაცია და მისი სპეცსამსახურები წარმატებულად იყენებენ ორგანიზებული დანაშაულის ისეთ სუბკულტურას, როგორიცაა „კანონიერი ქურდების ინსტიტუტი“, თავისი მრავალრიცხოვანი მიმდევრებით. აღნიშნული სუბკულტურა წარმოადგენს ერთ დიდ ორგანიზმს, რომელიც მსოფლიოს მასშტაბით ახდენს როგორც სადაზვერვო ისე კონტრსადაზვერვო, ეკონომიკურ, საინფორმაციო, პოლიტიკურ და სამხედრო განხრით საბოტაჟურ საქმიანობას. მათი საბოლოო მიზანია „ჰიბრიდული ომის“ წარმოებულ ქვეყანაში არსებული რეჟიმების განვითარების შეჩერება და რუსული გავლენის ქვეშ მოქცევა და დაბრუნება .

ყოფილ პოსტსაბჭოურ ქვეყნებში და რეგიონებში „კანონიერი ქურდების“ ერთ-ერთი ყველაზე გამოჩენილი და გავლენიანი დანაყოფი ქართველი კრიმინალების სახით ყოველთვის გამოირჩეოდა თავისი სიძლიერით და მრავალრიცხოვნებით. დამნაშავეთა აღნიშნული კატეგორია ყოველთვის ექვემდებარებოდა სისტემურ მართვას და საკმაოდ წარმატებულად გამოიყენებოდა რუსული სპეცსამსახურების მიერ ტრანს-რეგიონალურ დონეზე, მთლიანად კავკასიის რეგიონის და ყოფილი პოსტსაბჭოური ქვეყნების მასშტაბით. ქართული „კანონიერი ქურდების“ დანაყოფი ყოველთვის ექვემდებარებოდა რუსულ დანაყოფს და დღესაც, პირდაპირ დაქვემდებარებაში არიან რუსეთში სლავური წარმოშობის კრიმინალურ ავტორიტეტებთან, რომლებსაც გავლენების და ძალაუფლების გასაძლიერებლად მხარს უჭერს, როგორც რუსეთის ფედერაციის მთავრობის მაღალჩინოსნები, ისე მისი სპეცსამსახურები. თავისი ძალაუფლების წყალობით, ქართველ კრიმინალურ ავტორიტეტებს, რუსეთის ფედერაცია იყენებს რეგიონში თავისი ინტერესების გასატარებლად, მაგალითისთვის შეგვიძლია მათი ქვეყნის სტაბილური

<sup>175</sup> გუგული მაღრაძე, ვახტანგ მაისაა: 21-ე საუკუნის საერთაშორისო პოლიტიკა და „თანამშრომლობითი უსაფრთხოების“ თეორია: მითი და რეალობა- რეგიონალური და გლობალური ასპექტები, გამომცემლიბა „უნივერსალი,“ თბილისი, 2017 წ. გვ 84

ეკონომიკური და დემოკრატიული განვითარების ძირგამომთხრელი და საბოტაფური ქმედებები გავიხსენოთ.

შევეცდები მოვიყვანო რამდენიმე ფაქტი ეკონომიკური და ფინანსური სტაბილურობის ძირის გამომთხრელი ქმედებებისა, რომელთა გაანალიზების შემდეგ უფრო ნათელი გახდება მასშტაბი, თუ რაოდენ დამღუპველია ეს საქართველოს განვითარებისთვის რეგიონალურ დონეზე. დავიწყოთ თუნდაც ყველაზე გახმაურებული, ხუდონ ჰესის პროექტის ჩაშლის ფაქტით, სადაც არსებული ოპერატიული ინფორმაციით, საკმაოდ დიდი ფინანსური დახმარებით საპროტესტო მუხტით განმსჭვალულ ადგილობრივ მოსახლეობას, მხარს უჭერდა წარმოშობით ქუთაისელი, კრიმინალური ავტორიტეტი, ზაალ მახარობლიძე, იგივე „გლეხოვიჩი“. ადგილობრივ მოსახლეობას სჯეროდა, რომ ისინი რეალურად დიდ ეროვნულ საქმეს აკეთებდნენ, თუმცა, რეალურად ქვეყანას მიაყენეს უდიდეს მატერიალური ზარალი, რაც ასევე ქვეყნის პრესტიჟს საკამაოდ აზარალებს ინვესტორთა თვალში. რუსული სპეცსამსახურები ამას არ დაჯერდნენ, მათ მიერ კონტროლირებადი ინტერნეტ და ტელე სივრცე აჭრელებული იყო საკმაოდ კომპეტენტურად დაგეგმილ, ეროვნულ მოტივებზე აგებული შავი პიარით თურქული ინვესტიციების საწინააღმდეგოდ, რაც მათივე პროპაგანდით გამოიწვევდა რეგიონში მრავალი ათასი ეთნიკურად თურქის ჩამოსახლებას და რეგიონში ქართული იდენტობის განადგურებას.<sup>176</sup> აღნიშნულმა პროპაგანდამ იდეალურად იმუშავა. ამით ქვეყნის ეკონომიკას მიადგა უდიდესი ზარალი, როგორც პრესტიჟის, ისე ფინანსური კუთხით. აღნიშნული ჰესის არაშენების შედეგად საქართველომ დაკარგა რეგიონში ერთ-ერთი ენერგო-ექსპორტიორის პოზიციის დაკავების შესაძლებლობა, ასევე ათწლეულით გადაიწია დიდი და მცირე ზომის ჰესების მშენებლობამ და ქვეყანაში ინვესტიციების შემოდინებამ. ამით სახელმწიფომ, მიიღო ფინანსური ზარალი და რაც ყველაზე საინტერესოა, თვითონ ჩვენი ქვეყანა ახლო მომავალში დადგება იმ საშიშროების წინაშე, რომ მას არ ექნება საყოფი ელექტროენერგია თავისი მოსახლეობისთვის და

<sup>176</sup> რეალურად აღნიშნულ პროექტში, საკმაოდ დიდი პროცენტი ინვესტიციის ხდებოდა ნორვეგიული მხარის მიერ.

ისევ დამოკიდებული დარჩება ენერგორესურსების და ელექტროენერგიის ექსპორტზე ქვეყანაში, მათ შორის, რუსეთის ფედერაციიდან.<sup>177</sup>

აღნიშნული ქმედება პირდაპირ „ჰიბრიდული ომის“ ერთ-ერთ, კერძოდ, ქვეყნის ეკონომიკის განვითარების წინააღმდეგ ქმედებაზე მიგვითითებს, რა დროსაც აგრესორი მხარის მიერ ხდება დიდი პროექტების განზრახ ჩაგდება, რაც ქვეყნის ეკონომიკის განვითარებას პირდაპირ საფრთხის ქვეშ აყენებს. აღნიშნულის შესახებ შვედეთის თავდაცვის აკადემიაში გამოქვეყნებული კვლევა გვეუბნება.<sup>178</sup> ამის გარდა, ქვეყნის ეკონომიკური მდგრადობის მოშლის და ტრანსრეგიონალურ დონეზე „ჰიბრიდული ომის“ წარმოების კიდევ ერთი ნათელი მაგალითია უკანონოდ, ეგრეთ წოდებული „Call-Center“-ების ცენტრალური ოფისების მოწყობა, უპირველესად, საქართველოს, ხოლო შემდეგ უკვე სასომხეთის და სხვა პოსტსაბჭოური ქვეყნების ტერიტორიებზე. აღნიშნული ცენტრები თაღლითური გარიგებების და მოტყუების მეშვეობით ახდენდნენ ევროპული ქვეყნებიდან მიღიონ გარიგებების და დოლარის მობილიზებას, რაც ქვეყნის ეკონომიკას საკმაოდ არამდგრად სიტუაციაში აგდებდა,<sup>179</sup> ილახებოდა ქვეყნის პრესტიჟი ევროპელი და ამერიკელი კოლეგების თვალში. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ქვეყნის დედაქალაქში აღნიშნული ერთ-ერთი „Call-Center“-ის ხელმძღვანელობას<sup>180</sup> და კრიმინალურ ავტორიტეტებს შორის მოხდა სისხლიანი დაპირისპირება, რა დროსაც დაიჭრა და დაიღუპა რამდენიმე ადამიანი.

აღსანიშნავია ასევე კრიმინალური ავტორიტეტების მიერ მოწყობილი ე.წ შავი ხვრელები დროებით ოკუპირებულ ტერიტორიებზე, საიდანაც დიდი ოდენობით კონტრაბანდული ტვირთების ბრუნვა და გადაზიდვა ხდება როგორც საქართველოს

177 საქსტატ-ის მონაცემებით მხოლოდ ელექტროენერგიის შესყიდვამ 2012 წლის შემდეგ მოიმატა საგრძნობლად, განსაკუთრებით რუსეთის ფედერაციიდან, მაშინ, როცა 2012 წლამდე პროცენტულად ეს ყველაფერი 30%-ს შეადგენდა უკვე 2020 წლისთვის ენერგო ბაზარის 70% პროცენტს რუსეთის ფედერაციიდან შემოტანილი ელექტროენერგია წარმოადგენდა.

178 The landscape of hybrid threats: A conceptual model Luxembourg: Publications Office of the European Union, 2021  
© European Union and Hybrid CoE, 2021 prep.28

179 აღნიშნულ call-center-ებს ძირითადად ლობირებდნენ ყოფილი და მოქმედი ძალოვანი სამინისტროების მაღალჩინოსნები და კრიმინალური ავტორიტეტები, აღსანიშნავია 2021 წელს თბილისში ვაკე-საბურტალოს ტერიტორიაზე მომხდარი გარჩევაც, რა დროსაც გახსნილი ორმხრივი ცეცხლის დროს დაიღუპა რამდენიმე ადამიანი და დაიჭრა ხუთი პირი. აქედან რამდენიმე იყო კრიმინალური ავტორიტეტი.

180 სადაც დაუდასტურებელი ინფორმაციით თავისი ბიზნესინტერესები გააჩნდათ, ყოფილი და მოქმედი ძალოვანი სამინისტროების მაღალჩინოსნებს.

ტერიტორიაზე, ისე საქართველოს ტერიტორიის გარეთ. აღნიშნული შავი ხვრელები განსაკუთრებით მნიშვნელოვან როლს თამაშობს 2022 წლის 24 მარტის შემდეგ, როდესაც რუსეთის ფედერაციას გარკვეული ტიპის სანქციები დაედო.<sup>181</sup> აღნიშნული ქმედებები ანადგურებს ქვეყნის პრესტიჟს, ფინანსურ-ეკონომიკურ მდგრადობას და განვითარებას, ძნელადგამოსასწორებელ ზარალს აყენებს ქვეყანას.

მოდით განვიხილოთ „ჰიბრიდული ომის“ სამხედრო და კონტრსადაზვერვო ელემენტები, რომელთაც აწარმოებს რუსული მხარე ტრანს-რეგიონალურ დონეზე, საქართველოს წინააღმდეგ. დავიწყოთ ჯერ კიდევ 2000-იანი წლებიდან, როდესაც რუსული სპეცსამსახურების მიერ მოხდა კრიმინალური სამყაროს რამდენიმე გამორჩეული პირის თავის ინტერესებში გამოყენება, კერძოდ, არსებობს გონივრული ეჭვი ქართველი კანონიერი ქურდების რუსეთის სპეცსამსახურებთან კავშირის შესახებ. მაგალითად, ავტორიტეტული თურქული გაზეთები „Zaman“ და „Huriyet“ იტყობინებოდნენ იმის შესახებ, რომ „კანონიერი ქურდი“ ზაქარია კალაშოვი და აწ გარდაცვლილი ასლან უსოიანი (ეთნიკური ქურთები-იეზიდები), რუსეთის სპეცსამსახურების დავალებით აფინანსებდნენ თურქეთის მიერ სეპარატისტულ ორგანიზაციად აღიარებულ ქურთების მუშათა პარტიას. აქვე აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ქართველი კანონიერი ქურდები, საქართველოს მოქალაქეებისგან განსხვავებით, დაუბრკოლებლად გადაადგილდებიან რუსეთის მიერ დროებით ოკუპირებულ საქართველოს ტერიტორიებზე, რაც ამყარებს გონივრულ ეჭვს იმის შესახებ, რომ კრიმინალური სუბკულტურის წარმომადგენლები მჭიდრო თანამშრომლობაში არიან რუსულ სპეცსამსახურებთან.

აქვე აღსანიშნავია 2021 წელს დმანისის მუნიციპალიტეტში ეთნიკური ნიშნით მომხდარი დაპირისპირება, როდესაც ეთნიკურად აზერბაიჯანელ საქართველოს მოქალაქეებს და სვან ეკო-ემიგრანტებს შორის საყოფაცხოვრებო ნიადაგზე დაწყებული კონფლიქტი, ლამის ფართომასშტაბიან შეიარაღებულ შეტაკებაში

<sup>181</sup> საუბარია პირველადი მოხმარების ნივთებზე ავტო ნაწილებზე, ნავთობპროდუქტებზე და გამოჩენილი ბრენდის ტანისამოსზე, რომელთა შეტანაც ხდება სანქციების გვერდის ავლით, რითიც ხდება დიდძალი თანხების მობილიზება უკანონ გზით და ქვეყნის ბუჯეტის გვერდის ავლით.

გადაიზარდა, სადაც დაუდასტურებელი ინფორმაციით, მონაწილეობას იღებდნენ როგორც სვანური წარმომავლობის, ისე ეთნიკურად აზერბაიჯანელი კრიმინალური ავტორიტეტები.<sup>182</sup> ამ კონფლიქტმა კიდევ ერთხელ დაგვანახა რაოდენ მოწყვლადია ქვეყნის უსაფრთხოება.<sup>183</sup>

ყველაფერს ნათელი მას შემდეგ მოეფინა, როცა 2022 წლის 24 თებერვალს რუსეთის მიერ მოხდა უკრაინის ტერიტორიაზე შეჭრა და საომარი მოქმედებების წარმართვა, სადაც ვიკა-„ვაგნერის“<sup>184</sup> რიგებში მსჯავრდებულების ჩასართავად მოხდა ეგრეთ წოდებული „პრაგონის“ გატარება ზახარია კალაშოვის მიერ. აღნიშნული ქმედება მოხდა ქართველი კრიმინალების მიმართაც. მათი კოლაბორაცია რუს სამხედროებთან ოკუპირებულ უკრაინულ ტერიტორიაზე არ ითვლება სათაკილოდ.

მაშასადამე, რუსული სახელმწიფო იყენებს კანონიერი ქურდების ინსტიტუტს, როგორც „ჰიბრიდული ომის“ ერთ-ერთ ელემენტს, რომლითაც ხორციელდება კონტრსადაზვერვო და სამხედრო საქმიანობა. აღნიშნული საქმიანობით რუსული მხარე მოქმედებდა ასევე ბალტიისპირეთის ქვეყნებშიც გარკვეული პერიოდის განმავლობაში, რა დროსაც მათ მიერ მოხდა კონტრაბანდული გზით მოთხოვნადი ნივთების შეტანა, რაც მიზნად ისახავდა ქვეყნის ეკონომიკის ზრდის შეჩერებას, საბოლოოდ კრიმინალური სუბკულტურა იმდენად მოძლიერდა, რომ მათ სეიმის წევრის მოტაცება და მისი გარკვეული პერიოდის განმავლობაში ტყვეობაში ყოლა შეძლეს.<sup>185</sup> უკვე 2014 წლის შემოდგომაზე კიდევ ერთ დიდ პროექტს ჩაუყარა საფუძველი, კერძოდ, რუსეთის ფედერაციის თავდაცვის სამინისტროში შეიქმნა კიბერთავდაცვის ცენტრი, რომელიც გენერალ-პოლკოვნიკ პავლოვის

<sup>182</sup> \*ტარიელ ონიანის და ვაგა „რუსთავსკის“ სახით, უკანასკნელი არის აწ გარდაცვლილი, კანონიერი ქურდის „გილ“-ს დისმატილი, იგი საკმაოდ დიდი ავტორიტეტით სარგებლობს საქართველში ეთნიკურად აზერბაიჯანელ მოსახლეობაში.

<sup>183</sup> \*არსებობს დაუდასტურებელი ეჭვი იმის თაობაზე, რომ აღნიშნულიც რუსული სპეცსამსახურების მიერ იყო მოწყობილი, ვინაიდან იმ პერიოდში აღნიშნული ტიპის რამდენიმე პროვოკაციის მოწყობა უკვე ნაცადი იყო აჭარისა და გურიის რეგიონში მუსლიმან და ქრისტიან მოსახლეობას შორის, თუმცა დმანისის ინცინდენტმა ქვეყანა რეალური კონფლიქტის საფრთხის წინაშე დააყენა.

<sup>184</sup> \*გასამხედროებული დაცვის სამსახური ევგენი პრიგოუნის ხელმძღვანელობით, რომლის მეშვეობითაც მთელი მსოფლიოს მასშტაბით ხდება მართლსაწინააღმდეგო დავალებების შესრულება აღნიშნული გასამხედროებული დანაყოფების მიერ.

<sup>185</sup> Mark Galeotti, Putin's Hydra: Inside Russia's Intelligence Services, European Council on Foreign Relations, 2016 Year; pcp.59

დაქვემდებარებაში აღმოჩნდა. აღნიშნული ცენტრის განსავითარებლად გამოყოფილ იქნა 500 მლნ აშშ დოლარი. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ცენტრი წარმოდგენილია ქვეყნის მასშტაბით სამხედრო დანაყოფებშიც და სარგებლობს საკუთარი დაცული ქსელით, რომელიც არ არის დაკავშირებული გლობალურ ქსელთან.<sup>186</sup> აღნიშნული ცენტრის მეშვეობით რუსეთის ფედერაცია სისტემატურად ახერხებს მისი ინტერესის სფეროშე შემავალი ქვეყნებისა და რეგიონების (მათ შორის ევროპის და ამერიკის ინტერნეტ და ტელესივრცის) პირველ ეტაპზე მონიტორინგს, შემდგომ კი მისი კიბერ-შეტევებით დროებით მწყობრიდან გამოყვანას.<sup>187</sup> აღნიშნულ „ჰიბრიდულ ომს“ რუსეთის ფედერაცია საქართველოს ტერიტორიაზეც აწარმოებდა, უფრო მეტიც, დადასტურებული ინფორმაციით ქვეყნის ტერიტორიაზე შეიქმნა გარკვეული ტროლებისა და ბოტების ქარხნები, რომელთა მეშვეობითაც აწარმოებდნენ მთელი რეგიონისა და უკრაინის ინტერნეტ- და ტელესივრცის მონიტორინგს, დეზინფორმაციითა და ფეიკ ინფორმაციით მომარაგებას. ამის დასტური იყო ის, რომ 2020 წელს „facebook“-ის „instagram“-ის, „Youtube“-ის, „Twitter“-ის და „Linkedin“-ის ხელმძღვანელობამ ათასობით ე.წ „ფეიკ“ და ზიზღის ენის გამავრცელებელი გვერდები გამოავლინა და გააუქმა. ყველაზე დიდი რაოდენობა განთავსებული იყო საქართველოს ტერიტორიაზე. ჩვენი ქვეყანა გეოგრაფიულად განსაკუთრებულად ხელმისაწვდომია იმისათვის, რომ მოხდეს მთლიანად რეგიონის, რუსეთის ინტერესებში შემავალი პოსტსაბჭოური ქვეყნების, განსაკუთრებით უკრაინის, სასომხეთის და აზერბაიჯანის კონტროლი და საჭიროების შემთხვევაში ტელე- და ინტერნეტ შეტევების განხორციელება საქართველოს ტერიტორიიდან მათ ტელე- და ინტერნეტ სივრცეზე. როგორც მოსალოდნელი იყო, ეს ყოველივე ფინანსდება და კონტროლირდება ეგრეთწოდებული შავი ფულით, რომლის მომწოდებელი და ქვეყანაში არალეგალური გზით შემომტანი, რა თქმა უნდა, კრიმინალური

<sup>186</sup> რუსეთის ფედერაციის თავდაცვითი და შემტევი კიბერ შესაძლებლობები, <https://shorturl.at/hEKn6> (ბოლო ნახვა- 15.12.2022)

<sup>187</sup> Wired, Kremlin Kids: We Launched the Estonian Cyber War <https://shorturl.at/vh06i> (ბოლო ნახვა-12.12.2022)

სუბკულტურის წარმომადგენლები არიან, რომლებიც მითითებებს იღებენ „კანონიერი ქურდებისგან“.

თავში მოყვანილი ყველა გარემოება ქმნის იმის საშიშროებას, რომ ქვეყანა ახლო მომავალში შესაძლოა დადგეს კოლაფსისა და განვითარების მკვეთრი შეჩერების საფრთხის წინაშე.


**2.3 თავი „კანონიერი ქურდების“ მიერ რეგენირებული საფრთხეების და რისკების ანალიზი და მოდელირების გეოპოლიტიკური მიდგომები - „არშემდგარი ქვეყნის დილემა“ (მოვლენის ანალიზი).**

„არშემდგარი ქვეყნის დილემა“ ეხება სიტუაციას, როდესაც სახელმწიფო პოლიტიკური არასტაბილურობის მდგომარეობაშია და არ შეუძლია უზრუნველყოს ეფექტური მმართველობა და სახელმწიფოებრიობა. ეს კონცეფცია აღწერს ქვეყნებს, რომლებიც აწყდებიან გამოწვევებს, რომლებიც აფერხებენ მათ პოლიტიკურ, სოციალურ და ეკონომიკურ განვითარებას და აღნიშნული ქვეყნები ჩაფლულნი არიან სირთულეებში და ვერ მიაღწიეს სტაბილურობას და კეთილდღეობას.

„არშემდგარი ქვეყნის დილემის“ მახასიათებლები მოიცავს შემდეგ ასპექტებს: პოლიტიკური არასტაბილურობა: ასეთი ქვეყნები ხშირად განიცდიან პოლიტიკური სტაბილურობისა და კარგი მმართველობის დეფიციტს. შეიძლება წარმოიქმნას კონფლიქტები, სამოქალაქო ომები, პოლიტიკური ოპოზიციის უუნარობა, რაც გრძელვადიან პერსპექტივაში შეუძლებელს ხდის დემოკრატიული ინსტიტუტებისა და მმართველობის სისტემების ჩამოყალიბებას.<sup>188</sup>

„არშემდგარი სახელმწიფოს“ სამი ძირითადი დამახასიათებელი ფაქტორია:

<sup>188</sup> Rotberg, R. I. When States Fail: Causes and Consequences. Princeton University Press 2004 Year, pep 35



ეკონომიკური გამოწვევები: „არშემდგარი ქვეყნები“ სერიოზული ეკონომიკური გამოწვევების წინაშე დგანან, მათ შორისაა დაბალი პროდუქტიულობა, მაღალი უმუშევრობა, სიღარიბე, უთანასწორობა და კორუფცია. მათ ხშირად არ შეუძლიათ უზრუნველყონ მდგრადი ეკონომიკური განვითარება და ინვესტიციების მოზიდვა.<sup>189</sup>

სოციალური პრობლემები: ასეთ ქვეყნებში, როგორც წესი, არის სოციალური უსამართლობა, ეთნიკური და რელიგიური კონფლიქტები, ადამიანის უფლებების დარღვევა, განათლებისა და ჯანდაცვის დაბალი დონე. ამან შეიძლება გამოიწვიოს სოციალური დაყოფა, ძალადობა და საზოგადოების დაშლა.<sup>190</sup>

გარე აქტორების გავლენა: გარე აქტორებს, როგორიცაა მეზობელი სახელმწიფოები, საერთაშორისო ორგანიზაციები ან ექსტრემისტული ჯგუფები შეუძლიათ გამოიყენონ პოლიტიკური და ეკონომიკური არასტაბილურობა „არშემდგარ ქვეყნებში“ თავიანთი ინტერესების გასაძლიერებლად. ამან შეიძლება გაამწვავოს პრობლემები და გაართულოს შიდა გამოწვევების დაძლევა ან სულაც შეუძლებელი გახადოს პრობლემებისგადაჭრა.

წარუმატებელი ქვეყნის დილემის წინაშე მდგარი ქვეყნებია სომალი, ავღანეთი, ლიბია, სირია, ლიბანი და სხვა. ამ ქვეყნებში პოლიტიკური არასტაბილურობა,

<sup>189</sup> Menkhaus, K. "Governance Without Government in Somalia: Spoilers, State Building, and the Politics of Coping."

International Security, 31(3), 2006 Year, 74-106.

<sup>190</sup> განვითარებული ქვეყნის დილემის წინაშე მდგარი ქვეყნებია სომალი, ავღანეთი, ლიბია, სირია, ლიბანი და სხვა. ამ ქვეყნებში პოლიტიკური არასტაბილურობა, (ბოლო ნახვა 20.10.2022).

კონფლიქტი, ტერორიზმი, განუვითარებლობა და ეკონომიკური გაჭირვება ართულებს მდგრადობისა და კეთილდღეობის მიღწევას.<sup>191</sup>

„არშემდგარი ქვეყნების“ ძირითადი მახასიათებელია ქვეყნის შიგნით არსებული ფინანსური, სოციალური და ეკონომიკური სიტუაციის სავალალო მდგომარეობა, რაც თავის მხრივ, ქვეყნის მოსახლეობის მოაზროვნე და შრომისუნარიანი მასის ქვეყნიდან გადინებას, ემიგრაციაში წასვლას, რის შედეგადაც ქვეყნის განვითარება შეუქცევადი ხდება. ეს პროცესები სამომავლო პერსპექტივაში ქვეყანაში საჭირო მუშა ხელისა და მოაზროვნე მასის მკვეთრ დეფიციტს გამოიწვევს, რაც რეალურად 90-იანი წლებიდან მოყოლებული შეიგრძნობოდა და დღევანდელ დღემდე შეიგრძნობა აღნიშნული დანაკარგის შედეგები მთელი ქვეყნის მასშტაბით.

რადგან საქართველოდან მოაზროვნე და შრომისუნარიანი მოსახლეობის დიდი პროცენტი ემიგრაციაში წავიდა ჯერ კიდევ 90-ინ წლებში, მათი სახით ქვეყანამ დაკარგა საკმაოდ დიდი პოტენციალი და შესაძლებლობები და ვერ მოხერხდა სწორი გზით განვითარება და წინსვლა.<sup>192</sup>

მოდით უფრო კონკრეტულად განვიხილოთ აღნიშნული პრობლემები, ვნახოთ რა არის ამ პრობლემების გამომწვევი მიზეზები და როგორ არის შესაძლებელი მათთან ბრძოლა:

**პოტენციალის ნაკლებობა:**  
ყველა მოაზროვნე და შრომისუნარიანი მოსახლეობა ან ემიგრაციაში გადაიხვეწა ან თავისი შესაძლებლობების გამოვლენას ვერ ახერხებდნენ.

**ქვეყნის ეკონომიკის სავალალო მდგომარეობა:**  
ყველა სტრატეგიული და ეკონომიკური მნიშვნელობის ობიექტი ან გაიქურდა ან კრიმინალური და კორუფციული გარიგებების გზით ხელში ჩაიგდო ძირითადად ოდიოზურმა ჯგუფებმა ან მთავრობასთან დაახლოე მიახლოებულმა პირებმა ან მათმა ნათესავებმა.

**კრიმინალური და ტერორისტული ბანდა დაჯუფებები:**  
რომელთა მეშვეობით ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე ხდებოდა მართლსაწინააღმდეგო და ქვეყნის კონსტიტუციური წეს-წყობილების საწინააღმდეგო საქმიანობა, რაც ქვეყნის სუვერენიტეტს და მის მთლიანობას საფრთხის ქვეშ აყენებდა.

<sup>191</sup> Brynen, R., et al. (eds.)Political Liberalization and Democratization in the Arab World. Lynne Rienner Publishers, 2000 Year, pep 32

<sup>192</sup> Charles T. Call, Beyond the 'failed state': Toward conceptual alternatives,European Journal of International Relations 17(2), 2011 Year , pep 306 <https://www.researchgate.net/publication> ( ბოლო ნახვა 04.06.2023 ).

პოტენციალის ნაკლებობა : 90-იანი წლები თავისი წეს-წყობილებით და ქვეყნის მართვის სტილით რეალურად შეუძლებელს ხდიდა, ჩვეულებრივი კანონმორჩილი ადამიანისთვის, კანონიერი და დამსახურებული შემოსავლის პოვნას, ვინაიდან საკმაოდ ლიმიტირებული სამუშაო ადგილები არსებობდა. აღნიშნული სამუშაო ადგილების დაკავება ხდებოდა პროტექციით, ან ქრთამის მიცემის შედეგად, რაც თავისთავად გამოწვეული იყო ქვეყანაში მძიმე მდგომარეობით. იმ პერიოდში საერთოდ არ ფუნქციონირებდა მრეწველობის თითქმის არც ერთი ობიექტი, შესაბამისად, იყო სამუშაო ადგილების დეფიციტიც. ეს საგრძნობი იყო ქვეყნის მთელი მოსახლეობისთვის. შეჩერებული იყო ყველა წარმოება, ყველა სახელმწიფო დაწესებულება და ორგანიზაცია მუშაობდა ხელფასების გაცემის გარეშე, ყოველ წელს ცხადდებოდა ბიუჯეტის სეკვესტრი, მოშლილი იყო სოფლის მეურნეობა, თითქმის გადაშენდა მეცხოველეობა და მიწათმოქმედება, ყველა ის ქარხანა ან მცირე მეწარმე, რომელიც ამ პერიოდში ახერხებდა რაიმე სიკეთის შექმნას, წილს უხდიდა „კრიმინალური სუბკულტურის“ წარმომადგენლებს, ან იხდიდა ქრთამს ძალოვან ან სახელმწიფოს მარალჩინოსნებთან. <sup>193</sup> ქვეყანაში ვერ სრულდებოდა ბიუჯეტი, ვინაიდან პოსტსაბჭოთა გადმონაშთად იქცა, და მემკვიდრეობით გადმოინაცვლა მეორე ე.წ. „შავმა ბუღალტერიამ“, რის მეშვეობითაც ქვეყნის ბიუჯეტის გვერდის ავლით ხდებოდა მილიონობით დოლარის კრიმინალური ავტორიტეტებისა და სახელმწიფოს კორუმპირებული მაღალჩინოსანი ჩინოვნიკების ჯიბეებში დალექვა.<sup>194</sup> მანამდე არსებული საწარმოები ან მთლიანად გაიძარცვა, ან გარკვეული კორუფციული და კრიმინალური მაქინაციების მეშვეობით აღმოჩნდა ოდიოზური პირების მფლობელობაში. ხშირ შემთხვევებში კი უბრალოდ გარკვეული „კრიმინალური სუბკულტურის დაჯგუფებების“ და „ბანდ-ფორმირებების“ მიერ დაშინების, შანტაჟისა და მკვლელობების შედეგად ხდებოდა საკუთრების ხელში ჩაგდება, ე.წ „რეიდერული გზით“ ქონებების მიტაცება, რა დროსაც სახელმწიფოს

<sup>193</sup> Charles T. Call, Beyond the 'failed state': Toward conceptual alternatives, European Journal of International Relations 17(2), 2011 Year , pep 309 <https://www.researchgate.net/publication> ( ბოლო ნახვა 04.06.2023 ).

<sup>194</sup> The landscape of Hybrid Treats: a conceptual model, Luxemburg; Publications Office of the European Union, 2021 Year , pep 18

მოხელეები (ძალოვანი სტრუქტურების მაღალჩინოსნები და პოლიტიკური თანამდებობის პირები) და „კრიმინალური სუბკულტურის დაჯგუფებები“ ახდენდნენ პატიოსანი მეწარმეების და ბიზნესმენების მიერ შექმნილი სიკეთისა და ქონების მითვისებას.<sup>195</sup>

ეკონომიკის სავალალო მდგომარეობა: აღნიშნული სიტუაცია მხოლოდ ერთ-ერთი ასპექტია, რაც საქართველოში ხდებოდა და ხდება დღესაც. აღნიშნული ტიპის ეკონომიკის ნგრევა დამახასიათებელია ისეთი ქვეყნებისთვის, რომლებიც დაკავებული არიან ქვეყნის ეკონომიკის მიზანმიმართული მოშლით და შიდა წარმოების განადგურებით. ამის თვითმხილველნი თავად ვართ 90-იან წლებში. რეალურად აღინიშნა ყველა საწარმოს (რამდენიმეს გამოკლებით) შეჩერება, დაშლა ან ჯართში ჩაბარება, ან უბრალოდ გაქურდვა და მწყობრიდან გამოყვანა, რაც დღევანდელ დღესაც მძიმე ტვირთად აწევს ქვეყნის ეკონომიკას და თითქმის 30-წლის შემდეგაც კი, დაუმლეველ სირთულეს წარმოადგენს ქვეყნის ეკონომიკის განვითარებისთვის.<sup>196</sup>

კრიმინალური და ტერორისტული ბანდ-დაჯგუფებები: კიდევ ერთი საკმაოდ მძიმე მემკვიდრეობა, რაც ახასიათებს „არ შემდგარ სახელმწიფოებს“, მძიმე კრიმინალური მდგომარეობა ქვეყანაში დაუძლეველი სირთულეა, რაც შემდგომში დიდი ალბათობით, ისეთი შედეგების დადგომას გამოიწვევს, რომელთა ერთობლიობა ქვეყანას მიიყვანს თითქმის დეფოლტამდე და განადგურებამდე, ოთხმოცდაათიანების შედეგებს ქვეყანა ახლაც კი იმკის, ვერ ხერხდება მათი აღმოფხვრა და გამოსავლის პოვნა. კრიმინალური ვითარების ამ დონეზე გაუარესებამ გარდა იმისა, რომ ქვეყანა დააყენა შეუქცევადი პროცესების წინაშე, წარმოქმნა ისეთი რთული და შეუქცევადი ვითარება, რომელთან გამკლავებას დღესაც კი ვერ ახერხებს სახელმწიფო.

<sup>195</sup> ბანასიკი, მ. „უსაფრთხოება და ჰიბრიდული ომი: რუსეთის ფედერაციის ახალი მეტოქეობის პარადიგმა საერთაშორისო არენაზე“, 2017 წელს. გვ:69

<sup>196</sup> Eberhard Kienle, Why have “FAILED STATES” failed to disappear <https://shorturl.at/rt2jd> ( ბოლო ნახვა 04.06.2023 ).

აღნიშნული უკანონობის პერიოდში კიდევ ერთი საკმაოდ რთული და ზიანის-მომტანი სიტუაცია გაღვივდა საქართველოს ტერიტორიაზე, კერძოდ, კი პანკისის ხეობაში დაიწყო შეუქცევადი პროცესები, - საველე მეთაურების ტერორისტული დაჯგუფებების რუსეთის ფედერაციის ტერიტორიიდან უკანონოდ გადმოსვლით და შემდგომ, აღნიშნულ ტერიტორიაზე დაფუძნებით (გელაევის დაჯგუფება და სხვა), რომლის გამოძახილებიც 2017 წელსაც კი ვერ აღკვეთეს მოქმედმა ხელისუფლებამ, თბილისში გაბრიელ სალოსის ქუჩაზე.<sup>197</sup> აღნიშნული ტერიტორია (პანკისი) ფაქტიურად უკონტროლო იყო ძალოვანი სტრუქტურების მხრიდან და იმართებოდა საველე მეთაურების და ადგილობრივი ხევისბერების, მოლების და ხოჯების მიერ .

სიტუაციის ასეთმა უკონტროლობამ გამოიწვია ის ფაქტიც, რომ აღნიშნულ ტერიტორიაზე ამუშავდა ნარკოტიკული ნივთიერებების გასაღების და ტრაფიკის ქსელი, რომლის შემდგომი ნაბიჯი იყო უკვე ჰეროინის გადამამუშავებელი მინიჭარხანა, რომლის განადგურებაც ვერ ან არ მოხერხდა სახელმწიფოს მიერ 2000-იანი წლების შუა რიცხვებამდე, რაცსაქართველოს რეალურად ხდიდა კრიმინალურ-ტერორისტულ სახელმწიფოდ, რომლის ტერიტორიაზეც შესაძლებელი იყო გეყიდა ნებისმიერი რაოდენობის ან სახეობის ნარკოტიკული ნივთიერება, ცეცხლსასროლი იარაღი, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელი იქნებოდა ნებისმიერი სახის მართლსაწინაარმდეგო ქმედების ჩადენა, მათ შორის, ტერორისტული აქტისაც კი. სხვა თუ არაფერი, ქვეყნის იმუმინდელ პრეზიდენტზე, ედუარდ შევარდნაძეზე ორჯერ განხორციელდა თავდასხმა.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულმა გააჩინაუკანონობის და დაუცველობის განცდა, რომლის კიდევ ერთი ფაქტორი იყო ის გარემო, რომელშიც უწევდა მოსახლეობას ცხოვრება. ყოველდღიურად ხდებოდა ათობით ადამიანის მკვლელობა, დაყაჩაღება, დაჭრა, ან ძარცვა. აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ ყველა ეს ქმედება განსაკუთრებული სისასტიკითა და დაუნდობლობით იყო ჩადენილი.<sup>198</sup>

<sup>197</sup> GFSIS-კვლევები პანკისის ხეობაზე <https://gfsis.org.ge/ge/publications/view> ( ბოლო ნახვა 04.06.2023 ).

<sup>198</sup> Charles T. Call, Beyond the 'failed state': Toward conceptual alternatives, European Journal of International Relations 17(2), 2011 Year , pep 315 <https://www.researchgate.net/publication> ( ბოლო ნახვა 04.06.2023 ).

რაც შეეხება რეგიონებს, აյ სხვა მიმდინარეობა არსებობდა, - ხდებოდა კრიმინალური შემოსავლის მიღება, მაგალითად, ტრეფიკინგი - ადამიანის მოტაცება და გამოსასყიდის მოთხოვნა, ეს ქმედება ჩვეულებრივი და ხშირი იყო იმ პერიოდში, განსაკუთრებით, სამეგრელო-ზემო სვანეთის მთიან რეგიონებში.

ყოველივე ზემოთ აღწერილი სიტუაციები აძლიერებდა განცდას, რომ ადამიანები დაუცველები იყვნენ და შესაბამისი პრობლემის წარმოქმნისას ყოველთვის ჰქონდათ ალტერნატივა იმისა, რომ მიემართათ არა სამართლდამცავი ორგანოსთვის, არამედ „კრიმინალური სუბკულტურის“ წარმომადგენლებისათვის, რომლებიც აუცილებლად მოუგვარებდნენ აღნიშნულ პრობლემას გარკვეული საფასურის სანაცვლოდ. კრიმინალური სისტემა მუშაობდა წარმატებულად იმის გათვალისწინებით, რომ ამ პერიოდში თვითონ სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლები კორდინაციაში იყვნენ „კრიმინალური სუბკულტურის“ მაღალი იერარქიის ისეთ წარმომადგენლებთან როგორებიც იყვნენ ე.წ „კანონიერი ქურდები“ და ერთად წყვეტდნენ გარკვეულ საკითხებს, ან უბრალოდ თავის საფასურს ართმევდნენ აღნიშნულ პირებს მხოლოდ იმაში, რომ მათ არ ეხებოდნენ, ან თვალს ხუჭავდნენ აღნიშნულ მართლსაწინააღმდეგო და ქვეყნის იმიჯის და ფუნქციონირების დამანგრეველ საქმიანობაზე.<sup>199</sup>

ზემოთ აღწერილმა ვითარებამ მოსახლეობაში გააჩინა ნიქილიზმის, უიმედობისა და დაუცველობის სინდრომი. რეალურად ქვეყანა ადგა „ლიბანიზაციის“ გზას, რომლის დროსაც არ არსებობდა, არც კანონი, არც სამართალი და საჭიროების შემთხვევაში მართალი იყო ის მხარე, ვისაც უფრო ძლიერი მფარველები ჰყავდა, ან უფრო ძლევამოსილი იყო და ფინანსურად მყარად გრძნობდა თავს. <sup>200</sup>

აღნიშნულ პერიოდში რამო დენიმე საკმაოდ გახმაურებული გატაცება მოხდა ქვეყნის მასშტაბით, მაგალითად, ბრიტანელი ბანკირის პიტერ შოუს გატაცება 2002 წელს

<sup>199</sup> Eberhard Kienle, Why have “FAILED STATES” failed to disappear <https://www.sciencespo.fr/ceri/fr/content/dossiersduceri> ( ბოლო ნახვა 04.06.2023 ).

<sup>200</sup> The landscape of Hybrid Treats: a conceptual model, Luxemburg; Publications Office of the European Union, 2021 Year , pep 20

თბილისის ცენტრიდან<sup>201</sup>, ცნობილი ქართველი ფეხბურთელის და პოლიტიკოსის კახი კალაძის მმის ლევან კალაძის გატაცება 2001 წელს, რომელიც ტრაგიკული შედეგით დასრულდა<sup>202</sup>.

აღნიშნული გატაცებების შედეგად ქვეყნის ისედაც შებდალურლი ღირსება და იმიჯი საბოლოოდ განადგურდა და იმ პერიოდის სახელმწიფო დეპარტამენტის მოხსენებაში საქართველო უკვე მოიხსენიეს, როგორც „არშემდგარი ქვეყანა“ და დაყენეს ისეთი ქვეყნების რიგში, როგორებიც არის ჩადი, ლიბია, კონგო, ნიგერია, სომალი და ა.შ.

„არშემდგარი ქვენის“ უსაფრთხოების სისტემის უმოქმედობა ასახავს სოციალური, პოლიტიკური და ეკონომიკური განსხვავებების არსებობას და ზრდას საზოგადოების სხვადასხვა სოციალურ ჯგუფს შორის. ეს უთანასწორობა და კონფლიქტები შეიძლება გამოწვეული იყოს სხვადასხვა ფაქტორებით, მათ შორის, იდეოლოგიური, ეთნიკური, რელიგიური, კლასობრივი და კულტურული განსხვავებებით. ასეთ შემთხვევებში ჯგუფებს შორის კონფლიქტი შესაძლოა გამწვავდეს ან თუნდაც ხელოვნურად შეიქმნას პირადი ან ფულადი ინტერესებიდან გამომდინარე მანიპულირების შედეგად.<sup>203</sup> აქვე განვიხილოთ უსაფრთხოების სისტემის ხარვეზის ძირითადი მახასიათებლები და მიზეზები:

სოციალური უთანასწორობა: რესურსებზე, შესაძლებლობებსა და პრივილეგიებზე წვდომის უთანასწორობამ შეიძლება შექმნას სოციალური ხარვეზები. მაგალითად, ეკონომიკურმა უთანასწორობამ, კლასობრივმა განხეთქილებამ და განათლებასა და ჯანდაცვაზე უთანასწორო ხელმისაწვდომობამ შეიძლება გამოიწვიოს კონფლიქტი და

<sup>201</sup> რატომ ეძებდნენ პიტერ შოუს გატაცებაში “ჩეჩენურ კვალს” <https://www.radiotavisupleba.ge/a/1524508.html> (ბოლო ნახვა 04.06.2023)

<sup>202</sup> ლევან კალაძის ოჯახის წევრები პირებნ უარი თქვან საქართველოს მოქალაქეობაზე <https://shorturl.at/zF8sH> (ბოლო ნახვა 04.06.2023)

<sup>203</sup> Williams P. “Crime, Illicit Markets, and Money Laundering,” in Managing Global Issues: Lessons Learned, eds. P. J. Simmons and C. Jonge Oudrat, Carnegie Endowment, Washington, D.C., 2001 pp;98

არასტაბილურობა.<sup>204</sup> ოთხმოცდაათიან წლებში განსაკუთრებით იგრძნობოდა ასეთი პრობლემები მთელი ქვეყნის მასშტაბით, როცა მოსახლეობის გარკვეულ, მცირე კატეგორიას შეეძლო წვდომა ჰქონოდა კარგ განათლებაზე, ჯანდაცვაზე, სოციალურ პროგრამებზე, ხოლო უმეტეს ნაწილს ოცნებაც კი არ შეეძლო აღნიშნულ კეთილდღეობებზე.<sup>205</sup>

ეთნიკური და რელიგიური განსხვავებები: ეთნიკურ ან რელიგიურ კუთვნილებაზე დაფუძნებული კონფლიქტებ შეიძლება წარმოიშვას კულტურის, იდენტობისა და ისტორიული ეთნიკური განსხვავებებიდან. ასეთი კონფლიქტების მანიპულირება შესაძლებელია პოლიტიკური ან ეკონომიკური ინტერესების მისაღწევად, აღნიშნულით საკმაოდ კარგად სარგებლობდა რუსეთის ფედერაცია საქართველოს თავსუფლების მოპოვების ოცდაათწლიან პერიოდში.<sup>206</sup>

პოლიტიკური ინტერესები და მანიპულირება: ზოგიერთმა პოლიტიკურმა და ეკონომიკურმა აქტორმა შეიძლება გამოიყენოს უსაფრთხოების ხარვეზები თავის სასარგებლოდ. მათ შეუძლიათ მანიპულირება მოახდინონ სოციალური ჯგუფებით, რათა გააძლიერონ ქვეყნის შიგნით კონფლიქტები, რათა შეინარჩუნონ თავიანთი პოლიტიკური გავლენა, ან მოიპოვონ ეკონომიკური მოგება. აღნიშნული სიტუაციების დანახვა დაუკვირვებელი თვალითაც კი შესაძლებელია. 2012 წლის შემდგომ მთელი საქართველოს ტერიტორიაზე აღნიშნული კონფლიქტები წარმოიშვება როგორც ეთნიკური, ისე ტერიტორიული, რელიგიური თუ განსხვავებული სექსუალური ორიენტაციის მქონე პირების და განსხვავებული პოლიტიკური შეხედულების მქონე პირების მიმართ გარკვეული რადიკალურად განწყობილი დაჯგუფებებისა და პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლთა მხრიდან.<sup>207</sup>

უნდობლობა და ლეგიტიმაციის დეფიციტი: უსაფრთხოების სისტემის ხარვეზებმა შეიძლება შექმნას უნდობლობა და შეარყიოს სახელმწიფო ინსტიტუტების

<sup>204</sup> Gurr, T. R. Minorities at Risk: A Global View of Ethnopolitical Conflicts. United States Institute of Peace Press. 1993 Year pep. 135

<sup>205</sup> Najzer,,B. „The Hybrid Age: International Security in the Era of Hybrid Warfare“ London ,I.B. Tauris,2021,pep;145

<sup>206</sup> Freier, N. Hybrid Threats and Challenges: Describe... Don't Define. Small Wars Journal 2009. pep;102

<sup>207</sup> Gurr, T. R. Minorities at Risk: A Global View of Ethnopolitical Conflicts. United States Institute of Peace Press. 1993 Year pep. 125

ლეგიტიმაცია. თუ სხვადასხვა სოციალური ჯგუფი გრძნობს, რომ მათი ინტერესები და უფლებები იგნორირებულია და არ არის გათვალისწინებული, ამან შეიძლება გამოიწვიოს კონფლიქტი და არასტაბილურობა. აღნიშნული სიტუაციები ხშირია საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვების პირველივე დღიდან. ჯერ კიდევ პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას მთავრობის პერიოდში, როდესაც რეგიონების წარმომადგენლებს შეეზღუდათ არჩევნებში მონაწილეობის მიღება, რაც საბოლოოდ სამხედრო დაპირისპირებაში გადაიზარდა აფხაზეთსა და სამაჩაბლოში, გამოიწვია საქართველოს ისტორიული ტერიტორიების დროებითი ოკუპაცია.<sup>208</sup>

აქვე განვიხილოთ ისეთი საკითხი, როგორიცაა არშემდგარ ქვეყნებში ლეგიტიმაციის დეფიციტი. რამ შეიძლება გამოიწვიოს ლეგიტიმაციის დეფიციტი და რა შედეგების მომტანია იგი არშემდგარი ქვეყნისა და მისი მმართველი მთავრობითვის. <sup>209</sup>

არშემდგარ ქვეყანაში ლეგიტიმაციის დეფიციტი (ნაკლებობა) ნიშნავს მოსახლეობის და სხვა მნიშვნელოვანი აქტორების მხრიდან ხელისუფლებისა, თუ პოლიტიკური სისტემის მიმართ აღიარებისა და მხარდაჭერის არარსებობას. ეს შეიძლება წარმოიშვას მრავალი მიზეზის გამო და სერიოზული გავლენა იქონიოს ასეთი ქვეყნის სტაბილურობასა და განვითარებაზე. განვიხილოთ რამდენიმე მახასიათებელი და მიზეზი ლეგიტიმაციის ნაკლებობისა არშემდგარ ქვეყანაში:

ხელისუფლების არალეგიტიმურობა, მთავრობა არ იღებს ფართო მხარდაჭერას და აღიარებას მოსახლეობისგან. ეს შეიძლება გამოწვეული იყოს არჩეული ან დანიშნულ თანამდებობის პირების მიმართ უნდობლობით, ქვეყნის ეფექტურად მართვის უნარში ეჭვის შეტანის გამო, ან კორუფციასა და უკანონო საქმიანობაში მონაწილეობის გამო. ფაქტიურად საკმაოდ ხშირად გვხვდება აღნიშნული პრობლემები საქართველოს თავისუფლების მოპოვებს დღიდან მოყოლებული.<sup>210</sup>

პოლიტიკური თავისუფლებების შეზღუდვა, ადამიანის უფლებების დარღვევა და კანონის, წესრიგისა და სამართლიანობის გარანტიების არარსებობამ შეიძლება

<sup>208</sup> Collier, P., & Hoeffer, A. Greed and Grievance in Civil War. Oxford Economic Papers, 56(4), 2004 Year, pep 568.

<sup>209</sup> Jasper, S. „Russian Cyber Operations”, Georgetown University Press, 2020, pep;198

<sup>210</sup> David Beetham, The Legitimation of Power, Issues in Political Theory, 1991 Year, pep 49

გამოიწვიოს ლეგიტიმაციის დეფიციტი. კანონის უზენაესობის ძირითადი პრინციპების შეუსრულებლობა და მოქალაქეთა უფლებების დაუცველობა იწვევს მოსახლეობის უნდობლობას და უკმაყოფილებას.<sup>211</sup> საქართველოში თითქმის ყველა მთავრობას აღენიშნებოდა ჩამოთვლილი პრობლემები, განსხვავება ერთად-ერთი იყო იმაში, რომ ზოგ მთავრობაში ჭარბად გვხვდებოდა ზემოთ ჩამოთვლილი პრობლემატიკა, ზოგში შედარებით ნაკლებად.

ქვეყნის მოსახლეობის ეთნიკური და რელიგიური ნიშნით დაყოფა, - ეთნიკურ ან რელიგიურ განსხვავებებზე დაფუძნებულმა კონფლიქტებმა შეიძლება გამოიწვიოს ლეგიტიმაციის ნაკლებობა. თუ მთავრობა ვერ შეძლებს ეფექტურად გაუმკლავდეს ეთნიკურ და რელიგიურ განსხვავებებს, მაშინ იგი იწვევს უნდობლობასა და უკმაყოფილებას მოსახლეობის დიდ ნაწილში.<sup>212</sup> აღნიშნული პრობლემა ყველაზე მეტად პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას მთავრობაში გვხვდებოდა, რამაც საბოლოოდ ქვეყნის ტერიტორიების დროებით ოკუპაციამდე მიგვიყვანა.

ეკონომიკური კრიზისი და სოციალური უთანასწორობა - სიღარიბის მაღალმა დონემ, ეკონომიკურმა კრიზისმა და სოციალურმა უთანასწორობამ შეიძლება გააძლიეროს ლეგიტიმაციის ნაკლებობა. თუ მთავრობა ვერ უზრუნველყოფს თავისი მოქალაქეების სოციალური და საბაზისო სერვისებით დაკმაყოფილებას და ვერ გადაჭრის ეკონომიკურ პრობლემებს, ამან შეიძლება გამოიწვიოს უნდობლობა და უკმაყოფილება. აღნიშნული ვითარება განურჩევლად ყველა მთავრობის პრობლემას წარმოადგენდა ქვეყნის დამოუკიდებლობის გამოცხადებიდან დღემდე.<sup>213</sup>

გარე ძალების ჩარევა ქვეყნის შიდა საქმეებში. - გარე აქტორების ჩარევამ შეიძლება შექმნას ლეგიტიმურობის დეფიციტი. თუ მთავრობა აღიქმება, როგორც მარიონეტული ან გარე ძალების ზეგავლენის ქვეშ მოქცეული, ამან შეიძლება გამოიწვიოს უნდობლობა და უკმაყოფილება მოსახლეობაში. საქართველოს

<sup>211</sup> Collier, P., & Hoeffler, A. Greed and Grievance in Civil War. *Oxford Economic Papers*, 56(4), 2004 Year, pep 589

<sup>212</sup> Gurr, T. R. Minorities at Risk: A Global View of Ethnopolitical Conflicts. United States Institute of Peace Press. 1993 Year pep. 125

<sup>213</sup> David Albright and Holly Higgins, "A Bomb for the Ummah," *Bulletin of the Atomic Scientists* 59:2 (March–April 2003): 49–55; available at <http://thebulletin.metapress.com/content/ru1k226j4ln4585l/>;

გეოპოლიტიკური მდებარეობის მნიშვნელობის გათვალისწინებით, შეიძლება ითქვას, რომ აღნიშნული გამოწვევა ისევე, როგორც წინა გამოწვევები განურჩევლად, ყველა მთავრობის დილემას წარმოადგენდა ქვეყნის დამოუკიდებლობის გამოცხადებიდან დღემდე.

„არშემდგარ ქვეყნებში“ ლეგიტიმურობის დეფიციტის მაგალითებია სომალის, ლიბიის ან სამხრეთ სუდანის ქვეყნები, სადაც პოლიტიკური არასტაბილურობა, კონფლიქტები და მთავრობის ფართო მხარდაჭერის ნაკლებობა ქმნის ლეგიტიმურობის დეფიციტს. აღნიშნული დეფიციტი შემდგომში უკვე შესაძლოა გადაიზარდოს მასშტაბურ დაპირისპირებაში, რაც სამოქალაქო ომამდე მიიყვანს ამ ტიპის ქვეყნებს. ამასთან, შეგვიძლია მაგალითად საქართველოც მოვიყვანოთ, როცა გარე აქტორების და ქვეყნის შიგნით სადაზვერვო და საბოტაჟური დავალებებით მოქმედი კრიმინალური „ბანდ-ფორმირებების“ სახელმწიფოსთან დაპირისპირების შედეგად მივიღეთ სამოქალაქო ომი, რამაც გამოიწვია ლეგიტიმურად არჩეული მთავრობის დემონტაჟი და სათავეში მოვიდა დროებითი სამხედრო მმართველობა, რომლის მთავრობაში ყოფნის პერიოდში ქვეყანა ჩაეფლო განუკითხაობის, ტერორის და კრიმინალური მმართველობის ეპოქაში. ეს შესაძლებელია აღვიქვათ, როგორც ქვეყნის ლიბანიზაციის პროცესი.<sup>214</sup> მითითებული პროცესის შედეგად სრულიად დაიკარგა ქვეყნის სახელმწიფო ინსტიტუციები<sup>215</sup>, მოსახლეობა ჩავარდა სტაგნაციაში და გამოხატავდა უიმედობას და უნდობლობას, ქვეყანა ვერ ახერხდა სწორ განვითარებასა და წინსვლას.<sup>216</sup> სახეზე გვქონდა მეცნიერულად დადასტურებული ყველა ფაქტორი, რომელიც ახასიათებთ „არშემდგარ ქვეყნებს“. <sup>217</sup>

- შეიარაღებული აჯანყება.
- დანაშაულის მაღალი მაჩვენებელი ქვეყნის მასშტაბით.
- ზედმეტად ბიუროკრატიული პროცესები სახელმწიფოს მართვაში.

<sup>214</sup> Charles T. Call, Beyond the 'failed state': Toward conceptual alternatives, European Journal of International Relations 17(2), 2011 Year , pp 345 <https://www.researchgate.net/publication> ( ბოლო ნახვა 04.06.2023 ).

<sup>215</sup> სამოქალაქო ინსტიტუციები რეალურად იმ პერიოდში საერთოდ არც არსებობდა საქართველოში.

<sup>216</sup> Eberhard Kienle, Why have “FAILED STATES” failed to disappear <https://www.sciencespo.fr/ceri/fr/content/dossiersduceri> ( ბოლო ნახვა 04.06.2023 ).

<sup>217</sup> სტუდი სმარტერის კვლევები არშემდგარ ქვეყნებზე <https://www.studysmarter.co.uk> ( ბოლო ნახვა 04.06.2023 )

- სასამართლოს არაკომპეტენტურობა, კორუმპირებულობა.
- ძალოვნების ჩარევა პოლიტიკასა და ქვეყნის მართვაში.
- ადამიანის უფლებების დარღვევა.
- საკუთრების უფლებისა და ბიზნესის ხელყოფა.
- სიცოცხლის უფლების ხელყოფა.

აღნიშნული გამოწვევები უმთავრესი ფაქტორი იყო იმისა, რომ ოთხმოცდაათიანი წლებიდან მოყოლებული საქართველოს ყველა მთავრობა აწყდებოდა აღნიშნულ პრობლემებს, რომელთა გადაწყვეტასაც ცდილობედნენ თავისი მმართველობის პერიოდში, თუმცა, საბოლოო შედეგი ყოველთვის იყო და არის ერთი და იგივე, დროებით აღნიშნული პრობლემების აღმოფხვრა, თუმცა გარკვეული პერიოდის ან მთავრობაში სხვა ძალის მოსვლის შემდეგ სიტუაცია ისევ უარესდება და ახალი დაკომპლექტებული მთავრობა ისევ იგივე პრობლემების წინაშე დგება, ვინაიდან არ ხდება ისეთი დემოკრატიული ფასეულობების დაცვა, როგორიცაა ადამიანის უფლებები, თავისუფლება, ეროვნული უსაფრთხოება, ჯანსაღი ეკონომიკური კონკურენცია, საკუთრების უფლებების მაღალი სტანდარტი, თავისუფალი სასამართლო სისტემა.

### **III თავი**

**მესამე თავი . საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების მოდელი და  
ასიმეტრიული საფრთხეების პრევენცია და ნიველირება : „კანონიერი  
ქურდების ინსტიტუტის „აღკვეთის პოლიტიკური ასპექტები  
საქართველოს მაგალითზე (შემთხვევის გარჩევა)**

თანამედროვე საერთაშორისო უსაფრთხოების სისტემის ახალი აქტორის - ისეთი არასახელმწიფოებრივი აგრესიული დაჯგუფების, როგორიც არის კრიმინალური სუბკულტურა, მისი როლი და ადგილი ქვეყნის ეროვნული უსაფრთხოების გარემოში, მათი მავნებლური დამკვიდრება და განვითარება, არის საკმაოდ მნიშვნელოვანი და ხშირ შემთხვევებში წარმატების მომტანიც მათთვის. ამავდროულად ქვეყნისთვის უდიდესი ზიანის მომტანია, ლოკალურად და მასშტაბურად, ჰიბრიდული ომის წარმოების პროცესში. აღნიშნული კრიმინალური სუბკულტურა, როგორც არასახელმწიფოებრივი აგრესიული დაჯგუფება, საქართველოს მიერ თავისუფლების მოპოვების ოცდაათწლიანი ისტორიის მანძილზე არაერთხელ გამხდარა ქვეყნის დემოკრატიული განვითარების შემაფერხებელი ელემენტი, ქვეყნის ეკონომიკური და საფინანსო სექტორების ჩამომშლელი ერთ-ერთ ძირითადი საშუალება.

კრიმინალურ სუბკულტურას შეუძლია ზიანი მიაყენოს ქვეყნის ეროვნულ უსაფრთხოებას რამდენიმე ასპექტში, მათ შორის, ისეთ მნიშვნელოვან ასპექტში, როგორიცაა ქვეყნის ეკონომიკური განვითარება. კრიმინალური სუბკულტურა შეიძლება დაკავშირებული იყოს ისეთ არალეგალურ ქმედებებთან, როგორიცაა კონტრაბანდა, ნარკოტიკებისა და იარაღის უკანონო ბრუნვა და რეალიზაცია, ამან შეიძლება შეამციროს ქვეყნის ეკონომიკური სტაბილურობა და მოახდინოს ბიუჯეტით გათვლილი შემოსავალების დივერსიფიკაცია, რაც დროთა

განმავლობაში უცილობლად მოახდენს ეკონომიკის ზრდის შემცირებას და მის დაღმასვლას.<sup>218</sup> აღნიშნულის ერთ-ერთი ძირითადი ინსტრუმენტი არის კორუფცია. კრიმინალური სუბკულტურის წარმომადგენლებს შეუძლიათ გავლენა მოახდინონ სამთავრობო ინსტიტუტებზე კორუფციის გზით, რამაც შეიძლება შეარყიოს კანონით დაწესებული წესრიგი და მთავრობისადმი ნდობა შეამციროს მოსახლეობაში. აღნიშნულმა ქმედებებმა შესაძლებელია გამოიწვიოს ისეთი ტიპის ეკონომიკური ზარალი მთელი ქვეყნის მასშტაბით, რომ პატარა და განვითარებადი ქვეყნისთვის, საქართველოსთვის ხშირ შემთხვევაში შეიძლება დაუძლეველ სირთულედაც იქცეს. ამის ნათელი მაგალითი იყო საქართველო 90-იანი წლებიდან 2000-იან წლებამდე. კრიმინალურმა სუბკულტურამ შესაძლებელია ქვეყნისთვის გამოიწვიოს ისეთი ტიპის ეკონომიკური ზარალი, როგორიცაა გადასახადებისგან თავის არიდება, კორუფციის მეშვეობით ქვეყნის ეკონომიკური სექტორების საბოტაჟირება.<sup>219</sup> ეს კი საფრთხეს უქმნის საზოგადოების დემოკრატიულ განვითარებას.

კრიმინალურმა დაჯუფებებმა და კრიმინალურმა სუბკულტურებმა შეიძლება შექმნან საშიში პირობები საზოგადოებასთან თანაცხოვრებისთვის, მათ შორის ძალადობა, ქურდობა, გამოძალვა და სხვა დანაშაულები, რომლებიც საფრთხეს უქმნის მოქალაქეების უსაფრთხოებას. ამასთანავე. აღნიშნულ სუბკულტურას ძალუმს ისეთი დანაშაულების ჩადენა, როგორიც არის კიბერდანაშაული, რაც ქმნის კიბერუსაფრთხოების ასიმეტრიულ საფრთხეებს. ეს შეიძლება მოიცავდეს კიბერ-შეტევებს, პირადი და სხვა ტიპის ინფორმაციის უკანონოდ მოპოვებას, რაც ქვეყნის თავდაცვისუნარიანობას და იმიჯს დააყენებს საფრთხის წინაშე მსოფლიოს მასშტაბით.

საერთაშორისო თანამშრომლობა სხვა ქვეყნებთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან ტრანსნაციონალური დანაშაულისა და ასიმეტრიული

<sup>218</sup> Giannopoulos, G. Smith, H. Theocharidou, M. The Landscape of Hybrid Threats: A Conceptual Model Public Version , Luxembourg: Publications Office of the European Union, 2021 y pep : 29

<sup>219</sup> Giannopoulos, G. Smith, H. Theocharidou, M. The Landscape of Hybrid Threats: A Conceptual Model Public Version , Luxembourg: Publications Office of the European Union, 2021 y pep : 35

საფრთხეების წინააღმდეგ საბრძოლველად საკმაოდ კარგ შესაძლებლობას იძლევა, რომ თავიდან იქნეს აცილებული აღნიშნული საფრთხეები.

კრიმინალური აქტივობა, რომლის შედეგადაც ხშირ შემთხვევაში ხდება კანონების უხეში დარღვევა კრიმინალური სუბკულტურის წარმომადგენლების მიერ, ხელს უწყობს საზოგადოებაში დანაშაულის დონის ზრდას, რამაც შეიძლება საფრთხე შეუქმნას ქვეყნის ეროვნულ უსაფრთხოებას.

კრიმინალურ დაჯგუფებებს და ბანდ-ფორმირებებს შეუძლიათ ჩაერთონ ისეთ საქმიანობაში, რომელიც მოიცავს ნარკოტიკებითა და იარაღით ვაჭრობას, ტრეფიკინგს, ძალადობას და დანაშაულის სხვა ფორმებს, რაც შეარყევს ქვეყნის სტაბილურობასა და სიმშვიდეს.<sup>220</sup>

იმისათვის რომ მოხდეს ზემოდ აღნიშნული ქმედებების პრევენცია, აუცილებელია კრიმინალური სუბკულტურის წარმომადგენლების წინააღმდეგ ჩატარდეს სარეაბილიტაციო და პრევენციული საქმიანობა, მოხდეს სპეციალური პროგრამების შემუშავება და სისრულეში მოყვანა, განსაკუთრებით რისკის მქონე პირებთან, განსაკუთრებით ახალგაზრდების მიმართ, უნდა გაძლიერდეს საინფორმაციო შემეცნებითი პროგრამების გატარება კრიმინალური სუბკულტურების საშიშროებისა და მათი საქმიანობით დამდგარი შედეგების შესახებ, მოხდეს ცნობიერების ამაღლება და საგანმანათლებლო პროგრამების უზრუნველყოფა, რათა თავიდან აიცილონ ახალგაზრდების ჩართულობა დანაშაულებრივ საქმიანობაში. ამისათვის საჭიროა სახელმწიფო ინსტიტუტების გაძლიერება, კორუფციასთან ბრძოლა და სამართალდამცავი და სასამართლო ინსტიტუტების გაძლიერება ეფექტური მართლმსაჯულების უზრუნველსაყოფად. ასევე აუცილებელია საერთაშორისო თანამშრომლობა ზემოთხსენებულ პრობლემასთან ბრძოლის გამოცდილების მქონე ქვეყნებთან, ტრანსნაციონალურ დანაშაულთან და ორგანიზებულ დანაშაულებრივ ჯგუფებთან ბრძოლაში ინფორმაციისა და გამოცდილების გაცვლის კუთხით.<sup>221</sup>

<sup>220</sup> Michael J. Glennon , National Security and Double Government, Oxford University Press 12,15, 2016 y, pep.160

<sup>221</sup> Rod Thornton, Asymmetric Warfare: Threat and Response in the 21st Century, Publisher Polity 02, 12, 2007y, pep; 215

კრიმინალურ სუბკულტურასთან და ასიმეტრიულ საფრთხეებთან ეფექტური ბრძოლა მოითხოვს ინტეგრირებულ მიდგომას და თანამშრომლობას სხვადასხვა სამსახურებთან, ორგანიზაციებთან და ქვეყნებთან.

კრიმინალურ სუბკულტურასთან და ასიმეტრიულ საფრთხეებთან ეფექტური ბრძოლა მოითხოვს ყოვლისმომცველ და მრავალდონიან მიდგომას, რომელიც მოიცავს არა მხოლოდ სამართალდამცავი ორგანოების მიერ ჩატარებულ ღონისძიებებს, არამედ სოციალური და ეკონომიკური ბერკეტების გამოყენების ინსტრუმენტებს.

ამასთანავე, აუცილებელია სამართალდამცავი ორგანოების მიერ მასშტაბური ოპერაციების და ღონისძიებების ჩატარება. სამართალდამცავი ორგანოების ძალისხმევის გაძლიერება კრიმინალურ სუბკულტურებთან საბრძოლველად, მათ შორის კომპლექსური გამოძიებების ჩატარება და სპეციალური ღონისძიებების შემუშავება.

### **3.1 თავი. არასახელმწიფოებრივი აგრესიული აქტორების პოლიტიკური ფენომენი საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების გარემოში „კანონიერი ქურდების ინსტიტუტის“ მაგალითზე.**

„კანონიერი ქურდების“ ან „ქურდული საზოგადოების“ ინსტიტუტი არის კრიმინალური ელემენტების არასახელმწიფოებრივი გაერთიანება, რომელიც ისტორიულად აქტიურად განვითარდა პოსტსაბჭოურ ქვეყნებში. ის ხშირად ასოცირდება ორგანიზებულ დანაშაულთან და უკანონო ქმედებებთან.

ამ „ინსტიტუტს“ აქვს თავისი წესები, კანონები და ცხოვრების პრინციპები, რომლებიც ეწინააღმდეგება სახელმწიფოს კანონმდებლობას.<sup>222</sup>

---

<sup>222</sup> გრეი კ. „ეროვნული უსაფრთხოების დილემა, გამოწვევები და შესაძლებლობები“, თბილისი, სულავაურის გამომცემლობა, 2009 წელი.გვ.98

„კანონიერი ქურდების“ ინსტიტუცია ასოცირდება კრიმინალური ტიპის სტრუქტურებთან, რომლებიც მოქმედებენ როგორც ევროპულ ქვეყნებში, ისე მთელი მსოფლიოს მასშტაბით განვითარებულ და განვითარებად სახელმწიფოებში. აღნიშნული სუბკულტურის მოღვაწეობა განსაკუთრებით, ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებში აქტიურია. ამ ტიპის ორგანიზაციებს აქვთ საკუთარი კანონები და წესები, მათი წევრები ვალდებული არიან დაიცვან გარკვეული კანონები და იერარქიები.<sup>223</sup> ასეთი კრიმინალური ჯგუფები ხშირად მონაწილეობენ სხვადასხვა ტიპის არაერთგავროვან კრიმინალურ ქმედებებში, მათ შორის იარაღით ვაჭრობაში, ნარკოტიკებით ვაჭრობაში, რეკეტში. მათთვის საკმაოდ ნოენიერი ნიადაგია ქვეყანაში არსებული კორუფცია, თუმცა, კორუფცია არ არის მათთვის ერთადერთი დანაშაულებრივი გზა გავლენების მოპოვებისა და უკანონო შემოსავლების მისაღებად. ისინი (კრიმინალური სუბკულტურა) ჩართულნი არიან სხვა სახის დანაშაულებებშიც.<sup>224</sup>

„კანონიერი ქურდების ინსტიტუტი“ არის ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფი, რომელიც ჩვეულებრივ ასოცირდება ორგანიზებულ დანაშაულთან. იგი წარმოიშვა ყოფილი საბჭოთა კავშირიდან და დსტ-ს სხვა ქვეყნებიდან. ეს ჯგუფები ხშირად შედგებიან ისეთი კრიმინალიებისაგან, რომლებსაც მნიშვნელოვანი გავლენა აქვთ კრიმინალურ სამყაროში და მოქმედებენ სამთავრობო სტრუქტურების გარეთ. ისინი არიან მრავალ ქვეყანაში და მათ საქმიანობას შეუძლია მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს ქვეყნის ეროვნულ უსაფრთხოებაზე.<sup>225</sup>

ეროვნული უსაფრთხოების თვალსაზრისით, კანონიერ ქურდებს შეუძლიათ სერიოზული საფრთხე შეუქმნან ქვეყნის უსაფრთხოებას და დემოკრატიულ განვითარებას, მათ შეუძლიათ გავლენა მოახდინონ ქვეყანაში არსებულ პოლიტიკურ და ეკონომიკურ პროცესებზე. ზოგიერთ შემთხვევაში, მათ შეუძლიათ

<sup>223</sup> დანროიტერი, რ., „საერთაშორისო უსაფრთხოების დღის წესრიგი“, თბილისი, გამოცემლობა „მერიდიანი“ 2013 წელი.

<sup>224</sup> ვეისმანი, მ., ნილსონი, ნ., პალმერცი ბ., და თუნპოლმი პ., „ჰიბრიდული ომი: უსაფრთხოება და ასიმეტრიული კონფლიქტი საერთაშორისო ურთიერთობებში“, თბილისი, გამოცემლობა „უნივერსალი“ 2021 წელი.

<sup>225</sup> ვეისი გ. ფ. „ომის ახალი ხელოვნება: კონფლიქტის წარმოშობა, თეორია და მომავალი“, „მერიდიანი“, 2021 წელი.

ითანამშრომლონ სამთავრობო უწყებებთან, გამოიყენონ თავიანთი რესურსები და გავლენა საკუთარი მიზნების მისაღწევად. ამის არა ერთი მაგალითი გვაქვს საქართველოს თავისუფლების მოპოვების ოცდაათწლიანი ისტორიის განმავლობაში.<sup>226</sup>

არასახელმწიფო აგრძესიული სუბიექტის ისეთ პოლიტიკურ ფენომენს, როგორიცაა „კანონიერი ქურდები“, შეიძლება გამოიწვიოს მთელი რიგი სამართალდარღვევა უსაფრთხოების სფეროში, როგორც ქვეყნის შიგნით ისე მსოფლიოს მასშტაბით, ასევე გავლენა მოახდინოს პოლიტიკურ პროცესებსა და სტრუქტურებზე ქვეყნის შიგნით, რამაც შეიძლება გამოიწვიოს მმართველი პოლიტიკური ძალის დისკრედიტაცია როგორც ქვეყნის მოსახლეობის, ისე უცხოელი პარტნიორების თვალში.<sup>227</sup>

აღნიშნული საფრთხის წინააღმდეგ საბრძოლველად ქვეყნის მთავრობას შეუძლია მიიღოს რიგი კომპლექსური ზომები, მათ შორის კანონმდებლობის გამკაცრების გარკვეული საკანონმდებლო შეზღუდვების და ადმინისტრაციული ტიპის რეგულიაციების სახით, რაც თავის თავად მოიცავს საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობას. მნიშვნელოვანია სუბკულტურასთან ბრძოლის უცხოური მოდელების გაცნობა კანონმდებლობის და მართლწესრიგის გასაძლიერებლად.

უნდა აღინიშნოს, რომ „კანონიერი ქურდების“ და მსგავსი კრიმინალური სტრუქტურებისთვის დამახასიათებელია რთული სოციალური და ეკონომიკური ფესვები და საწყისები. ამ პრობლემის გადაჭრა მოითხოვს ინტეგრირებულ მიდგომას, მათ შორის სოციალურ და ეკონომიკურ რეფორმებს, კორუფციასთან ბრძოლას და მართლწესრიგის ინსტიტუტების გაძლიერებას.<sup>228</sup>

<sup>226</sup> "Ходим по заколдованным кругу". Почему в грузинских тюрьмах снова растет влияние криминальных авторитетов <https://www.bbc.com/russian/features-57122691> (ბოლო ნახვა 31.07.2023)

<sup>227</sup> Hoffman, F.G. *Conflict in the 21st century: The Rise of Hybrid Wars*. Virginia: Potomac Institute for Policy Studies Arlington, 2007. Pp;123

<sup>228</sup> Hoffman, F.G. *Hybrid vs. compound war, The Janus Choice: defining today's Multifaceted conflict*. Armed Forces Journal. October 2009. Pp;167

ცნება „კანონიერი ქურდები“ (ან „ქურდული საზოგადოება“) ასოცირდება კრიმინალურ სამყაროსთან და ის არ არის პოლიტიკური ფენომენი ვიწრო გაებით. მან შეიძლება გავლენა იქონიოს ეროვნულ უსაფრთხოებაზე რამდენიმე ქვეყანაში ერთდროულად. კანონიერი ქურდები არის ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფი, რომელიც მოქმედებს ორგანიზებული დანაშაულის სფეროში, ხშირ შემთხვევაში საერთაშორისო კავშირებით. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ მათი საქმიანობა არ არის დაკავშირებული ოფიციალურ პოლიტიკურ სტრუქტურებთან, მაგრამ მათ შეუძლიათ დიდი გავლენა მოახდინონ ქვეყნის შიდა პოლიტიკურ და ეკონომიკურ გარემოზე, რომლის შემდეგაც ქვეყანას შესაძლებელია მიადგეს მნიშვნელოვანი ზარალი როგორც ეკონომიკური, ისე იმიჯური თვალსაზრისით, რისი მრავალი მაგალითიც არსებობს.<sup>229</sup>

ისეთ არასახელმწიფო აგრესიულ აქტორს, როგორიცაა კანონიერი ქურდები, შეუძლიათ გავლენა მოახდინონ ეროვნულ უსაფრთხოებაზე სხვადასხვა გზით: მაგალითად, ეკონომიკური გავლენით, ქურდულ საზოგადოებას შეუძლია ჩაერთოს ლეგალურ და არალეგალურ ბიზნესში, შეაღწიოს ეკონომიკაში და გავლენა მოახდინოს ფინანსურ ბაზრებზე. ეს კი გამოიწვევს ეკონომიკურ დისბალანსს და საფრთხეს შეუქმნის ქვეყნის ფინანსურ სტაბილურობას.<sup>230</sup>

კრიმინალური სუბკულტურის მიერ ქვეყნის პოლიტიკაში ჩარევა არის საკმაოდ საშიში პრეცენდენტი. ზოგიერთი კრიმინალური ჯგუფი შეიძლება შეეცადოს გავლენა მოახდინოს ქვეყნის პოლიტიკურ პროცესებზე კორუფციის მეშვეობით გარკვეულ პოლიტიკოსებზე და მათ გადაწყვეტილებებზე გავლენის მოხდენის გზით. ამან შეიძლება ძირი გამოუთხაროს დემოკრატიულ ინსტიტუტებს და საფრთხე შეუქმნას ქვეყნის ეროვნულ უსაფრთხოებას და დემოკრატიულ განვითარებას. განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუ კრიმინალური სუბკულტურის წევრები გრძნობენ თავს მარგინალიზებულად, ან მათი გადმოსახედიდან უსამართლოდ ეპყრობიან ქვეყანაში

<sup>229</sup> Hough, P., „International Security Studies“. Routledge; 2nd edition (August 5, 2020) <https://shorturl.at/DBDJu> (ზოლო ნახვა 27.10.22).

<sup>230</sup> DEĞİRMENÇİOĞLU, İ.B. „National security in the Age of the Hybrid War“. Policy Brief NO.57 (October 2018). Pp;198

არსებული პოლიტიკური ინსტიტუტები და მალოვანი სამსახურის წარმომადგენლები. ამან შეიძლება გამოიწვიოს კრიმინალური სუბკულტურის მიერ საზოგადოებაში უკმაყოფილების გაღვივება, რაც საბოლოოდ შესაძლებელია ქვეყნის მასშტაბით მოსახლეობის გახლეჩაში და რადიკალიზაციაში გადაიზარდოს. ისინი შეიძლება იქცნენ სოციალური კონფლიქტის წყაროდ და პოტენციური საფრთხე გახდეს პოლიტიკური სტაბილურობისთვის. აღნიშნულის ნათელი მაგალითია 2012 წლის შემდგომ დღევანდელ დღემდე განვითარებული სიტუაციები ქვეყნის მასშტაბით, უფრო მეტიც, ქვეყნის ევროსაბჭოში გაწევრიანების ერთ-ერთ ყველაზე დიდ შეემაფერხებელ ასპექტად გვევლინება კრიმინალი, კორუფცია და მოსახლეობის პოლარიზაცია, რაც ევროსაბჭოს რეკომენდაციებშიც კი აისახა საქართველოსადმი.<sup>231</sup> კრიმინალური სუბკულტურის მიერ საკმაოდ კარგად აპრობირებულია ნარკოტიკებით და იარაღით ვაჭრობა: „კანონიერი ქურდების“ საზოგადოება შეიძლება იყოს ჩართული ნარკოტიკებითა და იარაღით უკანონო ვაჭრობაში, რამაც შეიძლება გამოიწვიოს ძალადობა და არასტაბილურობა საზოგადოებაში, რაც გამოიხატება ქვეყნის მასშტაბით კრიმინალის ზრდაში და კანონის შესუსტებაში.<sup>232</sup> თუმცა კრიმინალური სუბკულტურა ფეხს უწყობს განვითარებას და უკვე ისეთ დანაშაულებშიც მონაწილეობს, როგორიც არის კიბერდანაშაული: კრიმინალურ ჯგუფებს, მათ შორის კანონიერ ქურდებს, ასევე შეუძლიათ ჩაერთონ კიბერდანაშაულში ფინანსური და პირადი ინფორმაციის სისტემების გატეხვის გზით და სახელმწიფოს ეროვნული ინტერესების და კიბერუსაფრთხოების მუქარით.

ეროვნული უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად აუცილებელია მსგავს დანაშაულებრივ ჯგუფებთან ბრძოლა სამართლებრივი ზომების გამოყენებით. ეს მოითხოვს ქვეყნებს შორის თანამშრომლობას, კანონმდებლობის გამკაცრებას,

<sup>231</sup> Kaplan, F. *Dark Territory: the Secret History of Cyber War*. United States: Simon and Schuster: 2016. pep;135

<sup>232</sup> Varese, F., „on the Move: How Organized Crime Conquers New Territories“, USA, Princeton University Press, 2011, pep;145

კანონისა და მართლწესრიგის განმტკიცებას და უსაფრთხოების კომპლერქსური ზომების შემუშავებას განსაკუთრებით ფინანსურ და კიბერსფეროვებში.<sup>233</sup>

ისეთ არასახელმწიფო აგრესიულ აქტორებს, როგორიცაა კანონიერი ქურდები, შეუძლიათ სერიოზული საფრთხე შეუქმნან ეროვნულ უსაფრთხოებას მრავალი მიზეზის გამო, მათ შორის იარაღის უკანონო გასაღების ორგანიზება. ამ ჯგუფებს, როგორც წესი, წვდომა აქვთ უზარმაზარ რესურსებზე და იარაღზე, რაც მათ ძალადობის გამოყენებისა და საერთაშორისო და შიდა კონფლიქტებში ჩართვის შესაძლებლობას აძლევს. მოწყვლადი ხდება ასევე ეკონომიკური საქმიანობა, კრიმინალურ სუბკულტურასთან დაკავშირებულმა კრიმინალურმა ქმედებებმა შეიძლება გამოიწვიოს საზოგადოების შემოსავლების შემცირება, რადგან მათ შეუძლიათ ზიანი მიაყენონ ისეთ მნიშვნელოვან დარგს, როგორიც არის პირადი და სახელმწიფო საკუთრება, რითიც შესაძლებელია მოწყვლადი გახადონ ქვეყანაში ბიზნესის უსაფრთხო წარმოება.

კრიმინალური სუბკულტურის წარმომადგენლები ხშირად არიან ჩართულნი სხვადასხვა სახის უკანონო ეკონომიკურ საქმიანობაში, როგორიცაა კონტრაბანდა, ნარკოტრაფიკი და ფულის გათეთრება, რაც უარყოფითად მოქმედებს ქვეყნის ეკონომიკაზე და საბოლოოდ გარდაისახება ისეთ ქმედებებში, როგორიცაა კორუფცია, რის მეშვეობითაც ახერხებენ სერიოზული გავლენების მოპოვებას. აღნიშნული სუბკულტურის წარმომადგენლების მიერ პირადი სარგებლის მიღების მიზნით ხშირად ხდება ქვეყნაში არსებული რესურსების გამოყენება, კრიმინალურ სუბკულტურის წარმომადგენლებს შეუძლიათ გამოიყენონ ქვეყნაში არსებული რესურსები საკუთარი მიზნებისთვის, მაგალითად, ფულის გათეთრება, კონტრაბანდული გზით პროდუქციის შემოტანა და სხვა უკანონო ქმედებები. ამან შეიძლება გამოიწვიოს ეკონომიკური რესურსების შესუსტება და რიგ დარგებში

<sup>233</sup> Lawson, S. *Beyond cyber-doom: Cyberattack Scenarios and the Evidence of History*. Mercatus Center at George Mason University: 2011. Pp;213

საერთოდ დაკარგვა. ინვესტიციებისთვის არახელსაყრელი კლიმატის შექმნას ქვეყნის მასშტაბით, ეს პირდაპირ აისახება ქვეყანაში ინვესტიციების შემოდინებაში.<sup>234</sup>

კანონიერი ქურდების გარკვეულ დაჯგუფებებს შეუძლიათ დაარღვიონ სამთავრობო ინსტიტუტების გამართული ფუნქციონირება, მათ შორის სამართალდამცავი ორგანოებისა და ქვეყნის პოლიტიკური დღის წესრიგი საფრთხის წინაშე დააყენონ მათ მიერ გატარებული დესტრუქციული ქმედებებით, რაც მათ გავლენას კიდევ უფრო დესტრუქციულს და ძლევამოსილს გახდის ქვეყნის შიგნით.<sup>235</sup> თუმცა მხოლოდ ქვეყნის შიგნით საქმიანობით აღნიშნული სუბკულტურა არ შემოიფარგლება ისინი დაკავებული არიან ტრანსნაციონალური დანაშაულებრივი საქმიანობითაც, მათი ტრანსნაციონალური საქმიანობა ხშირად არ კმაყოფილდება მხოლოდ ერთი კონკრეტული ქვეყნით, მათ შეუძლიათ იმოქმედონ მრავალ ქვეყანაში, რაც ართულებს მათ წინააღმდეგ საბრძოლველად სამართალდამცავების ძალისხმევას. ასეთ აგრესიულ აქტორებთან საბრძოლველად აუცილებელია საერთაშორისო კოორდინაცია და თანამშრომლობა სახელმწიფოებს შორის. ეს მოიცავს ინფორმაციის გაცვლას, ერთობლივ სამართალდამცავ ოპერაციებს და ღონისძიებების შემუშავებას მათი საქმიანობის აღსაკვეთად. ასევე მნიშვნელოვანია საკანონმდებლო ინსტრუმენტების გაძლიერება და კორუფციასთან ბრძოლა სამთავრობო ინსტიტუტებში, რათა შემცირდეს ასეთი ორგანიზაციების გავლენის დონე ეროვნულ უსაფრთხოებაზე.<sup>236</sup>

„კანონიერი ქურდების“ პოლიტიკურ ფენომენს შეიძლება ჰქონდეს სხვადასხვა ასპექტები, რომლებიც დაკავშირებულია ეროვნულ უსაფრთხოებასთან, აღნიშნული სუბკულტურის წარმომადგენლებს უნარი შესწევთ კორუფციაზე პედალირებით მოახდინონ სახელმწიფო ინსტიტუციების ქმედითუნარიანობის დაქვეითება:

<sup>234</sup> Berkofski, Axel and Miracola, Sergio. "Geopolitics by Other Means. The Indo-Pacific Reality." Italian Institute for International Political Studies, February 1, 2019. Pep;95

<sup>235</sup> Транснациональная преступность: как угроза Независимых Государств <https://inlnk.ru/QwzAeY> (ზოლო ნახვა 27.03.2023)

<sup>236</sup> Bovingdon, Gardner, The Uyghurs: Strangers in Their Own Land, New York: Columbia University Press, 2010. pep;120

ქურდულ საზოგადოებას შეუძლია ურთიერთობა თანამდებობის პირებთან, პოლიციასთან და ხელისუფლების სხვა წარმომადგენლებთან მათი მოსყიდვით, შანტაჟირებით ან მუქარით. ამან შეიძლება მირი გამოუთხაროს სახელმწიფო ინსტიტუტებს და ხელი შეუწყოს კორუფციას, რაც უარყოფითად აისახება ეროვნულ უსაფრთხოებაზე. ასევე მათ ძალუბთ ეკონომიკურ საქმიანობაში ღიად ჩართვა, „ქურდული საზოგადოება“ შეიძლება ჩაერთოს ეკონომიკური საქმიანობაში სხვადასხვა ფორმით, მათ შორის ლეგალური და უკანონო გზითაც.<sup>237</sup> აღსანიშნავია ის, რომ ბოლო 10-12 წლის პერიოდში აღნიშნულმა სუბკულტურამ შეძლო ქვეყნის მასშტაბით და მის გარეთაც შეექმნათ ლეგალური ბიზნესორგანიზაციები და უფრო მეტიც, რიგ შემთხვევებში აღნიშნული ორგანიზაციები იმდენად გაიზარდა და გაფართოვდა, რომ მოხდა აღნიშნული ბიზნესების დიდ ჰოლდინგებად გარდაქმნა, ხოლო შემდგომ კი ტრანსნაციონალურ კორპორაციებად ქცევა. აღნიშნული ორგანიზაციების მართვის სისტემა მთლიანდ დამოკიდებულია „კრიმინალური სუბკულტურის“ წეს-ჩვეულებებზე. შეიქმნა მთელი რიგი ტრანსნაციონალური სინდიკატები, რომლებიც ჩრდილოვანი ეკონომიკის წარმოების შედეგად იმდენად დიდ შემოსავალს ნახულობენ, რომ რიგ შემთხვევებში მათი ბიუჯეტი აღემატება მცირე განვითარებადი ქვეყნების ბიუჯეტს. აღნიშნული დიდი გავლენების და ბიუჯეტის პირობებში ხშირად ხდება ისეთი ორგანიზაციების დაფინანსება, რომლებიც ხშირ შემთხვევაში წარმოადგენენ ტერორისტულ ორგანიზაციებს, აღნიშნული სუბკულტურის მიერ ხშირად ხდება ტერორისტული აქტივობაც, კრიმინალური სუბკულტურის წარმომადგენლები შეიძლება გადავიდნენ ტერორისტულ საქმიანობაზე და ქმედებებზე, რაც სერიოზულ საფრთხეს უქმნის ქვეყნის ეროვნულ უსაფრთხოებას. ძალადობის გამოყენებისა და საზოგადოების წესრიგის დარღვევის ორგანიზებას შეუძლია სერიოზული გამოწვევა შეუქმნას პოლიტიკურ სტაბილურობას. ამის ნათელი მაგალითია ქართველი „კანონიერი ქურდების“ აწ გარდაცვლილი ასლან უსოიანის „ დედ ხასან“-ის და ზახარია

<sup>237</sup> Bush, Richard C., Hong Kong in the Shadow of China: Living with the Leviathan, Washington, D.C.: Brookings Institution, 2016.pep;87

კალაშოვის „Закро Молодой”-ის თურქეთის სახელმწიფოს მიერ პერსონა ნონ-გრატად გამოცხადება მათ მიერ ქურთების მუშათა პარტიის დაფინანსების გამო, რომელიც თურქეთში ტერორისტულ ორგანიზაციად მიიჩნევა. აღნიშნული ქმედებები და ღონისძიება დაუდასტურებელი ინფორმაციით რუსული სპეც-სამსახურების დაკვეთით განხორციელდა.

ვინაიდან აღნიშნული სუბკულტურის წარმომადგენლებს საკმაოდ კარგი საერთაშორისო კავშირები აქვთ უცხოელ ბიზნესმენებსა და ხშირ შემთხვევაში პოლიტიკოსებთანაც კი, ზოგიერთ „კანონიერ ქურდს“ შეიძლება ჰქონდეს საერთაშორისო კავშირები და ჩაერთოს ტრანსნაციონალურ დანაშაულებრივ საქმიანობაში. ყოველივე აღნიშნულმა შეიძლება გავლენა მოახდინოს ქვეყნის ეკონომიკაზე, ფინანსურ სტაბილურობაზე და უსაფრთხოებაზე. რაც საფრთხეს უქმნის არა მხოლოდ ერთი ქვეყნის, არამედ მთლიანად რეგიონის უსაფრთხოებას.<sup>238</sup> „კრიმინალური სუბკულტურის“ წარმომადგენლებს ძალუმთ ქვეყნის შიგნით და არა მარტო, გარკვეული გავლენების გამოყენებით თავისი ინტერესების გატარება, შეუძლიათ გავლენა მოახდინონ საზოგადოებრივ აზრზე მათი მედია რესურსებით და ე.წ „ქურდული“ კულტურის პოპულარიზაციის გზით, განსაკუთრებულად მოსწავლე ახალგაზრდობაზე. აღნიშნული საკმაოდ სახიფათოა ისეთი ახალგაზრდა და განვითარებადი ქვეყნისთვის, როგორც საქართველოა. ზემოთ ხსენებული ქმედებები საქართველოს მიერ თავისუფლების მოპოვების ოცდაათწლიან პერიოდში არაერთხელ უცდია და „ქურდული საზოგადოებისთვის“ სასურველი შედეგიც დამდგარა. ამან შეიძლება გავლენა მოახდინოს საზოგადოებაში არსებულ სტერეოტიპებზე და ქცევის ნორმებზე, რაც საბოლოოდ შესაძლებელია ქვეყნისთვის გახდეს დიდი დილემად და უფრო მეტიც, აღნიშნულმა მიიღოს ქვეყნის ეროვნული უსაფრთხოების მასშტაბის საფრთხის სახე. ასეთ არასახელმწიფოებრივ აგრესიულ აქტორებთან ბრძოლა მოითხოვს კოორდინაციას სხვადასხვა სამთავრობო,

<sup>238</sup> Buzan B. Wæver O. "Regions and Powers the Structure of International Security", Cambridge University Press, New York, 2003. p.67

სამართალდამცავ უწყებებს შორის, აუცილებელია საერთაშორისო თანამშრომლობა უცხოელ კოლეგებთან და სამართალდამცავ ორგანოებთან. ეს მნიშვნელოვანია ქვეყნის ეროვნული უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად და საზოგადოებაზე მსგავსი ფენომენების გავლენის შესაჩერებლად.<sup>239</sup>

კრიმინალური სუბკულტურა მრავალფეროვან გავლენას ახდენს ქვეყანაში არსებულ საზოგადოებაზე. ეს გავლენა შეიძლება იყოს როგორც უარყოფითი, ასევე შედარებით ნეიტრალური და დამოკიდებულია სხვადასხვა ფაქტორზე, მათ შორის კრიმინალური სუბკულტურის ზომასა და ბუნებაზე, მის გავლენას სხვადასხვა სოციალურ ჯგუფზე და ინსტიტუტზე, ასევე საზოგადოებისა და სამართალდამცავი ორგანოების მიერ კრიმინალურ ქმედებებთან საბრძოლველად მიღებულ ზომებზე.<sup>240</sup>

კრიმინალური სუბკულტურის უარყოფითი გავლენა, როგორც ქვეყნის დემოკრატიული გზით განვითარების შემაფარხებელი ფაქტორი მოიცავს შემდეგ ასპექტებს, გაზრდილი დანაშაული არის ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშანი ამისა, კრიმინალურ სუბკულტურას შეუძლია ხელი შეუწყოს საზოგადოებაში დანაშაულის მაჩვენებლის გაზრდას, რადგან მათმა წევრებმა შეიძლება ჩაიდინონ ისეთი ტიპის დანაშაული, როგორიცაა ძალადობა, ქურდობა, ბანდიტიზმი, კორუფცია, ნარკოტიკული და ფსიქოტროპული ნივთიერებების უკანონო გასაღება და ბრუნვა. აღნიშნული ქმედებებით დამდგარმა შედეგებმა როგორც ჰიბრიდული ომის წარმოების ერთ-ერთმა ინსტრუმენტმა შესაძლოა დააზარალოს ქვეყნის მოსახლეობა და ქვეყნის ეკონომიკური წინსვლა დაამუხრუჭოს ან შეაჩეროს კიდეც.<sup>241</sup>

კრიმინალური სუბკულტურის მიერ ქვეყანაში და მის საზღვრებს გარეთ წარმოებულმა ძირგამომთხრელმა ქმედებებმა შესაძლოა ხელი შეუწყოს ანტი-სოციალური ღირებულებების გავრცელებას და დამკვიდრებას ქვეყანაში, მაგალითად, ძალადობა, ალკოჰოლიზმი, ნარკომანია და დისკრიმინაციული ტიპის

<sup>239</sup> Cohen R. and Mihalka M. "Cooperative Security: New Horizons for International Order", George C. Marshall European Centre for Security Studies, the Marshal Cemter Papers, No.3, Garmisch-Partenkirchen, April 2001.pep;98

<sup>240</sup> Jervis R. "Cooperation Under Security Dilemma", "World Politics", Vol.30, #2, Washington, 1978.pep;123

<sup>241</sup> транснациональная преступность: система понятий, <https://inlnk.ru/68AMzX> (ბოლო ნახვა 29.04.2024)

მოპყრობა, რაც ზღუდავს კანონმორჩილი მოქალაქეების თავისუფლებას.<sup>242</sup> ამ ღირებულებების ხელყოფამ შესაძლებელია უარყოფითი გავლენა მოახდინოს საზოგადოებაზე და გამოიწვიოს სოციალურ-კულტურული ნორმების და წეს-ჩვეულებების ხელყოფა. ასევე აღსანიშნავია კრიმინალური სუბკულტურის წევრების ერთმანეთისადმი სოციალური სოლიდარობა, კრიმინალური სუბკულტურის წარმომადგენლები ხშირ შემთხვევაში კრიმინალური სუბკულტურის წევრებისადმი გამოხატავენ სოციალურ სოლიდარობას და ურთიერთდახმარებას, განსაკუთრებით სოციალური მარგინალიზაციის პირობებში.<sup>243</sup>

კრიმინალური სუბკულტურის ელემენტებმა შეიძლება გავლენა მოახდინოს მუსიკაზე, მოდაზე, ხელოვნებაზე და კულტურის სხვა ასპექტებზე. ასევე არსებული ტენდენციების პირობებში უდაოდ დიდია მათი გავლენა ტელე- და ინტერნეტ სივრცეზე, რის მეშვეობითაც ხდება მათი ცხოვრების სტილის პროპაგანდირება ახალგაზრდობაზე, რაც დიდ გავლენას ახდენს ქვეყნის მოსახლეობის თვითშეგნებაზე და მისი განვითარების შეჩერების ერთ-ერთ მძლავრ მექანიზმს წარმოადგენს. საზოგადოებრივი აზრი მეტ -ნაკლებად გამოხატავს სხვადასხვა სოციალური ჯგუფის რეაქციას აღნიშნულ სახიფათო მოვლენაზე. სატელევიზიო და ინტერნეტ სივრცეში კრიმინალური სუბკულტურის გავლენებმა შესაძლოა ზემოქმედება მოახდინოს სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლების საქმიანობაზე, შედეგად სამართალდამცავებმა არ მოახდინონ თავისი აქტივობის სტიმულირება ან საწინაარმდეგოდ შეასუსტონ თავიანთი აქტივობა.<sup>244</sup>

კრიმინალურ სუბკულტურისთვის დამახასიათებელია მობილურობა და მოქნილობა, ზოგიერთმა ადამიანმა შეიძლება გამოიყენოს კრიმინალური სუბკულტურა სოციალური და ეკონომიკური შეზღუდვებისგან თავის დასაღწევად და შემდეგ მოახდინონ დანაშაულებრივი გზით „იოლი ფულის“ შოვნა, რითიც შეძლებენ თავისი

<sup>242</sup> FBI tracked alleged Russian mob ties of Giuliani campaign supporter <https://inlnk.ru/3ZR6MO> (ბოლო ნახვა 13.02.2023)

<sup>243</sup> Lake D.,Morgan M. "Regional Orders" Building Security in a New World, Penn State State University Press, PA, 1997.pep;89

<sup>244</sup> Robert Ondrejscak "Introduction to Security Studies", Centre for European and North Atlantic Affairs, Bratislava, 2014.pep;209

პირადი კეთილდრეობის გაუმჯობესებას, თუმცა ამით ზარალს მიაყენებენ როგორც საზოგადოებას, ისე სახელმწიფოს.

კრიმინალური სუბკულტურის წარმომადგენლებმა თავისი ნეგატიური ზემოქმედების შედეგად გარკვეულ პირობებში, შესაძლოა ზემოქმედება იქონიონ სისხლის სამართლებრივ პოლიტიკაზე მთელი ქვეყნის მასშტაბით. აღნიშნულის ნათელი მაგალითია 2003 წლის შემდგომ ვარდების რევოლუცით მოსული მთავრობის მიერ ნულოვანი ტოლერანტობის გამოცხადება კრიმინალთან ბრძოლისას და უკვე, 2012 წლიდან „ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლის შემდგომ, უფრო ლიბერალური და ტოლერანტული მიდგომების დეკლარაცია დანაშაულთან ბრძოლაში და კრიმინალურ სუბკულტურასთან საერთო პოლიტიკის წარმოებაში.

კრიმინალური სუბკულტურის ნეგატიური ზემოქმედების შესარბილებლად და ქვეყანაში პოზიტიური ასპექტების გასამღებლობად მნიშვნელოვანია პრევენციისა და რეაბილიტაციისკენ მიმართული სოციალური პროგრამების განხორციელება, ასევე კრიმინალურ სუბკულტურაში გადასვლის რისკის ქვეშ მყოფი ახალგაზრდებისა და მოწყვლადი ჯგუფების მხარდაჭერა და წახალისება, ეფექტური განათლების, დასაქმებისა და სოციალური ინკლუზიის პოლიტიკით, აღნიშნულ მიდგომებს შეუძლია მნიშვნელოვანი როლი შეასრულოს საზოგადოებაზე კრიმინალური სუბკულტურის გავლენის შემცირებაში.<sup>245</sup>

კრიმინალურ სუბკულტურას შეუძლია გავლენა მოახდინოს ტრანსნაციონალურ დანაშაულზე მსოფლიოში და ეს გავლენა შეიძლება იყოს მნიშვნელოვანი. ტრანსნაციონალური დანაშაული მოიცავს სხვადასხვა კრიმინალურ ქმედებებს, მათ შორის ნარკოტიკების კონტრაბანდას და უკანონო გასაღებას ქვეყნის მასშტაბით, იარაღის კონტრაბანდას, ადამიანებით ვაჭრობას, - ტრეფიკინგს, კიბერდანაშაულს და საერთაშორისო დანაშაულის სხვა ფორმებს. კრიმინალურ სუბკულტურას შეუძლია გავლენა მოახდინოს ამ აქტივობებზე შემდეგი გზებით: მოახდინოს ორგანიზაციული

<sup>245</sup> Samuel P. Huntington, The Clash of Civilizations and the Remaking of World Order, New York: Simon & Schuster, 1996.  
pep123

სტრუქტურული დანაყოფების შექმნა, კრიმინალური სუბკულტურის წარმომადგენლები შეიძლება გახდეს ტრანსნაციონალური წვდომის მქონე ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფების შექმნის საფუძველი. ამ სუბკულტურის წარმომდგენლებს შეუძლია გარკვეულ ჯგუფებს მიაწოდონ ადვილად ხელმისაწვდომი რესურსები და კონტაქტები, ვინაიდან ბოლო პერიოდში დანაშაული გახდა ორგანიზებული და მასში მონაწილე პირები გამოირჩევიან მაღალი პროფესიონალიზმით. მათ შეუძლიათ მიაწოდონ ახალ გაწევრიანებულ პირებს ღირებული ცოდნა და გამოცდილება კრიმინალური საქმიანობის სფეროში.<sup>246</sup>

კრიმინალურ სუბკულტურის წარმომადგენლებს ასევე შეუძლიათ ხელი შეუწყონ კომუნიკაციას და თანამშრომლობას კრიმინალურ ჯგუფებს შორის სხვადასხვა ქვეყანაში და კონტინენტებზე .<sup>247</sup> ეს მათ საშუალებას აძლევს კოორდინირება გაუწიონ მოქმედებებს, გაუზიარონ ინფორმაცია და რესურსები და თავიდან აიცილონ სამართალდამცავი ორგანიზაციების მიერ მათი საქმიანობის კონტროლი.<sup>248</sup>

ამავე კონტექტში აუცილებელია „ჰიბრიდული ომის“ თეორიის ფარგლებში განხილულ იქნას ის გამოწვევები, რომლებიც განვითარდა საქართველოში 21-ე საუკუნის დასაწყისში და შემდგომ პერიოდში. ამ თეორიის ფარგლებში უნდა განიხილებოდეს ქვემოთმოყვანილი ტენდენციების ანალიზი და მათი პოლიტიკური კვლევის ფორმატში განხილვა.

სწორედ „ჰიბრიდული ომის“ თეორიის კუთხით უნდა განიხილებოდეს ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფების მოქმედება 1999-2012 წლებში და შემდგომ პერიოდშიც, რომელიც მოიცავდა რამდენიმე სტრატეგიულ მიმართულებას. კრიმინალური სუბკულტურის წარმომადგენლებს აქვთ საკმაოდ კარგად აწყობილი კონტრაბანდული ქსელები, რომლის მეშვეობითაც სხვადასხვა ქვეყნებიდან ახდენენ კონტრაბანდულად მართლსაწინააღმდეგო ტვირთების ტრანსპორტირებას

<sup>246</sup> Lorenc Vallerstain, „Hybrid Warfare: Crime as a Tool of Politic, , England, Ebury Press 2024.pep159

<sup>247</sup> Williams P. “Transnational Organized Crime and the State,” in The Emergence of Private Authority in Global Governance, eds. R. Bruce Hall and T. Bierstecker, Cambridge: Cambridge University Press, 2002; pep;230

<sup>248</sup> John M. Hobbs „the dark side of globalization: illegal economy, drugs, terrorism and hybrid threats”

<https://shorturl.at/A81VY> (ბოლო ნახვა 22.07.2023)

ტრანსნაციონალური კრიმინალური ორგანიზაციებისთვის. ეს შეიძლება მოიცავდეს ნარკოტიკებით ვაჭრობას, იარაღის კონტრაბანდას ან ადამიანებით ვაჭრობის სქემებს. ასევე კრიმინალური სუბკულტურის მაღალი იერარქიის წარმომადგენლების დახმარებით შესაძლებელია, საერთო ინტერესებიდან გამომდინარე, მოახდინონ თავისი ტრანსნაციონალური კრიმინალური ოპერაციებიდან მიღებული ფულის გათეთრება ლეგიტიმური ბიზნესის წარმოების ან სხვა დახვეწილი ფინანსური სქემების მეშვეობით. ეს კრიმინალურ დაჯგუფებებს რესურსებზე წვდომისა და გავლენების გაფართოების უფრო მეტ შესაძლებლობებს მისცემს. ამით აღნიშნული დაჯგუფებები შეძლებენ გავლენა მოახდინონ საზოგადოებრივ აზრზე და მოსახლეობის მიერ კრიმინალური საქმიანობის აღქმაზე, რითიც ისინი შეძლებენ სერიოზული ცვლილებები განახორციელონ საზოგადოებრივი აზრის თავის სასარგებლოდ ჩამოყალიბებაში. მათ შეუძლიათ გაამართლონ ან მოსახლეობისთვის მისაღები გახადონ თავიანთი დანაშაულებრივი ქმედებები, რამაც შესაძლოა ხელი შეუწყოს კრიმინალური ღირებულებების ფართო გავრცელებას და მოსახლეობაში აღნიშნული სუბკულტურის რომანტიზმებას, რისი მოწმეებიც ვართ ოთხმოცდაათიანი წლებიდან მოყოლებული.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, კრიმინალურ სუბკულტურასთან ბრძოლის პროცესში აუცილებელია გამოვიყენოთ აღნიშნულ დანაშაულთან ბრძოლის უცხო ქვეყნებისა და ჩვენი პარტნიორების გამოცდილება, ტრანსნაციონალური დანაშაულის წინააღმდეგ საბრძოლველად აუცილებელია სხვადასხვა ქვეყნის სამართალდამცავ უწყებებთან მჭიდრო თანამშრომლობა, ასევე საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და კანონების ფარგლებში გარკვეული სამოქმედო გეგმების შემუშავება, რის მეშვეობითაც შესაძლებელი გახდება კრიმინალური სუბკულტურის წინააღმდეგ უფრო მოქმედი პრევენციული მეთოდების შემუშავება და მათ წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებების გაძლიერება როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის ფარგლებს გარეთ. ასეთ

შემთხვევაში შესაძლებელი გახდება აღნიშნული სუბკულტურის ტრანსნაციონალურ დანაშაულზე გავლენის და ქვეყნის შიგნით მათი მზარდი გავლენების შემცირება.<sup>249</sup>

### **3.2 თავი პოლიტიკური გამოწვევები და „კანონიერი ქურდების ინსტიტუტთან“ ბრძოლის სტრატეგია და მისი აღმოფხვრის სამართლებრივ-პოლიტიკური ფაქტორები.**

მსოფლიოს გლობალიზაციის პირობებში საკმაოდ პრობლემატურ საკითხს წარმოადგენს ტრანსნაციონალური კრიმინალური ქსელები, ვინაიდან კრიმინალური საზოგადოების ბევრ წევრს ყოველგვარი დაბრკოლების გარეშე შეუძლია გადაკვეთოს ქვეყნის საზღვრები და ჩაერთოს ტრანსნაციონალურ დანაშაულებრივი სინდიკატების საქმიანობაში. აუცილებელია საერთაშორისო თანამშრომლობა მათთან წარმატებული ბრძოლის წარმოებაში.<sup>250</sup>

ქვეყანაში სწორად დაგეგმილი სოციალური და ეკონომიკური ღონისძიებები ხელს შეუწყობს ცხოვრების პირობებისა და ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას მოსახლეობაში, რითიც შეიძლება შემცირდეს კრიმინალური გზებით საქმიანობის გარკვეული წარმატებების მიმზიდველობა. აღნიშნული შეამცირებს „კანონიერი ქურდების ინსტიტუტის“ გავლენას ქვეყნის მოსახლეობაზე. ვინაიდან ტერმინი პოლიტიკური უშიშროება ფართოდ გამოიყენება უშიშროების საკითხებთან დაკავშირებული სხვადასხვა თემის განხილვის დროს, სოციალური მეცნიერების ენციკლოპედიაში პოლიტიკური უშიშროების ცნების გამოკვეთილი განმარტება არ არსებობს. ზოგადად შეიძლება მივიჩნიოთ, რომ პოლიტიკური უშიშროება ეხება

<sup>249</sup> Mark Galeotti, Anna Arutunyan, Downfall: Prigozhin and Putin, and the New Fight for the Future of Russia, England, Ebury Press 2024;pep;139

<sup>250</sup> Williamson Murray, Peter R. Mansoor , "Hybrid Warfare: Fighting Complex Opponents from the Ancient World to the Present", England,Cambridge University Press, 2012;pep;111

მმართველობის სახელმწიფო სისტემების ორგანიზებულ სტაბილურობას, რომელიც მას ლეგიტიმაციას ანიჭებს.

საქართველოს პოლიტიკური უშიშროება საკვანძო ადგილს იკავებს ეროვნული უშიშროების სისტემაში და წარმოადგენს მის ერთ-ერთ მთავარ სტრუქტურულ ელემენტს. ეს განპირობებულია პოლიტიკური სფეროს სასიცოცხლო მნიშვნელობით სახელმწიფოსა და საზოგადოების არსებობაში, ძირითადი სოციალური ინსტიტუტებისა და ორგანიზაციების ფუნქციონირებაში. სწორედ პოლიტიკის სფეროში რეგულირდება სოციალური ურთიერთობები, საზოგადოებისა და სახელმწიფოს განვითარების ძირითადი მიმართულებები. პოლიტიკურ დონეზე მიღებული გადაწყვეტილებები გავლენას ახდენს ეკონომიკურ, სოციალურ, ეკოლოგიურ და სხვა სფეროებზე.

მოდით განვიხილოთ, თუ რა მჭიდრო კავშირია პოლიტიკურ გამოწვევებსა და „კანონიერი ქურდების ინსტიტუტის“, როგორც კრიმინალური სუბკულტურის უმაღლესი იერარქიის წარმომადგენლების მიერ ქვეყნის მასშტაბით მართლსაწინააღმდეგო ქმედებებს შორის, რა უარყოფითი გავლენის მოხდენა შეუძლია „კანონიერ ქურდებს“, როგორც კრიმინალური სუბკულტურის უმაღლესი საფეხურის წარმომადგენლებს ქვეყნის პოლიტიკური უშიშროებისთვის საკვანძო გადაწყვეტილებების მიღების პროცესში. დავახასიათოთ ამ ურთიერთობების მოწყვლადი სფეროები, ისეთი, როგორიცაა კორუფცია, რომლის მეშვეობითაც ხდება პოლიტიკური კავშირების და გავლენების მოპოვება ქვეყნის შიგნით და მის გარეთ.<sup>251</sup> „კანონიერ ქურდებს“ შეუძლიათ გამოიყენონ პოლიტიკურ ელიტებთან თავიანთი ახლო ურთიერთობები, რესურსები და კავშირები თავისი ინტერესების დასაცავად და სამართლებრივი პასუხისმგებლობის თავიდან ასაცილებლად. აღნიშნული ურთიერთობები ქმნის პოლიტიკურ გამოწვევას, რადგან მათ შეუძლიათ ზეწოლა მოახდინონ მართლმსაჯულების სისტემაზე და გავლენა მოახდინონ საკანონმდებლო

<sup>251</sup> Robert D. Blackwill, Jennifer M. Harris, "War by Other Means: Geoeconomics and Statecraft" England, Harvard University Press, 2016 pp;123

პროცესზე. აღსანიშნავია ასევე კორუფცია სამართალდამცავ ორგანოებში, კრიმინალური სუბკულტურის წარმომადგენლებს შეუძლია ხელი შეუწყოს კორუფციის გაღვივებას სამართალდამცავ უწყებებს შორის, კერძოდ, ძალოვან უწყებებსა და სასამართლოში.<sup>252</sup>

მექრთამეობასა და მოსყიდვას შეუძლია შეარყიოს ამ ინსტიტუტების მთლიანობა, გახადოს ისინი ნაკლებად ეფექტური და შეამციროს საზოგადოების ნდობა მართლმსაჯულების სისტემის მიმართ. ზემოთ აღნიშნული საქმიანობის ლოგიკური გაგრძელებაა პოლიტიკური გავლენების მოპოვება ქვეყნის მასშტაბით, კერძოდ, „კანონიერი ქურდების“ ზოგიერთმა წარმომადგენელმა შეიძლება სცადოს, ღიად მონაწილეობა მიიღოს ქვეყნის პოლიტიკაში ან კორუფციული გარიგებებისა და კომპრომატების მეშვეობით შეეცადოს გავლენა მოახდინოს ქვეყნის პოლიტიკურ დღის წესრიგზე და სამომავლოდ მისაღებ გადაწყვეტილებებზე. ამან შეიძლება უარყოფითი გავლენა იქონიოს სახელმწიფოს ძალაუფლების სტრუქტურებსა და ინსტიტუტებზე.<sup>253</sup>

აღსანიშნავია, აგრეთვე, ისეთი მოწყვლადი სფერო, როგორიც ქვეყნის ეროვნული უსაფრთხოებაა, მისი გამართული ფუნქციონირების დარღვევის მცდელობა ან შესუსტება. „კანონიერი ქურდები“ თავისი კრიმინალური დაჯუფებებით შესაძლოა ჩაერთონ მართლსაწინააღმდეგო და უკანონო ქმედებებში ქვეყნის მასშტაბით, აღნიშნული ქმედებები თავისი მასშტაბით ადვილად შეძლებს საფრთხის შექმნას ქვეყნის ეროვნულ უსაფრთხოებსთვის, ისეთი ძირის გამომთხრელი საქმიანობით, როგორიცაა კონტრაბანდა, ნარკოტიკებით და იარაღით ვაჭრობა, ტრეფიკინგი. აღნიშნული საქმიანობით ისინი ადვილად შეძლებენ როგორც ქვეყნის ეკონომიკური, ისე სამართლებრივი სტაბილურობის შესუსტებას და შერყევას. ასეთი

<sup>252</sup> Waltz, Kenneth N. „Theory of International Politics. English“. 1st edition. Long Grove, Ill: Waveland, Press. isbn: 978-1-57766-670-7. 2010 pep;209

<sup>253</sup> Buzan B., Hansen L. “The Evolution of International Security Studies”, Cambridge University Press, Cambridge, 2009 pep;156

ქმედებებით კრიმინალურმა სუბკულტურამ შეიძლება შეარყიოს როგორც ქვეყნის შიდა, ისე მთლიანად რეგიონის სტაბილურობა.<sup>254</sup>

იმისათვის, რომ მოხდეს აღნიშნული საფრთხეების თავიდან აცილება, აუცილებელია ქვეყანაში საკანონმდებლო რეგულაციების გამკაცრება და სამართალდამცავი ორგანოების გაძლიერება, რაც მოიცავს როგორც სამართლებრივ ღონისძიებებს (აღნიშნულ სიტუაციაზე მორგებული უფრო მოქმედი დემოკრატიული კანონების მიღება), პოლიციისა და სხვა სამართალდამცავი ორგანოების გადამზადება, მათ შორის, ტრენინგები აუცილებელი საბაზისო ცოდნის ასამაღლებლად, გამოწვევებიდან გამომმდინარე სამართალდამცავი ორგანოების, როგორც ტექნიკური, ისე მატერიალური რესურსებით მომარაგება. ასეთი ელემენტარული ქმედებები გააადვილებენ კრიმინალურ სუბკულტურის წარმომადგენლებთან ბრძოლას. სამართალდამცავი ორგანოები აქტიურად უნდა ჩაერთონ ორგანიზებულ დანაშაულთან და ქურდული საზოგადოების წევრების წინააღმდეგ ბრძოლაში, დამნაშავეთა დევნა-დაკავებაში.<sup>255</sup> აუცილებელია ისეთი საკანონმდებლო ცვლილებების შემუშავება, რომელთა მეშვეობითაც მოხდება არამარტო კრიმინალური სუბკულტურის წევრების, არამედ მათთან მჭიდროდ მოთანათანამშრომლე პირების და ორგანიზაციების მიმართ უფრო მკაცრი სამართლებრივი ღონისძიებების გატარება. აღნიშნული უთანასწორო ბრძოლის წარმოების პირობებში აუცილებელია საერთაშორისო თანამშრომლობა, რაც გულისხმობს სხვა ქვეყნებთან და ამ ქვეყნების ძალოვანი სამინისტროების წარმომადგენლებთან თანამშრომლობას, ტრანსნაციონალური დანაშაულის წინააღმდეგ საბრძოლველად და არსებულ კრიმინალურ ქსელებსა და დაჯგუფებზე არსებული ინფორმაციის სისტემატურ გაცვლას.<sup>256</sup>

<sup>254</sup> Ofer Fridman, "Hybrid Warfare": Resurgence and Politicization", England, Oxford University Press, 2022 ვებ;145

<sup>255</sup> Kent DeBenedictis, „Russian 'Hybrid Warfare' and the Annexation of Crimea: The Modern Application of Soviet Political Warfare" England,Bloomsbury Academic,2022 ვებ;133

<sup>256</sup> Kent, T. „Striking Back: Overt and Covert Options to Combat Russian Disinformation" ,The Jamestown Foundation, 2020,ვებ;98

როცა ქვეყანაში ვერ ხერხდება კანონისა და წესრიგის დაცვა, ეს ყოველივე იწვევს მოსახლეობის დიდ უკმაყოფილებას, კრიმინალურმა ქმედებებმა შეიძლება გადატვირთოს სამართალდამცავი ორგანოები და სასამართლო სისტემები, რაც მათ მიერ კანონისა და წესრიგის ეფექტურად აღსრულებას მნიშვნელოვნად შეუშლის ხელს. ამან შეიძლება გამოიწვიოს სამართალდამცავი ორგანოების უუნარობა, ებრძოლონ დანაშაულს და უზრუნველყონ სამართლიანობის აღდგენა ქვეყნის მასშტაბით.

მოდით, განვიხილოთ კრიმინალურ სუბკულტურასთან ბრძოლის სოციალური ასპექტები, ისეთი მნიშვნელოვანი სფერო როგორც არის განათლება. დანაშაულის პრევენციისათვის აუცილებელ წინაპირობას წარმოადგენს საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება, რომელიც მიმართულია ახალგაზრდებისა და რისკის ქვეშ მყოფი ჯგუფებისთვის გარკვეულ პროგრამებში ჩართვისა და ინფორმაციის მიწოდებისკენ, რათა სამომავლოდ თავიდან იქნას აცილებული კრიმინალურ სუბკულტურაში მათი ჩართულობა. იმისათვის, რომ მოხდეს აღნიშნული რეფორმების გატარება, აუცილებელია ქვეყანაში განათლების სისტემის რეფორმირებასა და სოციალურ პროგრამებზე აქტიური მუშაობა. ამისათვის აუცილებელია ჩატარდეს რიგი პრევენციული ღონისძიებები, მათ შორის საგანმანათლებლო პროგრამების სიტუაციურად განახლება და ქვეყანაში არსებულ რეალობაზე მორგება ისეთი მოწყვლადი კატეგორიისთვის, როგორიც ახალგაზრდობაა. აუცილებელია აღნიშნული კატეგორიის სოციალური მხარდაჭერა, რათა თავიდან ავიცილოთ მათი ჩართულობა კრიმინალურ საქმიანობაში, ან არსებულ კრიმინალური სუბკულტურის დაჯგუფებებში გაწევრიანება.<sup>257</sup> დანაშაულის პრევენციისა და საგანმანათლებლო პროგრამების მხარდაჭერა ხელს შეუწყობს ახალგაზრდების ქურდულ სუბკულტურაში გაწევრიანებისა და იქ მოღვაწეობის აღკვეთას. დანაშაულის პრევენციისა და საგანმანათლებლო

<sup>257</sup> Manousos E. Kambouris, Hybrid Warfare 2.2: Where Biothreats Meet Irregular Operations and Cyber Warriors in the 21st Century (Advanced Sciences and Technologies for Security Applications) Berlin, Springer, 2024 p ep158

პროგრამების მხარდაჭერა ხელს შეუწყობს ახალგაზრდების სწორი მიმართულებით განვითარებას. ასევე საკმაოდ მნიშვნელოვანი უკვე დანაშაულებრივ საქმიანობაში შემჩნეული და ჩართული ახალგაზრდების რესოციალიზაცია და სწორი მიმართულებით განვითარება.<sup>258</sup>

აღნიშნულ ბრძოლაში საკმაოდ მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს მედიას და საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბებას. აღნიშნულ საფრთხესთან ბრძოლის პროცესში კულტურასა და მედიაში „კანონიერი ქურდების“ აქტიურ პოპულარიზაციას საკმაოდ დამანგრეველი ეფექტი შეიძლება ჰქონდეს ქვეყნისთვის, აუცილებელია განვითარდეს საინფორმაციო კამპანიები და სამართალდამცავი ორგანოების და სოციალური სამსახურის წარმომადგენლების თანამშრომლობა მედიასთან, კრიმინალური სუბკულტურის სტერეოტიპების რომანტიზების წინააღმდეგ საბრძოლველად.

ამასთანავე, კრიმინალური სუბკულტურის წარმომადგენლების საქმიანობის შედეგად მიყენებული ზიანის შესახებ საკმაოდ მნიშვნელოვანია საზოგადოებრივი აზრის სწორი მიმართულებით ჩამოყალიბება.

„კანონიერი ქურდების ინსტიტუტის“ წინააღმდეგ ეფექტური ბრძოლა მოითხოვს ყოვლისმომცველ ზომებს, რაშიც მოიაზრება სამართლებრივი, პოლიტიკური და სოციალური ასპექტები. აღნიშნული ბრძოლის პოლიტიკური ასპექტები უნდა მოიცავდეს რიგ ქმედებებს, მათ შორის, სამართალდამცავი ორგანოების გაძლიერებას და გარკვეული პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღებას, რაც შესაძლებელია მოიცავდეს სამართალდამცავი ორგანოების გაძლიერებას მათი პოლიტიკური მხარდაჭერის გზით, ეს ორგანიზებულ დანაშაულთან და მათი უმაღლესი

<sup>258</sup> Ofer Fridman, Vitaly Kabernik, James C. Pearce, „Hybrid Conflicts and Information Warfare: New Labels, Old Politics“, Denver ,Lynne Rienner Publishers, Inc, 2018 pp;208

იერარქიის „კანონიერი ქურდების“ წინააღმდეგ ბრძოლაში გატარებული ეფექტური ნაბიჯები იქნება.<sup>259</sup>

„კანონიერი ქურდების ინსტიტუტი“ ხშირად ქმნის პოლიტიკურ გამოწვევებს და საფრთხეებს სახელმწიფოსა და მთლიანად საზოგადოებისთვის, მათი კავშირი პოლიტიკური გამოწვევების წარმოქმნაში ქვეყნის შიგნით შეიძლება გამოვლინდეს შემდეგნაირად: კორუფციული სქემების შექმნის შედეგად შესაძლებელი ხდება სამთავრობო სტრუქტურებში მათი შეღწევა, რის შედეგადაც „კანონიერი ქურდები“ და კრიმინალური სუბკულტურა ცდილობენ გავლენა მოახდინონ პოლიტიკურ პროცესებზე. კორუფცია შეიძლება ჩაითვალოს ქვეყნის პოლიტიკური უსაფრთხოების დილემად რამდენიმე მიზეზის გამო, კერძოდ : ქვეყანაში არსებული ინსტიტუციების შესუსტების გზით, კორუფციამ შეიძლება გამოიწვიოს კანონისა და მართლწესრიგის დაცვაზე პასუხისმგებელი ინსტიტუტების მოშლა.<sup>260</sup> როდესაც ხელისუფლების წარმომადგენლები და პოლიტიკოსები ერთვებიან კორუფციაში, ეს ასუსტებს საზოგადოების ნდობას სამთავრობო უწყებების მიმართ და ქმნის არახელსაყრელ გარემოს პოლიტიკური სტაბილურობისთვის. ამან კი შეიძლება მნიშვნელოვანი ზარალი მიაყენოს ქვეყნის ეკონომიკას, კერძოდ, კორუფციამ შეიძლება გამოიწვიოს რესურსების არაეფექტური გამოყენება, კაპიტალის გადინება ქევენიდან და ეკონომიკური ზრდის შეჩერება. ეს იწვევს მოსახლეობის უკმაყოფილებას და ქმნის სოციალურ და ეკონომიკურ პრობლემებს, რაც დიდი ალბათობით გავლენას მოახდენს ქვეყნის პოლიტიკურ უსაფრთხოებაზე. აღნიშნულიდან გამომდინარე, ქვეყნის მასშტაბით გაღვივდება უთანასწორობისა და სოციალური უსამართლობის შეგრძნება მოსახლეობაში, კორუფცია ხშირად ასოცირდება უთანასწორობასთან და რესურსების უსამართლო განაწილებასთან. ამან

<sup>259</sup> Seth G. Jones, „Random House Three Dangerous Men: Russia, China, Iran and the Rise of Irregular Warfare“, New-York, W. W. Norton & Company 2021 pp;112

<sup>260</sup> Mark Galeotti, Russia's Five-Day War: The invasion of Georgia, August 2008 (Elite, 250), England, Osprey Publishing, 2023 pp;59

შეიძლება შექმნას სოციალური დაძაბულობა და უკმაყოფილება, რამაც საბოლოოდ შეიძლება გამოიწვიოს პოლიტიკური კონფლიქტები და არასტაბილურობა ქვეყნის მასშტაბით, რის შედეგადაც ქვეყანაში სამართლებრივი წესრიგის მოშლა არის მოსალოდნელი. კორუფციამ აგრეთვე შეიძლება შეარყიოს ქვეყანაში დაწესებული სამართლებრივი წესრიგი, რის შედეგადაც ხდება კანონების ბოროტად გამოყენება, მიუხედავად მოქალაქეების საზოგადოებაში არსებული სტატუსის და მათ მიერ დაკავებული თანამდებობებისა. ამან შეიძლება შექმნას გარემო, რომელშიც დაუსჯელი დარჩება მოქალაქეთა და მეწარმეთა უფლებების დარღვევა. მომატებულმა დანაშაულმა შეიძლება შეაჩეროს ინვესტორები და უარყოფითი გავლენა მოახდინოს ქვეყნის ეკონომიკაზე.<sup>261</sup> დასუსტებულმა საკანონმდებლო წესრიგმა შეიძლება შექმნას არახელსაყრელი გარემო ბიზნესისა და ინვესტიციებისთვის, რამაც შეიძლება გავლენა მოახდინოს საზოგადოებრივ კეთილდღეობაზე. აღნიშნული საბოლოოდ გადაიზრდება ქვეყნის მიერ საერთაშორისო ზეგავლენების შესუსტებაში, შემდგომ კი დაკარგვაში. კორუფციას ასევე შეუძლია გავლენა მოახდინოს ქვეყნის საერთაშორისო ურთიერთობებზე განსაკუთრებით მაშინ, თუ მასში ჩართულია ხელისუფლების მაღალჩინოსნები. ამან შეიძლება გააუარესოს ქვეყნის იმიჯი მსოფლიო საზოგადოებაში, გამოიწვიოს სანქციები და სხვა უარყოფითი შედეგები. ზემოთ ჩამოთვლილმა გარემოებმა შეიძლება შეარყიოს მოქალაქეების ნდობა ხელისუფლების მიმართ და გამოიწვიოს პოლიტიკური კრიზისი. ამ ტიპის სირთულეები საქართველოს თავისუფლების მოპოვების შემდეგ რამდენიმეჯერ გადაუტანია, კერძოდ, 2003 და 2012 წელს. 2003 წელს საქმე ეხებოდა გაზრდილ კრიმინალს და განუზომელ კორუფციას ქვეყნის მასშტაბით, ხოლო უკვე 2012 წელს ქვეყანა დადგა სულ სხვა ტიპის გამოწვევის წინაშე, როცა ქვეყნის მოსახლეობის ნდობა იმდენად დაბლა დაეცა მოქმედი ხელისუფლების პირობებში, რომ მოხდა მათი არჩევნების გზით გადარჩევა. აღნიშნული ფაქტი

<sup>261</sup> Andrew Korybko, „Hybrid Wars: Geopolitical Conflicts in the Postmodern Age”, England, Oxford University Press, 2022, p. 69.

ქვეყნის თავისუფლების ოცდაათწლიანი პერიოდში დემოკრატიის გამოვლინების ერთ-ერთ ყველაზე მაღალ სტანდარტს წარმოადგენდა.<sup>262</sup>

აქვე შევეხოთ ისეთ სენსიტიურ საკითხს, როგორიცაა ქვეყნაზე უარყოფითი ეკონომიკური გავლენის მოხდენა. ზოგიერთი კრიმინალური სუბკულტურის მაღალ იერარქს თავისი ძალაუფლებისა და გავლენების მეშვეობით შეუძლია გააკონტროლოს ეკონომიკის ისეთი ძირითადი სექტორები, რომლების მეშვეობითაც შეუძლია ზეგავლენა მოახდინოს პოლიტიკურ პროცესებზე, რაც მათ მნიშვნელოვან გავლენას ანიჭებს ეკონომიკურ პოლიტიკასა და რესურსებზე. ამან შეიძლება გამოიწვიოს ეკონომიკური გამოწვევები და არასტაბილურობა ქვეყნის შიგნით, რაც საბოლოოდ ქვეყნაში დესტაბილიზაციით დასრულდება.<sup>263</sup>

იმისათვის, რომ მოხდეს ქვეყნის ეკონომიკური განვითარება და თავიდან ავიცილოთ მავნე პროცესები, აუცილებელია შეიქმნას სამუშაო ადგილები, რისი მეშვეობითაც მოხდება ახალგაზრდების დაინტერესება და მათი ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესება. აღნიშნული მოწყვლადი კატეგორიისთვის ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებამ და ლეგალური შემოსავლის შექმნის შესაძლებლობამ დიდი აღბათობით უნდა შეამციროს დანაშაულებრივი გზით იოლი გამდიდრების მიმზიდველობა მათთვის. რაც საბოლოოდ შესაძლებლობას მოგვცემს კრიმინალური გზებით შემოსავლის მოპოვებისა და აღნიშნულ საქმიანობაში ჩართვის ხიბლის შემცირებში.<sup>264</sup>

ასევე აღსანიშნავია ისეთი მავნე საქმიანობა, როგორიცაა სოციალური აზრის ჩამოყალიბებისთვის პროპაგანდის წარმოება, კრიმინალურ „ქურდულ“ საზოგადოებას შეუძლია გამოიყენოს თავისი კავშირები და რესურსები საზოგადოებრივ აზრზე ზემოქმედებისა და გარკვეული პოლიტიკური შეხედულებების ჩამოსაყალიბებლად. დღეის მონაცემებით ინტერნეტსივრცეში

<sup>262</sup> Sławomir Turkowski, „Hybrid Warfare: The Conflict of a New Generation“, England, Harvard University Press, 2021 pp;98

<sup>263</sup> Growing Threat of Russian Organized Crime <https://inlnk.ru/MjzvRB> (ზოლო ნახვა 09.05.2024)

<sup>264</sup> Holger Mölder, Vladimir Sazonov, Archil Chochia, Tanel Kerikmäe, „The Russian Federation in Global Knowledge Warfare: Influence Operations in Europe and Its Neighbourhood (Contributions to International Relations)“ Berlin, Springer, 2021 pp;89

არსებობს ათეულობით გვერდი და იუთუბარხი, რომლის მეშვეობითაც აღნიშნული სუბკულტურის წარმომადგენლები ახდენენ პროპაგანდირებას თავიანთი საქმიანობის, რის მეშვეობითაც ხდება მათი პროფესიის და პიროვნების რომანტიზება, რაც საკმაოდ მავნე ზეგავლენას ახდენს მოსახლეობის ისეთ მოწყვლად კატეგორიაზე, როგორიც არის მოსწავლე-ახალგაზრდობა.<sup>265</sup> აღნიშნული პროპაგანდა შეიძლება გახდეს პოლიტიკური დაძაბულობისა და კონფლიქტის წყარო, ვინაიდან ის პოლიტიკური ძალა, რომელიც მიუღებელი გახდება მათთვის, შესაბამისად დაკარგავს ამ სუბკულტურის მიმდევრების მხარდაჭერას და მოხდება აღნიშნული პოლიტიკური ძალის და გარკვეული პიროვნებების მარგინალიზაცია იმ პირთა ჯელის მიერ, ვინც აშკარად ან ფარულად უთანაგრძნობს კრიმინალური სუბკულტურის წევრებს, ან მისდევს მათი ცხოვრების წესს და ზნე-ჩვეულებებს. აღნიშნულის თავიდან ასაცილებლად აუცილებელია მოსახლეობის სოციალური მხარდაჭერა და რეაბილიტაცია: აუცილებელია მოსახლეობის სოციალური მხარდაჭერისა და რეაბილიტაციის პროგრამებით უზრუნველყოფა, განსაკუთრებით კი ისეთი კატეგორიისა, რომელთაც გადაწყვეტილება უკვე მიღებული აქვთ კრიმინალური სუბკულტურის დატოვების თაობაზე. აღნიშნული პროგრამები აუცილებელია იმისათვის, რომ დაეხმაროს ამ პირებს საზოგადოებაში დაბრუნებასა და კანონმორჩილი ცხოვრების დაწყებაში.

საქართველოს პოლიტიკურ უშიშროებაში საკვანძო ადგილს იკავებს უშიშროების სისტემა და წარმოადგენს მის ერთ-ერთ მთავარ სტრუქტურულ ელემენტს. აღნიშნული განპირობებულია პოლიტიკური სფეროს სასიცოცხლო მნიშვნელობით სახელმწიფოსა და საზოგადოების არსებობაში, ძირითადი სოციალური ინსტიტუტებისა და ორგანიზაციების ფუნქციონირებაში.

სწორედ პოლიტიკის სფეროში რეგულირდება სოციალური ურთიერთობები, საზოგადოებისა და სახელმწიფოს განვითარების ძირითადი მიმართულებები.

<sup>265</sup> Scott Jasper, Keith Alexander „Russian Cyber Operations”, United States, Georgetown University Press, 2020 pp;50

პოლიტიკურ დონეზე მიღებული გადაწყვეტილებები გავლენას ახდენს ეკონომიკურ, სოციალურ, ეკოლოგიურ და სხვა სფეროებზე.<sup>266</sup> ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, დიდ მნიშვნელობას იძენს ქვეყანაში კანონმდებლობის და სასამართლო ორგანოების გამჭვირვალობა და მიზანმიმართული ანტიკორუფციული ღონისძიებები, კერძოდ, საჭიროა გაძლიერდეს ისეთი ინსტიტუტები, რომელთა მეშვეობითაც შესაძლებელი იქნება წარმატებული და ნაყოფიერი ანტიკორუფციული ღონისძიებების შემუშავება და შემდგომ ჩატარება, რათა თავიდან იქნას აცილებული „კანონიერი ქურდების“ მიერ ქვეყანაში ძალაუფლების მაღალ და საშუალო რგოლებში შეღწევა.<sup>267</sup>

„კანონიერი ქურდების“ ინსტიტუტის წინააღმდეგ ბრძოლა მოითხოვს ყოვლისმომცველ ზომებს და როგორც პოლიტიკური, ასევე სოციალური ასპექტების გათვალისწინებას. აღსანიშნავია ისეთი ასპექტი, როგორიცაა ფსიქოლოგიური დახმარება, კრიმინალური სუბკულტურის გავლენის ქვეშ მყოფი ადამიანების მხარდაჭერა, მათ შორის, ვინც იყო დანაშაულის მსხვერპლი ან მოწმე, აღნიშნული საკითხი, სამწუხაროდ, საერთოდ ყურადღების გარეშეა დატოვებული, როგორც ნაკლებად მნიშვნელოვანი, თუმცა მინდა ავღნიშნო, რომ იგი წარმოადგენს საკმაოდ მნიშვნელოვან და გადამწყვეტ ასპექტსაც კი. თუ აღნიშნული სუბკულტურის წევრისთვის მიმზიდველი უნდა გახდეს შესაძლებლობა, რომ მან შესაძლოა ახალი უფრო მისაღები და დაცული ცხოვრების სტილი აირჩიოს და სამართლებრივ ჩარჩოში მოქცევის მიმზიდველობა შეიცნოს.<sup>268</sup> მოქალაქეობრივი ვალდებულების შესრულება მისთვის პრიორეტიტული და სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი უნდა გახდეს, ასევე აუცილებელია დანაშაულის მსხვერპლთა რეაბილიტაცია და დაცვა შემდგომი ზეწოლისა და შესაძლო ძალადობისგან. აუცილებელია დახმარება გაეწიოს

<sup>266</sup> Seydou Keïta, Ukrainian relations: From Hybrid Warfare to the traditional combat mechanism United States,Georgetown University Press, 2023 pep;198

<sup>267</sup> Георгий Подлесских, Андрей Терешонок, „Воры в законе Бросок к власти,, Издательство Художественная литература Ростов-на-Дону 1994 ст;89

<sup>268</sup> Lele, A. Asymmetric Warfare: A State vs Non-State Conflict. OASIS: 2014. pep;230

დანაშაულის მსხვერპლს, რათა გაიზარდოს ნდობა სამართალდამცავი ორგანოების მიმართ, რის შემდეგაც მოსახლეობაში მთლიანად გაიზრდება სურვილი დაეხმარონ გამოძიებას და სამართალდამცავ ორგანოებს.

მაშინ, როდესაც ვსაუბრობთ ქვეყნაში არსებული პოლიტიკური გამოწვევების შესახებ, აუცილებელია გავითვალისწინოთ ქვეყნის პოლიტიკური უშიშროების ისეთი აქტუალური საკითხები, როგორიცაა ქვეყანაში არსებული სოციალურ-პოლიტიკური პროცესები, რომლებიც ქვეყანაში ოცდაათ წელზე მეტია საკმაოდ მწვავედ მიმდინარეობს, აღნიშნული პროცესების გადაჭრაზე მუშაობდა ყველა პოლიტიკური ძალა, რომელიც ქვეყნის სათავეში მოვიდა, თუმცა, რეალობა გვიჩვენბს, რომ სამწუხაროდ წარმატებისთვის არც ერთ მთავრობას არ მიუღწევია დღემდე.

ქვეყნის დამოუკიდებლობა ზუსტადაც, რომ დამოკიდებულია უპირველეს ყოვლისა ძალაუფლების ვერტიკალის დემოკრატიული მოდელის შესაბამისად ჩამოყალიბებასა და ქვეყნის მოსახლეობის მიერ მის ლეგიტიმაციასა და მიმღებლობაზე, და თუ რომელიმე კომპონენტი ამ ორიდან გამოაკლდება, რეალურად შეიძლება ითქვას ქვეყანა ხდება არშემდგარ სახელმწიფოდ, რისი მაგალითიც გვქონდა შორეულ ოთხმოცდაათიან წლებში, როდესაც ამის შესახებ ჩვენი დასავლელი პარტნიორები ღიად აცხადებდნენ და, უფრო მეტიც, თავის ყოველწლიურ მოხსენებებში საქართველოს აყენებდნენ არშემდგარი ქვეყნების გვერდით.<sup>269</sup>

ქვეყნის პოლიტიკური მდგრადობისა და მისი პოლიტიკური უშიშროების სტაბილურობა გამოიხატება მისი მოსახლეობისა და ქვეყანაში არსებული სახელმწიფო ინსტიტუტების შესაძლებლობასა და უნარში, დამოუკიდებლად მიიღონ საკვანძო გადაწყვეტილებები და შეიმუშაონ ქვეყნის სამართლებრივი და კონსტიტუციური მოწყობის მოდელები, რა დროსაც აღნიშნულ გადაწყვეტილებაზე ზემოქმედებას ვერ შეძლებს ვერც შიდა და ვერც გარე ძალები. აღნიშნულიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია „კანონიერი ქურდების ინსტიტუტთან“ ბრძოლის

<sup>269</sup> Nye, J. Soft Power: The Means to Success in World Politics. Council on Foreign Relations: 2004. p.234

ყოვლისმომცველი გეგმის შემუშავება, რომელიც გაითვალისწინებს როგორც პოლიტიკურ, ისე სოციალურ ასპექტებს და მოიცავს საქმიანობის ყველა სფეროს, რათა ეფექტურად შეზღუდოს ამ კრიმინალური სუბკულტურის გავლენა საზოგადოებასა და ეროვნულ უსაფრთხოებაზე, წინააღმდეგ შემთხვევაში არსებობს ქვეყანაში პოლიტიკური დესტაბილიზაციისა და უიმედობის გავრცელების საშიშროება .<sup>270</sup>

პრობლემასთან კომპლექსური მიდგომის დროს, რომელიც ითვალისწინებს „კანონიერი ქურდების ინსტიტუტის“ წინააღმდეგ ბრძოლის როგორც პოლიტიკურ, ასევე სოციალურ ასპექტებს, შეუძლია შეამციროს მათი გავლენა საზოგადოებაზე და ეროვნულ უსაფრთხოებაზე. აღნიშნული პრევენციული ქმედებების გატარების პროცესი ასევე მოითხოვს, სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციების თანამშრომლობას და საზოგადოების აქტიურ მონაწილეობას ამ ფენომენთან ბრძოლაში.<sup>271</sup>

„კანონიერი ქურდების ინსტიტუტისა“ და მსგავსი კრიმინალური სუბკულტურების წინააღმდეგ საბრძოლველად საჭიროა ყოვლისმომცველი სტრატეგია, „კანონიერი ქურდების ინსტიტუტის“ წინააღმდეგ ბრძოლა მოითხოვს ინტეგრირებულ და მრავალგანზომილებიან მიდგომას, მათ შორის სახელმწიფო უწყებებს, სამართალდამცავ სამსახურებსა და საზოგადოებას შორის თანამშრომლობას. ამ დილემების დასამლევად პოლიტიკურმა სისტემამ უნდა მიიღოს ზომები სამართლებრივი წესრიგის გასაძლიერებლად, კორუფციასთან ბრძოლის, ცხოვრების პირობების გასაუმჯობესებლად და სოციალური სამართლიანობის უზრუნველსაყოფად. კომბინირებული მიდგომა, რომელიც მოიცავს პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სოციალურ ზომებს, შესაძლოა ყველაზე ეფექტური იყოს,

<sup>270</sup> Евгений Магди <<Гибридная Война>> Vivat Publishing House, Харьков, 2015 ст;98

<sup>271</sup> Weissmann, M. Nilsson, N. „Warfare and Influence: States in the Intersection Between East and West" , London ,I.B. Tauris,2021,pep;189

კრიმინალური სუბკულტურების გავლენის შესამცირებლად ქვეყნის პოლიტიკურ უსაფრთხოებაზე.<sup>272</sup>

აღნიშნული ბრძოლის მთავარი მიზანია ქვეყანაში ლეგიტიმური ძალაუფლების გამყარება, რომელიც მოიცავს სახელმწიფოს ინტიტუტების ძალაუფლების გაძლიერებას, ვინაიდან სახელმწიფოში არსებული მექანიზმების გამართულ ფუნქციონირებაზეა დამოკიდებული ქვეყანაში როგორც პოლიტიკური, ისე მოსახლეობის სოციალური სტაბილურობა.<sup>273</sup> პოლიტიკური სტაბილურობა არის ქვეყნის უსაფრთხოების ერთ-ერთი უმთავრესი ელემენტი, რომლის არარსებობის შემთხვევაში კითხვის ნიშნის ქვეშ დგება თვითონ ქვეყნის, როგორც სამართლებრივი ერთეულის არსებობა. აღნიშნულის დესტაბილიზება არაერთხელ მომხდარა კრიმინალური სუბკულტურის წარმომადგენლების მიერ, თავისი დესტრუქციული და ძირგამომთხრელი ქმედებებით. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ თუ გადავხედავთ ქვეყნის თავისუფლების ოცდაათწლიან პერიოდს, ადვილად შევამჩნევთ, როგორ გარდაიქმნება კრიმინალური სუბკულტურა და როგორ ტრანსფორმაციას განიცდის მისი სტრუქტურა და მასში მონაწილე აქტორები. თუ ოთხმოცდაათიანი წლების დასაწყისში მათი ძალისხმევა ძირითადად მიმართული იყო ქვეყნის პოლიტიკური დესტაბილიზაციისკენ, შიდა სამხედრო კონფლიქტებისკენ და სამოქალაქო ომისკენ, უკვე ორიათასიანი წლების დადგომის შემდეგ მათ ისევ განიცადეს ტრანსფორმირება და მათი ძალისხმევა მოხმარდა ქვეყანაში არსებული მმართველი პოლიტიკური ძალის სტაბილურობის შერყევას, მოსახლეობაში ნიქილიზმის და უნდობლობის წარმოქმნას, რამაც გამოიწვია ამ პოლიტიკური ძალის შიგნით რღვევა და შიდა დაპირისპირებები. აღნიშნული ქმედებების შედეგად ქვეყნის მმართველმა ძალამ დაკარგა მოსახლეობის ნდობა და უცხოელი პარტნიორების მხარდაჭერა, რამაც

<sup>272</sup> Г.Глонти, Г. Лобжанидзе, Профессиональная преступность в Грузии (воры в законе) монография, Тбилиси 2004 г.Ст; 67

<sup>273</sup> М.Бадзагуа.Эволюция групповой преступности. Минск, 2000 г. Ст;89

გამოიწვია ქვეყანაში სტაბილურობის გრძნობის გაქარწყლება და მოსახლეობის მხრიდან მმართველი ძალისძამი აგრესია და უნდობლობა.

უკვე ორიათას თორმეტი წლის შემდგომ კრიმინალურმა სუბკულტურამ ისევ განიცადა ტრანსფორმაცია რის შედეგადაც მათი საქმიანობა მიმართულია არა მარტო ქვეყნის შიგნით დესტრუქციულ საქმიანობაზე, რაც გამოიხატება კორუფციულ სქემებში მონაწილეობაში (რის შესახებაც ევროპის საბჭოს ბოლო მოხსენებაში იყო საუბარი, როგორც ერთ-ერთი პუნქტი, რომელიც ქვეყანამ უნდა შეასრულოს) ასევე კონტრაბანდის ფართო ქსელებისა და ტრანსნაციონალური დანაშაულებრივი ჯგუფების შექმნაში, მათი კანონსაწინააღმდეგო საქმიანობაში მონაწილეობაში. აღნიშნული ქმედებები ქმნის ქვეყნის როგორც შიდა, ისე საგარეო პრობლემებს პოლიტიკურ დონეზე, რაც საბოლოოდ შესაძლებელია საკმაოდ ნეგატიურად აისახოს ქვეყნის იმიჯზე და საბოლოოდ მის ევროპულ მომავალზე.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, სასიცოცხლო აუცილებლობას იძენს ქვეყნაში სტაბილურობის და წინსვლისთვის მოხდეს სწორი და დაბალანსებული სისტემური ტიპის ღონისძიებების შემუშავება, რათა შესაძლებელი გახდეს ყველა იმ პოლიტიკურ გამოწვევასთან გამკლავება, რომელთაც კრიმინალური სუბკულტურის წარმომადგენლები ხელოვნურად და მიზანმიმართულად ქმნიან ქვეყანაში, მისი დემოკრატიული განვითარების გზიდან გადაყვანის და ქვეყნის ეკონომიკური ზრდის შესაფერხებლად.<sup>274</sup>

საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია არის პრინციპების, მიზნებისა და სტრატეგიების ერთობლიობა, რომელიც მიმართულია სახელმწიფოსა და მისი მოქალაქეების დაცვისკენ, შიდა და გარე საფრთხეებისკენ. იგი მოიცავს ასპექტების ფართო სპექტრს, მათ შორის სამხედრო, ეკონომიკურ, პოლიტიკურ, სოციალურ, კიბერ- და გარემოსდაცვით უსაფრთხოებას. საქართველოს წინაშე მდგარი გამოწვევებიდან გამომდინარე, ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია შეიძლება

<sup>274</sup> Giannopoulos, G. Smith, H. Theocharidou, M. The Landscape of Hybrid Threats: A Conceptual Model Public Version , Luxembourg: Publications Office of the European Union, 2021 y pep :39

განსხვავდებოდეს რეგიონში სხვა სახელმწიფოების მიერ შემუშავებულ ეროვნული კონცეფციებისგან. <sup>275</sup>

ქვეყნის ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია მოიცავს სახელმწიფოს ინტერესების დაცვის უზრუნველყოფას შიდა და გარე საფრთხეებისგან, საზოგადოების სტაბილურობისა და კეთილდღეობის შენარჩუნებას. „კანონიერი ქურდების ინსტიტუტი“, როგორც კრიმინალური სუბკულტურის უმაღლესი იერარქიული რგოლი, სერიოზულ საფრთხეს უქმნის ეროვნულ უსაფრთხოებას და აღნიშნული საფრთხის აღმოფხვრა მოითხოვს ერთობლივ კომპლექსურ და გააზრებულ ძალისხმევას, სამართლებრივ და პოლიტიკურ დონეზე. აღნიშნული სამოქმედო გეგმა აუცილებლად უნდა შემუშავდეს მხოლოდ საკითხში გათვიცნობიერებული და გამოცდილების მქონე პროფესიონალი ექსპერტების და მოქმედი სახელმწიფო და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლების მიერ.<sup>276</sup>

აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ამგვარი ბრძოლის პროტოკოლის შემუშავების შემთხვევაში აუცილებელია გათვალისწინებულ იქნეს ის ფაქტორიც, თუ როგორ უნდა მოხდეს თანამშრომლობა უცხო ქვეყნების უმაღლეს პოლიტიკური და სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლებთან. საერთაშორისო სამართლებრივი თანამშრომლობა მოითხოვს გარკვეული ტიპის ხელშეკრულებებში მონაწილე ქვეყნების აქტიურ თანამშრომლობას აღნიშნულ სამართლებრივ შეზღუდვებში, აგრეთვე, სტანდარტებისა და პროტოკოლების შემუშავებაში, ინფორმაციის ეფექტური გაცვლისა და კოორდინაციისთვის კრიმინალებთან და ორგანიზებული დანაშაულის სხვა ფორმებთან საბრძოლველად.

აუცილებელია სამართალდამცავი ორგანოების საერთაშორისო თანამშრომლობა, აღნიშნული გადამწყვეტ როლს თამაშობს ტრანსნაციონალურ დანაშაულთან ბრძოლაში, მათ შორის „კანონიერი ქურდების“ როგორც კრიმინალური სუბკულტურის წარმომადგენლების წინააღმდეგ. ქვეყნებს შორის ეფექტური

<sup>275</sup> ეროვნული უსაფრთხოებს კონცეფცია <https://mfa.gov.ge/national-security-concept> ბოლო ნახვა 11.11.2023

<sup>276</sup> MAJ Amos C. Fox, „Hybrid Warfare: The 21st Century Russian Way of Warfare“ School of Advanced Military Studies, USA, 2017, p.256

თანამშრომლობა იძლევა ინფორმაციის გაზიარების საშუალებას, ოპერაციების კოორდინაციას და კრიმინალების დევნის შესაძლებლობების გაუმჯობესებას. სახელმწიფოებმა აქტიურად უნდა გააზიარონ ინფორმაცია „კანონიერი ქურდების“ საქმიანობის შესახებ, მათ შორის, ინფორმაცია მათი ლიდერების, მათი დანაშაულებრივი საქმიანობის და დაჯგუფებების სტრუქტურებისა და უკანონო ოპერაციების შესახებ. ეს შეიძლება მოიცავდეს როგორც პირადი ინფორმაციის გაზიარებას, საბანკო ანგარიშების, ტრანზაქციების, ფინანსების მომრაობისა და სხვა რესურსების შესახებ,<sup>277</sup> ასევე ზოგადი სახის ინფორმაციას, რაც შესაძლებლობას მისცემს სამართალდამცავი ორგანოების წარმომაგდენლებს უფრო აქტიურად და ნაყოფიერად მოახდინონ აღნიშნული დაჯგუფებების ნეიტრალიზება ქვეყნისა და მსოფლიოს მასშტაბით.<sup>278</sup>

აუცილებელია საერთაშორისო ოპერაციების დაგეგმვა და განხორციელება, ერთობლივი ოპერაციები და ე.წ „რეიიდები“ შეიძლება მოეწყოს საზღვრების გადამკვეთი „ქურდული“ სამყაროს წევრების წინააღმდეგ, რაც საბოლოოდ მათ დევნა და დაპატიმრებას მოიაზრებს. ამ ხასიათის ოპერაციები მოითხოვს მჭიდრო თანამშრომლობას სხვადასხვა ქვეყნის სამართალდამცავ უწყებებს შორის. ამისათვის აუცილებელია ერთობლივი ტრენინგები, რომელთა ჩატარების პროცესში მოხდება დაგროვილი გამოცდილების გაცვლა სამართალდამცავ ორგანოებს შორის ტრენინგები და დაგროვებული გამოცდილების გაცვლა, ტრანსნაციონალურ დანაშაულებრივ ორგანიზაციებთან ბრძოლაში ხელს უწყობს, ოფიცრების უნარების გაძლიერებას და კრიმინალთან უფრო ეფექტურ ბრძოლის წარმოებას კრიმინალური სუბკულტურის წარმომადგენლების წინააღმდეგ. ამისათვის აუცილებელია კრიმინალური დაჯგუფებების მიერ შექმნილი ქსელებისა და კავშირების იდენტიფიცირება. აღნიშნულ მონაცემთა ერთობლივი ანალიზი დაეხმარება კრიმინალური ქსელებისა და კავშირების იდენტიფიცირებაში, აღნიშნული

<sup>277</sup> Shaw, C.R., & McKay, H.D. Juvenile Delinquency and Urban Areas. University of Chicago Press. 1942 ყ. vol.16 გვ. 6-7

<sup>278</sup> United Nations Office on Drugs and Crime (UNODC). <https://www.unodc.org/> (ბოლო ნახვა 11.11.2023)

კავშირების კვეთები შეიძლება სხვადასხვა ქვეყანაში აღმოვაჩინოთ. ეს უზრუნველყოფს „კანონიერი ქურდების“ მიერ შექმნილი სტრუქტურისა და საქმიანობის სრულყოფილ გაგებას, რის შედეგადაც გაადვილდება მიზნობრივი და გააზრებული ბრძოლა მათ წინააღმდეგ.<sup>279</sup> ამისათვის აუცილებელია საერთო მონაცემთა ბაზების შექმნა, რაც თავის მხრივ შესაძლებელს გახდის კრიმინალებისა და მათი საქმიანობის შესახებ ინფორმაციის დაგროვებას და გაანალიზებას. აღნიშნული ბაზების სახელმწიფოებს საშუალებას მისცემს უფრო ადვილად ადევნონ თვალ-ყური აღნიშნული სუბკულტურის წარმომადგენლების მოძრაობას მსოფლიოს მასშტაბით და კოორდინაცია გაუწიონ მათ წინააღმდეგ ბრძოლის და პრევენციული ზომების მიღების ძალისხმევას. ყოველივე ამის გარდა, შესაძლებელია საერთაშორისო ზეწოლა და დიპლომატიური ძალისხმევა მიმართული იყოს იმ ქვეყნებზე, სადაც „კანონიერმა ქურდებმა“ შეიძლება თავშესაფარი იპოვონ ან მიიღონ მხარდაჭერა მათი ექსტრადიციის ან სისხლისსამართლებრივი დევნიდან თავის ასარიდებლად.

მას შემდეგ, რაც დანაშაულმა შეიძინა განსაკუთრებული მახასიათებელი ორგანიზებული დანაშაულებრიობის სახით, მათ ძალუმთ ასეთი პატარა ქვეყნის, საქართველოს მთლიანად დესტაბილიზიაცია, რაც გამოიხატება ფუნდამენტური ინსტიტუტების, შიდა და საგარეო პოლიტიკური ურთიერთობების დესტაბილიზაციაში, ხოლო რიგ შემთხვევებში მათი მთლიან ჩამოშლაში. აღნიშნულის ნათელი მაგალითია ოთხმოცდაათიანი წლების საქართველო, როცა ქვეყანაში სუფევდა დაუსჯელობის სინდრომი და მთელი ქვეყნის მასშტაბით ყველაზე ძლიერ ორგანიზაციებად ითვლებოდნენ კრიმინალური სუბკულტურის წარმომადგენელი მაღალი იერარქები. აღნიშნულმა სიტუაციამ გამოიწვია მთელი ქვეყნის მასშტაბით პოლიტიკური ურთიერთობების დესტაბილიზაცია და

<sup>279</sup> Federico Varese, *Mafias on the Move: How Organized Crime Conquers New Territories*, Princeton University Press , pep 188

პოლიტიკური, ეთნიკური და კუთხური მახასიათებლით კონფლიქტები, რაც საბოლოოდ გადაიზარდა სამოქალაქო და ძმათა შორის ომებში.<sup>280</sup>

შიდა პოლიტიკური უშიშროების უზრუნველყოფის მთავარი საკითხი არის ძალაუფლების შენარჩუნება სამართლებრივ ჩარჩოებში, ვინაიდან სახელმწიფო მექანიზმების ფუნქციონირებით მიიღწევა როგორც პოლიტიკური სფეროს, ისე მთელი სოციალური სისტემის სტაბილურობის აუცილებელი ხარისხი; ხორციელდება სოციალურ-პოლიტიკური პროცესების რეგულირება და წარმოქმნილი საფრთხეების ლოკალიზაციისა და განეიტრალების მიზნით შექმნილი სპეციალური ორგანოების საქმიანობა.<sup>281</sup>

აღსანიშნავია, აგრეთვე, ის ფაქტიც, რომ პოლიტიკური უშიშროების სტაბილურობის შერყევას შესაძლოა მოყვეს ისეთი მძიმე შედეგები, როგორიც არის ტერორიზმის, ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის და საერთაშორისო ტერორისტულ დანაშაულში ეჭვმიტანილი დამნაშავე პირების ქვეყანაში შემოღწევა და შემდგომ ქვეყნის მასშტაბით გარკვეული პროვოკაციების მოწყობა. ამის ნათელი მაგალითია გაბრიელ სალოსის ქუჩაზე მომხდარი დაპირისპირება, ტერორისტული ორგანიზაცია ისლამური რესპუბლიკის წევრებსა და ქვეყნის ძალოვან სამინისტროს წარმომადგენლებს შორის. ფაქტიურად მთელი დღე ქვეყნის დედაქალაქი იქცა საომარი ვითარების პოლიგონად.

აღნიშნული ფაქტის განალიზების შედეგად შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ პოლიტიკური სისტემის სტაბილურობა წარმოადგენს ქვეყანაში უშიშროების სტაბილურობის ერთ-ერთ უმაღლეს ასპექტს, აქედან გამომდინარე იმისათვის, რომ ქვეყანაში არსებობდეს პოლიტიკური სისტემის სტაბილურობა, აუცილებელია საზოგადოების სტაბილურობა, რაც გამოიხატება სოციალური, ეკონომიკური და სამართლებრივი ნორმების მსოფლიოს განვითრებული ქვეყნების მოდელის შესაბამის ცვლილებებში, მოდერინიზაციაში. აღნიშნულიდან გამომდინარე,

<sup>280</sup> ჰენრი კუპრაშვილი, საქართველოს ეროვნული უშიშროება, გამოცემლობა უნივერსალი, 2022 წ, გვ: 463

<sup>281</sup> ჰენრი კუპრაშვილი, საქართველოს ეროვნული უშიშროება, გამოცემლობა უნივერსალი, 2022 წ, გვ: 465

აუცილებელია უარი ვთქვათ აქამდე არსებული პოსტსაბჭოური მოდელით თანაცხოვრებაზე და ყველა იმ მავნე წეს-ჩვეულებებზე, რომელიც მემკვიდრეობით შეგვხვდა აღნიშნული სისხლიანი იმპერიის რეჟიმის დაშლის შედეგად.<sup>282</sup>

როგორც ზემოთ ავღნიშნეთ, პოლიტიკური სისტემის სტაბილურობა დამოკიდებულია სახელმწიფოს და საზოგადოების ურთიერთანამშრომლობაზე და იმაზე, თუ რამდენად იღებს აღნიშნული საზოგადოება იმ მოდერინიზაციას და ცვლილებებს, რომლებსაც სახელმწიფო სთავაზობს რეფორმებისა და დემოკრატიული ცვლილებების სახით.

აღსანიშნავია ის ფაქტიც, თუ რამდენად დამღუპველად მოქმედებს ქვეყნის განვითარებაზე ისეთი ტიპის ეკონომიკური დანაშაულები, როგორიცაა კორუფცია და კონტრაბანდული გზით პირველადი მოხმარების პროდუქტებისა და ნავთობ-პროდუქტების შემოტანის ქსელებისა და სისტემების ჩამოყალიბება ქვეყნის მასშტაბით და მის ფარგლებს გარეთ.<sup>283</sup>

კორუფციისა და დანაშაულის გავლენა ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაზე შეიძლება იყოს მნიშვნელოვნად უარყოფითი, ჰქონდეს პირდაპირი და არაპირდაპირი შედეგები ეროვნული უსაფრთხოებისთვის. აღნიშნული გამოიხატება ინვესტიციებისა და მეწარმეობის საფრთხის ქვეშ მოქცევაში, კორუფციას და დანაშაულის ზრდას ქვეყანაში შეუძლია შეაჩეროს ინვესტიციები, რის შედეგადაც ქვეყანაში ხდება კაპიტალდაბანდებების ჩადინების შეჩერება, რადგან კორუფციული საქმიანობა ქმნის არასტაბილურ პირობებს და ზრდის ბიზნესის რისკებს.<sup>284</sup> აღნიშნულმა სიტუაციამ შესაძლოა მოახდინოს ბიზნესგარემოს ნგრევა, კრიმინალურ ელემენტებს შეუძლიათ დააშანტაჟონ მეწარმეები, მოითხოვონ ე.წ „დაცვითი“ გადასახადები და შეაღწიონ ბიზნესის ეკონომიკურ სტრუქტურებში, რაც იწვევს ბიზნესგარემოს განადგურებას და ძირს უთხრის კონკურენტუნარიანობას. ეს არის სამართლიანი კონკურენციის შეზღუდვა, გარკვეული კომპანიების უპირატესი

<sup>282</sup> Federico Varese, Mafias on the Move: How Organized Crime Conquers New Territories , Princeton University Press ,2009 year, pep 145

<sup>283</sup> World Bank Group. (<https://www.worldbank.org/>) ბოლო ნახვა 11.11.2023

<sup>284</sup> Eli Berman, Religious, and Violent: The New Economics of Terrorism, Published The MIT Press, 2009 Year; pep; 205

მდგომარეობა სხვებთან შედარებით, რითიც ავტომატურად ხდება სამართლიანი კონკურენციის ბაზრის ჩამოშლა.<sup>285</sup>

ზემოთ მოყვანილი ქმედებების შედეგად ქვეყანაში მოხდება ბიუჯეტის შემოსავლების შემცირება, კორუფცია და ცუდი საფინანსო სტრატეგიის წარმოებამ შეიძლება გამოიწვიოს ბიუჯეტის გარღვევა, რაც შეამცირებს სოციალური და ეკონომიკური პროგრამებისთვის ხელმისაწვდომი სახსრების რაოდენობას. სოციალური და საგანმანათლებლო პროგრამებისთვის განკუთვნილი სახსრების უკმარისობა გამოიწვევს ადამიანური რესურსის შეზღუდვას ქვეყნის მასშტაბით, კორუფციამ შეიძლება შეარყიოს განათლებისა და ჯანდაცვის სისტემები, შეზღუდოს ადამიანური კაპიტალის განვითარება და შეამციროს მისი კონკურენტუნარიანობა გლობალურ შრომის ბაზარზე, რაც დამღუპველად იმოქმედებს ქვეყნის განვითარებაზე და მის კონკურენტუნარიანობაზე მთელი რეგიონის მასშტაბით.<sup>286</sup> კრიმინალური სუბკულტურის გაძლიერება ქვეყანაში და მისი კორუფციული სქემები ძირს უთხრის არსებულ ინსტიტუტებს და კანონის უზენაესობას, კორუფცია და დანაშაული დამღუპველია სამთავრობო ინსტიტუტებისა და კანონის უზენაესობისთვის, რაც იწვევს ხელისუფლებისადმი მოქალაქეების ნდობის დაკარგვას და არასტაბილურ ვითარებას, რაც ოთხმოცდაათიანი წლებიდან მოყოლებული არაერთხელ შეგვხვედრია საქართველოს თავისუფლების მოპოვების პერიოდიდან.

აღსანიშნავია, აგრეთვე, ისეთი მავნე საქმიანობა, როგორიც არის ტრანსნაციონალური დანაშაული, კრიმინალური ორგანიზაციები ხშირად მოქმედებენ ტრანსნაციონალურად, რაც საფრთხეს უქმნის ეროვნულ უსაფრთხოებას, განსაკუთრებით თუ ისინი ჩართულნი არიან კონტრაბანდაში, ტერორიზმში და ტრანსნაციონალური დანაშაულის სხვა ფორმებში.<sup>287</sup>

<sup>285</sup> Shaw, C.R., & McKay, H.D. Juvenile Delinquency and Urban Areas. University of Chicago Press. 1942 y vol.16 pep; 6-7

<sup>286</sup> Giannopoulos, G. Smith, H. Theocharidou, M. The Landscape of Hybrid Threats: A Conceptual Model Public Version , Luxembourg: Publications Office of the European Union, 2021 y pep :39

<sup>287</sup> Federico Varese, Mafias on the Move: How Organized Crime Conquers New Territories , Princeton University Press , pep 155

კრიმინალური სუბკულტურის მიერ ქვეყანაში დაუსჯელად დანაშაულებრივი საქმიანობის წარმოების შემთხვევაში, განსაკუთრებით, კორუფციული სქემების გამართულად ფუნქციონირების შემთხვევაში არსებობს საშიშროება სოციალური კონფლიქტების წარმოქმნისა. კორუფციითა და დანაშაულით გამოწვეულმა უთანასწორობამ შეიძლება გამოიწვიოს სოციალური დაპირისპირება და არასტაბილურობა, რაც საფრთხეს უქმნის ეროვნულ უსაფრთხოებას. პოლიტიკური არასტაბილურობა, როგორც ზემოთ აღნიშნული სიტუაციის შედეგი არის საკმაოდ დამღუპველი ქვეყნისთვის, კორუფციის და დანაშაულის მატებამ შეიძლება შეასუსტოს დემოკრატიული ინსტიტუტები, შექმნას პირობები ავტორიტარიზმისთვის და გაზარდოს პოლიტიკური არასტაბილურობის ალბათობა ქვეყანაში, გამოიწვიოს საკუთარ ტერიტორიებზე კონტროლის დაკარგვა, კრიმინალურ ჯგუფებს შეუძლიათ გარკვეული ტერიტორიების საკუთარი კონტროლის ქვეშ მოქცევა, რაც სახელმწიფოს უქმნის პრობლემებს სუვერენიტეტისა და კონტროლის შენარჩუნებაში. აღნიშნულის მრავალი მაგალითი შეგვიძლია მოვიყვანოთ, თუმცა, ალბათ, ყველაზე ნათელი მაგალითი იქნება ასლან აბაშიძისეული აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მართვის მოდელი, რა დროსაც აჭარის რეგიონი შემოდიოდა ქვეყნის ერთიან მმართველ ორგანოში, თუმცა რეალურად ავტონომიურად აგრძელებდა მოღვაწეობას ისე, რომ ფაქტიურად ქვეყნის აღმასრულებელ ხელისუფლებას კონტროლი ჰქონდა დაკარგული აღნიშნულ ტერიტორიულ ერთეულზე.<sup>288</sup>

კრიმინალურ ჯგუფებს შეუძლიათ გავლენა მოახდინონ პოლიტიკურ ლიდერებზე კორუფციის გზით, რაც ასუსტებს დემოკრატიულ ინსტიტუტებს და ძირს უთხრის საზოგადოების ნდობას მთავრობის ეფექტურობის მიმართ.

კრიმინალურ ორგანიზაციებს შეუძლიათ აკონტროლონ ეკონომიკის ძირითადი სექტორები, რაც მათ გავლენას ავრცელებს ფინანსურ, სავაჭრო და საინვესტიციო

<sup>288</sup> Lucas E. "The New Cold War- Putin's Threat to Russia and the West", Bloomsbury, Great Britain, 2014; p55

გადაწყვეტილებებზე. აქვე აღსანიშნავია ისეთი მოწყვლადი სფერო, როგორიც არის ფულის გათეთრება. კრიმინალური ჯგუფები იყენებენ ფულის გათეთრებას ლეგიტიმურ ეკონომიკურ სექტორებში შეღწევისა და შემოსავლების გათეთრების გზით. ორგანიზებულ დანაშაულებრივ ჯგუფებს შეუძლიათ შეაღწიონ სამთავრობო სტრუქტურებში, მათ შორის სამხედრო და სადაზვერვო სააგენტოებში, რითიც შესაძლებელს ხდიან შექმნან პოტენციური საფრთხე ქვეყნის ეროვნული უსაფრთხოებისთვის. აღნიშნულის მისაღწევად ხშირად ხდება ხოლმე კიბერთავდასხმები ოფიციალურ ვებ-გვერდებზე, კრიმინალურ ჯგუფებს შეუძლიათ განახორციელონ კიბერთავდასხმები სენსიტიური და საიდუმლო ინფორმაციის მისაღებად, მათ შორის მთავრობის წევრების და პოლიტიკოსების საქმიანობის შესახებ და აღნიშნული მონაცემები გამოიყენონ სამომავლოდ თავისი ინტერესების მიხედვით. ციფრული ტექნოლოგიების ერაში შესვლის შემდეგ უდიდეს მნიშვნელობას იძენს საინფორმაციო კომპანიებისა და დეზინფორმაციის გამოყენება საზოგადოებრივი აზრის მანიპულირებისთვის და ქვეყანაში არასტაბილური, ფეთქებადი გარემოს შესაქმნელად.

კრიმინალურმა ჯგუფებმა შეიძლება სცადონ არჩევნების მანიპულირება, რათა ჩამოაყალიბონ მთავრობა, რომელიც ხელს შეუწყობს მათი ინტერესების გაძლიერებას და გავრცელებას. ამისათვის მათ შეუძლიათ ისეთი ქმედებების ჩადენა, როგორიც არის პოლიტიკური ძალადობა. აღნიშნული ტიპის ძალადობა მთავარი დაბრკოლებაა დემოკრატიული პროცესებისთვის მთელ მსოფლიოში, მათთვის არჩევნებში სასურველი პოლიტიკური ძალის გასამარჯვებლად ისინი მზად არიან განახორციელონ დაძალების და ძალადობის აქტები ქვეყნის მოსახლეობის წინააღმდეგ. ასეთ ძალადობას ქვეყნის განვითარებისთვის საკმაოდ მძიმე შედეგი აქვს. ხდება დემოკრატიული ფასეულობების და, რაც მთავარია, მოქალაქისთვის ქვეყნის კონსტიტუციით მინიჭებული უფლების, თავისუფალი არჩევანის გაკეთების აკრძალვა. აღნიშნული ქმედებები იწვევს საარჩევნო პროცესის მიმართ ქვეყნის

მოსახლეობის სანდოობის დაკარგვას და დემოკრატიული ინსტიტუტების მიმართ საზოგადოების ნდობის შემცირებას.

ასეთი ქმედებებით კრიმინალური სუბკულტურის წარმომადგენლები თამაშობენ გადამწყვეტ როლს პოლიტიკურ ძალადობაში, რისი არაერთი მაგალითი გვაქვს ჩვენი ქვეყნის თავისუფლების მოპოვების ოცდაათწლიანი ისტორიის განმავლობაში. ხოლო როდესაც ორგანიზებული დანაშაულებრივი დაჯგუფებები არ ახორციელებენ პოლიტიკურ ძალადობას, იგივე ბანდ-დაჯგუფებები დაკავებულნი არიან ხშირ შემთხვევაში კონტრაბანდული ბაზრების შექმნით და შესაბამისი მოთხოვნადი საყოფაცხოვრებო, ნავთობპროდუქტების, იარაღისა და ნარკოტიკული ნივთიერებების ქვეყნის ტერიტორიაზე შემოტანის ქსელებისა და გზების დალაგებით და შემუშავებით, აღნიშნული ქმედებების სიმბიოზი შესაძლებელია ავიყვანოთ ქვეყნის ეროვნული უსაფრთხოების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს საფრთხის რანგში, ვინაიდან პირდაპირ დარტყმას აყენებს ქვეყნის პოლიტიკური სისტემის ლეგიტიმაციას.<sup>289</sup> თუმცა, სანამ არ მოხდება აღნიშნული ფაქტების გამოძიებით დადასტურება და არ იქნება პოლიტიკური ნება ასეთი ტიპის გამოძიებების ჩატარებისა და ადექვატურად არ გამოიკვლევა ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფების კავშირი პოლიტიკურ ძალადობასა და უკანონო ქმედებებთან (კონტრაბანდული ბაზრების შექმნა და იქიდან დიდძალი შემოსავლების მიღება, რომლის მეშვეობითაც მათ ძალუმთ მნიშვნელოვანი გავლენის მოხდენა ქვეყნის განვითარების სტრატეგიებზე), ვერ მოხდება ქვეყანაში სტაბილურობისა და წინსვლის შენარჩუნება და სულ იქნება სამართლებრივი წესრიგის უფუნქციობის საშიშროება, სისტემატიურად მოხდება მუქარისა და ძალადობის გამოყენება კრიმინალური სუბკულტურის წარმომადგენლებისგან სასურველი საქმიანობის პირობების შესაქმნელად.<sup>290</sup>

ასევე არ უნდა დაგვავიწყდეს ისეთი მნიშვნელოვანი დარგი, როგორიც ენერგეტიკა და მისი უსაფრთხოებაა. ორგანიზებულ დანაშაულებრივ დაჯგუფებებს შეუძლია

<sup>289</sup> Cybersecurity and Infrastructure Security Agency (CISA). (<https://www.cisa.gov/>) ბოლო ნახვა 11.11.2023

<sup>290</sup> RAND Corporation - Cyber and Intelligence. (<https://www.rand.org/>) ბოლო ნახვა 11.11.2023

მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინონ ქვეყნისა და რეგიონის ენერგეტიკულ უსაფრთხოებაზე. განვიხილოთ ქვეყნის ენერგეტიკულ უსაფრთხოებაზე ზემოქმედების რამდენიმე ვარიანტი, რაც შეიძლება მოხდეს. ესაა ენერგეტიკული ინფრასტრუქტურის საბოტაჟი, კრიმინალურმა დაჯგუფებებმა უცხო ქვეყნის სპეც-სამსახურების დაკვეთით შეიძლება ჩაიდინონ დივერსიული აქტები ენერგეტიკულ ინფრასტრუქტურაზე თავდასხმით, ისეთ მნიშვნელოვან ობიექტებზე, როგორიცაა ელექტროსადგურები, სატრანსფორმატორო სადგურები ან ელექტრო ქსელები.<sup>291</sup> ტრანსნაციონალურ ნავთობსადენებზე, მაგისტრალებზე. ამან შეიძლება გამოიწვიოს ენერგომომარაგების შეფერხება ქვეყნისა და რეგიონის მასშტაბით და საფრთხე შეუქმნას ქვეყნის ან მთლიანად რეგიონის ენერგეტიკულ უსაფრთხოებას. ამის ნათელი მაგალითია 2003 წლის 18 იანვრის ტერაქტი, რომლის შედეგადაც მოხდა ჩრდილოეთ ოსეთში გაზსადენის აფეთქება, რის შედეგადაც საქართველოს შეუწყდა გაზის მიწოდება და მისი აღდგენა 2 კვირაზე მეტი ხანი ვერ მოხერხდა. ეს იმიტომ, რომ ვარდების რევოლუციის შედეგად მოსულმა მთავრობამ მკვეთრად გადაუხვია წინა ხელისუფლების რუსულ ვექტორს და გეზი აიღო ქვეყნის ევროპული განვითარების მიმართულებით.<sup>292</sup> ფაქტიურად, აღნიშნული კრიმინალური ტერორისტული აქტით რუსეთის ფედერაციამ გაფრთხილება გაუგზავნა საქართველოს მაშინდელ მთავრობას. კონტროლი ენერგორესურსებზე, - კრიმინალურმა ორგანიზაციებმა შეიძლება შეეცადონ, გააკონტროლონ და მანიპულაცია მოახდინონ ენერგეტიკული რესურსებით, როგორიცაა ქვანახშირი, ნავთობი, გაზი და თუნდაც განახლებადი ენერგია. ამან შეიძლება გამოიწვიოს მონოპოლიური სტრუქტურების შექმნა და საფრთხეს წარმოადგენს ქვეყნის ენერგეტიკული დამოუკიდებლობისათვის. დანაშაულებრივ ჯგუფებს შეუძლიათ გამოიყენონ აღნიშნული საქმიანობიდან მიღებული შემოსავლები დიდი რაოდენობით ფულის გათეთრების მიზნით, ვინაიდან ენერგეტიკის სექტორში შემოსავლები საკმაოდ დიდია და მათი გაკონტროლება საკმაოდ დიდ ძალისხმევას

<sup>291</sup> Global Initiative Against Transnational Organized Crime. (<https://globalinitiative.net/>) ბოლო ნახვა 11.11.2023

<sup>292</sup> The Brookings Institution - Organized Crime and Illicit Networks. <https://www.brookings.edu/> (ბოლო ნახვა 11.11.2023)

მოითხოვს. ამან შესაძლოა შექმნას არასაკმარისი ინვესტიცია ენერგეტიკული სექტორის ინდუსტრიის განვითარებაში და შეამციროს ენერგეტიკული პროექტების ეფექტურობა, რაც დიდ დარტყმას მიაყენებს ქვეყნას ენერგეტიკული დამოკიდებულებისგან განთავისუფლების გზაზე. აღნიშნულის ნათელი მაგალითია ისეთი დიდი პროექტების ჩაშლა ქვეყნის მასშტაბით, როგორებიცაა ნესკრას და ნამახვანის ჰესების მშენებლობა. რეალურად ამ ორი დიდი პროექტის განხორციელების შემთხვევაში ქვეყანა არა მარტო განთავისუფლდებოდა რუსეთის ფედერაციის ენერგოდამოკიდებულებისგან, არამედ შეძლებდა ახლო მომავალში ელექტროენერგიის ექსპორტირებას რეგიონში.<sup>293</sup>

კრიმინალური ბანდ-დაჯგუფებების და ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფების მიერ შესაძლებელია მოხდეს კონტრაბანდა და ენერგორესურსებით უკანონო ვაჭრობა. კრიმინალურმა დაჯგუფებებმა შეიძლება კონტრაბანდულად გაატარონ ენერგორესურსები, - ნავთობი და გაზი, რამაც შეიძლება გამოიწვიოს ქვეყნის შემოსავლების დაკარგვა და ძირი გამოუთხაროს ლეგიტიმურ ენერგეტიკულ ბაზარს, ვინაიდან აღნიშნული საქმიანობა საკმაოდ მომგებიანია და დიდ ფინანსურ შემოსავლებს ითვალისწინებს. შესაძლებელია გარკვეული კორუფციული სქემების ჩამოყალიბება. აღნიშნული სიტუაცია პირდაპირ „ჰიბრიდული ომის“ ერთ-ერთი ნაირსახეობაა, რომლის საბოლოო მიზანია ქვეყნის დასუსტება და რუსეთის ფედერაციის კონტროლის ზონაში დაბრუნება. <sup>294</sup>

„ჰიბრიდული ომის“ წარმოების კიდევ ერთ-ერთი ნაირსახეობა არის გავლენა ენერგომატარებლების ფასებზე. კრიმინალურ ორგანიზაციებს შეუძლიათ ენერგეტიკული ბაზრით მანიპულირება ხელოვნური დეფიციტის ან ჭარბი რაოდენობის შექმნით, რაც იწვევს ენერგეტიკულ მატარებლებზე ფასების რყევებს და შეიძლება უარყოფითად იმოქმედოს მომხმარებლებზე და მთლიანად ქვეყნის ეკონომიკაზე და მის სტაბილურობაზე.

<sup>293</sup> The Brookings Institution - Organized Crime and Illicit Networks. <https://www.brookings.edu/> (ბოლო ნახვა 11.11.2023)

<sup>294</sup> ჩრდილოეთ ოსეთის გაზსადენის მილის დაზიანება <https://civil.ge> (ბოლო ნახვა 11.11.2023)

ყოველივე ზემოთ აღნიშნული ქმედებების საბოლოო მიზანია გავლენის მოპოვება ენერგეტიკულ სექტორში მოსალოდნელ ინვესტიციებზე. ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფების არსებობამ შესაძლოა ხელი შეუშალოს ინვესტორებსა და კომპანიებს რეგიონში ენერგეტიკულ პროექტებში მონაწილეობაში, ვინაიდან აღნიშნული „ჰიბრიდული ომის“ ელემნტების გამოყენების შედეგად ქვეყანაში პროცესები ხდება გაუმჭვირვალე, არსებული კორუფციის და უსაფრთხოების რისკების გამო.<sup>295</sup>

ქვეყნის საგანმანათლებლო და სამეცნიერო სფეროს უსაფრთხოება ეროვნული უსაფრთხოების მნიშვნელოვანი ასპექტია და ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფების მიერ მის დარღვევას შეიძლება სერიოზული შედეგები მოჰყვეს. კრიმინალურ ჯგუფებს შეუძლიათ გავლენა მოახდინონ საგანმანათლებლო და სამეცნიერო დაწესებულებებზე, ხელი შეუშალონ საგანმანათლებლო და კვლევით პროცესებს კორუფციის ფართოდ დანერგვით საგანმანათლებლო დაწესებულებებში, კრიმინალური ჯგუფები შეიძლება შეეცადონ, გავლენა მოახდინონ საგანმანათლებლო დაწესებულებებზე კორუფციის, ქრთამისა და სხვა გზებით, რაც შეარყევს განათლების სისტემის ეფექტურობას და ახალგაზრდები დაკარგავენ ნდობას საგანმანათლებლო სისტემისადმი.

ორგანიზებული კრიმინალური დაჯგუფებები შეიძლება დაინტერესდნენ სამეცნიერო კვლევებით, განსაკუთრებით ტექნოლოგიების სფეროში, რათა გამოიყენონ ეს ტექნოლოგიები უკანონო მიზნებისთვის, მაგალითად, ახალი ტიპის დანაშაულის მოსამზადებლად, რაც ტექნოლოგიური ჩარევის შედეგად იქნება შესაძლებელი.

ორგანიზებულ დანაშაულებრივ ჯგუფებს შეუძლიათ გამოიყენონ თავიანთი საქმიანობიდან მიღებული შემოსავლები და მოახდინონ საგანმანათლებლო პროგრამებში თავიანთი წევრების განათლების დაფინანსება, რის შედეგადაც მოხდეს მათ მიერ განსაკუთრებული ცოდნის შეძენა, აღნიშნული ცოდნის გამოყენება კი რიგ

<sup>295</sup> Federico Varese, *Mafias on the Move: How Organized Crime Conquers New Territories*, Princeton University Press ,2009 y, pcp 144

შემთხვევებში მოხდება როგორც კრიმინალური მიმართულებით, ასევე ტერორისტული საქმიანობის განსახორციელებლად.

ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფების ჩარევამ ქვეყნის ეკონომიკურ სფეროში შეიძლება გამოიწვიოს სერიოზული უარყოფითი შედეგები და შექმნას დაბრკოლებები სტაბილური გრძელვადიანი ეკონომიკური ზრდისთვის.<sup>296</sup> ორგანიზებულმა კრიმინალურმა დაჯგუფებებმა შეიძლება სცადონ გავლენა მოახდინონ ეკონომიკურ პროცესებზე ქვეყანაში, კორუფციის გზით საჯარო დაწესებულებებში, მათ შორის, მთავრობის მაღალი რანგის წარმომადგენლების ჩართვით ამ საქმეში, საგადასახადო ორგანოების და სასამართლო სისტემაში კორუფცული სქემების შექმნით. ამან შეიძლება გამოიწვიოს რესურსების არაეფექტური მართვა და ეკონომიკური განვითარების შენელება. ფულის გათეთრება და ჩრდილოვანი ეკონომიკის წახალისება, ორგანიზებულმა კრიმინალურმა დაჯგუფებებმა შეიძლება გამოიყენონ ფინანსური სქემები ფულის გასათეთრებლად, ლეგიტიმურ ეკონომიკურ სექტორებში შეღწევისა და ჩრდილოვანი ეკონომიკის წასახალისებლად. ეს ამცირებს ეკონომიკური ტრანზაქციების გამჭვირვალობას და ქმნის უარყოფით შედეგებს რეგულირებადი ბაზრების განვითარებაზე.<sup>297</sup>

ორგანიზებულმა კრიმინალურმა დაჯგუფებებმა შეიძლება მოახერხონ კონტროლი ქვეყნის ეკონომიკის ძირითად სექტორებზე, როგორიცაა მძიმე და მსუბუქი მრეწველობა, ტრანსპორტი, ვაჭრობა და ფინანსები. ამან შეიძლება შექმნას მონოპოლიები, კონკურენციის დამახინჯებული ნაირსახეობა, რაც გამოიწვევს ინოვაციების ჩახშობას.

ორგანიზებული კრიმინალური დაჯგუფებების ჩართულობამ ქვეყნის ეკონიმიკურ საქმიანობაში შეიძლება ხელი შეუშალოს ქვეყანაში ინვესტიციებისა და საერთაშორისო კომპანიებს შემოდინებას, აღნიშნული სიტუაციიდან გამომდინარე, ქვეყანაში შეჩერდება ყველა ინვესტიცია, არსებული არახელსაყრელი ბიზნესგარემოს,

<sup>296</sup> Giannopoulos, G. Smith, H. Theocaridou, M. The Landscape of Hybrid Threats: A Conceptual Model Public Version , Luxembourg: Publications Office of the European Union, 2021 y pep : 41

<sup>297</sup> Levitsky, S. Way. Lucan A. „Competitive Authoritarianism: Hybrid Regimes after the Cold War (Problems of International Politics)“ ,Cambridge University Press, 2010, pep; 209

კორუფციისა და ორგანიზებულ დანაშაულთან დაკავშირებული რისკების არსებობის შემთხვევაში.<sup>298</sup>

ორგანიზებულ დანაშაულებრივ დაჯგუფებას შეუძლია ბიზნესზე ზეწოლა მუქარით, შანტაჟით და ფიზიკური ძალადობით. ამან შეიძლება გამოიწვიოს კომპანიების გასვლა ქვეყნის ტერიტორიდან, ინვესტიციების შემცირება და საერთოდ ქვეყნის ეკონომიკური დაღმასვლა. კრიმინალური ჯგუფები შეიძლება ჩაერთონ გადასახადებისგან თავის არიდებაში, ხელის შემწყობი სქემების და მაქინაციების შემუშავებაში, რაც ამცირებს ქვეყანაში გადასახადების გადახდას და ზიანს აყენებს ქვეყნის ეკონომიკის მდგრადობას, ამცირებს სახელმწიფო პროგრამებისა და ინვესტიციებისთვის ხელმისაწვდომ რესურსებს.

ყოველივე ამან კომპლექსურად შესაძლოა საფრთხე შეუქმნას ქვეყანაში არსებულ საბანკო სისტემას, ორგანიზებულ დანაშაულს შეუძლია გამოიყენოს საბანკო სისტემა თავისთვის სარგებლის მისაღებად, რაც საფრთხეს უქმნის ქვეყნის ფინანსურ სტაბილურობას.<sup>299</sup>

ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების მოწყვლადობა „კანონიერი ქურდების ინსტიტუტის“ ზემოქმედება საკმაოდ მავნე ფაქტორია ქვეყნის განვითარებაზე და მისი აღმოფხვრის სამართლებრივ-პოლიტიკური ასპექტები წარმოადგენს საკმაოდ სათუთ და ყურადსაღებ საკითხს, აუცილებელია კონკრეტული რეგულაციებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავება და სისრულეში მოყვანა.

### **3.3 თავი „კრიმინალური სუბკულტურის“ და მისი უმაღლესი იერარქების „კანონიერი ქურდების“ SWOT-Analyse - კვლევის მეთოდი**

„კრიმინალური სუბკულტურის“ და მისი უმაღლესი იერარქების „კანონიერი ქურდების“ როლი ქვეყანაში და საერთაშორისო პოლიტიკურ პროცესებში წარმოადგენს მნიშვნელოვან გამოწვევას ქვეყნის და საერთაშორისო

<sup>298</sup> The Brookings Institution - Organized Crime and Illicit Networks. (<https://www.brookings.edu/>) ბოლო ნახვა 11.11.2023

<sup>299</sup> Giannopoulos, G. Smith, H. Theocharidou, M. The Landscape of Hybrid Threats: A Conceptual Model Public Version , Luxembourg: Publications Office of the European Union, 2021 ყ. 54

პოლიტიკისათვის როგორც რეგიონული, ისე გლობალური უსაფრთხოების სტაბილურად განვითარების საქმეში. ამ მიმართულებით SWOT-ანალიზი გვაძლევს იმის საშუალებას, რომ უკეთ იყოს წარმოჩენილი თანამედროვე საერთაშორისო უსაფრთხოების სისტემაში „კრიმინალური სუბკულტურის“ და მისი უმაღლესი იერარქების, „კანონიერი ქურდების“ როლი, გეოპოლიტიკური და სამხედრო-სტრატეგიული და სამხედრო-პოლიტიკური პოტენციალი და შესაძლებლობები. თუკი ამ მეთოდის მიხედვით აქტორის, კონკრეტულად „კრიმინალური სუბკულტურის“ და მისი უმაღლესი იერარქების, „კანონიერი ქურდების“, ძლიერი მხარე და შესაძლებლობები აღემატება მის სუსტ მხარეებსა და საფრთხეებს, მაშინ მოცემულ სუბკულტურას გააჩნია ძლიერი პოზიციები საერთაშორისო პოლიტიკაში და შეაქვს თავისი წვლილი რუსეთის ფედერაციის მიერ წარმოებული „ჰიბრიდული ომის“ წარმოებაში როგორც რეგიონში, ისე კონტინენტზე და გლობალურად მსოფლიოს მასშტაბით. თუმცა, აღნიშნულ შემთხვევაში უნდა მოხდეს მათი დიფერენცირება თავიანთი სპეციფიკური საქმიანობებიდან გამომდინარე.

### **ძლიერი მხარე:**

„კრიმინალური სუბკულტურის“ და მისი უმაღლესი იერარქების „კანონიერი ქურდების“ ერთ-ერთ ძლიერ მხარედ შეიძლება ჩაითვალოს მყარი იდეოლოგიური საფუძვლების არსებობა, რომელიც ითვლის თითქმის ერთ საუკუნეზე მეტს, აქვე აღსანიშნავია სუბკულტურის ისეთი ძლიერი მხარეები, როგორიცაა მათი უნიკალურობა, ანუ რას ვგულისხმობთ ამ სიტყვაში, აღნიშნული სუბკულტურა წარმოქმნის დღიდან სისტემატურად ახდენს თავის ტრანსფორმაციას და ცვლილებას ქვეყანაში, რეგიონში და მსოფლიოში მიმდინარე პროცესების ან მოთხოვნების შესაბამისად მაშინ, როცა სხვა ტიპის „კრიმინალური სუბკულტურები“ ცდილობენ ძირდველი წესებისა და ჩვეულებების მიმდევრები იყვნენ. „ქურდული მენტალიტეტის“ მატარებელი სუბკულტურა სისტემატურად ახდენს ცვლილებებს

როგორც თავის წესებში, ისე თავის კანონებში, რაც მათ ანიჭებს უპირატესობას სხვა ტიპის „კრიმინალურ სუბკულტურებთან“ მიმართებაში და სამართალდამცავ ორგანოებთან ბრძოლაში. <sup>300</sup>

აქვე აუცილებელია აღინიშნოს ის გარემოებაც, რომ გარკვეული ძირძველი წესები და ჩვეულებები, რომლებიც ფაქტიურად წარმოადგენენ საფუძველს აღნიშნული სუბკულტურისა, არანაირ ცვლილებას არ ექვემდებარებიან. აღნიშნულიდან გამომდინარე შეგვიძლია დავასკვნათ ის ფაქტი, რომ ეს პრაქტიკა არ გვხვდება არც ერთ სხვა „კრიმინალურ სუბკულტურაში“, ანიჭებს მას უნიკალურობას და მოქნილობას .

მისი ისეთი ძლიერი მხარეები, როგორიცაა ძლიერი მართვა, მმართველობის მოქნილი სტრუქტურა, მაღალი მოტივაცია დაჯგუფების წევრებს შორის, დამოუკიდებელი ფინანსური წყაროების რეგიონის, კონტინენტის და მსოფლიოს მასშტაბით. ასევე აღსანიშნავია, ისეთი გარემოება, როგორიც არის აღნიშნული სუბკულტურის წევრების მიდრეკილება და მზაობა სამართალდამცავ ორგანოებთან თანამშრომლობისა, აღნიშნული გარემოება შესაძლებელია განვიხილოთ როგორც ძლიერ, ისე სუსტ მხარედაც, ვინაიდან თანამშრომლობა როგორც აძლიერებს, ასევე ასუსტებს „კრიმინალური სუბკულტურის“ პოზიციებს გლობალური ჰიბრიდული ომის წარმოებისას.

აუცილებლად აღსანიშნავია „კრიმინალური სუბკულტურის“ ისეთი ძლიერი მხარე, როგორიცაა ქვეყანაში ისტორიულად მოსახლეობის დიდი სიმპათია და მხარდაჭერა რაც მათ საშუალებას აძლევს, საკმაოდ ადვილად მოახდინონ კორუფციულ გარიგებებში მონაწილეობის მიღება და უფრო მეტიც, ქვეყანაში არსებულ ჩრდილოვან ეკონომიკაში მნიშვნელოვანი როლის შეასრულონ, როგორც არასახელმწიფოებრივმა აქტორმა. ამას კი ზემოთხსენებული სუბკულტურა მისი უმაღლესი იერარქების „კანონიერი ქურდების“ მეშვეობით აღწევენ თავისი ისეთი

<sup>300</sup> Smith Rupert, The Utility Of Force, The Art of War in The Modern World, England, Clys Ltd, St. Ives plc, 2005 pcp123

ძლიერი მხარის გამოყენებით, როგორიც არის ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ ცვლილებებზე მორგება.

აქვე აუცილებელია ვახსენოთ მათი ისეთი ძლიერი მხარეც როგორიც არის ქვეყნის გარეთ მთელი მსოფლიოს მასშტაბით ეფექტური სტრუქტურული დანაყოფების არსებობა, სიცოცხლისუნარიანობას ინარჩუნებენ ქვეყნიდან სისტემატურად ახალგაზრდების რეკრუტირებით და კრიმინალურ საქმიანობაში ჩართვით, მარტივად გამდიდრებისა და კრიმინალურ სამყაროში ძალაუფლების მოპოვების შესაძლებლობის მინიჭებით.

ყოველივე ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე „კრიმინალური სუბკულტურა“ და მისი უმაღლესი იერარქები „კანონიერი ქურდების“ სახით ცდილობენ გლობალური პოლიტიკის პირობებში კორელირება მოახდინონ იდეოლოგიურ პარადიგმებთან და მათი მეშვეობით მოახდინონ თავისი შესაძლებლობების და პოტენციალის (კრიმინალური, პოლიტიკური, ეკონომიკური) მობილიზება და მოახდინონ ქვეყნის შიდა საგარეო პოლიტიკური და ფინანსური პოზიციების გამყარება, რითიც ახდენენ გავლენას ქვეყნის პოლიტიკურ დღისწესრიგზე და თავისი სტრუქტურული ერთეულების გაძლიერებას.

### **სუსტი მხარეები:**

სუსტ მხარეებში იგულისხმება „კრიმინალური სუბკულტურის“ უმაღლესი იერარქების მხრიდან ქვეყანაში და მსოფლიოში დემოკრატიული გზით განვითარების და დემოკრატიული ინსტიტუტების გამლიერების შემთხვევაში მათი უუნარობა, მოახდინონ ტრანსფორმაცია აღნიშნულ ცვლილებებთან, ვინაიდან როგორც ასეთი „ქურდული მენტალიტეტი“ და სუბკულტურა არ არის შექმნილი ამ ტიპის განვითარების და ტრანსფორმაციისათვის, რადგან აღნიშნული კრიმინალური სუბკულტურის იდეოლოგია დამყარებულია ძალადობაზე, ადამიანის უფლებების

დარღვევაზე და კანონსაწინააღმდეგო ქმედებებზე, რაც კატეგორიულად ეწინააღმდეგება მსოფლიოში აღიარებულ დემოკრატიულ ფასეულობებს.<sup>301</sup>

ამასთანავე, აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ რაც უფრო ძლიერდება ქვეყანაში დემოკრატიული ინსტიტუტები, რაც მოიცავს მათ შორის საკანონმდებლო ბაზის ცვლილებას და შესაბამისობას მსოფლიოში მიღებულ და აპრობირებულ კანონმდებლობასთან (მათ შორის, საგანმანათლებლო და აღმზრდელობითი დაწესებულებებისთვის პროგრამების და გარკვეული მიდგომების შემუშავებას) მით უფრო იკლებს კრიმინალური სუბკულტურის გავლენები და შესაძლებლობები, საკანონმდებლო ბაზის გაუმჯობესება იწვევს სამართალდამცავი და სასამართლო ორგანოების გაძლიერებას, რაც თავისთვად ნიშნავს კრიმინალური სუბკულტურის პოზიციების შესუსტებას და მათი დანაშაულებრივი საქმიანობის შემცირებას.

აქვე აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ თუ რიგ შემთხვევაში აღნიშნული კრიმინალური სუბკულტურის წევრების სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლებთან თანამშრომლობის უნარი არის ძლიერი მხარე, მათთვის ასევე აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ აღნიშნული ქმედება ასევე წარმოადგენს სუსტ მხარესაც მათთვის, ვინაიდან სამართალდამცავი ორგანოების მიერ ხდება მათი დანაშაულებრივი საქმიანობის გაშიფრვა და შესაბამისი კონტრქმედებების შემუშავება მათ აღსაკვეთად.<sup>302</sup>

ამასთანავე, საკმაოდ წამგებიან პოზიციაში აყენებს აღნიშნულ კრიმინალურ სუბკულტურას მათ მიერ შექმნილი სისტემის გაუმჭვირვალობა, ვინაიდან საკმაოდ რთულია აკონტროლო ფინანსური და ადამიანური ნაკადები და მათი შესაბამისობა იდეოლოგიასთან და ქვეყანაში და მსოფლიოში არსებულ დემოკრატიულ ფასეულობებთან, აქვე აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ აღნიშნული სუბკულტურის წარმომადგენლები გამოირჩევიან ვიწრო პროფილური ინტერესებით, რომლებიც შემოიფარლება მხოლოდ მართლსაწინააღმდეგო ქმედებებით.

<sup>301</sup> Gavin Slade, Reorganizing Reorganizing Crime,Mafia and Anti-Mafia in Post-Soviet Georgia, Oxford University Press, pep: 156

<sup>302</sup> Weissmann, M. „ Hybrid Warfare: Security and Asymmetric Conflict in International Relations" London ,I.B.

Tauris,2021,pep;156

აუცილებელია ქვეყანაში მოხდეს სამოქალაქო კონტროლის განხორციელების გაძლიერება და მოსახლეობის განათლებისა და თვითშეგნების ამაღლება, განსაკუთრებით კი მოსწავლე-ახალგაზრდობაში, რის შედეგადაც ვეღარ მოხდება აღნიშნული სუბკულტურის მიერ თავისი გავლენების გაძლიერება.

### **შესაძლებლობები:**

უმთავრესი, ალბათ, რასაც უნდა შევეხოთ „კანონიერი ქურდების“ და აღნიშნული კრიმინალური სუბკულტურის წარმომადგენლების შესაძლებლობების აღწერისას არის ის, თუ როგორ ახდენენ ისინი ქვეყანაში არსებული სოციალურ-ეკონომიკური ვითარების გამოყენებას პოლიტიკური ბრძოლის ინსტრუმენტად ქვეყნის მიერ თავისუფლების მოპოვების შემდეგ სისტემატურად, რის შედეგადაც ფაქტიურად უცვლელ ინსტრუმენტად იქცნენ ქვეყანაში პოლიტიკური დღის წესრიგის დადგენის ან მასზე პოლიტიკური ზემოქმედების. ამ გარემოებას საკმაოდ ოსტატურად იყენებს რუსული სპეცსამსახურები.

აქვე აღსანიშნავია ისეთი გარემოება როგორიც არის მზარდი მოთხოვნა სახელმწიფოებრივ სტრუქტურების მხრიდან მათთან თანამშრომლიბის ვინაიდან საკმაოდ ხშირად ხდება მათი შესაძლებლობების მართველი პარტიის მიერ გამოყენება თავისი მიზნების მისაღწევად, რადგან მათ გააჩნიათ გარკვეული გავლენა და შეუძლიათ მოახდინონ ზეწოლაც კი ქვეყნის მოსახლეობის გარკვეულ კატეგორიაზე რაც მართველი პარტიისათვის არის საინტერესო და მიმზიდველიც.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე აღნიშნული სუბკულტურა თავისი უძალესი ერარქებით ხდებიან საკმაოდ მოთხოვნადი რუსული სპეცსამსახურებისთვის ჰიბრიდულ ომში აქტიურად ჩასართვად, რა დროსაც ხდება მათი მიზნობრივი გამოყენება რაც ამ ეტაპზე საკმაოდ წარმატებულად არის აპრობირებული.

ასევე არის აუცილებელი ავღნიშნოთ ის გარემოებაც რომ აღნიშნული სუბკულტურის ერთ-ერთი ძლიერი მხარე რომელიც მათტვის სარგებლის მომტანის არის არის მათი მონაწილეობა სახელმწიფო სტრუქტურების და კერძო ბიზნესის წარმომადგენლებითან კოორდინირებულად ე.წ. „ფულის გათეთრების“ და სხვა კორუფციულ საქმიანობაში, აღნიშნული საქმიანობა მათ აძლიერებს და საშუალებას აძლევს აწარმოონ ქვეყნის ეკონომიკის დასუსტებაზე მიმართული ჰიბრიდული ომი. კრიმინალური სუბკულტურის წარმომადგენლები ყოველივე ზემოთ აღწერილ საქმიანობას აწარმოობენ სწრაფი ტრანსფორმაცის შედეგად რაც ახალი გამოწვევებიდან გამომდინარე წარმოიქმნება ხოლმე აქვე აღსანიშნავია მათი ხუთი მიმართულებაზე გაჩერება რომლის მეშვეობითაც არ კარგავენ აქტუალურობას და მოთხოვნადობას ააღნიშნულ ტრანსფორმაციაში ეს ხუთი მიმართულება ეფუძნება:


- 1) აღიანსურ პარტნიორობას მიზნის მისაღწევად
- 2) გლობალურ განვითარებას მთელი მსოფლიოს მასშტაბით
- 3) სახალხო დიპლომატიას ქვეყნის შიგნით და საზღვრებს გარეთ
- 4) ქვეყნის ჩრდილოვან ეკონომიკაში ინტეგრაციას
- 5) ტექნოლოგიასა და ინოვაციურ განვითარებას და აღნიშნულის კრიმინალური მიმართულებით გამოყენებას

### **საფრთხეები:**

აღნიშნულ კონტექსტში, კრიმინალური სუბკულტურის მოხსენიებისას აუცილებელია დავიწყოთ საუბარი ისეთ გარემოებაზე როგორიც არის კრიმიანული სუბკულტურის წარმომადგენლებთან და უმაღლეს ერარქებთან „ კანონიერ ქურდებთან“ თანამშრომლობის სურვილის მქონე სუბიექტების და იურიდიული

პირების შეზღუდელობაზე რა დროსაც ისინი შეზღუდულები არიან როგორც თავის საქმიანობაში ისე აღნიშნული თანამშრომლობის აფიშირებისგან ვინაიდან აღნიშნული თანამშრომლობა შესაძლებელია გახდეს ქვეყნის მალოვანი სტრუქტურების ინტერესების საფუძველი რამაც შეიძლება გამოიწვიოს როგორც იმიჯის ვარდნა ბიზნეს წრეებში ისე გარკვეული სამართლებრივი სანქციებიც ვინაიდან აღნიშნული სუბკულტურის წარმომადგენლები აწარმოებენ მართლსაწინააღმდეგო და დამაზიანებელ საქმიანობას.

ამასთანავე ხშირ შემთხვევებში აღნიშნული სუბკულტურის წარმომადგენლები თავიანთი საქმიანობიდან გამომდინარე იმყოფებიან სამართალდამცავი ორგანოების მხრიდან ძებნილთა სიაში მოხვედრილები რაც საკმაოდ ართულებს მათ როგორც გადაადგილებას ისე ოფიციალურ მონაწილეობას რაიმე ლეგალურ საქმიანობაში, აღნიშნული იწვევს მათი რიგებიდან კვალიფიკაციური კადრების კლებადობის ფაქტორს აღნიშნული საკმაოდ პრობლემატურია ნებისმიერი ორგანიზაციისათვის განსაკუთრებით ისეთისთვის როგორიც არის კრიმინალური სუბკულტურა რომელიც ისედაც შეზღუდულია კვალიფიციური კადრებით. ალბათ უმთავრესი და ალბათ ყველაზე დიდი საფრთხის მატარებელია კრიმინალური სუბკულტურის წარმომადგენლებისთვის არის ჩრდილოვანი ეკონომიკის შესუსტება და მისი ქონის ინტერესის გაქრობა საზოგადოებაში, აღნიშნულის მიღწევით ფაქტიურად უფუნქციოთ ტოვებს აღნიშნული სუბკულტურის წარმომადგენლებს ვინაიდან ფინანსური საფუძვლის არ არსებობის შემთხვევაში საკმაოდ შესუსტდება და დაკარგავს თავის გავლენებს და ძლევამოსილებას.



### **3.4 „კრიმინალური სუბკულტურის” და მისი უმაღლესი ერარქების „კანონიერი ქურდების” ემპირიული კვლევა და ანალიზი**

ემპირიული კვლევის ანალიზის ჩატარების პროცესში გამოკითხულ იქნენ დარგის სპეციალისტები, რომლებიც წარმოადგენ მაღალი რანგისა და სამხედრო წოდების უსაფრთხოების სპეციალისტებს, ანალიტიკოსებსა და პოლიტოლოგებს, კვლევის ფარგლებში ჩატარდა ნახევრად სტრუქტურირებული ჩაღრმავებული ინტერვიუ. რესპონდენტების შერჩევისას, აქცენტი გაკეთებულ იქნა მათ თეორიულ და პრაქტიკულ გამოცდილებაზე, როგორც სამხედრო უსაფრთხოების, აგრეთვე პოლიტიკის დაგეგმარების კუთხით. ჩაღრმავებული ინტერვიუს ფარგლებში გამოკითხულ იქნა ექვსი რესპონდენტი, ხოლო ინტერვიუს ჩატარების მიზნით შეირჩა ექვსი კითხვა. ინტერვიუები ექსპერტებთან ჩაწერილ იქნა 2023 წლის ნოემბერში (რესპონდენტთა პასუხები იხ. დანართში).

- ვახტანგ გაპანაძე -** პროფესორი, სამხედრო მეცნიერებათა დოქტორი, გენერალური შტაბის ყოფილი უფროსი, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის პროფესორი, GC ჯეოჟეისის ანალიტიკოსი, თადარიგის გენერალ - მაიორი;
- ნოდარ ხარშილაძე-** ყოფილი თავდაცვის და შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე, საქართველოს სტრატეგიული ანალიზის (GSAC) ცენტრის დამფუძნებელი.
- თეიმურაზ კეკელიძის-** საზღვრის დაცვის დეპარტამენტის თავმჯდომარე, საქართველოს სრულუფლებიანი ელჩი კვიპროსში.
- ზურაბ აგლაძის-** ვიცე პოლკოვნიკი, სახმელეთო ჯარების ყოფილი სარდლი, თადარიგის ვიცე-პოლკოვნიკი.
- თეონა აქუბარდიას-** საქართველოს პარლამენტის წევრი.

## **ემპირიული კვლევის მეთოდოლოგია**

1. როგორ დაახასიათებთ თქვენი მოსაზრებით (კანონიერი ქურდების) ინსტიტუტის რაობას?
2. როგორ უკავშირდება აღნიშნული ფენომენი ქვეყნის პოლიტიკურ სისტემასთან(გთხოვთ გამოყოთ ძირითადი მომენტები)?
3. რამდენად შეიძლება წარმოჩნდეს კანონიერი ქურდების ინსტიტუტი როგორც არა სამხედრო ხასიათის ასიმეტრიული საფრთხე?
4. რა კავშირი გაჩნია ჰიბრიდული ომის თეორიას კანონიერი ქურდების ინსტიტუტთან?
5. შეიძლება თუ არა განვიხილოთ კანონიერი ქურდების ინსტიტუტი როგორც განყენებული დე-ფაქტო პოლიტიკური ქვე-სისტემა ქვეყნის შიგნით?
6. რა ღონისძიებები და როგორი სახის პოლიტიკური ხასიათის რეკომენდაციები შეიძლება შემუშავდეს ამ საკითხს პრევენციის აღვეთის და ლიკვიდაციის მიზნით?

კითხვაზე, როგორ დაახასიათებთ თქვენი მოსაზრებით(კანონიერი ქურდების) ინსტიტუტის რაობას, ექსპერტთა განმარტება სრულ თანხვედრაშია მოცემულობასთან.

გენერალ - მაიორ ვახტანგ კაპანაძის მოსაზრებით, ზოგადად ეს ინსტიტუტი წარმოადგენს კრიმინალურ სუბ-კულტურას და კრიმინალურ შიდა საორგანიზაციო იერარქიას, ქურდული ინსტიტუტი არ წარმოადგენს მხოლოდ საბჭოთა ფენომენს, იგი ფართოდ არის გავრცელებული მთელს მსოფლიოში, მაშინ როდესაც, კანონიერი ქურდების ინსტიტუტი ზე-ოჯახური და ზე-ეროვნულია.

პოლიტოლოგი ნოდარ ხარშილაძეს მოსაზრებით, ორგანიზებული დანაშაულებრივი კრიმინალური დაჯგუფებები, დღეის მდგომარეობიდ ძალიან განვითარებულია და ეს ფაქტია და გასაგებია, თუმცა ქურდული ინსტიტუტი ბევრად უარესია ვიდრე ორგანიზებული კრიმინალი, ვინაიდან გარდა კრიმინალური ასპექტისა მას გააჩნია ფილოსოფიური, საზოგადოებრივი ასპექტი, რომელიც რყვნის საზოგადოებას ქვეყნის მასშტაბით.

ელჩი თემურაზ კეკელიძეს მოსაზრებით, ეს არის ფენომენი რომელიც სცილდება ოორგანიზებული დანაშაულის მხოლოდ კრიმინალურ ფოორმას, მას რეალურად აქვს გარკვეული სხვა და სახვა ტიპის გავლენები ჩვენს ყოფაცხოვრებაზე, აქვე აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ამ სუბკულტურას აქვს ღირებულებითი გავლენა მოსახლეობის დიდ ნაწილზე.

ვიცე პოლკოვნიკი ზურაბ აგლაძის მოსაზრებით, აღნიშნული სუბკულტურის დახასიათების დროს უნდა ავღნიშნოთ შემდეგი, კრიმინალური სუბკულტურა არაფრით არ განსხვავდება სხვა სისტემისგან, უბრალოდ ეს სისტემა მოწყვლადია იმ მხრივ, რომ ქვეყნის შიგნით ანგრევს საზოგადოებას ერთმნიშვნელოვნად, და მეორე მოწყვლადი იმიტომ არის, რომ მასზე(ანუ კრიმინალზე) გავლენის მოპოვება ძალიან ადვილი არის, და ეროვნული უსაფრთხოების ასპექტში ქვეყნისთვის, საკმაოდ ცუდი როლი შეიძლება ითამაშოს ამ ქურდულმა მენტალიტეტმა და ინსტიტუტმა, რო ჩამოვაყალიბოთ მარტივად მათთნ ეთნიკური და პოლიტიკური მიკერძოება არ თამაშობს არავითარ მნიშვნელობას, ამის გამო მათ გამოყენება ძალიან ადვილია ქვეყნის წინააღმდეგ.

პარლამენტის წევრის თეონა აქუბარდიას მოსაზრებით, კანონიერი ქურდების ინსტიტუტი არის ცალკე სუბკულტურა რომლის ისტორიაც იწყება ჯერ კიდევ მეფის რუსეთის პერიოდიდან, შემდგომში უკვე კომუნისტების პერიოდში აღნიშნულმა სუბკულტურამ განიცადა ფაქტიური რენესანსი და თავის განვითარების პიკს მიაღწია, აღნიშნულ სუბკულტურას აქვს თავისი კანონები და არ აღიარებს სახელმწიფოში არსებულ კანონებს და ქცევის წესებს, აღნიშნული კანონების

მეშვეობით ისნი ცდილობენ როგორც დანაშაულებრივ გამდიდრებას, ისე გარკვეული გავლენების მოპოვებას მოსახლეობაში, ისინი არიან სახელმწიფოსთვის საფრთხის შემცველი რამდენადაც ამ შემთხვევაში სხვა სახელმწიფოს ინტერესების გატარების რისკებს ქმნიან.

კითხვაზე, როგორ უკავშირდება აღნიშნული ფენომენი ქვეყნის პოლიტიკურ სისტემასთან (გთხოვთ გამოყოთ ძირითადი მომენტები), ექსპერტთა განმარტება სრულ თანხვედრაშია მოცემულობასთან.

გენერალ - მაიორ ვახტანგ კაპანაძის მოსაზრებით, ავტორიტეტული რეჟიმები ცდილობენ აღნიშნული ფენომენი გამოიყენონ მოსახლეობის გარკვეული ფენების მართვისთვის, ხოლო კორუმპირებული რეჟიმები (რაც არ გამორიცხავს ორივეს ერთად), იყენებენ მას საკუთარი ბიზნესის კონტროლისთვის.

პოლიტოლოგი ნოდარ ხარშილაძეს მოსაზრებით, არის შესაძლებლობა აღნიშნული სუბკულტურის მიერ ხელისუფლებიაში მოსვლის ქვეყანაში, მაგალითად მოსატანინა ოთხმოცდაათიანი წლები როდესაც საქართველოს აღმასრულებელ და საკანონმდებლო ორგანოებში მრავლად იყვნენ კრიმინალური სუბკულტურის წარმომადგენლები, აქედან გამომდინარე თუ სახელმწიფო არ გადაგავს ქმედით ნაბიჯებს აღნიშნულ სუბკულტურასთან საბრძოლველად შესაძლებელია აღნიშნული სუბკულტურის წარმომადგენლების ხელისუფლებაში აქტიურად მოვიდნენ.

ელჩი თემურაზ კეკელიძის მოსაზრებით, კრიმინალური სუბკულტურის მიერ ხშირად ხდება მოსახლეობაზე ზეწოლა როგორც ამომრჩეველზე, აღნიშნულიდან გამომდინარე ბუნებრივად ხდებოდა სხვადასხვა პოლიტიკურ ძალებსა და აღნიშნულ სუბკულტურის წარმომადგენლებს შორის ერთმანათთან დაკავშირება, რადგან იცოდნენ რა პოლიტიკურმა ძალებმა, მათი (კრიმინალების) გავლენები ამომრჩევლზე, ხდებოდა გარკვეული ალიანსების შედგენა ერთმანეთთან ურთიერთ დახმარებაზე, რის შემდგომაც ამ კრიმინალური სუბკულტურისგან დავალებული პოლიტიკური

ძალა, შესაბამისად იღებდა ვალდებულებას მათი ინტერესების ქვეყნის მასშტაბით გატარების, რაც რა თქმა უნდა მოქმედებდა ქვეყნის პოლიტიკურ დღისწესრიგზე და გავლენას ახდენდა მის ჩამოყალიბებაზე.

ვიცე პოლკოვნიკი ზურა აგლაძის მოსაზრებით, კრიმინალური სუბკულტურის წარმომადგენლების კანონიერი ქურდების სახით, კავშირი პოლიტიკურ სისტემასტან არის პირდაპირი, ვინაიდან იმ ჰიბრიდული ომის წარმოებისას რომელსაც რუსეთის ფედერაცია აწარმოებს საქართველოს წინააღმდეგ მათი როლი ქვეყნის პოლიტიკურ დღისწერსიგში არის საკმაოდ მნიშვნელოვანი, მაშინ თუ ამერიკის ტერიტორიაზე რუსეთის ფედერაცია ტექნოლოგიების საშუალებებით აწარმოებს გარკვეულ ზეწოლას მაგალითისთვის მოსატანია ბოლო საპრეზიდენტო არჩევნები სადაც პრეზიდენტ დონალდ ტრამპის მიერ მოპოვებული გამარჯვება დღესაც კი არის ბურუსით მოცული, უკვე საქართველოში ხდება უშუალოდ აღნიშნული სუბკულტურის წარმომადგენელების ფიზიკური ჩარევის დემონსტრირება.

პარლამენტის წევრი თეონა აქუბარდიას მოსაზრებით, შემიძლია გიპასუხოთ რომ აღნიშნული ფენომენი პირდაპირ უკავშირდება ქვეყნის პოლიტიკურ სისტემას და უფრო მეტსაც გეტყვით დღეის მონაცემებით საკმაოდ კარგად გამოიყენება ქვეყანაში პოლიტიკური დღის წესრიგის დასამყარებლად.

კითხვაზე , რამდენად შეიძლება წარმოჩნდეს კანონიერი ქურდების ინსტიტუტი როგორც არა სამხედრო ხასიათის ასიმეტრიული საფრთხე. ექსპერტთა განმარტება სრულ თანხვედრაშია მოცემულობასთან.

გენერალ - მაიორ ვახტანგ კაპანაძის მოსაზრებით, ასიმეტრიული ზემოქმედების ერთ-ერთ მნიშვნელოვან მეთოდს წარმოადგენს სამიზნე ქვეყნის ეკონომიკისა და პოლიტიკის სფეროში ძირგამომთხრელი საქმიანობა, ასევე არსებული ხელისუფლებისა და სახელმწიფო ინსტიტუტების დისკრედიტაცია, რაშიც ქურდულ სამყაროს შეუძლია მნიშვნელოვანი როლი ითამაშოს.

პოლიტოლოგი ნოდარ ხარშილაძეს მოსაზრებით, ჯერ ერთიც არასამხედრო ხასიათის საფრთხეს კანონიერი ქურდები იმიტომ წარმოადგენენ, რომ მათ აღნიშნული ტიპის საფრთხედ ყოფნა საჭირო არ არის, ხოლო თუ მათ დაჭირდათ მათ ჩვეულებრივად შეუძლიათ გარდაიქმნან სამხედრო ხასიათის საფრთხედაც, ალბათ ყველაზე დიდი ჰიბრიდული საბრთხე ეს არის კანონიერი ქურდების ინსტიტუტი, აღნიშნული სუბკულტურა მოიცავს კლასიკურ კრიმინალს როგორიც არის ძარცვა, ქურდობა, ყაჩაღობა და ბანდიტიზმი, აღნიშნული სუბკულტურის ერთ-ერთი მიმართულება მოიცავს ასევე პიარ ნაწილს, ხდება ამ ტიპის ცხოვრების რომანტიზაცია განსაკუთრებით კი ახალგაზრდებში რათა შემდგომ მოხდეს მათი რეკრუტირება თავიანთ რიგებში.

სრულუფლებიანი ელჩი თეიმურაზ კეკელიძის მოსაზრებით, საფრთხე რეალურად არის იმიტომ, რომ რადგანაც ეს ფენომენი პირდაპირ გავლენას ახდენს თაობების ღირებულებათა სისტემის ჩამოყალიბებიაზე, გავლენას ახდენს პოლიტიკურ პროცესებზე, გავლენას ახდენს ეკონომიკურ ურთიერთობებზე და სიტუაციაზე ქვეყანაში, ამრიგად ეს ყველაფერი არის ჩრდილოვანი კანონ გარეშე და ხშირ შემთხვევაში კანონსაწინააღმდეგო ეს ბუნებრივად წარმოადგენს საფრთხეს სახელმწიფოსთვის როგორც ინსტიტუტისთვის.

ვიცე-პოლკოვნიკი ზურა აგლაძეს მოსაზრებით, აღნიშნული ინსტიტუტის მოქმედება პირდაპირ შეიძლება წარმოჩინდეს როგორც არასამხედრო ასიმეტრიული საფრთხე, ვინაიდან მტრულად განწყობილი ისეთი სახელმწიფო როგორიც არის რუსეთის ფედერაცია, პირდაპირ დაუფარავად იყენებს მათ პოლიტიკური დღისწესრიგის თავისთვის სასურველი მოდელის შესაქმნელად.

საქართველოს პარლამენტის წევრის თეონა აქუბარდიას მოსაზრებით, რა თქმა უნდა კანონიერი ქურდების ინსტიტუტი წარმოადგენს არა სამხედრო ხასიათის ასიმეტრიულ საფრთხეს ქვეყნისთვის ვინაიდან არჩევნების პერიოდში პირდაპირ ხდება მათი გააქტიურება ქვეყნის მასშტაბით და მათ შეუძლიათ გარკვეული გავლენა მოახდინონ არცევნების პროცესზე.

კითხვაზე, რა კავშირი გაჩნია ჰიბრიდული ომის თეორიას კანონიერი ქურდების ინსტიტუტთან. ექსპერტთა განმარტება სრულ თანხვედრაშია მოცემულობასთან.

გენერალ - მაიორ ვახტანგ კაპანაძის მოსაზრებით, მითითებული გარემოების გამო, მოწინააღმდეგებ შესაძლოა გამოიყენოს აღნიშნული ფენომენი. ასევე, მისი ინტერნაციონალური ხასიათიდან გამომდინარე, ადვილად შესაძლებელია გამოყენებულ იქნას სადაზვერვო-ძირგამომთხრელი საქმიანობისთვის.

პოლიტოლოგი ნოდარ ხარშილაძეს მოსაზრებით, ძალიან მარტივი არის ჰიბრიდული ომის წარმოების თეორია გამოიყენო კანონიერ ქურდებზე, ჰიბრიდი რას გულისხმობს? ჰიბრიდი არის რამოდენიმე ძალის ერთობლიობა ერთი მიმართულებით, ანუ ხდება კომპლექსური ქმედებების გამოყენება, რაც მოიცავს პიარის დაშინების დაშანტაჟების და სხვა ზეწოლის ელემენტების გამოყენებას, რაც თავისთავად წარმოადგენს ჰიბრიდული ომს ელემენტს.

სრულუფლებიანი ელჩი თეიმურაზ კეკელიძის მოსაზრებით, ჩემის აზრით აქ შეიძლება ვივარაუდოთ რომ მათ შორის კავშირი არსებობს, ეს არ არის მხოლოდ ქართული ფენომენი ეს არის საბჭოთა ფენომენი რომელიც წარმოიშვა ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირში და განვითარება შეძლო რუსეთის ფედერაციაში, რუსეთის ფედერაცია კი ამ მომენტისთვის წარმოადგენს ჩვენი ქვეყნისთვის როგორც ჰიბრიდული ისე კონვენციური საფრთხეების მთავარ წყაროს, რაც თავისთავად წარმოადგენს ჰიბრიდული ომის ელემენტს.

ვიცე-პოლკოვნიკი ზურა აგლაძის მოსაზრებით, თუკი ჩვენ დაუჯერებთ ჰოფფმანს მისი ერთ ერთი ძირითადი ფაქტორი არის კრიმინალი, კრიმინალური ქმედებები ჰიბრიდული ომის წარმოების ჭრილში, და მაგალითიც რო მოვიყვანოთ აღნიშნული

პირველი შემთხვევა არ არის, მოდით ავიღოთ მაგალითისთვის ამერიკის შეერთებული შტატები, მათთაც კი სჭირდებოდათ ხანდახან კრიმინალთან ურთიერთობა, თუნდაც მეორე მსოფლიო ომის პერიოდში სახელმწიფოსა და იტალიური მაფის მჭიდრო თანამშრომლობა სიციილის ოპერაციის და ქვეყანაში არსებული პორტების დაცვის პროცესში, ეს ნათელი მაგალითია მათი თანამშრომლობის, ჩვენ ქვეყანაში კი მითუმეტეს უფრო ადვილად აღსაქმელია აღნიშნული კორპორაცია თუნდაც ოთხმოცდაათიანი წლები რომ ავიღოთ ჯაბა იოსელიანის და სხვა პირების მიერ მაღალი სახელმწიფო თანამდებობების დაკავებით.

საქართველოს პარლამენტის წევრის თეონა აქუბარდიას მოსაზრებით, კანონიერი ქურდების ინსტიტუტს გააჩნია უშუალო კავშირი ქვეყნის დემოკრატიულ განვითარებაზე და წარმოადგენენ ჰიბრიდულ საფრთხეს ქვეყნისთვის ვინაიდან ისი იმართებიან სპეც-სამსახურების მიერ განსაკუთრებით კი რუსული სპეცსამსახურების მიერ რაც ქვეყნის ეროვნულ უსაფრთხოებას აყენებს პირდაპირ დარტყმას.

კითხვაზე, შეიძლება თუ არა განვიხილოთ კანონიერი ქურდების ინსტიტუტი როგორც განყენებული დე-ფაქტო პოლიტიკური ქვე-სისტემა ქვეყნის შიგნით. ექსპერტთა განმარტება სრულ თანხვედრაშია მოცემულობასთან.

გენერალ - მაიორ ვახტანგ კაპანაძის მოსაზრებით, აღნიშნული სუბკულტურა უფრო წარმოადგენს სოციოლოგიურ ქვე-სისტემას თავისი კვაზი-მორალით, ქცევის წესებითა და იერარქიით.

პოლიტოლოგ ნოდარ ხარშილაძის მოსაზრებით, დე ფაქტო კი, განყენებულად მისი აღქმა ცოტა რთულია, ვინაიდან დღესაც ბევრი მაღალი თანანმდებობის პირი არის გარშემორტყმული კრიმინალური წარსულის მქონე პირებით, აქედან გამომდინარე

განყენებულს კი არა უფრო ინტეგრირებულს ვიტყოდი მე, ვინაიდან მათ (კანონიერმა ქურდებმა) უფრო ინტეგრაცია განიცადეს ქართულ პოლიტიკაში.

სრულუფლებიანია ელჩი თეიმურაზ კეკელიძის მოსაზრებით, ერთის მხრივ პოლიტიკურ ასპექტში ამ საკითხს ვერ განვიხილავ ვინაიდან თვითონ ამ სუბკულტურის კანონები არსებითად ეწინააღმდეგება ამ პრინციპს, მეორეს მხრივ ეს რეალურად არის პოლიტიკური ფაქტორი, ეს ფენომენი წარმოადგენს ფაქტორს რომელიც ახდენს გავლენას ქვეყნის პოლიტიკურ ეკონომიკურ და ღირებულებებით ფაქტორებზე ქვეყნის მოსახლეობის.

ვიცე-პოლკოვნიკი ზურა აგლაძის მოსაზრებით, კი რა თქმა უნდა ისინი წარმოადგენენ გარკვეულ პოლიტიკურ ქვე სისტემას ქვეყნის შიგნით შედარება რომ გავაკეთოთ, წარმოიდგინეთ რომ მიუხედავად იმისა რომ ისინი თავის დროზე აღიარებდნენ რომ ისისნი პოლიტიკაში არ ერევოდნენ დროთა განმავლობაში ისინი ერთ რამეს მიხვდნენ, რომ პოლიტიკის გარეშე მათი სუბკულტურის და მართველობის სისტემის გადარჩენა შეუძლებელია და ამიტომ მათ საკამოდ მნიშვნელოვანი ნიშა და როლი დაიჭირეს ქვეყნის პოლიტიკურ ველზე.

საქართველოს პარლამენტის წევრის თეონა აქუბარდიას მოსაზრებით, რა თქმა უნდა კანონიერი ქურდების ინსტიტუტი განიხილება როგორც პოლიტიკური ქვე-სისტემა ქვეყანაში, ვინაიდან მათ მიერ ხდება ჩრდილოვანი მართვა პოლიტიკური პროცესების და მათი არაფორმალური მართვა გარკვეულ გავლენას ახდენს ქვეყნის პოლიტიკურ დღისწესრიგზე.

კითხვაზე, რა ღონისძიებები და როგორი სახის პოლიტიკური ხასიათის რეკომენდაციები შეიძლება შემუშავდეს ამ საკითხის პრევენციის აღკვეთის და ლიკვიდაციის მიზნით ექსპერტთა განმარტება სრულ თანხვედრაშია მოცემულობასთან.

გენერალ - მაიორ ვახტანგ კაპანაძის მოსაზრებით, უნდა მოხდეს მოსახლეობის მასებიდან მისი იზოლირება, ახალგაზრდებისთვის უნდა გახდეს არამიმზიდველი და შეწყდეს „იდეალიზება“ მას-კულტურის საშუალებებით.

პოლიტოლოგ ნოდარ ხარსილაძის მოსაზრებით, მე ვფიქრობ საჭიროა რადიკალური ზომების მიღება, თუმცა არნიშნული უნდა მოხდეს დემოკრატიული ფასეულობების დაცვით და დემოკრატიული ღირებულებების მაღალი სტანდარტებით, უნდა მოხდეს კანონიერი ქურდების და მათი მიმდევრების იზოლაცია განსაკუთრებით პენიტენციურ დაწესებულებებში რათა არ მოხდეს მათი მხრიდან ახალი წევრების რეკრუტირება თავის რიგებში.

სრულუფლებიანი ელჩის თეიმურაზ კეკელიძის მოსაზრებით, მცდელობა ამისი სწრაფი აღმოფხვრის იყო წინა ხელისუფლების მიერ წარუმატებელი, მე არ ვთვლი აღნიშნული სუბკულტურის შეზღუდვა შესაძლებელია, თუმცა ჩვენ თუ ვისაუბრობთ ამ ფენომენის როგორც ასეთის აღმოფხვრაზე ამას დიდი დრო და თაობებთან მუშაობა დასჭირდება, განსაკუთრებით ახალგახრდა თაობებთან, სკოლის ასაკიდანვე უნდა იყოს ღირებულებათა სისტემა მიწოდებული სხვა კუთხიდან, აუცილებელია საკანონმდებლო ბაზების შეცვლა და მაქსიმალურად უნდა შეიზღუდოს აღნიშნული სუბ-კულტურის გავლენა ქვეყნის პოლიტიკურ და ეკონომიკურ სივრცეში.

ვიცე-პოლკოვნიკ ზურა აგლაძის მოსაზრებით, აქ ჩვენ ბევრი ვარიაცი გვქონდა აღნიშნულ სუბკულტურასთან ბრძოლის, ვცადეთ სხვა და სხვა ვარიანტები აღნიშნული ბრძოლის, მარტო ჩვენთან არა მთელი მსოფლიოს მასშტაბით, თუმცა ამ ეტაპზე მნიშვნელოვანი ხანგრძლივი შედეგის მიღება ვერ მოხერხდა, ამიტომ ჩემის აზრით ყველაზე კარგი და მოქმედი გზა მათთან ბრძოლის იქნება მათი იზოლაცია ქვეყნის მოსახლეობიდან, თუმცა აღნიშნული უნდა მოხდეს მათი უფლებების და მსოფლიოში მიღებული მაღალი დემოკრატიული სტანდარტების დაცვით.

საქართველოს პარლამენტის წევრის თეონა აქუბარდიას მოსაზრებით, პირველი რეკომენდაცია რაც არის ოგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლაში არის ის, რომ აუცილებელია მათი გავლენების შემცირება ქვეყნის მოსახლეობაზე, მეორეს მხრივ

აუცილებელია ოგანიზებლი დნაშაულებრივი ჯგუფების იზოლაცია ქვეყნის პოლიტიკური დღისწესრიგიდან, უნდა მორჩეს ამ სუბკულტურის წარმოამდგენლების რომანტიზმიზირება ქვეყნის მოსახლეობისთვის, აუცილებელია შემუშავდეს სოციალური პროგრამები მოწყვლადი ჯგუფის მოსახახლეობისთვის განსაკუთრებით კი მოსწავლე ახალგაზრდობისთვის.

სადისერტაციო ნაშრომის კვლევის პროცესში, წარმოდგენილი „SWOT“ ანალიზის და ემპირიული კვლევის მეთოდოლოგიით ჩატარებული კვლევების მიზანს წარმოადგენდა, ქვეყნის ეროვნული უსაფრთხოების წინაშე მდგარი ჰიბრიდული გამოწვევების განსაზღვრა, რომელიც ხელს შეუწყობს აღნიშნული საკითხის უკეთ აღქმაში.

ემპირიული კვლევის ჩატარების შედეგად გამიკითხული ექსპერტებისგან მიღებული კითხვების ანალიზით შეგვიძლია დავასკვნათ შემდეგი, სრულიად დადასტურდა ჰიპოტეზაში აღწერილი მოცემულობა თანამედროვე ქვეყნების პოლიტიკურ სისტემაზე უარყოფითი ზემოქმედება, ისეთი აქტორების, როგორიცაა „კანონიერი ქურდების“ ინსტიტუცია და მათი დიდი გავლენა, რომლის შედეგადაც, მათი საქმიანობა პირდაპირ კორელირდება სახელმწიფოს ეროვნული უსაფრთხოების მოწყვლადობასთან არა მარტო სამართლებრივ, არამედ პოლიტიკურ, სამხედრო და საზოგადოებრივი გამოწვევების კონტექსტში მასთან ბრძოლის კუთხით.

ამ პროცესში აუცილებელ კომპონენტს, მათთან ბრძოლის საქმეში, წარმოადგენს პოლიტიკური ინსტრუმენტების ამოქმედება, აქვე აღსანიშნია ის გარემოებაც, რომ თანამედროვე მსოფლიოში ქვეყნის დემოკრატიული განვითარებისთვის უმნიშვნელოვანესია ქვეყნის ეროვნული უსაფრთხოების ქმდეითი მოდელის შემუშავება და მისი ეფექტური გამოყენება.

ამასთანავე მხოლოდ ქმედითი ნაბიჯების გადადგმა, შესაძლებელია არ აღმოჩნდეს საკმარისი კრიმინალურ სუბკულტურასთან ბრძოლის პროცესში, უპირატესობის განმსაზღვრელ ფაქტორად.

გარდა ზემოთღნიშნულისა, მნიშვნელოვან ასპექტს წარმოადგენს მართვისა და კონტროლის მექანიზმების კოორდინირებული მოქმედება, როგორც ძალოვანი სტრუქტურების მხრიდან, ასევე სამოქალაქო სექტორში. თანამედროვე მსოფლიოში წარმოებული ჰიბრიდული ომის მაგალითზე ნათლად ჩანს, რომ მხოლოდ უსაფრთხოების ზომების განვითარებით ქვეყანის წინაშე მდგარი საფრთხეების განეიტრალება შეუძლებელია, ამისათვის აუცილებელია ქმედითი და კომპლექსური ღონისძიებების შემუშავება ქვეყნის ხელისუფლებისთვის.

## დასკვნა

საერთო ჯამში, აღსანიშნავია ის გარემოება, რომ გეოპოლიტიკური მასშტაბით, ერთ-ერთი ლიდერის პოზიციის დასაბრუნებლად, რუსეთის ფედერაციამ, ცივი ომიდან განსხვავებით, შეიმუშავა ახალი სტრატეგია ომის წარმოების. ჰიბრიდული ომის სახით, რაც ბევრად უფრო წარმატებული და ნაყოფიერია მისთვის, ამისათვის რუსული სპეც. სამსახურების მაღალჩინოსნების და პოლიტიკური ელიტის მიერ ჯერ კიდევ, ოთხმოციანი წლების ბოლოს და ოთხმოცდაათიანი წლების დასაწყისში შემუშავდა, ოპერატიულ სამოქმედო გეგმა, ჰიბრიდული ომის წარმოების, რომელიც აქტუალური გახდა, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომ, აღნიშნული ტიპის ომის წარმოება მის უმთავრეს დამრტყმელ ძალას წარმოადგენდა და წარმოადგენს, ამ ტიპის ომის წარმოების უმთავრეს იარაღს კრიმინალური სუბკულტურა და მისი უმაღლესი ერარქები, „კანონიერი ქურდები“ წარმოადგენენ.

დროთა განმავლობაში აღნიშნული ჰიბრიდული ომის წარმოებისას, დაემატა რამოდენიმე ისეთი ახალი მიმართულება, როგორებიც არის: საინფორმაციო,

პოლიტიკური, სამხედრო, ეკონომიკური და კონტრ სადაზვერვო მიმართულებები, მოწინააღმდეგის სრული დემორალიზების მიზნით<sup>303</sup>.

ჰიბრიდული ომის წინა ხაზზე, ჩნდება ისეთი ომის წარმოება, რომელიც აქამდე საერთოდ არ იყო ცნობილი, რა დროსაც აგრესორი მხარის მიერ, ხდება კრიმინალური სუბკულტურის, მაღალი ერარქების გამოყენება, რა დროსაც, ამავ დროულად ხდება ისეთი სფეროების ხელყოფა, როგორებიც არის ქვეყნის ეკონომიკა, პოლიტიკა, სამხედრო და კონტრ სადაზვერვო სფეროები, აღნიშნული ხელყოფის, ძირითადი მიზანია, არარეგულარული ქმედებების მეშვეობით ქვეყნის ეროვნული უსაფრთხოების და სტაბილურობის ხელყოფა, რომელიც მოქმედებაში კრიმინალური ქცევის სახით გამოიხატება,<sup>304</sup> ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის შესუსტება, ქვეყანაში ნიქილიზმის გავრცელება, პოლიტიკური პარტიების და პოლიტიკოსების მიმართ უნდობლობის გაღვივება,<sup>305</sup> ქვეყნის როგორც ეკონომიკური ისე საინვესტიციო გარემოს განვითარების შეჩერება, ადამიანის უფლებების და თავისუფლების ინდექსის ვარდნა, ქვეყნის ინვესტიციებისთვის მიმზიდველობის დაკარგვა, აღნიშნული მიზნის მისაღწევად ოთხმოცდაათიანი წლების შემდგომ, ყველაფერი გაკეთდა, რომ დამნაშავეობა ორგანიზებულის გარდა გამხდარიყო პროფესიონალურიც,<sup>306</sup> რომლის მეშვეობითაც, ქვეყნის საფინანსო ინსტიტუტებს, კორუფციის და საეჭვო ინვესტიციების მეშვეობით, შეექმნებოდა რისკები, რაც შესაძლებლობას მისცემდა აგრესორ მხარეს, ქვეყნის ეკონომიკური და დემოკრატიული განვითარების, შეჩერების და ქვეყანაში, არასაურველი საინვესტიციო და ფინანსური სიტუაციის გავრცელების.

<sup>303</sup> აღნიშნული მიმართულებების დამატება, გამოწვეული იყო მსოფლიოში განვითარების ახალი ნახტომით და რეალურად წარმოადგენდა აუცილებელ ზომებს იმისათვის, რომ მიღწევადი გამხდარიყო დასახული პირველადი მიზნები.

<sup>304</sup> ჰენრი კუპრაშვილი, საქართველოს ეროვნული უშიშროება, გამომცემლობა უნივერსალითბილისი 2022 წ. გვ. 427

<sup>305</sup> დღევანდელი მოცემულობით სახეზე გვაქვს როგორც მართველი პარტიისადმი ისე ოპოზიციის წარმომადგენლების მიმართ.

<sup>306</sup> Г.Глонти, Г. Лобжанидзе, Профессиональная преступность в Грузии (воры в законе) монография, Тбилиси 2004 г, ст.34

ზემოთ აღნიშნულ სიტუაციებში, ლომის წვლილი მიუძღვის სატელევიზიო, ბეჭდურ და ინტერნეტ სივრცეში საინფორმაციო-ფსიქოლოგიურ ომს,<sup>307</sup> რომელიც ქვეყანაში კრიმინალური ავტორიტეტების მიერ, მიზანმიმართულად, კრიმინოგენული ვითარების გაუარესებასთან ერთად, სიმბიოზში მიმდინარეობდა და მიმდინარეობს.

აღნიშნული საქმიანობის საბოლოო მიზანი არის, ქვეყნის სწორი დემოკრატიული განვითერების შეჩერება და საბოლოოდ რუსულ ორბიტაზე დაბრუნება, რის მეშვეობითაც, რუსეთის ფედერაცია ცდილობს რეგიონში ერთ-ერთი ლიდერის და თავისი შესუსტებული პოზიციის დაბრუნებას.

მაშინ როდესაც პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას მთავრობის უმთავრესი გამოწვევა იყო ახლად ჩამოყალიბებული მთავრობის სწორი განვითარების გზაზე დაყენება და სახელმწიფო ინსტიტუტების, გამართული ფუნქციონირება, სამხედრო აჯანყების ჩაბობა და ეთნიკური ნიშნით წარმოშობილი კონფლიქტების დარეგულირება.

უკვე პრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძის მთავრობის პირობებში, ბევრად უფრო საშიში და პროცესების წინაშე დადგა სახელმწიფო და თვითონ ქვეყანა პირველ ეტაპზე, დადგა ისეთი ეგზისტენციალური საშიშროების წინაშე, როგორიც არის სახელმწიფოებრიობის შენარჩუნება, მოგვიანებით კი უკვე ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის შენარჩუნება გახდა გადაუჭრელ პრობლემად, მოხდა ორი ძირძველი ქართული ტერიტორიის აფხაზეთის და სამაჩაბლოს, დროებით იკუპაცია, რომელიც უკვე ოცდაათი წელია გრძელდება, ყოველივეს შემდეგ ქვეყნის მართველობა დადგა უკიდურესად რთული პრობლემის წინაშე, კრიმინალის აღვირახსნილი თარეშის და სახელმწიფოში უკიდეგანო კორუფციის პირობებში, რაც რეალურად ქვეყანას აყენებდა კონსტიტუციური წესრიგის და საკანონმდებლო ბაზის უმოქმედობის და ჩამოშლის საშიშროებსი წინაშე.

ამასთანავე გახშირდა ქვეყნის ტერიტორიაზე ტერორიზმის ფაქტები, მოხდა რამოდენიმე თავდასხმა, ქვეყნის პირველ პირზე ედუარდ შევარდნაძეზე, პანკისის ხეობაში დაფუძნდნენ, ისლამური ტერორისტული ორგანიზაციის

<sup>307</sup> ჰენრი კუპრაშვილი, საქართველოს ეროვნული უშიშროება, გამოცემლობა უნივერსალითბილისი 2022 წ. გვ. 331

წარმომადგენლები, თავისი ბანდ-დაჯგუფებებით რის შედეგადაც, ქვეყანა, განვითარებადი ქვეყნების სიიდან, ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტმა „არშემდგარი ქვეყნების“ სიაში მოახვედრა, ყოველივე ზემოთ ხსენებულის და ქვეყანაში ფაქტიურად, არ არსებული ეკონომიკის შედეგად, ნელ-ნელა ქვეყანა დაადგა „ლიბანიზაციის“ გზას, რა დროსაც მძვინვარებდა კორუფცია.

საფრთხის ქვეშ იყო ქვეყნის ცენტრალური მართვის სისტემა და რიგი რეგიონალური მართველები, ფორმალურად ექვემდებარებოდნენ ცენტრალურ ხელისუფლებას, თუმცა ადგილზე აწარმოებდნენ სეპარატისტულ მიმართულებებს და თბილისიდან განსხვავებული კურსი და მართაველობის ავტორიტარული სტილის მიმდევრები იყვნენ, ამის ნათელი მაგალითი, ასლან აბაშიძე და მაშინდელი აჭარის ა/რ მისი მართველობის არადემოკრატიული სისტემა იყო.<sup>308</sup>

უკვე 2003 წელს ქვეყანაში მოსახლეობის უკმაყოფილებამ და საპროტესტო ტალღამ მიაღწია პიკს, რის შედეგადაც ვარდების რევოლუციის შედეგად, კოალიციურ მთავრობაში მოდის პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის პარტია ნაციონალური მოძრაობა, ნინო ბურჯანაძეს და ზურაბ ჟვანიასთან ერთად (აღნიშნული ტრიუმვერატი დიდხანს ვერ გაგრძელდა ზურაბ ჟვანიას ტრაგიკული გარდაცვალების შედეგად).

მაშინ თუ ედუარდ შევარდნაძის მთავრობის დროს ყვაოდა კრიმინალი, კორუფცია, ტერორიზმი, სეპარატიზმი, უკვე პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის მთავრობის პერიოდში, ძირითად პრობლემებს წარმოადგენდა ადამიანის უფლებების დაცვა, საკუთრების და ბიზნესის ხელყოფა, ხშირი იყო, სიცოცხლის და ჯანმრთელობის წინააღმდეგ მიმართული თანამდებობრივი დანაშაულები.<sup>309</sup>

აღნიშნულიდან გამომდინარე 2012 წელს, მათ მოუწიათ არჩევნების გზით ხელისუფლების, ბიძინა ივანიშვილის და ოცნების კოალიციური მთავრობისთვის გადაცემა, მაშინ თუ სააკაშვილის მთავრობის პირობებში ირღვეოდა ადამიანის უფლებები, დაუცველი იყო კერძო საკუთრება და ბიზნესი, ხშირად ხდებოდა

<sup>308</sup> Varese, F. „Russian Mafia: Private Protection in a New Market Economy“, Oxford University Press, 2001,pp;123

<sup>309</sup> Varese, F., „Russia in Four Criminal“, Cambridge, England: Polity. 2024,pp;59

თანამდებობის პირების მიერ უფლებამოსილების დანაშაულებრივად გადაცდომები, რამაც ადამიანის ჯანმრთელობის დაზიანებები და რიგ შემთხვევაში მათი გარდაცვალებაც კი გამოიწვია, უკვე ოცნების ხელისუფლების პირობებში გაჩნდა ახალი ტიპის ეგზისტენციალური გამოწვევები, რუსული რბილი ძალის სახით, ისეთი ჰიბრიდული საფთხეების შექმნით, როგორიც არის მცოცავი ოკუპაცია, კიბერ ომი, რუსული გავლენების გაძლიერება, როგორც ფინანსური ისე სტრატეგიული მნიშვნელობის ობიექტების კონტროლის, ენერგო მატარებლებზე და რუსულ ბაზარზე დამოკიდებულების გაზრდით, ტერორისტული ორგანიზაციების მიერ საფრთხეების შექმნით და ეკონომიკაზე არაპირდაპირი და პირდაპირი ზეწოლით, ქვეყანა ისევ კორუფციაში ჩაეჭლო, გაიზარდა უკიდურესად გაჭირვებულთა და სოციალურად დაუცველთა პროცენტი ქვეყანაში, ქვეყანა თავისი არსებობის პერიოდში პირველად შეიყვანეს გაეროს მოხსენებაში როგორც ბავშვთა გარდაცვალებიანობის და სიღარიბის მაღალი პროცენტის მფლობელი.<sup>310</sup>

ყოველივე ზემოთ აღნიშნული ფაქტებიდან გამომდინარე საქართველო თავისი ოცდაათწლიანი არსებობის პერიოდში სისტემატიურად დგებოდა, ისეთი გამოწვევების წინაშე როგორიც არის, კორუფცია, კრიმინალი, საომარი ვითარება, აჯანყება კონსტიტუციური წეს-წყობილების წინააღმდეგ, ადამიანის უფლებების დარღვევა, ფინანსური სტაბილურობის და ფისკალური ეკონომიკის არამდგრადობა, რის შედეგადც, უკვე ოცდაათი წელია ქვეყანა არის „არშემდგარი ქვეყანათ“ ყოფნის საფრთხის ქვეშ, რაც რიგ შემთხვევაში გამოიხატებოდა მის „ლიბანიზაციაში“ და დემოკრატიული პროცესების განვითარების შეჩერებაში.

მაშინ როდესაც მსოფლიო გლობალიზაციის პირობებში ფაქტიურად წაშლილია საზღვრები ქვეყნებს შორის და შესაძლებელია ყოველგვარი წინაღმდეგობის გარეშე გადაადგილება, ერთი სახელმწიფოს ტერიტორიიდან მეორე სახელმწიფოს ტერიტორიაზე, განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ქვეყნების ეროვნული უსაფრთხოების დაცვა და მასზე ზრუნვა.

<sup>310</sup> აღნიშნული სიტუაციიდან გამომდინარე მოუწია პრემიერ მინსტრ გიორგი კვირიკაშვილს და მის მინსტრთა კაბინეტის დიდ ნაწილს დაეტოვებინათ თანამდებობები.

მაშინ როდესაც კრიმინალური სუბკულტურის წარმომადგენლების მიერ, ხდება საკმაოდ მოქნილი და მოქმედი კრიმინალური ორგანიზაციების ჩამოყალიბება, მთელი მსოფლიოს მასშტაბით, განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს გარკვეული რეგულიაციების და შეზღუდვების დაწესება, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელი გახდება აღნიშნული სუბკულტურის, როგორც რიგითი ისე უმაღლესი ერარქებისათვის მართლსაწინააღმდეგო საქმიანობის შეზღუდვა კანონის ფარგლებში.

მაშინ როდესაც აღნიშნული მავნე სუბკულტურის ჩამოყალიბების პირველი ნაბიჯებისას, ძალოვანი სტრუქტურები და სახელმწიფოები (განსაკუთრებით პოსტ-საბჭოთა ქვეყნები) ცდილობდნენ გაეკონტროლებინათ აღნიშნული მოძრაობა და მაქსიმალურად შეეზღუდათ მათი საქმიანობა, უკვე ახლო მომავალში ძალოვანი სამსახურები და სახელმწიფოს მართველი რგოლის რიგი უმაღლესი ერარქები, ჯერ შეუამხანაგდნენ აღნიშნული კრიმინალური სუბკულტურის უმაღლეს ერარქებს „კანონიერი ქურდების“ სახით, აღნიშნული შეამხანაგება სამომავლოდ კი გადაიზარდა ურთიერთ თანამშრომლობაში, რისი ნათელი მაგალითიც არის ოთხმოცდათიანი წლების პოსტ-საბჭოური ქვეყნების სივრცე, განსაკუთრებით კი საქართველო, როდესაც ქვეყნის საკანონმდებლო და მართველ რგოლებში საკმაოდ მაღალ გადაწყვეტილების მიმღებ თანამდებობებს იკავებდნენ, კრიმინალური ავტორიტეტები და რეციდივისტი პიროვნებები.

ზემოთ აღნიშნულზე რა თქმა უნდა არ შეჩერებულა, სახელმწიფოს და კრიმინალური სუბკულტურის წარმომადგენლების თანამშრომლობა და უკვე 2000-იანი წლებიდან, ხდება მათი საბოლოო შერწყმა რის შედეგადაც ისინი იქცევიან, ერთიან ორგანიზმად და განსხვავება უკვე მათ შორის აღარ იკვეთება შესამჩნევად, თვითონ კრიმინალმა და კრიმინალურმა სუბკულტურამ დროთა განმავლობაში, განიცადა მნიშვნელოვანი ტრანსფორმაცია და სახეცვლილება, უბრალო კრიმინალისგან, გარდაიქმნა ორგანიზებულ და პროფესიონალურ დანაშაულებრივ ორგანიზაციად, რომლის უმთავრესი მიზანი უკვე აღარ წარმოადგენს მხოლოდ დანაშაულებრივი გზით სარგებლის მიღებას, აღნიშნული ტრანსფორმაციის შედეგად კრიმინალური

სუბკულტურის წარმომადგენლები, უკვე გადაერთვნენ ეკონომიკურ საქმიანობაში და ქვეყნის მასშტაბით, შეძლეს ისეთი ძირის გამომთხრელი სამიანობის დაორგანიზება როგორიც არის კორუფცია, კონტრაბანდა, ნარკოტიკული ნივთიერებების და იარაღის უკანონო ვაჭრობა, ასევე მოხდა ჩრდილოვანი და არალეგალური ეკონიმიკური საქმიანობის სქემების შექმნა, რომელთა მეშვეობითაც ხდება დიდალი არალეგალური შემოსავლის და კაპიტალის დაგროვება. აღნიშნული საქმიანობა საკმაოდ განსხვავდება მათ მიერ აქამდე წარმოებულ ანტისახელმწიფოებრივ საქმიანობისგან, მათ მიერ ხდება აღნიშნულ საქმიანობაში, როგორც სახელმწიფოს ოფიციალური წარმომადგენლების ისე მოსწავლე-ახალგაზრდობის ჩართვა და დასაქმება.

პირველი შეხედვით შესაძლებელია, აღნიშნული კორუფციული მართლსაწინააღმდეგო საქმიანობა არც ისე საგანგაშოდ ჩანდეს, თუმცა თუ დავაკვირდებით უკეთესად, აღნიშნული ძირის გამომთხრელი საქმიანობა, წარმოადგენს ქვეყნის ერვნული უსაფრთხოებისათვის პირდაპირ და საკმაოდ საშიშ საფრთხეს, ვინაიდან აღნიშნული საქმიანობით ხდება მოსახლეობაში ნიქილიზმის დაბუდება და სახელმწიფოებრივი აზროვნების მთლიანად მოშლა, აღნიშნულის საბოლოო შედეგი არის ქვეყანაში არსებული ორგანოების გამართული ფუნქციონირების მოშლა, მოსწავლე ახალგაზრდობაში კრიმინალური ცხოვრების წეს-ჩეულების პროპაგანდირება, რაც ქვეყნის დემოკრატიული გზით განვითარების, ერთ-ერთ შემაფერხებელ გარემოებას წარმოადგენს.

„კანონიერი ქურდები“ როგორც კრიმინალური სუბკულტურის უმაღლესი ერარქები, თავისთვის უპირატესობის და სარგებლის მოსაპოვლებლად არ თაკილობენ, ძალოვან და სპეც-სამსახურებთან თანამშრომლობას, აღნიშნული თანამშრომლობის მთავარი მიზანია, კრიმინალური დაჯგუფებების და მათი ლიდერების გამოყენება ჰიბრიდული ომის წარმოებისას მეზობელი ქვეყნების წინააღმდეგ.

როგორც ისტორიამ დაგვანახა, ამ ტიპის ჰიბრიდული ომის წარმოება არის საკმაოდ წარმატებული და ნაყოფიერი, ისეთი აგრესორი ქვეყნის როგორც რუსეთის

ფედერაცია არის და მისი სპეც. სამსახურებია, იმის გათვალისწინებით თუ რაოდენ მცირე რესურს მოითხოვს და ფაქტიურად არანაირი რესურსის დაკარგვის საფრთხე არ არსებობს, რუსული სპეც-სამსახურებისთვის აღნიშნული ტიპის ჰიბრიდული ომის წარმოება ამ ეტაპზე წარმოადგენს საუკეთესო ვარიანტს.

აქვე შეგვიძლია პირდაპირ ვთქვათ, რომ ამ ეტაპზე საკმაოდ მოქმედი და წარმატებულია ამ ტიპის ჰიბრიდული ომის წარმოება და არა მხოლოდ დღეს, ფაქტიურად რუსული სპეც-სამსახურები, ამგვარი ტიპის ჰიბრიდულ ომს, აწარმოებს პოსტ საბჭოური ქვეყნების წინააღმდეგ, თითქმის ოცდაათ წელზე მეტია, შედეგიც საკმაოდ მნიშვნელოვანი და მიზანმიმართულია, მისი გავლენა ქვეყნის ეროვნულ უსაფრთხოებაზე არის მნიშვნელოვანი და ყურადსაღები, ვინაიდან „კანონიერი ქურდების“ და ე.წ „ქურდული“ მენტალობის ქვეყნის მოსახლეობაში რეკლამირების და პროპაგანდირების მეშვეობით, ხდება ქვეყნის პოლიტიკურ და ეკონომიკურ დღისწესრიგზე ზეწოლა და გავლენის მოხდენა და რიგ შემთხვევაში მართვაც კი.

მაშინ როცა ვარდების რევოლუციის გზით მოსული ხელისუფლება პირდაპირ და უკომპრომისოდ დაუპირისპირდა კრიმინალურ სუბკულტურას, მათ მხედველობიდან გამორჩათ ისეთი მნიშვნელოვანი ასპექტები როგორც იყო ადამიანის უფლებები და ქვეყანაში არსებული ფინანსური და ეკონომიკური სისტემების უსაფრთხოება, ზუსტად ამ ორი მოწყვლადი სფეროდან, მოახდინა განვითარება კრიმინალურმა სუბკულტურამ, რასაც დღეის მდგომარეობით თითქმის სავალალო შედეგამდე მიყავს ქვეყნის ევროპული და დემოკრატიული განვითარება, აღნიშნულის ნათელი მაგალითია, ჩვენი ევროპელი პარტნიორების მიერ გამოგზავნლი რევოლუციები, რომელთა შორის ორი უმთავრესი არის კრიმინალი და გაზრდილი კორუფცია ქვეყნის მასშტაბით, რაც საბოლოოდ იზრდება გლობლურ პრობლემად, მთელი ევროპის მასშტაბით, ვინაიდან კრიმინალურმა სუბკულტურამ ქვეყანაში მოძლიერების შემდეგ, უკვე ევროპული და მსოფლიო მასშტაბით გადაწყვიტა, თავისი საქმიანობის გაგრძელება, რაც ასევე შედის რუსული სპეც-სამსახურების მიერ შემუშავებული არაოფიციალურ დოქტრინაში, ჰიბრიდული ომის

წარმოების, რა დროსაც კრიმინალური სუბკულტურის წარმომადგენლების მეშვეობით ხდება ასიმეტრიული ომის წარმოება უფრო გაზრდილ და დახვეწილ მასშტაბებში.

ყოველივე ზემოთ აღნიშნნულიდან გამომდინარე მიზანშეწონილად მიმაჩნია შემუშავდეს კომპლექსური ტიპის ყონიძიებები რომელთა მეშვეობითაც შესაძლებელი გახდება პირველ ეტაპზე შესუსტებულ იქნეს „კრიმინალური სუბკულტურის“ გავლენები ქვეყნის ეკონომიკაზე, ქვეყნის პოლიტიკურ დღისწესრიგზე და მოსახლეობაზე, ხოლო უკვე შემდგომ მეორე ეტაპზე მოხდეს კომპლექსური ღონისძიებების გატარება ქვეყნის ეკონომიკური, საგანმანათლებლო და ფინანსური სექტორის დივერსიფიკაციის და მათი აღნუშნული ჰიბრიდული ომის წარმოებისგან დასაცავად.

აუცილებელია მიღებულ იქნეს ქვეყნის ინტერესების გატარების მიზნით ცვლილებები როგორც საკანონმდებლო ისე ფინანსურ და სასამართლო და საგანმანათლებლო სექტორებში, რომელთა მეშვეობითაც შესაძლებელი გახდება უფრო მოქმედი და შედეგის მომტანი ნაბიჯების და ქმედებების გატარება, რაც საბოლოოდ მოგვცემს შესაძლებლობას მაქსიმალურად შევზღუდოთ და მინიმუმამდე დავიყვანოთ „კრიმინალური სუბკულტურის“ მიერ წარმოებული ჰიბრიდული ომის მავნე პრაქტიკამისათვის აუცილებელია გატარდეს რიგი რეგულაციები და ცვლილებები კერძოდ:

აუცილებელია ადმინისტრაციული და ოპერატიული კონტროლი „კანონიერ ქურდებზე“, კრიმინალური დაჯგუფებების ლიდერებზე, და „ქურდული“ მენტალიტეტის მატარებელ პირებზე, საჭიროა მოსწავლე ახალგაზრდობის იზოლაცია აღნიშნული პირების ზეგავლენიდან, მთელი ქვეყნის მასშტაბით, აუცილებელია სპეციალური პენიტენციალური დაწესებულებების შექმნა, სადაც მოხვდებიან კრიმინალური წარსულის არ მქონე პირები რომლებმაც ჩაიდინეს მსუბუქი და ნაკლებად მძიმე დანაშაულები.

ქვეყნის მასშტაბით კრიმინალური გარემოს შემცირება, რაც გულისხმობს გარკვეული მსუბუქი ტიპის მართლსაწინააღმდეგო ქმედებების დეკრიმინალიზაციას და მათ გადატანას არასაპატიმრო საჯელთა რანგში.

ქვეყნის საფინანსო სექტორის გაძლიერება, დივერსიფიცირება და მისი უფრო ხარისხიანი კონტროლი, რაც შეზღუდავს კორუფციის და ჩრდილოვანი ეკონომიკის არსებობას ქვეყანაში.

კერძო სექტორის და ბიზნესის დაცვა კრიმინალური სუბკულტურის მიერ მათი შევიწროვების და შთანთქვისგან.

საგანმანათლებო სისტემის რეფორმირება და ცვლილებები მოსწავლე ახალგაზრდობის დაცვის და სწორი გზით განვითარებისთვის.

რეგიონალური და მსოფლიო მასშტაბით თანამშრომლობა, ერთიანი სისტემის შემუშავება, კრიმინალური ავტორიტეტების და „ქურდული“ სუბკულტურის წარმომადგენლების აღსარიცხავად და საკონტროლებლად.

საკანონმდებლო ცვლილებების შეტანა აღნიშნულ სუბკულტურასტან უფრო მოქმედი შებრძოლების მიზნით.

ცალკე სტრუქტურული დანაყოფის შექმნა „კანონიერი ქურდების“ და მათი მიმდევრების წინააღმდეგ საბრძოლველად.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულის გათვალისწინებით აუცილებელია ქვეყანაში გადაიდგას ქმედითი ნაბიჯები, აღნიშნული სიახლეების დასანერგად, რის შედეგადაც, შემუშავდება მოქმედების გრძელვადიანი გეგმა, აღნიშნულ ჰიბრიდულ საფრთხესთან, გამკლავების და ქვეყნის სწორი დემოკრატიული გზით განვითარების შესანარჩუნებლად, რაც საშუალებას მოგვცემს ქვეყანა განვითარდეს დემოკრატიული გზით, რის შედეგადაც შემცირდება აღბათობა „ქურდული“ სუბკულტურის მაღალი ერარქების და მისი მიმდევრების მიერ ქვეყნის განვითარებზე და მის პოლიტიკურ დღისწესრიგზე, ზემოქმედების შესაძლებლობა, ქვეყნის მოსახლეობის განსაკუთრებით ახალგაზრდობის ჩართვა მართლსაწინააღმდეგო საქმიანობაში, რის

შედეგადაც, აილაგმება კრიმინალურ სუბკულტურის წარმომადგენლების რიგების შევსება და რეკრუტირება, აღნიშნული ხელს შეუშლის კრიმინალური სუბკულტურის გაძლიერებას და განვითარებას სამომავლოდ.

ჩატარებული კვლევის პროცესში გამოიკვეთა რვა მეცნიერული სიახლე, რომელთაც თანმიმდევრობით წარმოგიდგენთ:

1. თანამედროვე საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების წინაშე ჩნდება ახალი სახის პოლიტიკური გამოწვევები, რომლებსაც შეუძლიათ დააყენონ სახელმწიფო ეგზისტენციალური პირობების დონემდე. მათ შორის არის სწორედ „კანონიერი ქურდების“ ინსტიტუტი და მის მიერ გამოწვეული კონკრეტული სახის შედეგები. ნაშრომში მოხდება ამ კონკრეტული საფრთხის იდენტიფიცირება და პარალელური ე.წ. „ჩრდილოვანი პოლიტიკური სისტემის“ ფორმატში წარმოჩენა, რაც ნამდვილად წარმოადგენს სამეცნიერო სიახლეს;
2. პოლიტიკურ ლექსიკონში ტერმინოლოგიური კუთხით წარმოჩინდება „კანონიერი ქურდების“ ინსტიტუტის პოლიტიკური განმარტება და მისი ეპითემილოგური არსის განსაზღვრება;
3. ნაშრომში დეტალურად იქნება განსაზღვრული და შედარებით ანალიზის კუთხით გარჩეული „კანონიერი ქურდების“ ინსტიტუტის მაგალითზე, საერთაშორისო ურთიერთობის სისტემის „ინტეგრირებული საფრთხის“ გამოკვეთა და უშუალოდ ამ კონკრეტული ტერმინის განმარტება და ადაპტირება საერთაშორისო ურთიერთობებისა და პოლიტიკურ მეცნიერების ლექსიკონში;
4. ნაშრომი „კანონიერი ქურდების“ ინსტიტუტი, განიხილება როგორც არაფორმალური იერარქიული ინსტიტუტიზაციის მოდელი და ფორმა, კონკრეტული პარადიგმით განსაზღვრული ურთიერთდამოკიდებულ შიდა აქტორთა

ერთობლიობით. აღნიშნული ფენომენი კი უშუალოდ წარმოადგენს ეროვნული უსაფრთხოების და რეჟიმის სერიოზული მოწყვლადობის გარემოებას;

5. არასახელმწიფოებრივი აგრესიული აქტორების კლასიფიკატორის ფორმატში მოხდება „კანონიერი ქურდების“ ინსტიტუტის ქვეკალსიფიკატორად განხილვა და მეცნიერული ანალიზის კუთხით წარმოჩენა და შესწავლა.
6. „არშემდგარი სახელმწიფოს“ არსის გამოკვეთა და მისი საიდენტიფიკაციო ფაქტორების წარმოჩენა და მათი კლასიფიკაცია. სწორედ „არშემდგარი ქვეყნის“ თეორიის მაგალითზე წარმოჩინდა თანამედროვე საქართველოს მაგალითზე, იგივე 1992-2000 წლებში „კანონიერი ქურდების“ ინსტიტუტის სრული დომინანტობა და მისი ურთიერთკავშირი მაშინდელი პოლიტიკური ელიტის მმართველ ჯგუფთან. ამ სინდიკატმა საქართველოს შეუქმნა პირდაპირი ექიმისტენციონალური საფრთხე სახელმწიფოებირივ განვითარების კონტექსტში;
7. საფრთხეების პოლიტიკური იდენტიფიკაცია და მათი მატრიცის შექმნა და წარმოჩენა;
8. „კანონიერი ქურდების“ ინსტიტუტის განხილვა და შესწავლა ჰიბრიდული ომის თეორიის ჩარჩოში და სამხედრო პოლიტიკური განზომილების განსაზღვრა. მოცემული სიახლე წარმოჩინდება იმაში, რომ აღნიშნული ინსტიტუტის ფენომენი შეიძლება წარმოჩინდეს როგორც არა-სამხედრო საფრთხეების, ასევე სამხედრო საფრთხის კონტექსტში, როგორც კლაუზევიცის სამკუთხედის: საზოგადოება-მთავრობა-არმია, თანამედროვე ეპოაქში, როგორც საზოგადოება-მთავრობის დაპირისპირების კუთხით და კრიმინალური ჯგუფების გასამხედროებული დაჯგუფები შეიძლება წარმოადგენდეს უფრო მეტ სამხედრო საფრთხეს, ვიდრე რეგულარული საარმიო ნაწილები - ასეთი მაგალითებია, კოლუმბიასა და მექსიკაში მოქმედი ნარკოკარტელები და მათი სამხედრო ჯგუფები და საქართველოში 1992-1995 წლებში მოქმედი გასამხედროებული დაჯგუფება „მხედრიონი“.

პირველი საკულტო კითხვის პასუხად თუ რას წარმოადგენს „კანონიერი ქურდების“ ინსტიტუტი და როგორია მისი პოლიტიკური არსი? - გამოსაკვეთია ის გარემობა, რომ ამ ინსტიტუტის პოლიტიკური არსი შეიძლება განსხვავდებოდეს კონტექსტის და დროის მიხედვით სხვა კრიმინალური სუბკულტურებისგან. თუმცა კომუნისტური რეჟიმის არადემოკრატიულობიდან გამომდინარე „კანონიერი ქურდები“ პოსტსაბჭოურ სივრცეში, მოქმედებდნენ როგორც ავტორიტეტები და ალტერნატიული სამართლის აღმასრულებელი ორგანო, ჩრდილოვანი ეკონომიკის წარმომადგენლებისთვის, ისინი უზრუნველყოფდნენ წესრიგს კრიმინალურ და იატაკებებს არსებული მეწარმეობის წრეებში და რიგ შემთხვევებში საჯარო სფეროშიც კი, სადაც სამთავრობო სტრუქტურების ჩარევა იყო მიზანშეუწონელი, მათი კორუმპირებულობიდან და კანონით აგრძალული საქმიანობის უმკაცრესი სასჯელიდან გამომდინარე, ზემოაღნიშნულიდან გამომდინარემოსახლეობას უჩნდებოდა დაუცველობის და უსამართლობის შეგრძნება.

ზოგადად, „კანონიერი ქურდების“ ინსტიტუტის პოლიტიკური არსი მდგომარეობს იმაში, რომ იგი წარმოადგენს ძალაუფლებისა და კონტროლის პარალელურ და ალტერნატიულ სისტემას, რომელიც ხშირ შემთხვევებში, უპრეცენდენტო კონკურენციას ან ზემოქმედებას ახდენდა და ახდენს თავისი საქმიანობის შედეგად, სახელმწიფოს ოფიციალურ სტრუქტურებზე.

„კანონიერი ქურდების“ მიერ ხდება ქვეყანაში, თავიანთი კრიმინალური ავტორიტეტის გამოყენება, პოლიტიკურ პროცესებზე ზემოქმედების ტავისტვის სასურველი დღისწესრიგის შესაქმნელად, ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე და ზოგადად საზოგადოებრივ ცხოვრებაზე პოლიტიკური გავლენის მოპოვების მიზნით. ეს შეიძლება გამოვლინდეს სხვადასხვა გზით სხვადასხვა კონტექსტში მაგალითად, ქვეყნის რესურსებზე კონტროლის განხორციელების შედეგად, „კანონიერი ქურდების“ ინსტიტუტის წევრებს შეუძლიათ დაამყარონ კონტროლი ეკონომიკის გარკვეულ სექტორებზე, მათ შორის ორგანიზებული დანაშაულებრივი დაჯუფებების მეშვეობით. ეს შეიძლება მოიცავდეს კონტრაბანდას, ნარკოტიკებით

ვაჭრობას, რეკეტს და კრიმინალური საქმიანობის სხვა ფორმებს, რაც მათ საშუალებას აძლევს მიიღონ მოგება და გააძლიერონ თავიანთი ძალაუფლება და გავლენები, რომლის მეშვეობითაც თავის სასარგებლოდ მოახდინონ გარკვეულ ზეწოლა პოლიტიკურ პროცესებზე, მათ შორის არჩევნებზე, შეეცადონ სახელმწიფო და კერძო სექტორებში საკვანძო ადგილებზე მათთვის სასურველი პირების დანიშვნის ორგანიზება, რითიც შეეცდებიან ქვეყანაში პოლიტიკური კოალიციების ფორმირებაზე ზემოქმედებას.

როგორც ისტორია გვანახებს მათ შეუძლიათ დააფინანსონ საარჩევნო კამპანიები, მოისყიდონ ჩინოვნიკები, ან თავად შევიდნენ პოლიტიკაში (რისი ნათელი მაგალითია ჯაბა იოსელიანი). „კანონიერი ქურდების“ მიერ ხდება მათთვის საინტერესო რეგიონში, საკუთარი პარალელური ძალაუფლების სტრუქტურების შექმნა, რომლებიც აკონტროლებენ გარკვეულ ტერიტორიებს ან საჯარო სფეროებს(როგორც კერძო ისე სახელმწიფო სექტორში), ხოლო ოფიციალური ხელისუფლება ამ შემთხვევაში რჩება არაეფექტური ან კონტროლირებადი, აღნიშნული სუბკულტურის მაღალი ერარქების მიერ (აღნიშნულის მრავალი მაგალითი არსებობს ოთხმოცდაათიან წლებიდან მოყოლებული).

ზემოთ აღნიშნული ფაქტორები გავლენას ახდენს სახელმწიფოს სტაბილურობაზე, სამართლებრივ წესრიგსა და ქვეყანაში სოციალურ განვითარებაზე, რითიც „კანონიერი ქურდების“ ინსტიტუტი ქვეყანაში საზოგადოების გარკვეულ წრეში მნიშვნელოვანი პოლიტიკური გავლენის ფაქტორად არის ქცეული.

მეორე საკვლევი კითხვის პასუხად თუ როგორ განისაზღვრება „კანონიერი ქურდების“ პოლიტიკური გამოწვევების გავლენა და რა კუთხით, მოქმედებს ეროვნული უსაფრთხოების გარემოზე (საქართველოს მაგალითზე) ? გამოსაკვეთია ის ფაქტორი, რომ კანონიერი ქურდების მხრიდან პოლიტიკურ გამოწვევებზე გავლენა ქვეყნის ეროვნული უსაფრთხოების გარემოზე, შეიძლება იყოს მნიშვნელოვანი, კერძოდ ხდება ქვეყნის მასშტაბით კონტროლი ძირითად ინდუსტრიებზე, როგორიც

არის ქვეყნის ეკონომიკა და არსებული ფინანსური ნაკადები უცხოური ინვესტიციების სახით, ამან შეიძლება საფრთხე შეუქმნას ეროვნულ უსაფრთხოებას და ქვეყანაში სტაბილურობას.

„კანონიერი ქურდების“ მიერ ხდება ქვეყნის არსებული ეკონომიკური სექტორის ჩრდილოვან სექტორში გადაყვანა ისეთი ქმედებებიც როგორიც არის, კონტრაბანდა და ფულის გათეთრება, მექრთამეობა, გადასახადებისგან თავის არიდება, რის მეშვეობითაც შესაძლებელი ხდება ჩრდილოვანი ეკონომიკის მაქსიმალური გაძლიერება ქვეყანაში. „კანონიერი ქურდების“ გავლენამ ქვეყანაში არსებულ პოლიტიკურ პროცესებზე და დღისწესრიგზე და მათ მიერ კარგად ორგანიზებულმა კორუფციამ, შეიძლება შესაუსტოს მართლმსაჯულების ინსტიტუტები და სამთავრობო სტრუქტურები, რაც ამცირებს ორგანიზებულ დანაშაულთან ნაყოფიერი ბრძოლის შესაძლებლობას, ართულებს ქვეყანაში არსებულ საფრთხეებთან ბრძოლის ეფექტურობას და ბადებს მოსახლეობაში ნიჰილიზმს და უიმედობის განცდას.

ამსთანავე „კანონიერი ქურდების“ მიერ ქვეყანაში შექმნილმა პარალელური ძალაუფლების სტრუქტურებმა, შესაძლოა გამოიწვიოს ქვეყნის ტერიტორიაზე სახელმწიფო კონტროლის შესაუსტება ან არაეფექტური საქმიანობა, აღნიშნული ქმნის პირობებს არასტაბილურობის, კონფლიქტების და სეპარატიზმისთვისაც კი მათ შორის. „კანონიერი ქურდები“ ხშირად მოქმედებენ ქვეყნის საზღვრებს გარეთაც და მონაწილეობენ ტრანსნაციონალურ დანაშაულში, მათი საქმიანობა შეიძლება ასოცირებული იყოს საერთაშორისო ტერორიზმთან, იარაღის კონტრაბანდასთან, ადამიანებით ვაჭრობასთან და ისეთ ეკონომიკურ დანაშაულებთან როგორიც არის ე.წ „ფიშინგი“, „კოლ-ცენტრები“, ფულის გათეთრება და სხვა სახის საფრთხეები, რომლებიც გავლენას ახდენენ არა მხოლოდ ერთი ქვეყნის ეროვნულ უსაფრთხოებაზე, არამედ მთლიანი რეგიონის უსაფრთხოებაზე და სტაბილურობაზე. თავისი გავლენების გასაძლიერებლად „კანონიერ ქურდებს“ შეუძლიათ გამოიყენონ თავიანთი რესურსები და გავლენა, საგარეო პოლიტიკური მიზნების მისაღწევად, რამაც შეიძლება გამოიწვიოს, დაძაბულობა საერთაშორისო ურთიერთობებში და

საფრთხე შეუქმნას ქვეყნის ეროვნულ უსაფრთხოებას და მის დემოკრატიულ განვითარებას.

ზოგადად, „კანონიერი ქურდების“ მხრიდან ქვეყნის პოლიტიკურ დღისწესრიგზე გავლენამ, შეიძლება შეარყიოს ქვეყნის ეროვნული უსაფრთხოება, შექმნას პირობები სხვადასხვა საფრთხეებისა და გამოწვევებისთვის, რაც მოითხოვს კომპლექსური ტიპის ქმედებებს, რომელთა მეშვეობითაც მოხდება „კანონიერი ქურდების“ გავლენების შემცირება და იზოლირება ქვეყნის მოსახლეობიდან და პოლიტიკური დღის წესრიგისგან, რის შემდეგადაც შესაძლებელი გახდება „კანონიერი ქურდების“ ინსტიტუტის მიერ შექმნილი ალტერნატიული სისტემის და მართველობის, აქტუალურობის შემცირების და სამომავლოდ მასზე მოთხოვნის განეიტრალების შესაძლებლობები.

მესამე საკულტური კითხვის პასუხად თუ როგორია „კანონიერი ქურდების“ ინსტიტუტის, როგორც არასახელმწიფოებრივი აგრესიული აქტორის ფენომენის, გავლენა ქვეყნის იდეოლოგიურ და პოლიტიკური განვითარების პროცესებზე? - ნაშრომის მესამე თავში დეტალურადაა ახსნილი საქართველოს სახელმწიფოზე ამ ინსტიტუტის გავლენის მასშტაბზე, რომლებსაც გააჩნია საკუთარი იდელოგიური ჩარჩო და გააჩნია პოლიტიკური ფარული მართვის ბერკეტები, განსაკუთრებით სახელმწიფო სტრუქტურებთან კორუფციული და „ჩრდილოვანი ეკონომიკისთვის“ დამახასიათებელი მეთოდებით ურთიერთობებში შესვლის ტენდენციის დაფიქსირება. აღნიშნული ინსტიტუტი მოქმედებს დამოუკიდებლად, როგორც არასახელმწიფოებრივი აგრესიული აქტორი, თავისი დაუწერელი „ქცევის კოდექსით“, ნეოლინგვისტური მიდგომებით და ძალადობრივი მექანიზმების, მათ შორის ზოგიერთ შემთხვევაში პოლიტიკური ძალადოებირივი მეთოდებითაც (მაგალითად, „მხედრიონის“ ფენომენი) და ამიტომაც გააჩნია სახელმწიფოზე დიდი გავლენა.

კვლევის პროცესში წარმოდგენილი ჰიპოთეზა დამტკიცდა და გამოიკვეთა ის ძირითადი მიმართულებები რომელმაც მოგვცა საშუალება დავასკვნათ, რომ „კანონიერი ქურდების“ ინსტიტუტი, როგორც არა-სახელმწიფოებრივი აგრესიული აქტორი, წარმოადგენს პირდაპირი მნიშვნელობით ასიმეტრიულ საფრთხეს სახელმწიფოს პოლიტიკური სისტემისთვის. მათი საქმიანობა პირდაპირ კორელირდება სახელმწიფოს ეროვნული უსაფრთხოების მოწყვლადობასთან არა მარტო სამართლებრივ, არამედ პოლიტიკურ, სამხედრო და საზოგადოებრივი გამოწვევების კონტექსტში და მასთან ბრძოლის კუთხით. ახალი მსოფლიო წესრიგის ცვლილების ფონზე ჩეინეთის როლი და ფაქტორი მსოფლიო პოლიტიკაში სულ უფრო იზრდება. შესაბამისად მისი დაბალანსება სულ უფრო რთული გახდება, მისი გავლენის სფეროების ზრდასთან ერთად.

## გამოყენებული ლიტერატურა

1. აკობია ე. „საერთაშორისო ურთიერთობების თეორია“, სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი, თბილისი, 2006.
2. არტი, რ., რ. ჯერვისი. საერთაშორისო პოლიტიკა: მუდმივი ცნებები და თანამედროვე საკითხები. თბილისი: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2011.
3. ბაძალუა მ. ჯგუფური დანაშაული საქართველოში, გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2021
4. ბანასიკი, მ. „უსაფრთხოება და ჰიბრიდული ომი: რუსეთის ფედერაციის ახალი მეტოქეობის პარადიგმა საერთაშორისო არენაზე“, 2017 წელს.
5. გვენეტაძე, ე. საერთაშორისო უშიშროების ასპექტები. თბილისი: იურისტების სამყარო, 2017

6. გაბუნია მ. კრიმინოლოგია (დამხმარე სახელმძღვანელო), გამომცემლობა „იურისტების სამყარო“ თბილისი 2019 წელი.
7. გამოცემა ბეგლარ ივ. ფილინოვისა, „თფილისი“ სტ. "ნადეჟდა": 1911 წ.
8. გრეი კ. „ეროვნული უსაფრთხოების დილემა გამოწვევები და შესაძლებლობები“, 2009 წელს.
9. გვენეტამე ე."საერთაშორისო უშიშროების ასპექტები", გამომცემლობა - „იურისტების სამყარო“. თბილისი -2017.
10. დანროიტერი, რ., „საერთაშორისო უსაფრთხოების დღის წესრიგი“, 2013 წელი.
11. ვეისმანი, მ., ნილსონი, ნ., პალმერცი ბ., და თუნჰოლმი პ., „ჰიბრიდული ომი: უსაფრთხოება და ასიმეტრიული კონფლიქტი საერთაშორისო ურთიერთობებში“, 2021 წელი.
12. ვეისი გ. ფ. „ომის ახალი ხელოვნება: კონფლიქტის წარმოშობა, თეორია და მომავალი“, 2021 წელი.
13. თევზამე დ. „21-ე საუკუნის ომების თავისებურება და საბრძოლო სივრცის სპეციფიკა“, სამეცნიერო კონფერენციის შრომების კრებული საქართველოს ტერიტორიის სამხედრო-საინჟინრო უზრუნველყოფის შესაძლებლობების ამაღლება ოპერატიული სივრცის სპეციფიკის გათვალისწინებით, ა(ა)იპ სამხედრო სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტი, თბილისი, 2023 წელი.
14. იოსელიანი ჯ. სამი განზომილება, ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა 2013 წელი
15. კალდორი მ. „ახალი და ძველი ომები“ რ.არტი, რ.ჯერვისი „საერთაშორისო პოლიტიკა მუდმივი ცნებები და თანამედროვე საკითხები“, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი 2011
16. კუპრაშვილი პ, საქართველოს ეროვნული უშიშროება, გამომცემლობა „უნივერსალი„, 2022 წ
17. კუპრაშვილი, პ. საერთაშორისო უშიშროება, თანამედროვე გამოწვევები, თბილისი: გამომცემლობა „უნივერსალი“ 2018

18. მაღრაძე გ, მაისაია ვ : 21-ე საუკუნის საერთაშორისო პოლიტიკა და „თანამშრომლობითი უსაფრთხოების“ თეორია: მითი და რეალობა- რეგიონალი და გლობალური ასპექტები, გამომცემლობა „უნივერსალი“ თბილისი 2017 წ.
19. მახარაძე ი., „გურული ფირალები“, თბილისი: ბაკურ სულავაურის გამოცემლობა, 2008 წ.
20. მაისაია ვ. „საქართველოს საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტები და დეტერმინანტები „ცივი ომის“ შემდეგ (1991-2004)“, სუხიშვილის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტი, თბილისი, 2013 წელი.
21. მაცაბერიძე მ. „ეროვნული უსაფრთხოება: ცნება და შინაარსი“, გამოცემა „პოლიტოლოგის საკითხები“ #1, თბილისი, 1992 წელი.
22. ტაბაძე მ, ჯგუფური დანაშაულობა საქართველოში, გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი 2021 წ
23. შალიკაშვილი მ, კრიმინოლოგია (სახელმძღვანელო) მესამე შევსებული და გადამუშავებული გამოცემა, გამომცემლობა „მერიდიანი“, 2017 წელი.
24. ხინთიბიძე ა, „გურული ფირალები“, თბილისი: საქართველო სამხარეთმცოდნეო საზოგადოება, 1938 წ.
25. ჯანაშია ს., ენციკლოპედია „საქართველო“, ტ. 1, თბილისი, 1997 წ.
26. ჰოუგი, პ., პილბეამი, ბ., სტოკი, ვ., „საერთაშორისო უსაფრთხოების თეორია და პრაქტიკა“, გამომცემლობა, ბაკურ სულავაურის 2021 წელს.
27. Andrew Korybko, „Hybrid Wars: Geopolitical Conflicts in the Postmodern Age“, England, Oxford University Press, 2022
28. Arquilla J., and D. Ronfeldt. „Cyberwar Is Coming!“, Comparative Strategy, Vol. 12, No. 2 (Spring 1993).
29. Aradhana Sharma A. and Akhil Gupta A. "The Anthropology of the State: A Reader", Oxford: Blackwell, London, 2007
30. Baldwin, D. A. "The concept of security." Review of International Studies 23(1), 1997 Year

31. Bapat, N. A. State repression and political order. *Journal of Peace Research*, 50(3), 2013 year.
32. Brenner, J. *The Future of Cybersecurity and International Norms*. Stanford Law Review, 2007 Year
33. Buzan, B., & Wæver, O. "Regions and powers: The structure of international security." Cambridge University Press. 2009 Year.
34. Buzan B., Hansen L. "The Evolution of International Security Studies", Cambridge University Press, Cambridge, 2009
35. Brynen, R., et al. (eds.) *Political Liberalization and Democratization in the Arab World*. Lynne Rienner Publishers, 2000 Year.
36. Banasik, M. *Security and Hybrid Warfare: New Rivalry Paradigm of the Russian Federation in the International*. LAP LAMBERT Academic Publishing (September 13, 2017).
37. Berkofski, Axel and Miracola, Sergio. "Geopolitics by Other Means. The Indo-Pacific Reality." Italian Institute for International Political Studies, February 1, 2019.
38. Bovingdon, Gardner, *The Uyghurs: Strangers in Their Own Land*, New York: Columbia University Press, 2010.
39. Bush, Richard C., *Hong Kong in the Shadow of China: Living with the Leviathan*, Washington, D.C.: Brookings Institution, 2016.
40. Buzan B. Wæver O. "Regions and Powers the Structure of International Security", Cambridge University Press, New York, 2003.
41. Beetham, D. *The Legitimation of Power, Issues in Political Theory*, 1991 Year.
42. Cohen R. and Mihalka M. "Cooperative Security: New Horizons for International Order", George C. Marshall European Centre for Security Studies, the Marshal Cemter Papers, No.3, Garmisch-Partenkirchen, April 2001
43. Colins A. „Contemporary Security Studies”, second edition, Oxford University Press, New York, 2010.
44. Colonel Thomas X. Hammes USMC, *The Sling and the Stone: On War in the 21st Century*, Zenith Military Classics, 2006 Year.

45. Collier, P., & Hoeffler, A. Greed and Grievance in Civil War. *Oxford Economic Papers*, 56(4), 2004 Year.
46. David Albright and Holly Higgins, "A Bomb for the Ummah," *Bulletin of the Atomic Scientists* 59:2 (March–April 2003): 49–55; available at <http://thebulletin.metapress.com/content/ru1k226j4ln4585l/>;
47. DEĞIRMENCİOĞLU, İ.B. „National security in the Age of the Hybrid War”. Policy Brief NO.57 (October 2018).
48. Duyvesteyn, I., & Angstrom, J. (Eds.).*Rethinking the nature of war*. Routledge. Potomac books, 2015 Year
49. DeBenedictis K, „Russian 'Hybrid Warfare' and the Annexation of Crimea: The Modern Application of Soviet Political Warfare" England,Bloomsbury Academic,2022
50. Davis G. Doug , Slobodchikoff Michael O. , Cultural Imperialism and the Decline of the Liberal Order: Russian and Western Soft Power in Eastern Europe " (Russian, Eurasian, and Eastern European Politics), USA,Lexington Books,2018
51. Eli Berman, Religious, and Violent: The New Economics of Terrorism, Published The MIT Press, 2009 Year
52. Freier, N. Hybrid Threats and Challenges: Describe... Don't Define. *Small Wars Journal* 2009.
53. Friedman, O, Vitaly Kabernik, James C. Pearce, „Hybrid Conflicts and Information Warfare: New Labels, Old Politics", Denver ,Lynne Rienner Publishers, Inc, 2018
54. Friedman, O. "Hybrid Warfare": Resurgence and Politicization", England, Oxford University Press, 2022
55. Gurr, T. R. Minorities at Risk: A Global View of Ethnopolitical Conflicts. United States Institute of Peace Press. 1993 Year
56. Gavin Slade, Reorganizing Reorganizing Crime, Mafia and Anti-Mafia in Post-Soviet Georgia, England,Oxford University Press, 2013
57. Guchua A, Zedelashvili T, "Cyberwar as a Phenomenon of Asymmetric Threat and Cyber-Nuclear Security Threats" in "Modern Historical and Political Issues" journal in Historical and Political Sciences, Chernivtsi National University, 2019, Vol.40,

58. Giannopoulos, G. Smith, H. Theocharidou, M. The Landscape of Hybrid Threats: A Conceptual Model Public Version, Luxembourg: Publications Office of the European Union, 2021 y
59. Galeotti, M. The Vory: Russia's Super Mafia, New Haven: Yale University Press, 2018 Year.
60. Galeotti, M. Putin's hydra: Inside Russia's Intelligence Services, European Council on Foreign Relations, 2016 Year
61. Galeotti, M Russia's Five-Day War: The invasion of Georgia, August 2008 (Elite, 250), England, Osprey Publishing, 2023
62. Galeotti, M, Anna Arutunyan, Downfall: Prigozhin and Putin, and the New Fight for the Future of Russia, England, Ebury Press 2024
63. Galeotti, M „Russian Political Wa„, , England, Ebury Press 2024
64. Glennon, M. J. National Security and Double Government, Oxford University Press 12,15, 2016
65. Hoffman, F.G. Conflict in the 21st century: The Rise of Hybrid Wars. Virginia: Potomac Institute for Policy Studies Arlington, 2007.
66. Hoffman, F.G. Hybrid vs. compound war, The Janus Choice: defining today's Multifaceted conflict. Armed Forces Journal. October 2009.
67. Huntington, Samuel P.The Clash of Civilizations and the Remaking of World Order, New York: Simon & Schuster, 1996.
68. Janet Roitman J. "Productivity in the Margins: The Reconstitution of State Power in the Chad Basin," in Anthropology in the Margins of the State, eds. Veena Das and Deborah Poole, D., Santa Fe: School of American Research, 2004;
69. Jasper,S. Keit, A „Russian Cyber Operations ", United States,Georgetown University Press, 2020
70. Johnson, R., & Rathmell, A. (Eds.)New Perspectives on Asymmetric Warfare. Routledge 2017 Year.
71. Jackson Robert H. "Quasi-States: Sovereignty, International Relations and the Third World", Cambridge University Press, New York, 1990.

72. Jones, Seth G. „Random HouseThree Dangerous Men: Russia, China, Iran and the Rise of Irregular Warfare”, New-York, W. W. Norton & Company 2021
73. Jervis R. “Cooperation Under Security Dilemma”, “World Politics”, Vol.30, #2, Washington, 1978.
74. Kent, T. „Striking Back: Overt and Covert Options to Combat Russian Disinformation” ,The Jamestown Foundation, 2020
75. Keïta, S. Ukrainian relations: From Hybrid Warfare to the traditional combat mechanism United States,Georgetown University Press, 2023
76. Kaplan, F. Dark Territory: the Secret History of Cyber War. United States: Simon and Schuster: 2016.
77. Levitsky, S. Way. Lucan A. „Competitive Authoritarianism: Hybrid Regimes after the Cold War (Problems of International Politics)”, Cambridge University Press, 2010
78. Lele, A. Asymmetric Warfare: A State vs Non-State Conflict. OASIS: 2014.
79. Lucas E. “The New Cold War- Putin’s Threat to Russia and the West”, Bloomsbury, Great Britain, 2014
80. Libicki, M. C. Cyberdeterrence and Cyberwar. RAND Corporation 2009 Year .
81. Lawson, S. Beyond cyber-doom: Cyberattack Scenarios and the Evidence of History. Mercatus Center at George Mason University: 2011.
82. Lake D.,Morgan M. "Regional Orders" Building Security in a New World, Penn State State University Press, PA, 1997.
83. Menkhaus, K. "Governance Without Government in Somalia: Spoilers, State Building, and the Politics of Coping." International Security, 31(3), 2006 Year.
84. Manousos E. Kambouris, Hybrid Warfare 2.2: Where Biothreats Meet Irregular Operations and Cyber Warriors in the 21st Century (Advanced Sciences and Technologies for Security Applications) Berlin, Springer,2024
85. MAJ Amos C. Fox, „Hybrid Warfare: The 21st Century Russian Way of Warfare”, School of Advanced Military Studies, USA, 2017

86. Mölder,H. Vladimir Sazonov, Archil Chochia, Tanel Kerikmäe, „The Russian Federation in Global Knowledge Warfare: Influence Operations in Europe and Its Neighbourhood (Contributions to International Relations)" Berlin, Springer, 2021
87. Nye, J. Soft Power: The Means to Success in World Politics. Council on Foreign Relations: 2004.
88. Najžer,,B. „The Hybrid Age: International Security in the Era of Hybrid Warfare" London ,I.B. Tauris,2021
89. Ondrejscak, R. "Introduction to Security Studies", Centre for European and North Atlantic Affairs, Bratislava, 2014.
90. Oliveira P. and Penev P. "The Emergence of Organized Criminal Networks as Extralegal Authorities" published in "Connections" quarterly journal, Volume X, Number 4, PfP Consortium of Defense Academies and Security Studies Institutes, Garmisch, Fall 2011;
91. Rotberg, R. I. When States Fail: Causes and Consequences. Princeton University Press 2004 Year.
92. Robert D. Blackwill, Jennifer M. Harris, "War by Other Means: Geoeconomics and Statecraft" England, Harvard University Press, 2016
93. Staun J. "Siloviki versus Liberal-Technokrats: The Fight for Russia and Its Foreign Policy", DIIS Report, Danish Institute for International Studies, Copenhagen, 2007;
94. Shaw, C.R., & McKay, H.D. Juvenile Delinquency and Urban Areas. University of Chicago Press. 1942 y
95. Sandler, T., & Tschirhart, J. T. Handbook of Defense Economics. Elsevier 2018 Year.
96. Sławomir Turkowski, „Hybrid Warfare: The Conflict of a New Generation", England, Harvard University Press, 2021
97. Smith Rupert, The Utility Of Force, The Art of War in The Modern World, England, Clys Ltd, St. Ives plc, 2005
98. The landscape of Hybrid Treats: a conceptual model, Luxemburg; Publications Office of the European Union, 2021 Year.
99. Thornton, R. Asymmetric Warfare: Threat and Response in the 21st Century, Publisher Polity 02, 12, 2007

100. Thiele, R., "Hybrid Warfare: Future and Technologies" England, Clys Ltd, St. Ives plc, 2020
101. Varese F, Mafias on the Move: How Organized Crime Conquers New Territories, Princeton University Press, 2009 year
102. Varese, F., "Russia in Four Criminal", Cambridge, England: Polity. 2024
103. Varese, F. „Russian Mafia: Private Protection in a New Market Economy", Oxford University Press, 2001
104. Vallerstain, L. „Hybrid Warfare: Crime as a Tool of Politic, , England, Ebury Press 2024
105. Van Herpen, Marcel H. „Propaganda Machine: Soft Power and Russian Foreign Policy" England, Rowman & Littlefield Publishers; 2015
  
106. Williams P. "Transnational Organized Crime and the State," in The Emergence of Private Authority in Global Governance, eds. R. Bruce Hall and T. Bierstecker, Cambridge: Cambridge University Press, 2002;
107. Williamson Murray, Peter R. Mansoor , "Hybrid Warfare: Fighting Complex Opponents from the Ancient World to the Present", England,Cambridge University Press, 2012
108. Waltz, Kenneth N. „Theory of International Politics. English". 1st edition. Long Grove, Ill: Waveland, Press. isbn: 978-1-57766-670-7. 2010
109. Weissmann, M. „ Hybrid Warfare: Security and Asymmetric Conflict in International Relations" London ,I.B. Tauris,2021
110. Weissmann, M. Nilsson, N. „Warfare and Influence: States in the Intersection Between East and West" , London ,I.B. Tauris,2021
111. Williams P. "Crime, Illicit Markets, and Money Laundering," in Managing Global Issues: Lessons Learned, eds. P. J. Simmons and C. Jonge Oudrat, Carnegie Endowment, Washington, D.C.: 2001
  
112. Бадзагуа, М. Эволюция групповой преступности. Минск, 2000 г.
113. Глонти, Г. Лобжанидзе, Г. Профессиональная преступность в Грузии (воры в законе) монография, Тбилиси 2004 г.
  
114. Евгений Магди <<Гибридная Война>> Vivat Publishing House, Харьков, 2015.

115. Подлесских, Г. Андрей Терешонок, „Воры в законе Бросок к власти,, Издательство Художественная литература Ростов-на-Дону 1994

116. Тайны XX века, 6 ფებრუარი 2021 წ.

## ინტერნეტ რესურსები

117. "ამდენ უკანონობასთან მხოლოდ კანონით ბრძოლა შეუძლებელი იყო"  
<https://shorturl.at/FbNf7> (ბოლო ნახვა 30.05.2023)

118. ბახტაძე, რ. „არშემდგარი სახელმწიფო“, ახალი აზრი N4 (10) (2003)  
<https://shorturl.at/jlGOT> (ბოლო ნახვა 20.10. 2022)

119. ისტორიული მიმოხილვა მიხეილ ვინიცვის ცხოვრებაზე  
<https://shorturl.at/ZTFzD> (ბოლო ნახვა 12.12.2022)

120. კრიმინალი და კორუფცია <https://civil.ge> (ბოლო ნახვა 10.11.2023)

121. მიშვა,,იაპონელის“ცხოვრების ისტორიული მიმოხილვა <https://shorturl.at/ZTFzD>  
(ბოლო ნახვა 12.12.2022)

122. ნაფტალი არონოვიჩ ფრენკელი ისტორიული მიმოხილვა  
<https://shorturl.at/hrPhK> (ბოლო ნახვა 12.12.2022)

123. ნასაკირალის ბრძოლა, <http://mematiane> (ბოლო ნახვა- 12.12.2022)

124. რუსეთის ფედერაციის თავდაცვითი და შემტევი კიბერ შესაძლებლობები,  
<https://shorturl.at/hEKn6> (ბოლო ნახვა- 15.12.2022)

125. საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა, აბრაგი  
<http://www.nplg.gov.ge> (ბოლო ნახვა- 12.12.2022)

126. საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია <https://mfa.gov.ge/national-security-concept> (ბოლო ნახვა 19.11.2023)

- |      |           |        |      |         |
|------|-----------|--------|------|---------|
| 127. | ცხინვალის | ომი-30 | წლის | შემდგომ |
|------|-----------|--------|------|---------|
- <https://www.radiotavisupleba.ge/a/31034619.html> (ბოლო ნახვა 30.05.2022)
128. Cybersecurity and Infrastructure Security Agency (CISA). (<https://www.cisa.gov/>)(  
ბოლო ნახვა 25.11.2023)
129. Charles T. Call, Beyond the 'failed state': Toward conceptual alternatives, European Journal of International Relations 17(2), 2011 Year, pep 306  
<https://www.researchgate.net/publication> ( ბოლო ნახვა 04.06.2023 ).
130. Eberhard Kienle, Why have “FAILED STATES” failed to disappear  
<https://www.sciencespo.fr/ceri/fr/content/dossiersduceri> ( ბოლო ნახვა 04.06.2023 )
131. Eberhard Kienle, Why have “FAILED STATES” failed to disappear  
<https://www.sciencespo.fr/ceri/fr/content/dossiersduceri> ( ბოლო ნახვა 04.06.2023 ).
132. FBI tracked alleged Russian mob ties of Giuliani campaign supporter  
<https://inlnk.ru/3ZR6MO> (ბოლო ნახვა 13.02.2023)
133. Growing Threat of Russian Organized Crime <https://inlnk.ru/MjzvRB> (ბოლო ნახვა 09.05.2024)
134. Global Initiative Against Transnational Organized Crime. <https://globalinitiative.net/>  
(ბოლო ნახვა 13.11.2023)
135. GSFI-ის მიერ ჩატარებული კვლევები საქართველოში ჩატარებული არჩევნების შესახებ <https://gfsis.org.ge/ge/publications/view> ( ბოლო ნახვა 04.06.2023 )
136. Hoffman, F.G. On Not-So-New Warfare: Political Warfare vs Hybrid Threats, 2014, P 1  
[rb.gy/q0vzz4](http://rb.gy/q0vzz4) (ბოლო ნახვა 18.06.2022 )
137. John M. Hobbs, „the dark side of globalization: illegal economy, drugs, terrorism and hybrid threats“ <https://shorturl.at/09UAh> (ბოლო ნახვა 15.07.2023 )
138. Hough, P. „International Security Studies“. Routledge; 2nd edition (August 5, 2020)  
<https://shorturl.at/lckJU> (ბოლო ნახვა 27.10.22).
139. NDI National Democratic Institute-ს მიერ ჩატარებული კვლევა  
<https://shorturl.at/hOX8B> (ბოლო ნახვა 30.05.2023)

140. RAND Corporation - Cyber and Intelligence. (<https://www.rand.org/>) (ბოლო ნახვა 02.12.2023)
141. Transparency International - Corruption Perceptions Index.  
(<https://www.transparency.org/> (ბოლო ნახვა 05.12.2023))
142. "Thief-In-Law" Razhden Shulaya Sentenced In Manhattan Federal Court To 45 Years In Prison <https://inlnk.ru/w4nRXJ> (ბოლო ნახვა 08.09.2023)
143. United Nations Office on Drugs and Crime (UNODC) ( <https://www.unodc.org/> )  
(ბოლონახვა 15.11.2023)
144. Studysmarter-ის მიერ ჩატარებული კვლევა პიბრიდული ომის წარმოებაზე  
<https://www.studysmarter.co.uk> (ბოლო ნახვა 04.06.2023 )
145. The Brookings Institution - Organized Crime and Illicit Networks.  
(<https://www.brookings.edu/>) (ბოლო ნახვა 19.11.2023)
146. United Nations, Proceedings of the Eighth United Nations Congress on the Prevention of Crime and the Treatment of Offenders, 27 August–7 September 1990, Havana, Cuba; documents available at [http://www.asc41.com/UN\\_Congress/8th%20UN%20](http://www.asc41.com/UN_Congress/8th%20UN%20) ( ბოლო ნახვა 15.09.2022).
147. Wired, Kremlin Kids: We Launched the Estonian Cyber War <https://shorturl.at/vh06i>  
(ბოლო ნახვა-12.10.2022)
148. World Bank Group. ( <https://www.worldbank.org/> ) (ბოლო ნახვა 29.11.2023)
149. World Bank - Governance and Anti-Corruption. <https://www.worldbank.org/> (ბოლო ნახვა 11.11.2023)
150. Влияние "воров в законе" на криминологическую ситуацию в исправительных учреждениях (<https://shorturl.at/zbxR3> (ბოლო ნახვა 12.12.2022)).
151. Исследование преступности несовершеннолетних в истории Российской криминологической науки <rb.gy/4w48ka> (ბოლო ნახვა 12.12.2021)
152. История развития феномена "вор в законе" <https://shorturl.at/lmVlc> (ბოლო ნახვა 12.12.2022)

153. Криминальная субкультура осужденных в исправительных учреждениях: "воры в законе", "воровские группировки", лидеры уголовно-преступной среды, криминальные "авторитеты" " <https://shorturl.at/32vrV> (документ бабы 12.13.2023).
154. Криминологическая и психологическая характеристика криминальной субкультуры осужденных <https://shorturl.at/myneM> (документ бабы 13.12.2023).
155. Мишка «Япончик»: вместо легенды Владимир Ханелис, Бат-Ям <https://inlnk.ru/KezZw6> (документ бабы- 12.12.2022)
156. Методологические основы исследования преступности <https://shorturl.at/bK7gv> (документ бабы 12.12.2023)
157. Отслужившие в Сирии – самые лакомые кусочки: блатные против российской армии <rb.gy/kdx8l1> (документ бабы 28.03.2024)
158. Преступные короли Они командуют криминальным миром почти век. Их слово — закон для бандитов <https://inlnk.ru/20vxZE> (документ бабы 19.09.2023)
159. Психология криминального поведения <https://shorturl.at/yAsih> ( (документ бабы 12.12.2022)(документ бабы 12.12.2022)
160. транснациональная преступность: система понятий, <https://inlnk.ru/70gKYV> (документ бабы 29.04.2024)
161. транснациональная преступность: как угроза Независимых Государств <https://inlnk.ru/yOJYd3> (документ бабы 27.03.2023)
162. "Ходим по заколдованныму кругу". Почему в грузинских тюрьмах снова растет влияние криминальных авторитетов <https://www.bbc.com/russian/features-57122691> (документ бабы 31.07

## ემპირიული კვლევის ტრანსკრიპტი

ვახტანგ კაპანაძე:

კითხვა: როგორ დაახასიათებთ თქვენი მოსაზრებით(კანონიერი ქურდების) ინსტიტუტის რაობას?

პასუხი: ზოგადად ეს ინსტიტუტი წარმოადგენს კრიმინალურ სუბ-კულტურას და კრიმინალურ შიდა საორგანიზაციო იერარქიას, ასევე შეიცავს დაუწერელი კანონების კოდექს შიდა მოხმარებისთვის. ქურდული ინსტიტუტი არ წარმოადგენს მხოლოდ საბჭოთა ფენომენს, მსგავსი არსებობდა იტალიაში მაფიის ან კორსიკაზე კომორას სახით. თუმცა ისინი ეფუძნებოდა კლანურ ურთიერთობებს, მაშინ როდესაც, კანონიერი ქურდების ინსტიტუტი ზე-ოჯახური და ზე-ეროვნულია.

კითხვა: როგორ უკავშირდება აღნიშნული ფენომენი ქვეყნის პოლიტიკურ სისტემასთან(გთხოვთ გამოყოთ ძირითადი მომენტები)

პასუხი: ავტორიტეტული რეჟიმები ცდილობენ აღნიშნული ფენომენი გამოიყენონ მოსახლეობის გარკვეული ფენების მართვისთვის, ხოლო კორუმპირებული რეჟიმები (რაც არ გამორიცხავს ორივეს ერთად), იყენებენ მას საკუთარი ბიზნესის კონტროლისთვის. მაგალითად, მეფის რუსეთი და შემდგომში საბჭოთა მთავრობა იყენებდა ციხეებსა და გადასახლებებზე კონტროლისა და პოლიტიკური მოწინააღმდეგის გავლენების შესასუსტებლად.

კითხვა: რამდენად შეიძლება წარმოჩნდეს კანონიერი ქურდების ინსტიტუტი როგორც არა სამხედრო ხასიათის ასიმეტრიული საფრთხე.

პასუხი: ასიმეტრიული ზემოქმედების ერთ-ერთ მნიშვნელოვან მეთოდს წარმოადგენს სამიზნე ქვეყნის ეკონომიკისა და პოლიტიკის სფეროში ძირგამომთხრელი საქმიანობა, ასევე არსებული ხელისუფლებისა და სახელმწიფო ინსტიტუტების დისკრედიტაცია, რაშიც ქურდულ სამყაროს შეუძლია მნიშვნელოვანი როლი ითამაშოს.

კითხვა: რა კავშირი გაჩნია ჰიბრიდული ომის თეორიას კანონიერი ქურდების ინსტიტუტთან?

პასუხი: ზემო მითითებული გარემოების გამო, მოწინააღმდეგებ შესაძლოა გამოიყენოს აღნიშნული ფენომენი. ასევე, მისი ინტერნაციონალური ხასიათიდან გამომდინარე, ადვილად შესაძლებელია გამოყენებულ იქნას სადაზვერვო-ძირგამომთხრელი საქმიანობისთვის.

კითხვა: შეიძლება თუ არა განვიხილოთ კანონიერი ქურდების ინსტიტუტი როგორც განყენებული დე-ფაქტო პოლიტიკური ქვე-სისტემა ქვეყნის შიგნით?

პასუხი: უფრო წარმოადგენს სოციოლოგიურ ქვე-სისტემას თავისი კვაზი-მორალით, ქცევის წესებითა და იერარქიით.

კითხვა: რა ღონისძიებები და როგორი სახის პოლიტიკური ხასიათის რეკომენდაციები შეიძლება შემუშავდეს ამ საკითხს პრევენციის აღკვეთის და ლიკვიდაციის მიზნით?

პასუხი: უნდა მოხდეს მოსახლეობის მასებიდან მისი იზოლირება, ახალგაზრდებისთვის უნდა გახდეს არამიმზიდველი და შეწყდეს „იდეალიზება“ მას-კულტურის საშუალებებით.

## **ნოდარ ხარშილაძე:**

კითხვა: როგორ დაახასიათებთ თქვენი მოსაზრებით(კანონიერი ქურდების) ინსტიტუტის რაობას?

პასუხი: ორგანიზებული დანაშაული დღეის მონაცემებით არის ნებისმიერ ქვეყანაში, გლობალიზაციის პირობებში მსოფლიოს მასშტაბით გზა გაეხსნა არა მარტო ვაჭრობას

და ეკონომიკას არამედ კრიმინალურ სუბკულტურას და მის წარმომადგენლებს მთელი მსოფლიოს მასშტაბით, შესაბამისად ორგანიზებული დანაშაულებრივი კრიმინალური დაჯგუფებები დღეის მდგომარეობიდ ძალიან განვითარებულია და ეს ფაქტია და გასაგებია, თუმცა ქურდული ინსტიტუტი ბევრად უარესია ვიდრე ორგანიზებული კრიმინალი, ვინაიდან გარდა კრიმინალური ასპექტისა მას გააჩნია ფილოსოფიური საზოგადოებრივი ასპექტი რომელიც რყვნის საზოგადოებას, საქართველოს აღნიშნულ ფენომენთან ძალიან ნეგატიური გამოცდილება აქვს, ვინაიდან ქურდული ინსტიტუტის მავნებლური საქმიანობის შედეგად ქვეყანაში ვერ შევძლით თანამედროვე საზოგადოების ჩამოყალიბება, ვინაიდან ქურდული სამყაროს ძირითადი მიზანია გამოიწვიოს საზოგადოების მიერ სახელმწიფოსადმის უნდობლობა რის შემდეგაც საკუთარი თავით ჩაანაცვლოს სახელმწიფო.

კითხვა:როგორ უკავშირდება აღნიშნული ფენომენი ქვეყნის პოლიტიკურ სისტემასთან(გთხოვთ გამოყოთ ძირითადი მომენტები)?

პასუხი: არის შესაძლებლობა აღნიშნული სუბკულტურის მიერ ხელისუფლებიაში მოსვლისა ქვეყანაში, მაგალითად მოსატანია ოთხმოცდაათიანი წლები, როდესაც საქართველოს აღმასრულებელ და საკანონმდებლო ორგანოებში მრავლად იყვნენ კრიმინალური სუბკულტურის წარმომადგენლები, აქედან გამომდინარე თუ სახელმწიფო არ გადადგავს ქმედით ნაბიჯებს აღნიშნულ სუბკულტურასთან საბრძოლველად, შესაძლებელია აღნიშნული სუბკულტურის წარმომადგენლების ხელისუფლებაში აქტიურად მოვიდნენ, ვინაიდან აღნიშნულ პიროვნებებს ფინანსები საკმაოდ აქვთ, გარკვეულ წრეებში გარკვეული გავლენებიც აქვთ და მათთვის ძალიან ადვილია კულისებიდან მანიპულირება, მაგალითისთვის მოსატანია ჯაბა იოსელიანის ფიგურა რომელსაც მრავალგზის მოხდილი აქვს სასჯელი მძიმე დანაშაულისთვის და იგი წარმოადგენდა რეციდივისტ დამნაშავეს, აქედან გამომდინარე შესაძლებელია ვთქვათ ის რომ მთავრობების მიერ ხდება აქტიურად კრიმინალური სუბკულტურის გამოყენება თავისი ინტერესების მისაღწევად და

აღნიშნულიდან გამომდინარე იგი მჭიდროდ უკავშირდება ქვეყნის პოლიტიკურ სისტემას და დღისწესრიგს.

კითხვა: რამდენად შეიძლება წარმოჩნდეს კანონიერი ქურდების ინსტიტუტი როგორც არა სამხედრო ხასიათის ასიმეტრიული საფრთხე?

პასუხი: ჯერ ერთიც არასამხედრო ხასიათის საფრთხეს კანონიერი ქურდები იმიტომ წარმოადგენენ, რომ მათ აღნიშნული ტიპის საფრთხედ ყოფნა საჭირო არ არის, ხოლო თუ მათ დაჭირდათ, მათ ჩვეულებრივად შეუძლიათ გარდაიქმნან სამხედრო ხასიათის საფრთხედაც, კრიმინალი არის ალბათ ყველაზე დიდი ჰიბრიდული საფრთხე(კანონიერი ქურდების ინსტიტუტის სახით), ეს მოიცავს კლასიკურ კრიმინალს როგორიც არის ძარცვა, ქურდობა, ყაჩაღობა და ბანდიტიზმი, აღნიშნული სუბკულტურის ერთ-ერთი მიმართულება მოიცავს პიარ ნაწილს, ხდება ამ ტიპის ცხოვრების რომანტიზაცია განსაკუთრებით ახალგაზრდებში რათა შემდგომ მოხდეს მათი რეკრუტირება თავიანთ რიგებში, რაც მთავარია მათ ასევე გააჩნიათ ფილოსოფიური ნაწილი თავისი პიარ კომპანიის, როგორ ხდება ამ ყველაფრის მოსახლეობაში დანერგვა და გატარება, ისინი თამაშობენ ფსევდო რობინ ჰუდის როლს და ამით მოსახლეობისთვის უფრო მისაღები და ახლობლები ხდებიან, რა თქმა უნდა ეს ყველაფერი არის ხაფანგი და ამას ყველა ვერ აღიქვამს და ვერ ხვდება. შესაბამისად აღნიშნული სუბკულტურა იმიტომ არის ჰიბრიდული საფრთხე რომ იგი მოიცავს ფილოსოფიურ ელემენტს, პიარის ელემენტს და ბოლოს ძალადობრივ ელემენტს.

კითხვა: რა კავშირი გაჩნია ჰიბრიდული ომის თეორიას კანონიერი ქურდების ინსტიტუტთან?

პასუხი: მალიან მარტივი არის ჰიბრიდული ომის წარმოების თეორია გამოიყენო კანონიერ ქურდებზე, ჰიბრიდი რას გულისხმობს? ჰიბრიდი არის რამოდენიმე ძალის ერთობლიობა ერთი მიმართულებით, ანუ ხდება კომპლექსური ქმედებების გამოყენება, რაც მოიცავს პიარის დაშინების დაშანტაჟების და სხვა ზეწოლის ელემენტების გამოყენებას, ამ მხრივ ტრადიციული კრიმინალისგან განსხვავებით

რომელიც მხოლოდ კრიმინალური საქმიანობით არის დაკავებული და მას საერთოდ არ აინტერესებს თავისი თავის გაპიარება და ის თუ რამდენად კეთილგანწყობილია მის მიმართ საზოგადოება, მაშინ როდესაც კანონიერი ქურდებისთვის და მათი მიმდევრებისთვის ყველა ზემოთ აღნიშნული გარემოებები არის საკმაოდ მნიშვნელოვანი, მეორე ეს ხალხი ყოველთვის ცდილობს, რომ მათ ახლო კონტაქტი ჰქონდეთ სხვა გავლენის მატარებელ ინსტიტუტებტან მაგალითად რელიგიურთან, ჰიბრიდული სახის კრიმინალი ყოველთვის მიისწრაფვის რელიგიურ ინსტიტუტებტან მჭიდრო ურთიერთობებისკენ, იმიტომ, რომ აღნიშნულ ორგანიზაციის წარმომადგენლებსაც მაღალი ავტორიტეტი აქვთ საზოგადოებაში, ისინი ხშირად აფინანსებენ აღნიშნულ ინსტიტუტებს, რითიც ცდილობენ მოსახლეობის კეთილგანწყობის მოპოვებას, აღნიშნულიდან გამომდინარე კანონიერი ქურდების ინსტუტი წარმოადგენს საკმაოდ საშიშ ჰიბრიდული სახის საფრთხეს. ამის გარდა გლობალიზაციის პირობებში კანონიერი ქურდებისთვის საკმაოდ ადვილი გახდა ფინანსების გადაადგილება ქვეყნებს და კონტინენტებს შორისაც კი რაც ასევე საკმაოდ დიდ საფრთხეს წარმოადგენს და წარმოადგენს ჰიბრიდული ომის წარმოების ძალიან ადვილ ხერხს მთელი მსოფლიოს მასშტაბით.

კითხვა: შეიძლება თუ არა განვიხილოთ კანონიერი ქურდების ინსტიტუტი როგორც განყენებული დე-ფაქტო პოლიტიკური ქვე-სისტემა ქვეყნის შიგნით?

პასუხი: იცით როგორ, არის განყენებული? აი დე ფაქტო კი, განყენებულად მისი აღქმა ცოტა რთულია, ვინაიდან დღესაც ბევრი მაღალი თანანმდებობის პირი არის გარშემორტყმული კრიმინალური წარსულის მქონე პირებით, აქედან გამომდინარე განყენებულს კი არა უფრო ინტეგრირებულს ვიტყოდი მე, ვინაიდან მათ (კანონიერ ქურდებს) უფრო ინტეგრაცია განიცადეს ქართულ პოლიტიკაში, პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა მიუხედავად მისი მრავალი პოლიტიკური შეცდომის, თავის ხელისუფლებით შეძლო განედევნა აღნიშნული სუბკულტურა ქარტული პოლიტიკიდან და სცადა საზოგადოებიდანაც განედევნა ისინი და თითქმის გამოუვიდა კიდევაც ეს, თუმცა მისი მეთოდები არ იყო მართებული და დაწყებული

საქმე ვერ მიიყანა ბოლომდე, რის შემდეგადაც არნიშნულმა სუბკულტურამ შეძლო სრული რევანშის აღება და დღეის მდგომარეობით მოახდინეს საზოგადოებაში სრული ინტეგრაცია, რის შემდეგაც მათ უკვე შეიცვალეს იერი და დღეის მონაცემებით ისინი მოგვევლინენ როგორც ინვესტორები და ბიზნესმენები. აქედან გამომდინარე შემიძლია გითხრათ რომ ისინი არ არიან განყენებული საზოგადოებიდან, უფრო მეტიც ისინი დღეის მონაცემებით სრულიად არიან ინტეგრირებულები ქვეყნის მოსახლეობაში.

კითხვა:რა ღონისძიებები და როგორი სახის პოლიტიკური ხასიათის რეკომენდაციები შეიძლება შემუშავდეს ამ საკითხს პრევენციის აღკვეთის და ლიკვიდაციის მიზნით? პასუხი:მე ვფიქრობ საჭიროა რადიკალური ზომების მიღება, თუმცა არნიშნული უნდა მოხდეს დემოკრატიული ფასეულობების დაცვით და დემოკრატიული ღირებულებების მაღალი სტანდარტებით, უნდა მოხდეს კანონიერი ქურდების და მათი მიმდევრების იზოლაცია განსაკუთრებით პენიტენციურ დაწესებულებებში, რათა არ მოხდეს მათი მხრიდან ახალი წევრების რეკრუტირება თავის რიგებში, უფრო მოქმედი უნდა გახდეს კანონის მოქმედება ორგანიზებულ კრიმინალურ დაჯგუფებებთან მიმართებაში, მესამე აუცილებელია სამართალდამცავი ორგანოების უფრო ქმედითი საქმიანობა, აღნიშნული სუბკულტურის წინააღმდეგ ბრძოლაში, რაც მთავარია საგანმანათლებლო და სოციალური პროგრამების უფრო ქმედითი დაწერგვა მოსახლეობაში, რითიც შესაძლებელი გახდება მოსახლეობის იზოლირება აღნიშნული სუბკულტურის მავნე გავლენებისგან. საბოლოოდ რაც უმნიშვნელოვანესია უნდა მოხდეს ლუსტრაცია იმ გარე ძალების სპეც სამსახურების (რუსეთის ფედერაციის) სახით რომლებიც ახდენენ აღნიშნული სუბკულტურის წარმომადგენლების მხარდაჭერას და გარკვეული დახმარების გაწევას რათა ქვეყნის მოსახლეობისთვის გახდეს ნათელი თუ როგორ ბნელ და საშიშ ძალასთან აქვთ შეხება.

## **თეიმურაზ კაჯლიძე:**

კითხვა: როგორ დახასიათებთ თქვენი მოსაზრებით(კანონიერი ქურდების) ინსტიტუტის რაობას?

პასუხი: ეს არის ფენომენი რომელიც ჩაისახა ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირში, როდესაც დაგროვდა დიდი რაოდენობა პატიმრების სასჯელთაღსრულების დაწესებულებებში, ეს არის ფენომენი რომელიც სცილდება ორგანიზებული დანაშაულის მხოლოდ კრიმინალურ ფორმას, მას რეალურად აქვს გარკვეული სხვა და სახვა ტიპის გავლენები ჩვენს ყოფაცხოვრებაზე, აქვე აღსანიშნავია ის ფაქტი რომ ამ სუბკულტურას აქვს ღირებულებითი გავლენა მოსახლეობის დიდ ნაწილზე, გარკვეული პერიოდის განმავლობაში ხდებოდა მათი ცხოვრების სტილის რომანტიზირება მოსახლეობაში, განსაკუთრებით საბჭოთა კავშირის პერიოდში აღნიშნულ სუბკულტურის წარმომადგენლები თავს ასაღებდნენ ანტისაბჭოთა მიმდევრობის წარმომადგენლებად, აღნიშნულმა გამოიწვია მათი დიდი პოპულარიზება საქართველოს მოსახლეობაში, სამწუხაროდ დღემდე აღნიშნული ფენომენი, მათი ქცევის კოდექსი, ასე თუ ისე პოლულარულია საზოგადოების გარკვეულ ფენაში და სამწუხაროდ ახდენს გავლენას თაობების, ღირებულებით სისტემის ფორმირებაზე, ამის გარდა აღნიშნულ სუბკულტურის გავლენას აქვს სხვა და სხვა გამოვლინება მათ შორის ეკონომიკური, პოლიტიკური სოციალური და ა. შ. საბოლოოდ რომ შევაჯამოთ ეს არის გარკვეული სუბკულტურა რომელსაც აქვს თავისი ღირებულებათა კოდექსი და ეს კოდექსი ჯერ კიდევ საკმაოდ პოპულარულია მოსახლეობის საკმაოდ დიდ ნაწილში.

კითხვა: როგორ უკავშირდება აღნიშნული ფენომენი ქვეყნის პოლიტიკურ სისტემასთან(გთხოვთ გამოყოთ ძირითადი მომენტები)?

პასუხი: სამწუხაროდ გვაქვს გამოცდილება, საბჭოთა კავშირის დანგრევის შემდგომ, საკმაოდ სუსტი იყო სახელმწიფო, საკმაოდ სუსტი იყო და ამ ფენომენმა მიიღო განსაკუთრებული ფართო ხასიათი და გავლენას ახდენდა მათ შორის ქვეყნის

პოლიტიკურ ცხოვრებაზე, მარტივი მაგალითი ამის ლუსტრირების არის ქვეყნის მოსახლეობის დიდ ნაწილში, ამ სუბკულტურის წარმოადგენლებს გააჩნდათ საკმაოდ ძლიერი პოზიციები და გავლენები და მარტივად ახდენდნენ მათ ეკონომიკურ და ბიზნეს ურთიერტობებზე გავლენებს, აღნიშნულის გარდა ხდებოდა მათი მხრიდან მოსახლეობაზე ზეწოლა, როგორც ამომრჩეველზე ბუნებრივად ხდებოდა სხვადასხვა პოლიტიკურ ძალებსა და აღნიშნულ სუბკულტურის წარმომადგენლებს შორის ერთმანათთან დაკავშირება, რადგან იცოდნენ რა პოლიტიკურმა ძალებმა მათი გავლენები ამომრჩევლებზე, ხდებოდა გარკვეული ალიანსების შედგენა ერთმანეთთან ურთიერთ დახმარებაზე, რის შემდგომაც ამ კრიმინალური სუბკულტურისგან დავალებული პოლიტიკური ძალა შესაბამისად იღებდა ვალდებულებას, მათი ინტერესების ქვეყნის მასშტაბით გატარების, რაც რა თქმა უნდა მოქმედებდა ქვეყნის პოლიტიკურ დღისწესრიგზე და გავლენას ახდენდა მასზე, აღნუშნული ხელს უშლის ქვეყნის პოლიტიკური განითარების სწორ მიმართულებას.

კითხვა: რამდენად შეიძლება წარმოჩნდეს კანონიერი ქურდების ინსტიტუტი როგორც არა სამხედრო ხასიათის ასიმეტრიული საფრთხე?

პასუხი: საფრთხე რეალურად არის იმიტომ, რომ რადგანაც ეს ფენომენი პირდაპირ გავლენას ახდენს თაობების ღირებულებათა სისტემის ჩამოყალიბებიაზე, გავლენას ახდენს პოლიტიკურ პროცესებზე, გავლენას ახდენს ეკონომიკურ ურთიერთობებზე და სიტუაციაზე ქვეყანაში, ამრიგად ეს ყველაფერი არის ჩრდილოვანი კანონ გარეშე და ხშირ შემთხვევაში კანონსაწინააღმდეგო, ეს ბუნებრივად წარმოადგენს საფრთხეს სახელმწიფოსთვის როგორც ინსტიტუტისთვის.

კითხვა: რა კავშირი გაჩნია ჰიბრიდული ომის თეორიას კანონიერი ქურდების ინსტიტუტთან?

პასუხი: ჩემის აზრით აქ შეიძლება ვივარაუდოთ რომ მათ შორის კავშირი არსებობს, ეს არ არის მხოლოდ ქართული ფენომენი ეს არის საბჭოთა ფენომენი რომელიც წარმოიშვა ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირში და განვითარება შეძლო რუსეთის ფედერაციაში, რუსეთის ფედერაცია კი ამ მომენტისთვის წარმოადგენს ჩვენი

ქვეყნისთვის როგორც ჰიბრიდული ისე კონვენციური საფრთხეების მთავარ წყაროს, იმის გათვალისწინებით, რომ უმეტესი ქართველი კრიმინალების მოღვაწეობდა ან მოღვაწეობს რუსეთის ფედერაციაში, აღნიშნული ფაქტორი ბუნებრივად წარმოშობს იმის ალბათობას, რომ რუსეთის ფედერაციამ თავისი სპეც-სამსახურების გამოყენებით შესაძლებელია გამოიყენოს აღნიშნული ხალხი თავისი გავლენების გასაძლიერებლად სხვა და სხვა კუთხით.

კითხვა: შეიძლება თუ არა განვიხილოთ კანონიერი ქურდების ინსტიტუტი როგორც განყენებული დე-ფაქტო პოლიტიკური ქვე-სისტემა ქვეყნის შიგნით?

პასუხი: ერთის მხრივ პოლიტიკურ ასპექტში ამ საკითხს ვერ განვიხილავ, ვინაიდან თვითონ ამ სუბკულტურის კანონები არსებითად ეწინააღმდეგება ამ პრინციპს, მეორეს მხრივ ეს რეალურად არის პოლიტიკური ფაქტორი, ეს ფენომენი წარმოადგენს ფაქტორს რომელიც ახდენს გავლენას ქვეყნის პოლიტიკურ ეკონომიკურ და ღირებულებებით ფაქტორებზე, ქვეყნის მოსახლეობის. შესაბამისად როგორც ასეთი აღნიშნული სუბ-კულტურა წარმოადგენს სერიოზულ ფაქტორს რომელიც ჯერ კიდევ საკმაოდ ანგარიშ გასაწევი ძალაა ქვეყანაში.

კითხვა: რა ღონისძიებები და როგორი სახის პოლიტიკური ხასიათის რეკომენდაციები შეიძლება შემუშავდეს ამ საკითხს პრევენციის აღკვეთის და ლიკვიდაციის მიზნით?

პასუხი: ჩემის აზრით, მცდელობა ამისი სწრაფი აღმოფხვრის იყო წინა ხელისუფლების მიერ წარუმატებელი, მე არ ვთვლი აღნიშნული სუბკულტურის შეზღუდვა შესაძლებელია, თუმცა ჩვენ თუ ვსაუბრობთ ამ ფენომენის როგორც ასეთის აღმოფხვრაზე ამას დიდი დრო და თაობებთან მუშაობა დასჭირდება, განსაკუთრებით ახალგახრდა თაობებთან, სკოლის ასაკიდანვე უნდა იყოს ღირებულებათა სისტემა მიწოდებული სხვა კუთხიდან, აუცილებელია საკანონმდებლო ბაზების შეცვლა და მაქსიმალურად უნდა შეიზღუდოს აღნიშნული სუბ-კულტურის გავლენა ქვეყნის პოლიტიკურ და ეკონომიკურ სივრცეში ქვეყნის მასშტაბით, არ მიმაჩნია რომ აღნიშნული პრობლემის მოგვარება შესაძლებელი იქნება სწრაფად აღნიშნული

პრობლემა არის მრავალწახნაგოვანი და მისი გადაწყვეტილება მოითხოვს კომპლექსურ ქმედებებს და მისი აღსრულება მოითხოვს საკმაოდ დიდ პერიოდს.

### **ზურაბ აგლაძე:**

კითხვა: როგორ დაახასიათებთ თქვენი მოსაზრებით(კანონიერი ქურდების) ინსტიტუტის რაობას?

პასუხი: აღნიშნული სუბკულტურის დახასიათების დროს უნდა ავღნიშნოთ შემდეგი, კრიმინალური სუბკულტურა არაფრით არ განსხვავდება სხვა სისტემისგან, უბრალოდ ეს სისტემა მოწყვლადია იმ მხრივ, რომ ქვეყნის შიგნით ანგრევს საზოგადოებას ერთმნიშვნელოვნად, და მეორე მოწყვლადი იმიტომ არის რომ მასზე(ანუ კრიმინალზე) გავლენის მოპოვება ძალიან ადვილი არის, და ეროვნული უსაფრთხოების ასპექტში ქვეყნისთვის საკმაოდ ცუდი როლი შეიძლება ითამაშოს ამ ქურდულმა მენტალიტეტმა და ინსტიტუტმა, რო ჩამოვაყალიბოთ მარტივად მათთნ ეთნიკური და პოლიტიკური მიკერძოება არ თამაშობს არავითარ მნიშვნელობას, ამის გამო მათი გამოყენება ძალიან ადვილია ქვეყნის წინააღმდეგ, რითიც ეროვნული უსაფრთხოებას შეიძლება დაემუქროს საფრთხე, ვინაიდან ეს კავშირები ეთნიკურ ჯგუფებს შორის საკმაოდ კარგად შეიძლება გამოყენებული იქნეს გარე ძალების მიერ. იმის გათვალისწინებით თუ როგორი პოლიტიკური სისტემაც არის რუსეთთა და საქართველოში გვაჩვენებს იმას, რომ კრიმინალური სუბკულტურა და სპეც სამსახურები გადაჯაჭვულია ერთმანეთთან. განსაკუთრებით რუსეთის ფედერაციაში დიდი კრიმინალური დაჯგუფებები არის პირდაპირ გადაჯაჭვული სპეც სამსახურებთან, ამიტომაც არის აღნიშნული სუბკულტურა მოწყვლადი ჩემი გადმოსახედიდან. აქედან გამომდინარე იმ ჰიბრიდული ომის წარმოებისას რომელსაც რუსეთის ფედერაცია აწარმოებს საქართველოს წინააღმდეგ ქურდული სუბკულტურა თავისი მენტალიტეტით არის იდეაური საშუალება და ბერკეტი.

კითხვა: როგორ უკავშირდება აღნიშნული ფენომენი ქვეყნის პოლიტიკურ სისტემასთან(გთხოვთ გამოყოთ ძირითადი მომენტები)?

პასუხი: კრიმინალური სუბკულტურა კანონიერი ქურდების სახით კავშირი პოლიტიკურ სისტემასთან ჩემი აზრით არის პირდაპირი, ვინაიდან იმ ჰიბრიდული ომის წარმოებისას რომელსაც რუსეთის ფედერაცია აწარმოებს საქართველოს წინააღმდეგ მათი როლი ქვეყნის პოლიტიკურ დღისწერსიგში არის საკმაოდ მნიშვნელოვანი, მაშინ თუ ამერიკის ტერიტორიაზე რუსეთის ფედერაცია ტექნოლოგიების საშუალებებით აწარმოებს გარკვეულ ზეწოლას, მაგალითისთვის მოსატანია ბოლო საპრეზიდენტო არჩევნები სადაც პრეზიდენტ დონალდ ტრამპის მიერ მოპოვებული გამარჯვება დრესაც კი არის ბურუსით მოცული, უკვე საქართველოში ხდება უშუალოდ აღნიშნული სუბკულტურის წარმომადგენელების ფიზიკური ჩარევის დემონსტრირება როცა ისინი გარკვეულ ზეგავლენას ახდენენ ამომრჩეველზე მათთვის უფრო მისაღები პოლიტიკური პარტიისთვის ხმის მიცემის გზით, ახდენენ ფინასურ სექტორზე და ქვეყანაში შემოსასვლელი ინვესტიციებზე გარკვეულ ზეწოლას, რაც საბოლოოდ იძლევა ქვეყნის პოლიტიკური დღისწესრიგის გარკვეულ კორექტირებებს მათთვის სასურველი შედეგით.

კითხვა: რამდენად შეიძლება წარმოჩნდეს კანონიერი ქურდების ინსტიტუტი როგორც არა სამხედრო ხასიათის ასიმეტრიული საფრთხე?

პასუხი: აღნიშნულზე გიპასუხებთ შემდეგს, ხსენებული ინსტიტუტის მოქმედება პირდაპირ შეიძლება წარმოჩნდეს როგორც არასამხედრო ასიმეტრიული საფრთხე, ვინაიდან მტრულად განწყობილი ისეთი სახელმწიფო როგორიც არის რუსეთის ფედერაცია პირდაპირ დაუფარავად იყენებს მათ პოლიტიკური დღისწესრიგის, თავისთვის სასურველი მოდელის შესაქმნელად, ამისთის მათ იყენებს კორელაციაში გავლენის სხვა აგენტებთან ერთად, რაც საბოლოოდ იძლევა ისეთ არასამხედრო ტიპის ასიმეტრიულ საფრთხეს ქვეყნისთვის, რომელიც შესაძლოა საკმაოდ ცუდი შედეგების დადგომით მოევლინოს ქვეყნის დემოკრატიულ განვითარებას და პირდაპირ აზიანებს ქვეყნის ეროვნულ უსაფრთხოებას.

კითხვა: რა კავშირი გაჩნია ჰიბრიდული ომის თეორიას კანონიერი ქურდების ინსტიტუტთან?

პასუხი: თუკი ჩვენ დაუჯერებთ ჰოფფმანს მისი ერთ ერთი ძირითადი ფაქტორი არის კრიმინალი, კრიმინალური ქმედებები ჰიბრიდული ომის წარმოების ჭრილში, მაგალითიც რო მოვიყვანოთ აღნიშნული პირველი შემთხვევა არ არის, მოდით ავიღოთ მაგალითისთვის ამერიკის შეერთებული შტატები, მათთაც კი სჭირდებოდათ ხანდახან კრიმინალთან ურთიერთობა, თუნდაც მეორე მსოფლიო ომის პერიოდში სახელმწიფოსა და იტალიური მაფის მჭიდრო თანამშრომლობა, სიციილის ოპერაციის და ქვეყანაში არსებული პორტების დაცვის პროცესში, ეს ნათელი მაგალითია მათი თანამშრომლობის, ჩვენ ქვეყანაში კი მითუმეტეს უფრო ადვილად აღსაქმელია აღნიშნული კორპორაცია, თუნდაც ოთხმოცდაათიანი წლები რომ ავიღოთ, ჯაბა იოსელიანის და სხვა პირების მიერ მაღალი სახელმწიფო თანამდებობების დაკავებით. დღევანდელი დღის მონაცემებით აღნიშნული კორპორაცია განვითარებას პოულობს რეგიონებში ვინაიდან რეგიონში ბევრად უფრო ადვილად არის შესაძლებელი კორპორაცია ადგილობრივი მართველობითი რგოლის და კრიმინალური სუბკულტურის წარმომადგენლებს შორის, რაც იძლევა იმის საშიშროებას, რომ გარე ძალების მიერ მოხდეს მათი გამოყენება როგორ ჰიბრიდული ომის წარმოების ერთ ერთი ინსტრუმენტის.

კითხვა: შეიძლება თუ არა განვიხილოთ კანონიერი ქურდების ინსტიტუტი როგორც განყენებული დე-ფაქტო ჰოლიტიკური ქვე-სისტემა ქვეყნის შიგნით?

პასუხი: კი რა თქმა უნდა ისინი წარმოადგენენ გარკვეულ პოლიტიკურ ქვე სისტემას ქვეყნის შიგნით, შედარება რომ გავაკეთოთ, წარმოიდგინეთ რომ მიუხედავად იმისა რომ ისინი თავის დროზე აღიარებდნენ რომ ისინი ჰოლიტიკური არ ერევოდნენ, დროთა განმავლობაში ისინი ერთ რამეს მიხვდნენ, რომ ჰოლიტიკის გარეშე მათი სუბკულტურის და მართველობის სისტემის გადარჩენა შეუძლებელია, ამიტომ მათ საკამოდ მნიშვნელოვანი ნიშა და როლი დაიჭირეს ქვეყნის ჰოლიტიკურ ველზე, მათ ეს პრობლემა ძალიან მარტივად აქვთ დაგაჭრილი ისინი თავის თავს სთავაზობენ ჰოლიტიკურ ჯგუფებს, ამით მათ შეუძლიათ ძალიან მარტივად მოუტანონ ამომრჩეველთა ხმდების გარკვეული რაოდენობა, რაც აისახება საკმაოდ მომხიბვლელ

პროცენტულ ასახვაში, ამის სანაცვლოდ ითხოვენ გარკვეულ პრეფერენციებს და ბონუსებს აღნიშნული პოლიტიკური ძალისგან, აღნიშნულიდა გამომდინარე ისინი ერევიან პოლიტიკაში, არიან მისი განყენებული ნაწილი და მე მათ შედარებას ვახდენ პატარა პოლიტიკურ პარტიებთან ,რომლებიც ახდენენ თავისი ელექტორატის ხმედბის სარფიანად გაყიდვას. ამითი აქვთ მათ გავლენა ქვეყნის პოლიტიკურ დღისწესრიგზე და იმიტომ არის ეს საკამოდ საშიში ქვეყნის პოლიტიკურ განვითარებაზე , ქვეყანაში კრიმინალის მატებაზე და საერთოდ წარმოადგენს ქვეყნისთვის ერთ-ერთ უმთავრეს ასიმეტრიულ საფრთხეს.

კითხვა: რა ღონისძიებები და როგორი სახის პოლიტიკური ხასიათის რეკომენდაციები შეიძლება შემუშავდეს ამ საკითხს პრევენციის აღკვეთის და ლიკვიდაციის მიზნით?

პასუხი: მე ვფიქრობ აქ ჩვენ ბევრი ვარიაცი გვქონდა აღნიშნულ სუბკულტურასთან ბრძოლის, უფრო მეტიც ვცადეთ სხვა და სხვა ვარიანტები აღნიშნული ბრძოლის, მარტო ჩვენთან არა, მთელი მსოფლიოს მასშტაბით, თუმცა ამ ეტაპზე მნიშვნელოვანი ხანგრძლივი შედეგის მიღება ვერ მოხერხდა, ამიტომ ჩემის აზრით ყველაზე კარგი და მოქმედი გზა მათთან ბრძოლის იქნება მათი იზოლაცია ქვეყნის მოსახლეობიდან, თუმცა აღნიშნული უნდა მოხდეს მათი უფლებების და მსოფლიოში მიღებული მაღალი დემოკრატიული სტანდარტების დაცვის გზით, ამისათვის აუცილებელია ისეთი ჩვენი პარტნიორების ჩართვა აღნიშნულ ბრძოლაში როგორიც არის თურქეთი, იტალია, საბერძნეთი, ესპანეთი და საფრანგეთია, სადაც აღნიშნულ სუბკულტურას ფეხი აქვს მოკიდებული და ისინი საქართველოდან სისტემატიურად ახდენენ თავისი რიგების რეკრუტირებას და შევსებას ახალგაზრდებით, უნდა ვიმუშაოთ ამ ქვეყნებთან მჭიდროდ, გავცვალოთ ინფორმაცია და თუ დაგვჭირდა ამ ადამიანებისთვის (კრიმინალური სუბკულტურის წარმომადგენლების) ვფიქრობ, რომ უნდა შეიქმნას ცალკე დაწესებულება, სადაც მათი უფლებები იქნება დაცული მაქსიმალურად, თუმცა იქნებიან იზოლირებული სრულად ქვეყნის მოსახლეობიდან,

რითიც თავიდან აცილებული იქნება მათი მხრიდან რაიმე პროცესები გარეთ მართვა. მოხდება საზოგადოებისთვის იმის დანახვება რამდენად მავნებლურ საქმიანობას ეწევიან ისინი ქვეყნისთვის და მთელი მოსახლეობის წინააღმდეგ, თუმც კიდევ ერთხელ გავიმეორებ რომ აღნიშნული უნდა მოხდეს მაღალი დემოკრატიული და ადამიანის უფლებების დაცვის სტანდარტებით.

### **თეონა აქუბარდია:**

კითხვა: როგორ დაახასიათებთ თქვენი მოსაზრებით(კანონიერი ქურდების) ინსტიტუტის რაობას?

პასუხი: კანონიერი ქურდების ინსტიტუტი არის ცალკე სუბკულტურა რომლის ისტორიაც იწყება ჯერ კიდევ მეფის რუსეთის პერიოდიდან, შემდგომში უკვე კომუნისტების პერიოდში არნიშნულმა სუბკულტურამ განიცადა ფაქტიური რენესანსი და თავის განვითარების პიკს მიაღწია, აღნიშნულ სუბკულტურას აქვს თავისი კანონები და არ აღიარებს სახელმწიფოში არსებულ კანონებს და ქცევის წესებს, აღნიშნული კანონების მეშვეობით ისნი ცდილობენ როგორც დანაშაულებრივ გამდიდრებას ისე გარკვეული გავლენების მოპოვებას მოსახლეობაში, ისინი არიან სახელმწიფოსთვის საფრთხის შემცველი, რამდენადაც ამ შემთხვევაში სხვა სახელმწიფოს ინტერესების გატარების რისკებს ქმნიან, და ბოლო პერიოდში ჩვენ ვხედავთ კანონიერი ქურდების ინსტიტუტის დაბრუნებას საქართველოში რომელიც გამოიყენება პოლიტიკური მიზნების მისაღწევად ქვეყანაში.

კითხვა: როგორ უკავშირდება აღნიშნული ფენომენი ქვეყნის პოლიტიკურ სისტემასთან(გთხოვთ გამოყოთ ძირითადი მომენტები)?

პასუხი: შემიძლია გიპასუხოთ რომ აღნიშნული ფენომენი პირდაპირ უკავშირდება ქვეყნის პოლიტიკურ სისტემას და უფრო მეტსაც გეტყვით დღეს მონაცემებით საკმაოდ კარგად გამოიყენება ქვეყანაში პოლიტიკური დღის წესრიგის დასამყარებლად.

კითხვა: რამდენად შეიძლება წარმოჩნდეს კანონიერი ქურდების ინსტიტუტი, როგორც არა სამხედრო ხასიათის ასიმეტრიული საფრთხე?

პასუხი: რა თქმა უნდა კანონიერი ქურდები ინსტიტუტი წარმოადგენს არა სამხედრო ხასიათის ასიმეტრიულ საფრთხეს ქვეყნისთვის, ვინაიდან არჩევნების პერიოდში პირდაპირ ხდება მათი გააქტიურება ქვეყნის მთელი მასშტაბით და მათ შეუძლიათ გარკვეული გავლენა მოახდინონ არჩევნების პროცესზე, აქედან გამომდინარე შეგვიძლია ვთქვათ, რომ კანონიერი ქურდების ინსტიტუტი წარმოადგენს არა სამხედრო ხასიათის ასიმეტრიულ საფრთხეს მათ შორის ქვეყნის ეროვნული უსაფრთხოებისთვისაც.

კითხვა: რა კავშირი გააჩნია ჰიბრიდული ომის თეორიას კანონიერი ქურდების ინსტიტუტთან?

პასუხი: აღნიშნულ კითხვაზე გიპასუხებთ ჰიბრიდული კანონიერი ქურდების ინსტიტუტს გააჩნია უშუალო კავშირი ქვეყნის დემოკრატიულ განვითარებაზე და წარმოადგენს ჰიბრიდულ საფრთხეს ქვეყნისთვის, ვინაიდან ისინი იმართებიან სპეც-სამსახურების მიერ, განსაკუთრებით კი რუსული სპეცსამსახურების მიერ, რაც ქვეყნის ეროვნულ უსაფრთხოებას აყენებს პირდაპირ დარტყმას.

კითხვა: შეიძლება თუ არა განვიხილოთ კანონიერი ქურდების ინსტიტუტი როგორც განყენებული დე-ფაქტო პოლიტიკური ქვე-სისტემა ქვეყნის შიგნით?

პასუხი: რა თქმა უნდა კანონიერი ქურდების ინსტიტუტი განიხილება როგორც პოლიტიკური ქვე-სისტემა ქვეყანაში, ვინაიდან მათ მიერ ხდება ჩრდილოვანი მართვა პოლიტიკური პროცესების და მათი არაფორმალური მართვა გარკვეულ გავლენას ახდენს ქვეყნის პოლიტიკურ დღის წესრიგზე.

კითხვა: რა ღონისძიებები და როგორი სახის პოლიტიკური ხასიათის რეკომენდაციები შეიძლება შემუშავდეს ამ საკითხის პრევენციის, აღკვეთის და ლიკვიდაციის მიზნით?

პასუხი: ჰირველი რეკომენდაცია ორგანიზებულ დანაშაულთან არის ის, რომ აუცილებელია მათი გავლენების შემცირება ქვეყნის მოსახლეობაზე, მეორეს მხრივ

აუცილებელია ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფების იზოლაცია ქვეყნის პოლიტიკური დღის წესრიგიდან, უნდა მორჩეს ამ სუბკულტურის წარმოადგენლების რომანტიზირება ქვეყნის მოსახლეობისთვის, აუცილებელია შემუშავდეს სოციალური პროგრამები მოწყვლადი ჯგუფის მოსახახლეობისთვის განსაკუთრებით კი მოსწავლე ახალგაზრდობისთვის, აუცილებელია საერთაშორისო თანამშრომლობა ჩვენ პარტნიორ ქვეყნებთან და ერთობლივი პრევენციული ღონისძიებების ჩატარება აღნიშნულ სუბკულტურის წარმომადგენელი პირების წინააღმდეგ .